11
ნიგნი რომელიც უნდა წაიკითხოთ
50
ყველა სიკვდილამდე ადრე
ფრედერიკ ბეგბედერი
99 ფრანკი
99 F
ISBN 978-9941-413-85-8
9 789941 413858
ფრანგული ნაწარმოები

50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ

წიგნი 11

გამომცემლობა პალიტრა L
თბილისი, 2011

UDC (უაკ) 821.133.1-31
ბ-44

„50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“

ეს პროექტი მსოფლიოს არაერთ ქვეყანაშია პოპულარული.

სხვადასხვა გამოკითხვის საშუალებით, მკითხველი ირჩევს 50 საუკეთესო წიგნს მსოფლიო ლიტერატურის საგანძურიდან. საქართველოში „კვირის პალიტრის“ ამ პროექტს მრავალი ათასი ადამიანი გამოეხმაურა. სწორედ მათი დადგენილია იმ რჩეული წიგნების ნუსხა, რომელიც „პალიტრამედიამ“ რეალურ ბიბლიოთეკად აქცია.

ეს წიგნი მსოფლიო ლიტერატურის ამ უნიკალური ბიბლიოთეკის ნაწილია.

წიგნი გამოიცა თბილისის ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის, კულტურფრანსის/საფრანგეთის საგარეო და ევროპულ საქმეთა სამინისტროს და წიგნის ეროვნული ცენტრის (CNL) ხელშეწყობით მერაბ მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში.

Cet ouvrage publié dans le cadre du Programme d'Aide a la Publication Mérab Mamardachvili a bénéficié du soutien du Centre culturel fiançais Alexandre Dumas de Tbilissi, de Culturesfrance/ministère français des affaires êtrangères et européennes et du Centre National du Livre.

© გამომცემლობა პალიტრა L, 2011
ყველა საავტორო უფლება დაცულია.

საავტორო უფლებები დაარღვია 6100903139*-მა :)

© Éditions Grasset & Fasquelle, 2000
Originally published as „99 Francs“, Frédéric Beigbeder
Tous droits réservés

ISSN 1987-9628
ISBN 978-9941-422-73-7

ფრედერიკ ბეგბედერი

99 ფრანკი

თინათინ ღარიბაშვილის თარგმანი

ეს წიგნი ბრუნო ლე მუსთვის
იწერებოდა; ის კი იმ ქვეყნად გაემგზავრა;
ამიტომაც ახლა წიგნს ქლოეს ვუძღვნი,
რომელიც ამ ქვეყანას ახლახან მოევლინა.

„რა თქმა უნდა, არ არსებობს არავითარი მიზეზი იმისათვის, რომ ახალი ტოტალიტარული რეჟიმები თავიანთი წინამორბედების მსგავსი იყოს, მიუხედავად მათ ხელთ არსებული ხელკეტებისა და სპეცრაზმისა, ხელოვნურად გამოწვეული შიმშილობების, დაპატიმრებებისა და მასობრივი დეპორტაციებისა. მთავრობა და ხელისუფლება არა მხოლოდ არაჰუმანური (თუმცა, ეს უკანასკნელი არც არავის ადარდებს თანამედროვე ეპოქაში), არამედ უეფექტოა, რისი დამტკიცებაც სულ ადვილად შეიძლება: თვითონ განსაჯეთ - განვითარებული ტექნოლოგიების ერაში არაეფექტიანობა ხომ პირდაპირ სულიწმიდის წინაშე ჩადენილი ცოდვაა. ჭეშმარიტად „ქმედითი“ ტოტალიტარული სახელმწიფო იქნებოდა ის, რომელშიც პოლიტიკურ ხელმძღვანელთა ყოვლისშემძლე აღმასრულებელი კომიტეტისა და მათ დირექტორთა არმიას სრული უფლება ექნებოდა ნებისმიერი რამის გაკეთება აეძულებინათ დამონებული მოსახლეობისათვის, თუმცა ძალდატანება არც იქნებოდა საჭირო, რადგან მოსახლეობას უკვე ღრმად ეყვარებოდა თავისი მონური მდგომარეობა. თანამედროვე ტოტალიტარული სახელმწიფოები ერთ ამოცანასა და მიზანს უსახავენ პროპაგანდის მინისტრებს, გაზეთების მთავარ რედაქტორებსა და სკოლის მასწავლებლებს - ხალხს შეაყვარონ ის რეალობა, რომელშიც ცხოვრობენ!“

ოლდოს ჰაქსლი[1], ახალი წინასიტყვაობა წიგნისა
„სამყაროთა შორის საუკეთესო“, 1946

„ჩვენ ისეთ სურვილებს გვახვევენ თავს,
რომლებსაც ტანჯვის მეტი არაფერი მოაქვს“.

ალენ სუშონი[2],
„სენტიმენტალური ბრბო“, 1993

„კაპიტალიზმი კომუნიზმს გადაურჩა. რა გაეწყობა, ისღა
დარჩენია, საკუთარი თავი თვითონვე ამოიჭამოს“.
„კაპიტანი სასადილოდ გავიდა და
მეზღვაურები გემს დაეპატრონნენ“.

ჩარლზ ბუკოვსკი[3]

I

მე

„რისი შეცვლაც არ შეგიძლია, უნდა აღწერო მაინც“.
რაინერ ვერნერ ფასბინდერი[4]

1.

ყველაფერი წარმავალია: სიყვარული, ხელოვნება, დედამიწა, თქვენ, მე. სიკვდილი იმდენად გარდაუვალია, რომ რატომღაც ყველას მოულოდნელად ატყდება თავს. აბა, როგორ უნდა მიხვდე, რომ მაინცდამაინც დღევანდელი დღეა შენი ცხოვრების უკანასკნელი დღე? არადა, სულ გგონია, რომ დრო კიდევ გაქვს! მერე, უცებ, ერთ მშვენიერ დღეს - ბრახ! და გადატრიალდები, რეგლამენტი ამოწურულია. სიკვდილი ერთადერთი პაემანია, რომელიც თქვენს ორგანაიზერში წინასწარ ვერ ჩაინიშნება.

ყველაფერი იყიდება: სიყვარული, ხელოვნება, დედამიწა, თქვენ, მე. ამ წიგნს იმისთვის ვწერ, რომ იქნებ როგორმე სამსახურიდან გამომაპანღურონ. თვითონვე რომ წამოვიდე, კომპენსაციას არ მომცემენ. იმ ტოტის მოჭრა მჭირდება, რომელზეც ჩემი კომფორტია მოკალათებული. ჩემს თავისუფლებას უმუშევრობის დაზღვევა ჰქვია. მირჩევნია სამსახურს გამოვეთხოვო და არა სიცოცხლეს. ამისი თავიდათავი კი ისაა, რომ მეშინია. ჩემ გარშემო კოლეგები ბუზებივით იხოცებიან: ზოგს აუზში ცურვისას უსკდება გული, ზოგს მიოკარდიუმის ინფარქტად წოდებული კოკაინის გადაჭარბებული დოზა კლავს, გაიხედავ და აგერ ვიღაც საკუთარი თვითმფრინავით დაასკდა მიწას, ვიღაც კი კაბრიოლეტით ხტუნვა-ნავარდმა მოკლა. ჰოდა, ერთი სიტყვით, წუხელ დამესიზმრა, რომ ვიხრჩობოდი. ვხედავდი, როგორ ვიძირებოდი, ვგრძნობდი მოსრიალე თევზების შეხებას. ვეღარ ვსუნთქავდი, ფილტვები წყლით მევსებოდა. შორს, პლაჟზე ლამაზი ქალბატონი იდგა და მეძახდა. მე კი პასუხის გაცემა არ შემეძლო, რადგან პირი მარილიანი წყლით მქონდა სავსე. ვიხრჩობოდი, მაგრამ საშველად არავის ვუხმობდი. ჩემ გარშემო ყველა ასე იქცეოდა. მოცურავეები იძირებოდნენ, მაგრამ არავინ ყვიროდა, მიშველეთო. ვფიქრობ, ყველაფერს უნდა შევეშვა, რადგან ზედაპირზე ტივტივი აღარ შემიძლია.

ყველაფერი წარმავალია და ყველაფერი იყიდება. ადამიანიც ისეთივე პროდუქტია, როგორიც სხვა დანარჩენი. მასაც გააჩნია ვარგისიანობის განსაზღვრული ვადა. ამიტომაც გადავწყვიტე, 33 წლის ასაკში სამსახურისათვის თავი გამენებებინა. თანაც, როგორც მოგეხსენებათ, საუკეთესო ასაკია აღდგომისათვის.

2.

მე ოქტავი მქვია, ტანსაცმელს APC-ში ვიცვამ. სარეკლამო მენეჯერი გახლავართ: დიახ, მართალი ხართ, მე სამყაროს ვაბინძურებ. მე ვარ ის ტიპი, რომელმაც ნაგავი უნდა შემოგასაღოთ; რომელმაც ისეთ რაღაცებზე უნდა გაოცნებოთ, რასაც ვერასოდეს ეღირსებით. ხომ იცით, როგორ კეთდება: ფოტოშოპში რეტუშირებული მუდამ ლურჯი ცა, ლამაზი ნაშები და სრული ბედნიერება. მერე კი, როცა დიდი ვაი-ვაგლახითა და თავგანწირული ეკონომიით მოახერხებთ და საოცნებო მანქანას იყიდით, სწორედ იმ მანქანას, რომელიც ბოლო სარეკლამო კამპანიის დროს დავატრიალე და განვადიდე, ავდგები და კვლავ ძირს დავცემ, მეტიც - უკვე მოდიდან გადასულად გამოვაცხადებ. წინასწარ სამნაირი სახის მოდას ვიგონებ და ისე გადავდივარ ერთიდან მეორეზე და შემდეგ მესამეზე, რომ თქვენ ყოველთვის მოტყუებული და იმედგაცრუებული დაგტოვოთ. გლამური ის ქვეყანაა, სადაც ვერასოდეს შეაღწევთ. მე თქვენ სიახლით გაბრუებთ; სიახლის უპირატესობა კი ის არის, რომ მუდმივად იცვლება. ყოველთვის გამოჩნდება ისეთი სიახლე, რომელიც წინამორბედს დააძველებს. ჩემი მოწოდება იმაშია, რომ გამუდმებით გაყლაპოთ ნერწყვი. ჩემს პროფესიაში თქვენი ბედნიერება არავის სჭირდება, რადგან ბედნიერი კაცი მომხმარებელი ვეღარ იქნება.

თქვენი ტანჯვა სავაჭრო ბიზნესს სასიცოცხლო ძალებით აღავსებს. ჩვენი ჟარგონით მას „ყიდვის შემდგომი იმედგაცრუება“ ვუწოდეთ. ვთქვათ, რომელიმე პროდუქტი გესაჭიროებათ, მაგრამ როგორც კი მას ხელში ჩაიგდებთ, აღმოჩნდება, რომ ახლა სხვა გინდათ. ჰედონიზმი[I] ჰუმანიზმი როდია. იგი ფულის დინებაა. მისი დევიზი გაინტერესებთ? კი, ბატონო! „ვხარჯავ, ე.ი. ვარსებობ“. მაგრამ საჭიროებათა შესაქმნელად აუცილებელია კაცს გავუღვივოთ შურის გრძნობა, გავახელოთ მათი გაუმაძღრობა, უფრო მეტი ტანჯვა მივაყენოთ. ეს ყველაფერი ჩემი საბრძოლო მარაგია, სამიზნე კი, რა თქმა უნდა, თქვენ ხართ.

ცხოვრებას თქვენს მოტყუებაში ვატარებ და ამისათვის კარგადაც მიხდიან. 13.000 ევრო მაქვს ხელფასი (გარდა ამისა, მინაზღაურებენ მომსახურების ხარჯებს, მატარებს მანქანა, აქციების მეწილეც ვარ და გოლდენპარაშუტიც კი მაქვს). ევრო იმიტომ გამოიგონეს, რომ მდიდრების ხელფასი ექვსჯერ ნაკლებად აღმაშფოთებლად გამოჩენილიყო. კიდევ ბევრ ტიპს იცნობთ ჩემს ასაკში, 13.000 ევრო რომ ჰქონდეს ხელფასი? მე თქვენ ჩემს ჭკუაზე გათამაშებთ, რისთვისაც ცინცხალ „SLK მერსედესს“ დამიადებენ (სახურავი რომ ავტომატურად ეკეცება კაბინაში) ან სულაც BMW Z3-ს ან „პორშე ბოქსტერს“ ან კიდევ „მაზდა MX5“-ს (ჩემი სისუსტე ღია BMW Z3-ია, რომელიც დიდი ძალისა და ძარის აეროდინამიკური ესთეტიზმის ერთიანობის თვალსაჩინო ნიმუშია. სიმძლავრეს კი 321-ცხენისძალიანი 6-ცილინდრიანი ძრავა განაპირობებს, რაც მანქანას საშუალებას აძლევს 5,4 წამში ნულიდან 100 კმ/სთ აკრიფოს. სხვათა შორის, ეს მანქანა უკანალში შესარჭობ უზარმაზარ სანთელს ჰგავს, რომლითაც მთელი დედამიწის წამოკიდებაც კი არ იქნება შეუძლებელი).

[I] ჰედონიზმი (ბერძნ.) - ეთიკის იდეალისტური მიმდინარეობა, რომლის მიხედვითაც ცხოვრების მიზანს წარმოადგენს უდიდესი სიამოვნება, სიტკბოება.

როდესაც ტელევიზორს უყურებთ, მე თქვენს საყვარელ ფილმს ყველაზე მაგარ ადგილზე ვწყვეტ და ჩემი სარეკლამო ლოგოებით გიშლით ნერვებს. აქედან აღებული ფულით კი შვებულებას ხან სენბარტში ვატარებ, ხან ლამუში, ხან ფუკეში, ხან კი სულაც ლეკაბანში (კერსი). თქვენი საყვარელი ჟურნალის ფურცლებს ჩემი სლოგანებით ვაჭრელებ. რა თქმა უნდა, ვერც ამ შემთხვევაში იქნებით კმაყოფილი. მაგრამ თქვენი ბუზღუნი სულ ფეხზე მკიდია: იმდენ მაყუთს ავიღებ, რომ რაც მომეპრიანება, იმას ვიყიდი. მაგალითად, პროვანსში სახლს ან ციხესიმაგრეს პერიგორში ან სულაც ერთი კარგი კორსიკული ვილა მაწყენს? შემიძლია არდეშში ვიყიდო სახლი ან სასახლე მაროკოში, ჰო, კიდევ, სულ დამავიწყდა, შემიძლია კოხტა კატამარანI მივაყენო ანტილიის რომელიმე კუნძულს ან იახტა დავაგდო სენ-ტროპეს სანაპიროსთან. ხედავთ, რა ამბავში ვარ? ვერსად გამექცევით. მე ყველგან ვარ. საითაც უნდა გაიხედოთ, ყველგან რეკლამის სამფლობელოა. არც მოწყენის საშუალებას გაძლევთ და არც ფიქრისათვის გიტოვებთ დროს. სიახლის ტერორიზმი ჩემს წისქვილზე ასხამს წყალს და მეც სიცარიელეს ვყიდი. სერფინგით გატაცებული ნებისმიერი ადამიანი გეტყვით, რომ ფიცარზე თავის შესაკავებლად და წონასწორობის შესანარჩუნებლად საჭიროა მოწყობილობა ქვემოდან ღრუ იყოს. სერფინგი ზუსტადაც რომ პირღია ნახვრეტზე სრიალია და მეტი არაფერი (ეს ჭეშმარიტება ისევე ცნობილია ინტერნეტის მოყვარულთათვის, როგორც ლაკანოს ჩემპიონებისათვის). ეს მე ვადგენ, რა არის ნამდვილი, რა არის ლამაზი და რა არის კარგი. მანეკენიც ის გახდება, ვისაც მე ავირჩევ და მერწმუნეთ, ექვსთვიანი ჯოჯოხეთის გავლის შემდეგ ამ გოგონების დანახვაზე ნებისმიერ თქვენგანს აუცილებლად აუდგება. მათ ფოტოებსა და კლიპებს ვერსად დაემალებით. თქვენც მეტი რა გზა გექნებათ: ადგებით და ტოპმოდელებად მონათლავთ. ჩემი გოგუცუნების შემხედვარე ნებისმიერ ქალს, რომელმაც 14 წელს გადააბიჯა, საკუთარ თავზე ყოველგვარი წარმოდგენა დაეკარგება და სიცოცხლე მოეწამლება. თქვენ ჩემს არჩეულებს გააღმერთებთ. ოჰო, ამ ზამთარს მხრების სიმაღლემდე აწეული ძუძუები და სლიკინა ფუჩუნები ყოფილა მოდაში! რაც უფრო მეტად ვეთამაშები თქვენს ქვეცნობიერს, მით უფრო ადვილად მემორჩილებით. თუ თქვენი ქალაქის შენობების კედლებს რომელიმე რიგითი იოგურტის ქება-დიდების ამსახველი ქაღალდებით ავაჭრელებ, პირობას გაძლევთ, რომ მას აუცილებლად იყიდით. თქვენ კი გგონიათ, რომ არჩევანში თავისუფალი ხართ, მაგრამ დღეს თუ ხვალ ხომ წახვალთ სუპერმარკეტში და გადაძეძგილ თაროებზე ჩემს ნაქებ იოგურტს რომ დაინახავთ, აი, სწორედ მაშინ გამიხსენებთ და აუცილებლად იყიდით. თანაც ისე, უბრალოდ, გემოს გასასინჯად. მერწმუნეთ, იცის ბიჭმა თავისი საქმე.

ოოჰ, რომ იცოდეთ რა სიამოვნებაა თქვენს ტვინში შეღწევა. შევდივარ და თქვენს მარჯვენა ჰემისფეროში ვათავებ, თქვენი სურვილები თქვენ აღარ გეკუთვნით. რასაც მე გიბრძანებთ, თქვენც იმას ისურვებთ. გიკრძალავთ ალალბედზე მოისურვოთ რამე. თქვენი სურვილი იმ ინვესტიციის შედეგია, რომელიც თანხობრივად რამდენიმემილიარდიანი ევროს სახით წარმოგვიდგება. ეს მე უნდა გადავწყვიტო დღეს, თუ რა მოგინდებათ თქვენ ხვალ.

I კატამარანი - სატვირთო გემი. შედგება საერთო გემბანით დაკავშირებული ორი კორპუსისგან.

ეს ყველაფერი ჩემს პერსონას მაინცდამაინც სასიამოვნოდ არ წარმოაჩენს თქვენს თვალში. საერთოდ, როდესაც წიგნის წერას იწყებ, უნდა ეცადო საკუთარი თავი ძალიან მიმზიდველ და კაი ტიპად გამოიყვანო, მაგრამ სიმართლეს ვერ დავამახინჯებ და რაც არ არის, იმას ვერ ვიტყვი: ახლავე იცოდეთ - მე თავაზიანი და სასიამოვნო მთხრობელი არა ვარ. მეტიც, იმ საზიზღარ, გათახსირებულ ადამიანებს მივეკუთვნები, რომელთა უბრალო შეხებაც კი ყველაფერს ბილწავს და ალპობს. ძალიან კარგი იქნებოდა, ჯერ თუ მე შემიძულებდით და მერე იმ ეპოქას, რომელმაც მშვა და გამომზარდა.

თავად განსაჯეთ: განა გასაშტერებელი არ არის, როდესაც ხედავ, რომ ყველას, უკლებლივ, ეს რეალობა სავსებით ნორმალურად მიაჩნია?! საცოდავო მონებო! კაცმა რომ გკითხოთ, გეზიზღებით, თუმცა კი, ჩემს სულ უმნიშვნელო კაპრიზებსაც უყოყმანოდ ემორჩილებით. ვინ გეხვეწებოდათ, რატომ გამხადეთ სამყაროს მეფედ? ძალიან მინდა, ერთ საიდუმლოს ჩავწვდე: როგორ მოხდა, რომ ეპოქაში, რომელშიც ცინიზმმა თავისი აყვავების მწვერვალს მიაღწია, რეკლამა მსოფლიოს მბრძანებელის ტახტზეა წამოსკუპებული?! ბოლო ორი ათასი წლის განმავლობაში ჩემნაირი უპასუხისმგებლო კრეტინი არასოდეს ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორიც ახლა.

მინდა ყველაფერს შევაფურთხო, მოვკიდო ხელი ჩემს დაგროვილ ფულს, ნარკოტიკს, მეძავებს და სადმე მიყრუებულ, უკაცრიელ კუნძულზე გადავიკარგო (დღის განმავლობაში ხის ქვეშ წამოვგორდებოდი და დავტკბებოდი სორაიასა და თამარას ყურებით, რომლებიც ოქროს მონეტებს გააპრიალებდნენ), მაგრამ სამსახურიდან წასვლის ტრაკი არ მაქვს. ამიტომაც ვწერ ამ წიგნს. იქნებ გამომაგდონ და თავი დავაღწიო ამ მოოქრულ საპყრობილეს. იცოდეთ, საშიში და ყველაფერზე წამსვლელი კაცი ვარ. შემიბრალეთ, გამაჩერეთ, სანამ გვიანი არ არის. ჩამომკიდეთ დამსახურების ჩინ-მედლები და უკანმოუხედავად მოვტყდები. გპირდებით, გეფიცებით, მეტი რა ვქნა?! განა ჩემი ბრალია, კაცობრიობამ ღმერთი რომ ფართო მოხმარების საგნებს ანაცვალა?

მეღიმება, რადგან ეს რომ ვინმემ წაიკითხოს, წიგნის გამოსვლისთანავე პანღურს კი არ ამომარტყამენ, პირიქით, ხელფასს მომიმატებენ. იმ სამყაროში, რომლის აღწერასაც ვაპირებ, კრიტიკის სიმწვავე დიდი ხანია მონელებულია, თავხედობა - წახალისებული, დაბეზღება - უხვად დასაჩუქრებული, ხოლო პამფლეტი შეკვეთილი და ორგანიზებულია. მალე ალბათ პროვოკაციის დარგშიც დაიწყებენ ნობელის პრემიის მინიჭებას და არა მგონია, ამ სფეროში ვინმემ მეტოქეობა გამიწიოს. აჯანყება ამ თამაშის შემადგენელი ნაწილია. გარდასული დროის დიქტატორებს სიტყვისა და აზრის თავისუფლება აშინებდათ. კრძალავდნენ ყველაფერს, რაც თვალში არ მოსდიოდათ და ჭკუაში არ უჯდებოდათ, ციხეში ყრიდნენ მწერლებს, წვავდნენ მიუღებელ წიგნებს. საზიზღარი აუტოდაფეების ტკბილად მოსაგონარი დრო საშუალებას იძლეოდა ავი და კარგი ერთმანეთისგან გაგერჩია. აი, სარეკლამო ტოტალიტარიზმის ეპოქაში კი ეგეთი ადვილი აღარ არის თქვა, მე კი ხელები დამიბანიაო. ფაშიზმის ამ სახეობამ კარგად დაიმახსოვრა წარსულის მწარე გაკვეთილები (ბერლინი, 1945 და ბერლინი, 1989! - ჰო, მართლა, საინტერესოა, ყველანაირი ბარბაროსობა ერთსა და იმავე ქალაქში რატომ პოულობს აღსასრულს?).

კაცობრიობა რომ მონების ბრბოდ ექცია, რეკლამამ აირჩია მოკრძალება, მოქნილობა და დამაჯერებლობა. ჩვენ ვცხოვრობთ ადამიანის ადამიანზე ბატონობის პირველ სისტემაში, რომლის წინაშე თვით თავისუფლებაც კი უძლურია. ის კი არადა, ეს სისტემა

ყველა ფსონს თავისუფლებაზე დებს. სწორედ ეს არის მისი ყველაზე დიდი მიგნება. რაც უნდა მწვავედ გააკრიტიკონ, საუკეთესო როლი მაინც მას რჩება, ნებისმიერი პამფლეტი მისი მოტკბო შემწყნარებლობის ილუზიას კიდევ უფრო აძლიერებს. იგი თქვენ მომხიბლავად გიმორჩილებთ, ყველაფერი ნებადართულია. სულ რომ ჩააქაქო ყველაფერში, კაციშვილი ხმას არ გაგცემს. სისტემამ თავის მიზანს მიაღწია: დაუმორჩილებლობაც კი მორჩილების განსაზღვრული ფორმა გახდა.

ჩვენი დამსხვრეული ბედ-იღბალი ლამაზადაა დაკაბადონებული. აი, თავად თქვენ, როდესაც ამ წიგნს კითხულობთ, დარწმუნებული ვარ, ერთხელ მაინც გიფიქრიათ: „რა საყვარელია ეს პატარა სარეკლამო მენეჯერი, რომელიც ყველაფერს აუგემურებს და ბილწავს! კარგი, ბიჭუნა, გეყოფა, ბევრს ნუ ხტუნაობ! შენც ჩვენსავით კედელთან ხარ აყუდებული, შენც ჩვენსავით იძულებული ხარ, გადასახადები იხადო“. ამ ყველაფრიდან თავის დაღწევის არანაირი შანსი არ არსებობს. ყველა ჭუჭრუტანა დაგმანულია და ყველა კარი ჩარაზული. თანაც, ხომ იცით, როგორ კეტავენ? სულ სიცილ-სიცილითა და ლამაზი ღიმილით. ხელ-ფეხი შეკრული გაქვთ ათასნაირი კრედიტით, ყოველთვიური გადასახადებითა და ქირით. რაო, ამას გარდა სულიერი მდგომარეობებიც გაქვთ? რას მელაპარაკებით?! რა პრობლემაა! აბა, ერთი გაიხედეთ: მილიონობით უმუშევარი გარეთ დგას და მოთმინებით ელოდება, როდის გაუთავისუფლებთ ადგილს. იჩხუბეთ და იყვირეთ, რამდენიც გენებოთ. ხომ გახსოვთ, ჩერჩილმა რა უპასუხა თქვენნაირებს: „თუ არ ჩავთვლით სხვა სისტემებს, ეს ყველაზე უარესია“. რას ერჩი, არაფერი მიკიბულ-მოკიბული არ უთქვამს და არც არავის დაგოიმება უცდია. თქვა კაცმა, ყველაზე უარესიაო. ხომ არ უთქვამს, საუკეთესოაო.

3.

ამ დილით, 9 საათზე, Madone-ს ახალი პროდუქტების განყოფილების მარკეტინგის დირექტორთან ერთად ვისაუზმე. Madone მსოფლიოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა შორის ერთ-ერთი წამყვანია (1998 წელს მისმა სავაჭრო ბრუნვამ 84.848 მლრდ ფრანკი ანუ 12.935 მლრდ ევრო შეადგინა). სასაუზმოდ ალბერ სპირის დიზაინის მიხედვით დეკორატიული მინითა და ფოლადით შესრულებულ ბუნკერში უნდა მივსულიყავი. იქ შემთხვევით ვერავინ მოხვდება: იოგურტის იმპერიას გაძლიერებული დაცვა ჰყავს. რძის პროდუქტებს არასოდეს ჰქონია შენახვის ასეთი პირობები. ისღა დარჩენიათ, პროდუქტის შენახვის ვადა წააწერონ ავტომატურ კარზე. ლიფტებთან მისასვლელად მაგნიტური კარტა მომცეს, მერე ტამბურის მსგავსი, მეტალის ტურნიკეტებით ჩახერგილი სივრცე გადავჭერი, თითქოს მეტროში ვარო და უცებ ჩემი თავი უმნიშვნელოვანეს პერსონად წარმოვიდგინე, გეგონებათ, ზოლიან პერანგში გამოწყობილი უმაღლესი კომერციული სკოლის კურსდამთავრებულებთან კი არა, რესპუბლიკის პრეზიდენტთან მივდიოდი შესახვედრად. ლიფტში მიშელ უელბეკის[5] სიტყვები გამახსენდა:

მომსახურე პერსონალი ნიკელის ლიფტებით
თავიანთი გოლგოთისკენ მისრიალებს,
მდივნები კი მიდი-მოდიან და
წამწამებზე ტუშს ისვამენ.

ძალიან სასაცილოდ მეჩვენებოდა, როცა თავი ამ ცივი, მშრალი ლექსის გარემოცვაში წარმოვიდგინე.

ისე, თუ კარგად დაუფიქრდები კაცი, იმდილანდელი შეკრება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სახელმწიფოს მეთაურთან შეხვედრა იქნებოდა. ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი კრება, რომელმაც განსაზღვრა ყველაფერი, რაც შემდეგ მოხდა.

მერვე სართულზე Madone-ს წარმოების ყველა უფროსს ზოლიანი პერანგი აცვია და ჰალსტუხზე რომელიმე პატარა ცხოველის ფიგურა უკეთია. მარკეტინგის დირექტორს სრულ ტერორში ჰყავს მსუქანი ასისტენტი ქალები, რომლებსაც შიშისგან პირი უშრებათ და შარდის შეკავება ემართებათ. მარკეტინგის დირექტორს ალფრედ დიულერი ჰქვია. იგი ყოველ კრებას ერთი და იმავე ფრაზით იწყებს: „ჩვენ აქ იმიტომ კი არა ვართ, რომ საკუთარი თავი ვასიამოვნოთ, არამედ იმისათვის, რომ მომხმარებელი ვასიამოვნოთ“. თითქოს მომხმარებელი განსაკუთრებული რასის წარმომადგენელი იყოს - ერთგვარი untermensch[I]. მის დანახვაზე ღებინება მინდება: როგორია, კაცი კვების მრეწველობაში მუშაობდეს და მის შემხედვარეს გული გერეოდეს? წარმომიდგენია, დილაობით როგორ იპარსავს წვერს, ჰალსტუხს ინასკვავს, თავისი უსიამოვნო ამონასუნთქით მორალურ და ფიზიკურ ტრავმას აყენებს შვილებს, France-Info-ს ხმამაღლა აღრიალებს, Les Echos-ს თვალს გადაავლებს და სამზარეულოში ზეზეულად მიირთმევს ყავას. 1975 წლის შემდეგ

[I] Untermensch (გერმ.) - ქვეადამიანი.

ცოლს არ გაჰკარებია, თუმცა არც ღალატობს (ცოლი კი, იცოცხლე, არ იკლებს!), წელიწადში ერთ წიგნს კითხულობს, თანაც მაინცდამაინც ალენ დუამელისას[6]. ყოველთვის კოსტიუმში გამოწყობილს, გულწრფელად სჯერა, რომ თავისი ჰოლდინგის მასშტაბით გადამწყვეტი სიტყვა მას ეკუთვნის. მის უზარმაზარ „მერსედესს“ სულ ერთი გუგუნი გაუდის საცობებში. „მოტოროლას“ ტელეფონი ბუდეში უდევს და ავტორადიო „პიონერის“ ქვემოთ უკიდია. „მოტოროლა“ წიკვინებს, „პიონერი“ მესიჯებს გადმოსცემს კასტო-კასტო-კასტორამასთვის, „მამუთმა“ ფასები დაბლა დასცა. აირჩიეთ, კარგად აირჩიეთ მიზანი. დირექტორი დარწმუნებულია, რომ წარმოების ზრდის აღმავლობა სასიხარულო ამბავია. არადა, ზრდა მხოლოდ და მხოლოდ უსარგებლო პროდუქციის მომატებას ნიშნავს, „საქონლის უზარმაზარ მასას“ (კარლ მარქსი), დამატებითი საგნების მთას, რომელიც თავზე დაგვემხობა და ჩაგვმარხავს სამუდამოდ. მაგრამ დირექტორს რას დააჯერებ?! მას ხომ რწმენა აქვს! ეს რწმენა 30 უმაღლეს სკოლაში ჩაუნერგეს და უთხრეს: შენ ირწმუნებ ზრდას. ვაწარმოოთ მილიონობით ტონა დაგროვებისთვის განწირული პროდუქცია და ბედნიერები ვიქნებით. დიდება წარმოების განვითარებას, რომელიც ამუშავებს ქარხნებს. ქარხნები კი წარმოებას ავითარებს. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ არ გავჩერდეთ, რათა ფიქრისთვის დრო არ დაგვრჩეს.

კრება მომწვანო-მოლურჯო ფერის სააქტო დარბაზში ტარდება. მსგავსი ოთახი მსოფლიოს ყველა საქმიან დაწესებულებაში არსებობს. დიდ, ოვალურ მაგიდას ვუსხედვართ. წინ ფორთოხლის წვენით სავსე ჭიქები გვიწყვია. მონამდივანს თერმოსით ყავა შემოაქვს და თვალებს ხრის დაგვიანებული შეკრებების იღლიების სუნში.

დიულერი კრებას ხსნის და აზუსტებს: „რაც აქ ითქმება, ამ დარბაზს იქით არ გავა. არავითარი განაწესი არ იქნება, რადგან თქვენი მოულოდნელი მოწვევა საგანგებო სიტუაციითაა განპირობებული. გაყიდვების ახალ პარტიას უნდა გადავხედოთ, მაგრამ როტაციის საკითხიც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ერთმა თავხედმა კონკურენტმა ფირმამ გაბედა და ღია ბრძოლა გამოგვიცხადა. ფართომასშტაბიანი კამპანია წამოუწყია და როგორც სარწმუნო, ამ საქმისთვის შესაფერისი წყაროები გვამცნობენ, ჩვენი ბაზრის მოზრდილი წილების შეწერაც გადაუწყვეტია. როგორც ხედავთ, მოწინააღმდეგე თავს დაგვესხა“. ამ სიტყვების გაგონებისთანავე მაგიდის გარშემო შეკრებილმა საზოგადოებამ სინქრონულად კოპები შეიკრა. ერთი ხაკისფერი ჩაჩქანი და გენშტაბის რუკებიღა გვაკლდა და სუფთა ის იყო რა, ხომ გახსოვთ „ყველაზე გრძელი დღე“[7].

როგორც საერთოდ მიღებულია, ჩვენი სააგენტოს კლიენტურის განყოფილების დირექტორმა ჟან-ფრანსუამ გამოსვლა მეტეოროლოგიური მიმოხილვით დაიწყო. შემდეგ გადაწყვიტა მოკლე რეზიუმე გაეკეთებინა და ყველაფერი რომ უფრო თვალსაჩინო ყოფილიყო, რეტროპროექტორით კედელზე პრეზენტაციის ჩვენებას შეუდგა:

- ახლა გვსურს გაჩვენოთ 30-წამიანი პრეზენტაცია, რათა უკეთ დავიცვათ „მეგრელეტი“[I] პროდუქციის გამყალბებელი და ჩვენი საფირმო ნიშნის მიმბაძველ დისტრიბუტორთა შეტევისგან. მინდა შეგახსენოთ ის სტრატეგიული ამოცანა, რომელიც წინა შეკრებაზე დავისახეთ: „დაშლის პროცესში მყოფ საბაზრო პირობებში „მეგრელეტი“ სასიამოვნო სიახლის შემომტანია და სურს შემოგთავაზოთ საბჭოს სრულიად ახალი ხედვა, რაც აქამდე უცნობი ერგონომიული[8] შეფუთვით მიიღწევა“.

[I] „მეგრელეტი“ - იოგურტის სახელწოდება.

შემდეგ ჟან-ფრანსუა ქაღალდებს თვალს სწყვეტს და სლაიდს ცვლის. განათებულ კედელზე მსხვილი ასოებით წერია:

ოქმი ნიუანსებში (გაგრძელება):

ემოციური
გურმანებისთვის / მაცდუნებელი
სიამოვნება / ფეშენ „მ ე გ რ ე ლ ე ტ ი“ სასიამოვნოდ დნება
პირში / ლამაზია
ჯანსაღი / ნოყიერი
რაციონალური

ვინაიდან კაციშვილი ხმას არ იღებს, დირექტორმა WORD-6-დან ასისტენტის მიერ ამობეჭდილი ტექსტის პარაფრაზირება განაგრძო (სხვათა შორის, ამ ასისტენტის შვილი იყო, მუნიციპალურ ბაგა-ბაღში ოტიტი[I] რომ აიკიდა):

- როგორც 23-ში ლუკთან და ალფრედთან ერთად გადავწყვიტეთ, ჩვენი მოსაზრება მომხმარებლის სარგებლიანობას უნდა ემყარებოდეს. იგი ასე უნდა ფიქრობდეს: „ამ „მეგრელეტს“ ვჭამ, და არ ვსუქდები. თანაც, ძალიან სასარგებლოა მისი შემადგენელი ვიტამინებისა და კალციუმის გამო“. ბაზრის ამ გადატვირთული სექტორის შესწავლის შედეგებმა თვალნათლივ დაგვანახვა, რომ ორი მიმართულებით უნდა ვიბრძოლოთ: ჩვენი პროდუქტი უნდა იყოს ლამაზი და სასარგებლო, მომხმარებლის როგორც გარეგნობის, ასევე ჯანმრთელობისათვის. „მეგრელეტი“ არგებს ჩემს სხეულსა და გონებას. რაღაც გაგებით, თავსა და ფეხებსაც. ჰმ, ჰმ... ჰა, ჰა.

დირექტორის ეს გამოსვლა სტრატეგიული დაგეგმარების დეპარტამენტისა (ორი დეპრესიული ოთხმოცი წლის ბეხრეკის სამფლობელო) და სარეკლამო დარგში მათი მოადგილეების (დიჟონის კომერციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულები) ნააზრევისა და მსჯელობის ნაყოფია. ეს მოხსენება ემსახურება მომხმარებლის სურვილსა და გემოვნებას და აპრიორი შექმნილია იმისათვის, რომ გამართლება მოუძებნოს იმ პრეზენტაციას, რომელზეც მთელი გუშინდელი საღამო ვიჯახირე. ამ დროს ჟეფმა თავი მარტოსულად იგრძნო და სიცილი შეწყვიტა. მაგრამ მუცლის თამაში მაინც განაგრძო:

- ჩვენ მივაგენით ამ ყველაფრის გამაერთიანებელ კონცეფციას, რომელსაც, ჩემი აზრით, სტრატეგიულ ეგზემპლარს თუ დავურთავთ, საშუალება გვექნება კონკურენტთა შეპირებულ პროდუქტს რაც შეიძლება მეტი დარტყმა მივაყენოთ. ყოველ შემთხვევაში, გარეგნული შტრიხკოდის დონეზე მაინც. ერთი სიტყვით, ყველაფერი გითხარით. ახლა კი სიტყვას ოქტავს გადავცემ.

იმის გათვალისწინებით, რომ ოქტავი მე ვარ, იძულებული გავხდი, ავმდგარიყავი და სამარისებურ სიჩუმეში ფილმის პროექტის შესახებ მომეთხრო. ამბავს სუპერანაზღაურებადი მხატვრის მიერ შექმნილი თორმეტი ფერადი სურათის მიხედვით ვყვებოდი.

- მაშ ასე, დავიწყოთ: ჩვენ ვიმყოფებით კალიფორნიაში, მალიბუს პლაჟზე. საუცხოო ამინდია. წითელ საბანაო კოსტიუმში გამოწყობილი ორი ქერათმიანი ღვთაებრივი გოგონა

[I] ოტიტი - ყურის ანთება.

ქვიშაზე დარბის. უცებ ერთი ეუბნება მეორეს: „ონომასტიკური[9] ეგზეგეტიკა[10] ჰერმენევტული[11] გამაუქმებლის სამიზნეა“. მეორე კი პასუხობს: „მაინც სიფრთხილე გმართებს, რომ ონტოლოგიურ[12] პარონომაზიაში[13] არ გადავვარდე“. ამ დროს, ოკეანეში ორი სერფერი ერთმანეთს უყვირის: „იცი, რომ ნიცშე აშკარა ჰედონისტურ ხოტბას ასხამს ცურვას Ecce Homo-ში?“ მეორე კი, ბრაზდება და გულმოსული ეპასუხება: „სულაც არა! იგი მხოლოდ „დიდი ჯანმრთელობის“, როგორც ალეგორიული სოლიფსიზმის[14] კონცეფციას იცავს!“. ისევ პლაჟზე ვბრუნდებით, სადაც ჩვენი მზეთუნახავები ქვიშაზე მათემატიკური განტოლებების წერით არიან გართულები. ერთი მათგანი მსჯელობს: „თუ ჰიპოთეზად დავუშვებთ იმას, რომ x-ის კუბური ფესვი უსაზღვროების შესაბამისად იცვლება...“ მეგობარიც ეთანხმება: „მართალი ხარ, ახლა კი ისღა დაგრჩენია დაყო მთელი, რომელიც ასომპტოტისაკენ მიისწრაფვის“.

ფილმი მთავრდება პატარა ნავის მსხვილი პლანით, რომელსაც აწერია: „მეგრელეტი“ - სიგამხდრე ჭკუას მატებს“.

ბუზის გაფრენის ხმა ისმის. მარკეტინგის დირექტორი წარმოების უფროსებს მისჩერებია. ისინი მზერას გრძნობენ და აზრის გამოთქმისაგან თავის დასაძვრენად წინ დალაგებულ ფურცლებზე თავიანთი ჭკუით რაღაცას გამალებით ინიშნავენ. თავის სიტყვებში მთლად ბოლომდე ვერდაჯერებული ჟან-ფრანსუა ცდილობს კლიპი მოიწონოს:

- რა თქმა უნდა, ბოლოში mm Madone-ს მახასიათებლები მინიშნებულია და ეს ასეც უნდა იყოს, რასაკვირველია! ჰოდა..... ჩვენ ვიფიქრეთ, რომ კარგი იქნებოდა თუ აქცენტს სიგამხდრის სიმბოლოებზე გადავიტანდით და მერე, გაქანებული ინტელექტუალური საუბრების დროს წარმოვაჩენდით... ამას გარდა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სპორტის სახეობები ღია ცის ქვეშ (ანუ მინდოდა მეთქვა, ისეთი სახეობები, რომლებსაც მოედანი და სპეციალური დარბაზი არ სჭირდება) თანდათან ძალას იკრებს და მოდაში შემოდის. მერე კიდევ, სიუჟეტი მანევრირების საშუალებასაც გვაძლევს: მაგალითად, წარმოვიდგინოთ მის საფრანგეთები, რომლებიც გეოპოლიტიკურ საკითხებზე, კერძოდ კი ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე (1918 წ.) კამათობენ. ან კიდევ როგორი სანახავი იქნება ტიტლიკანა ჩიპენდეილსები[I], რომლებიც თან ბუდიზმს ლანძღავენ, როგორც სხეულებრივ თავისუფლებასა და პოსტმოდერნისტული ალიენაციის[II] უარყოფას და ამავე დროს თავიანთი მუსკულატურის დემონსტრირებით იწონებენ თავს და ა.შ. სასაცილოა, არა? რას იტყვი?

მოადგილეები რიგრიგობით იღებენ სიტყვას და კომენტარს აკეთებენ: „ისე რა, არა უშავს“, „უფრო ვეთანხმები“, „იდეა გასაგებია, მაგრამ შესასწავლი და დასაზუსტებელი“... ისიც აღსანიშნავია, რომ ყოველი გამომსვლელი თუთიყუშივით ზუსტად იმას იმეორებდა, რაც მისმა ხელქვეითმა თქვა. ასე გრძელდებოდა იქამდე, სანამ დიულერმა არ აიღო სიტყვა. დიდი შეფი აშკარად არ იზიარებდა ქვეშევრდომთა მოსაზრებას:

- კი, მაგრამ, იუმორი რა საჭიროა?

[I] ჩიპენდეილსი (ინგლ.) - სტრიპტიზიორი მამაკაცები.

[II] ალიენაცია (ფრ.) - სულიერი დაავადება, სიგიჟე; გასხვისება.

სიმართლე რომ ვთქვა, ალფრედ დიულერი მართალია. მის ადგილას რომ ვიყო, არც მე გამეცინებოდა. პირღებინების შეგრძნება დავიოკე და შევეცადე არგუმენტირებული პასუხი გამეცა:

იუმორი სასარგებლოა თქვენი ბრენდისათვის. იგი უფრო სიმპათიურს გაგხდით. თან დამახსოვრებასაც უწყობს ხელს. მომხმარებელი იმას უფრო ღრმად იბეჭდავს გონებაში, რამაც გააცინა. მერე ამ ხუმრობებს ერთმანეთს უყვებიან წვეულებაზე, სამსახურში, შესვენებაზე. აბა, გაიხსენეთ, რა გასავალი აქვს ახლა კომედიურ ფილმებს. ხალხი კინოში იმიტომ დადის, რომ ცოტა გაერთოს.

ალფრედ დიულერმა ზუსტად ამ მომენტში წამოისროლა ეს უკვდავი ფრაზა: - მერე ეს ხალხი ფილმის შემდეგ კინოფირს ხომ არ ჭამს.

ბოდიში მოვიხადე და ტუალეტში გავედი. დერეფანში მივდიოდი და ვფიქრობდი: „შენ, ჩემო დიდო მძღნერო, უკვე მოიპოვე ადგილი ჩემს წიგნში. იქ კარგ ადგილს მიგიჩენ. მესამე თავში უკვე გამოჩნდები. ალფრედ დიულერი არის დიდი მძღნერი!“

ყველა მწერალი ჩამშვებია. ყველა ლიტერატურა დამბეზღებელია. ვერანაირ ინტერესს ვერ ვხედავ წიგნის წერაში თუ ყველაფერი არ ავამტუტე, არ წავბილწე. მოხდა ისე, რომ რაღაც ამბების მოწმე გავხდი და სხვათა შორის, ვიცნობ ერთ გამომცემელს, რომელსაც საკმაოდ ურიკინებს საიმისოდ, რომ ამ ამბების მოყოლის უფლება მომცეს. წასვლისას არაფერი მომითხოვია. მე აღმოვჩნდი იმ მაქინაციის ეპიცენტრში, რომელიც თავის გზაზე ყველაფერს ნაცარტუტად აქცევს. არასოდეს მქონია იმის პრეტენზია, რომ მოვახერხებდი და ამ საქმიდან სუფთა და უვნებელი გამოვიდოდი. სულ ვცდილობდი გამეგო, ვის შეეძლო სამყაროს შეცვლა. ეს გრძელდებოდა იმ დღემდე, სანამ მივხვდებოდი, რომ ის, ვისაც ვეძებდი, შესაძლოა თავადვე ვყოფილიყავი.

4.

ზოგადად რომ გითხრათ, მათ უნდოდათ ტყეები გაეჩეხათ და ყველაფერი მანქანებით მოეფინათ. ეს არ იყო არც შეგნებული და არც გააზრებული პროექტი. ეს ბევრად უარესი იყო. წარმოდგენა არ ჰქონდათ, საითკენ მიექანებოდნენ, მაგრამ სტვენა-სტვენით და ღიღინ-ღიღინით რომ მიიჩქაროდნენ, ეს აშკარა იყო. მათ შემდეგ გინდა წარღვნას (ან გოგირდოვან წვიმებს) წაეღო ყველაფერი, მათთვის უკვე სულერთი იყო. პირველად პლანეტა დედამიწის ისტორიაში, მთელ მის მოსახლეობას ერთი მიზანი ამოძრავებდა: ეშოვათ საკმარისი ფული, რათა მოეხერხებინათ და რეკლამას დამსგავსებოდნენ. დანარჩენი ყველაფერი უკვე მეორეხარისხოვანი იყო. თავიანთი ნამოქმედარის სავალალო შედეგებს ეგენი ხომ ვეღარ მოესწრებოდნენ და სხვას რაღას ინაღვლებდნენ.

ერთი პატარა განმარტება მინდა გავაკეთო. არ გეგონოთ, რომ თვითკრიტიკას ვაპირებდე ან საზოგადოების ფსიქოლოგიური პორტრეტის დახატვა მიტაცებდეს. მე ათასწლეულის შვილის აღსარებას[15] ვწერ, სიტყვა „აღსარებას“ ვხმარობ იმ გაგებით, რასაც კათოლიციზმი გულისხმობს. სანამ აქედან მოვტყდებოდე, მინდა საკუთარი სული გადავარჩინო. მინდა შეგახსენოთ, რომ „ზეცათა სასუფეველში უფრო მეტი სიხარული ელის ერთ ცოდვილს, რომელიც მოინანიებს, ვიდრე ოთხმოცდაცამეტ მართალს, რომლებსაც მონანიება არ სჭირდებათ“ (წმინდა ლუკას სახარებიდან) ამიერიდან ერთადერთი პიროვნება, რომელთანაც თანახმა ვარ უვადო კონტრაქტი დავდო, ღმერთია.

მინდა არც ის დაივიწყოთ, რომ წინააღმდეგობის გაწევა ვცადე. მიუხედავად იმისა, რომ კრებებს არ ვესწრებოდი, ყველაფერი უკვე შეთანხმებული და გადაწყვეტილი იყო. საკმარისია მათ პირქუშ, კონდიცირებულ მარმარილოს დარბაზებში ერთხელ მაინც მიუჯდე მაგიდას, რომ ვერაფერს ვეღარ იზამ: ეს ნიშნავს, რომ საყოველთაო გამოშტერებისა და გამოტვინების პროცესის თანამონაწილე ხარ. ლაპარაკისას ისეთ სამხედრო ტერმინებს ხმარობენ, რომ ეგრევე ყველაფერი მისახვედრია: კამპანიაო, სამიზნეო, სტრატეგიაო, დარტყმაო და სხვა კიდევ ამაზე უარესები. სახავენ გეგმებს, ლაპარაკია შეტევის პირველ ტალღაზე, მერე მეორე ტალღაზე. ეშინიათ კანიბალიზაციის, უარს ამბობენ ვამპირებად ქცევაზე. ის კი არადა, თურმე „მარსთან “(შოკოლადის ჩხირების მწარმოებელია და ომის ღმერთის სახელი ჰქვია) წელიწადი დაყოფილი აქვთ 4-კვირიან 12 პერიოდად. პირველი აპრილი რომ უნდა თქვან, იცით როგორ ამბობენ? „P4 კ1 “ (პერიოდი 4 კვირა 1)! ამას ბევრი ლაპარაკი აღარ უნდა. ესენი სუფთა მილიტარისტები არიან და მესამე მსოფლიო ომს აწარმოებენ. ნება მომეცით შეგახსენოთ, რომ რეკლამა, როგორც ცერებრალური ინტოქსიკაციის ტექნიკა, ამერიკელმა ალბერ დევის ლასკერმა გამოიგონა 1899 წელს, მაგრამ შემდეგ დიდი წარმატებით განავითარა ვინმე იოზეფ გებელსმა[16] 1930-იან წლებში, რათა გერმანელი ხალხი დაერწმუნებინა, რომ აუცილებელი იყო ყველა ებრაელის დაწვა. გებელსი დამსახურებული რედაქტორ-შემოქმედი იყო: DEUTSCHLAND ÜBER ALLES[I], EIN VOLK, EIN REICH, EIN FÜHRER[II], ARBEIT MACHT

[I] გერმანია ყველაზე მაღლა (გერმ.).

[II] ერთი ხალხი, ერთი სახელმწიფო, ერთი ფიურერი (გერმ.).

FREI[I]. კარგად დაიმახსოვრეთ და არასოდეს დაივიწყოთ: ამ რეკლამასთან ხუმრობა არ შეიძლება.

არც მოხმარებასა და განადგურებას შორისაა დიდი განსხვავება.

ერთი პერიოდი იმასაც კი ვფიქრობდი, რომ შეიძლება საფქვავის კბილანებს შორის ჩავარდნილი ქვიშის მარცვალი ვყოფილიყავი ან მხეცის ჯერ კიდევ განაყოფიერებულ წიაღში მეამბოხე; ან სულაც გლობალ მარკეტპლაცე-ს ინფანტერიის[II] პირველი კლასის ჯარისკაცი. ვამბობდი: „თვითმფრინავს როგორ გაიტაცებ, შიგ თუ არ ახვალ. საგნები და სისტემები შიგნიდან უნდა შეცვალო“. ყოველ შემთხვევაში, გრამშიმ[17] ასე დაგვიბარა (ისე, გრამში უფრო მაგარი იყო, ვიდრე ტროცკი, თუმცა ისიც მავნებლობასა და მამაძაღლობას ქადაგებდა. ასეთივე წარმატებით შემეძლო ამ კონტექსტში ტონი ბლერისა და დანიელ კონ ბენდიტის[18] ციტირება). ეს ყველაფერი ჩემი საზიზღარი სამუშაოს შესრულებაში მიწყობდა ხელს. არ დაგვავიწყდეს, რომ პარიზის 1968 წლის ცნობილი გამოსვლების მომწყობებმა რევოლუციით დაიწყეს და მერე რეკლამაში გადაინაცვლეს - მე რომ უკუღმა მოვიქცე, რა დაშავდება?!

ჩემი თავი ლიბერალი ჩე გევარას ამბავში წარმომედგინა; ხო აზრზე ხართ, გუჩის კოსტიუმში გამოწყობილი მეამბოხე. აბა, როგორია თითქმის კომანდანტე გუჩე! ვივა ელ გუჩე! მაგარი მარკა იქნებოდა, ვერაფერს იტყვი. დასამახსოვრებლადაც ძალიან საკაიფოა. მაგრამ კონცეფციის ამბავში ორი პრობლემაა:

ერთი, რომ, „გუჩე“ - „დუჩესავით“ ჟღერს და მეორე, რომ XX საუკუნის ყველაზე დიდი რევოლუციონერი ჩე გევარა კი არა, მიხაილ გორბაჩოვი იყო.

საღამოს ჩემს უზარმაზარ სახლში რომ ვბრუნდებოდი, უსახლკაროებზე ფიქრი ზოგჯერ ძილს მიფრთხობდა. ეს ისე, ვღადაობ. სინამდვილეში კი, კოკაინი მაფხიზლებდა. სანამ „სტილნოქსს“ გადავყლაპავდი, გავდიოდი და პირსაბანში ვანძრევდი. მეორე დღეს 12 საათზე ვიღვიძებდი და ქალი უკვე წასული მხვდებოდა.

მაინც მგონია, რომ გულში ყოველთვის მინდოდა ხალხისთვის კარგი გამეკეთებინა. მაგრამ ეს ორი მიზეზის გამო ვერ მოვახერხე: ჯერ ერთი, რომ ხელი შემიშალეს და მეორეც, ჩემი ადგილი დავთმე და უკან დავიხიე. ისე, საერთოდ, მონსტრები ყოფილი კეთილი ადამიანები არიან. დღეს კი უკვე ვიცი, რომ არაფერი შეიცვლება, არ არის შესაძლებელი და მორჩა! უკვე გვიანაა. აბა, როგორ გინდა ებრძოლო ისეთ მოწინააღმდეგეს, რომელიც ყველგანაა, თანაც ვირტუალურია და ძალიანაც რომ მოინდომო, ვერც ვერაფერს ატკენ და ვერც ვერაფერს დაუშავებ. ერთი სიტყვით, ფეხებსაც ვერ მოსჭამ. პიერ დე კუბერტენისგან[19] განსხვავებით ვიტყოდი, რომ დღეს მთავარია მონაწილეობის არმიღება. უნდა გააჯვა, როგორც გოგენმა, რემბომ[20] ან სულაც კასტანედამ[21]. დაეგდო სადმე უკაცრიელ კუნძულზე ანჟელიკასთან ერთად, რომელიც ჯულიანას ძუძუებზე ზეთს წაუსვამს, როცა ეს უკანასკნელი მინეტს გამიკეთებს. იქვე მარიხუანას მშვენიერი პლანტაცია მექნება, რომელსაც ცივ ნიავს არ მივაკარებ და გულს დავიარხეინებ იმაზე ფიქრით, რომ სამყაროს აღსასრულს არ მოვესწრები, პროდუქციის მარკებმა მესამე მსოფლიო ომში ხალხი დაამარცხეს. მესამე მსოფლიო ომის თავისებურება ის არის, რომ ეს ომი ყველა ქვეყანამ ერთდროულად წააგო. ერთი ექსკლუზიური ახალი

[I] სამუშაო ათავისუფლებს (გერმ.).

[II] ინფანტერია - ჯარის სახეობა.

ამბავი მინდა გამცნოთ: დავითი გოლიათს ვერასოდეს დაამარცხებს. ეს ამბავი სულ სიაფანდობაა. მე კი რა გულუბრყვილოდ მჯეროდა! გულწრფელობა და სიალალე ამ კორპორაციაში არ მოსულა. უყლეოდ მიხმარეს რა, ეგრე გამოდის. სხვათა შორის, ეს არის ის, რაც მე და თქვენ გვაერთიანებს.

5.

თორმეტივე ფინჯანი ყავა Madone internasional-ის ტუალეტში ვაღებინე და ცოტა არ იყოს, თავდაჯერებულობა მომემატა. სახეზე ყინულივით ცივი წყალი შევისხი და კრებაზე შევბრუნდი. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ არც ერთ კრეატიულ მენეჯერს Madone-სთვის მუშაობა არ უნდა: მთელი დღე ყავით გჭყიპავენ, რძეს არავინ გამოიმეტებს. კიდევ სხვა სცენები მქონდა მომზადებული: პირველად „სასაცილო პრანჭია ქალების“ პაროდია შევთავაზე. წარმოიდგინეთ, სამი ძალიან ლამაზი ქალი შეიარაღებული დარბის, ყირაზე გადადიან, პისტოლეტები კამერაზე აქვთ დამიზნებული; ისმის 70-იანი წლების სოული; ქალები ბოროტმოქმედებს შეიპყრობენ და ბოდლერის ლექსებს უკითხავენ (თან ამ დროს მიდის ერთი ამბავი, ძიუდოს ილეთები, კუნგ-ფუს წიხლები, კოტრიალი, სიმაღლეზე ხტომა); ერთ-ერთი ქალი საცოდავ განგსტერს კლავს უგრეხს. დამნაშავე სიმწრისაგან გმინავს; ქალი კი ობიექტივში იყურება და კივის: - „მეგრელეტი“ 0%-იანი ხილით“! ამის გარეშე ამათ დაპატიმრებას ვერ შევძლებთ. მიირთვით „მეგრელეტი“ და ყოველთვის ფიზიკურ და ინტელექტუალურ ფორმაში იქნებით!

ეს სცენარიც ჩაფლავდა და ვერც შემდეგმა წინადადებებმა გამოიწვია მოწონების მქუხარე აპლოდისმენტები. ერთი ასეთი მქონდა მოფიქრებული: ინდური სტრუქტურალისტური ფილმის პაროდია; ჯეიმს ბონდის საყვარლების მსგავსი გოგონები ფსიქოანალიტიკოსთან მიდიან. ერთი კიდევ, ჟან-ლუკ გოდარის Wonderwoman-ის პაროდია იყო, დევიდ ჰამილტონის[22] მიერ გადაღებული იულია კრისტევას[23] ლექცია...

გლობალური სოფლის იდიოტი იუმორს აუმხედრდა:

- თქვენ, კრეატიულ მენეჯერებს გგონიათ, რომ ხელოვანები ხართ. მხოლოდ კანის პრიზები გიტრიალებთ თავში. მე კი აქ ანგარიშები მაქვს გასასწორებელი. ათასი რამე მაქვს საფიქრალი, დახლებზე დალაგებული პროდუქცია მაქვს გასასაღებელი. ამ გადატენილ საწყობებს ხომ უნდა დაცლა?! მე ჩემი მოვალეობები და საჭიროებები მაქვს. ოქტავ, მინდა გითხრათ, რომ ძალიან მესიმპათიურებით, თქვენს ხუმრობებზეც, არ დაგიმალავთ და მეცინება. მაგრამ ისიც უნდა გითხრათ, რომ მე აქ კრიტიკულ ასაკს მიღწეული დიასახლისი კი არა ვარ, რომ გულის გადაყოლებაზე ვიფიქრო. ჩვენ ბაზარზე ვმუშაობთ და საჭიროა, ჩვენი შეხედულებები გვერდზე გადავდოთ და ჩვენს სამიზნეს მოვერგოთ. აი, მაგალითად, უნდა ვიფიქროთ VeSoul-ის თვითმომსახურების მაღაზიის პროდუქტის დასაწყობ გონდოლებზე[I].

- ვეზულის კი არა, ვენეციის, - გავუსწორე მე, - დაანებეთ გონდოლები ვენეციას.

პროქტერისტს არ გაუცინია. ეგრევე ტესტებისა და უაზრო სინჯების აპოლოგიაზე გადავიდა. მის დაკრულზე მოცეკვავე ჰალსტუხიანები ბლოკნოტებში ჯღაბნას განაგრძობდნენ.

- აი, მაგალითად, შევკრიბეთ ოცი მყიდველი ქალი. ისინი თქვენი გულის მოსაგებად არც არაფრის შემენას აპირებენ და არც არაფერს გვიბრუნებენ უკან. ერთადერთი, რასაც ითხოვენ, ეს არის ინფორმაცია. მათ უნდათ ნახონ ჩვენი პროდუქტი და გაიგონ ფასი. ამის გარდა არაფერი აინტერესებთ, ახლა მე თქვენ გეკითხებით: სად არის ის ჩემი ვიზუალური

[I] გონდოლა - აქ. დახლის ნაწილი.

გასაღები, რომელმაც მათი გულის კარი უნდა გააღოს? კი, გეთანხმებით, თქვენი კრეატიული იდეები მართლაც ლამაზია, მაგრამ მე რომ სარეცხი საშუალებების მწარმოებელი ვარ, ისეთი სარეკლამო აფიშები და ბუკლეტები მჭირდება, მეწვრილმანე ვაჭართანაც რომ გამოვფენ. ხედავთ, რა დღეში არიან ამერიკელები? უკვე „სპამს“ აკეთებენ! იმედია, იცით რა არის „სპამი“ - პრომოს უკვე მეილით აგზავნიან. თქვენ კი ამ დროს XX საუკუნეში ჩარჩით და იქიდან მელაპარაკებით! რასაც გეტყვით, იმას გამიკეთებთ! მე წმენდა-რეცხვის სკოლა მაქვს გავლილი! ნიადაგის შესწავლა და მომზადება! აი, რა არის უმთავრესი! მე მზად ვარ, ვიყიდო ის, რაც გამაოცებს, მაგრამ ჩვენი სირთულეებისა და ვალდებულებების დავიწყებას არ ვაპირებ!

ძალიან მოვინდომე, რომ სიმშვიდე შემენარჩუნებინა:

- ნება მომეცით, ერთი კითხვა დაგისვათ: როგორ აპირებთ მომხმარებლების გაოცებას, თუ მათ წინასწარ აზრს შეეკითხებით? შემთხვევით თქვენს მეუღლეს საჩუქარს რამდენიმე დღით ადრე ხომ არ არჩევინებთ, მერე რომ უყიდოთ და დაბადების დღეზე სიურპრიზი მოუწყოთ?

- ჩემი მეუღლე სიურპრიზებს ვერ იტანს.

- და ამიტომ თქვენ გამოგყვათ ცოლად?

ჟან-ფრანსუას ხველა აუტყდა.

რაც შეიძლება ზრდილობიანად ვუღიმოდი დილერს. ადოლფ ჰიტლერის ფრაზა ამომიტივტივდა გონებაში და მერე კარგა ხანს ვეღარ ამოვიგდე თავიდან: „თუ გინდათ მასების სიმპათია დაიმსახუროთ, მათ, ყველაზე სულელური და ორიგინალური რამეები უნდა უთხრათ“. ეს არის გაუგონარი ზიზღი და სიძულვილი ხალხისა, რომელსაც ჯერ კიდევ გაურკვეველ და შეუსწავლელ ავადმყოფობად მიიჩნევენ... ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ოღონდ კი მომხმარებელს თავიანთი პროდუქცია შეტენონ და მწარმოებლები მზად არიან მხეცებიც კი გამოიყვანონ ვაგონებით მათ შესაშინებლად. რომ გავბედო და კიდევ რამდენიმე ციტატა მოვიყვანო? აი, ასეთი მაგალითად: „ის, რასაც ჩვენ ვეძებთ, ჭეშმარიტება კი არ არის, განხორციელებული ეფექტია“, „პროპაგანდა იმ წუთიდან წყვეტს ეფექტურობას, როგორც კი ხილული გახდება“, „ტყუილი რაც უფრო დიდია, მით უფრო სარწმუნოა“. ეს გამონათქვამებიც იოზეფ გებელსს ეკუთვნის (ისევ და ისევ გებელსი!).

ალფრედ დიულერი თავისას არ იშლიდა და თანამიმდევრულად ილანძღებოდა:

- ჩვენი მიზანია წელს, რადაც უნდა დაგვიჯდეს, 12.000 ტონა პროდუქტი გავასაღოთ. თქვენი პლაჟზე მორბენალი და ფილოსოფიურ თემებზე მოსაუბრე გოგონები ნამეტანი ინტელექტუალურს აწვებიან. ასეთი რეკლამა კი Cafè de Flore-სთვის უფრო გამოდგება. ჩვენი საშუალო სტატისტიკური მომხმარებელი კი ინჩიბინჩს ვერ გაუგებს. რაც შეეხება Ecce Homo-ს ციტირებას, მე კი ვიცი, შიგ რა წერია, მაგრამ ფართო საზოგადოების თვალში ცოტა პედერასტულად ხომ არ გამოჩნდება? ერთი სიტყვით, შევთანხმდით. ეს ყველაფერი უნდა გადაამუშაოთ და სხვა სახე მისცეთ. ვწუხვარ, კიდევ უნდა გაწვალოთ, და მაგრამ საქმეს ასე სჭირდება. Procter-ში ასეთი გამოთქმა არსებობს: „ადამიანებს კრეტინებად ნუ მიიჩნევთ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ისინი კრეტინები არიან“.

- ეს საშინელებაა, რასაც თქვენ ამბობთ! ეს ნიშნავს, რომ დემოკრატია აგრძელებს თვითგანადგურების გზას. სწორედ ასეთი მაქსიმები მოახდენენ ფაშიზმის რეანიმაციას.

ყოველთვის ასე იწყებენ ხოლმე: ადამიანებს ჯერ კრეტინებს და უტვინოებს ეძახიან, მერე კი მისდგებიან და გაანადგურებენ.

- კარგი ერთი! იმედია, ახლა მეამბოხე ხასიათის კრეატიულ სტროფებს არ მოგვახვევთ თავზე! აქ ჩვენ ვცდილობთ როგორმე სარფიანად გავყიდოთ იოგურტი, რევოლუციის მოწყობას კი არ ვაპირებთ! რა სჭირს ამ ბიჭს დღეს, რა იყო, არ შეგიშვეს გუშინ Bains-ში, არა?

სიტუაცია დაიძაბა. ჟან-ფრანსუა შეეცადა საუბრის თემა შეეცვალა:

- მაგრამ გულწრფელად რომ ვთქვათ, ის შეუსაბამობა, რაც გოგონების სექსუალურ გარეგნობასა და მათ საუბარს შორის არსებობს. (რომელიც პლატონურ ჰერმენევტიკას ეხება), ზუსტადაც რომ სწორედ იმას გამოხატავს, რაც თქვენ გინდათ: სილამაზე და ინტელექტი... ხომ ასეა?

- სატვირთო მანქანებზე გასაკრავად ძალიან გრძელი ფრაზა გამოვა, - მოკლედ მოჭრა ერთ-ერთმა საზიზღარმა სათვალიანმა პირმა.

- ნება მომეცით შეგახსენოთ რეკლამის პრინციპები: საჭიროა ერთგვარი იუმორისტული შეუსაბამობა (რასაც ჩვენს ჟარგონზე „კრეატიულ ნახტომს“ უწოდებენ), რომელიც მაყურებელში ღიმილს იწვევს. ამგვარად, იქმნება განსაზღვრული ურთიერთობისა და თანამონაწილეობის ეფექტი, რაც შემდგომში პროდუქციის გაყიდვას უწყობს ხელს. სხვათა შორის, ე.წ. პროქტერიანელებისათვის თქვენი სტრატეგია, ცოტა არ იყოს, მოიკოჭლებს: სიგამხდრე და ინტელექტი, როგორც „ერთადერთი გასაყიდი შეთავაზება“ ზუსტად იჩენს თავს! ჟან-ფრანსუამ მანიშნა, აღარაფერი მეთქვა. კინაღამ Madone über alles შევთავაზე სლოგანად, მაგრამ აღარაფრის თავი აღარ მქონდა. თქვენ შეიძლება იფიქროთ, რომ აქ მე რაღაცას ვაზვიადებ და საქმე არც ისე ცუდადაა. მაგრამ თვითონ ხედავთ, თუ რა ხდება ერთ-ერთ დილის კრებაზე. ეს სულაც არ გახლავთ ჩვეულებრივი უმნიშვნელო კამპანიის პრეზენტაცია: ეს შეკრება უფრო მნიშვნელოვანია „თავისი შედეგებით, ვიდრე მიუნჰენის შეთანხმებანი (მიუნჰენში, 1938 წელს, საფრანგეთისა და ინგლისის სახელმწიფოს მეთაურებმა, ედუარ დალადიემ და ნევილ ჩემბერლენმა ჩეხოსლოვაკია ნაცისტების ხელში ჩააგდეს. ისინიც ზუსტად ასე იყვნენ მაგიდის გარშემო შემომსხდრები). ხალხის გასაწირად ასეულობით მსგავსი ასეთი შეკრება იმართება ყოველდღე. წარმოიდგინეთ მიუნჰენის ათასობით მცხოვრები ყოველდღიურად! რაც აქ ხდება, ძალზე მნიშვნელოვანია: იდეების მკვლელობა და ცვლილებათა აკრძალვა. თქვენ ხართ იმ ინდივიდების პირისპირ, რომლებიც ხალხს ვერ იტანენ და გადაუწყვეტიათ საზოგადოება აზროვნებადაქვეითებულ მყიდველთა ბრბოდ აქციონ. მათ ჰგონიათ, რომ მათი კლიენტები „50 წლამდე მონგოლიზმით დაავადებული ადამიანები“ არიან. შენ კი ამაოდ ცდილობ რაიმე საკაიფო შესთავაზო, რომელიც საზოგადოებას შეურაცხყოფას არ მიაყენებს, შეეცდება მაყურებელი ყოველდღიურობაზე მაღლა დააყენოს, თანაც, ელემენტარული ზრდილობის საკითხია, ტელემაყურებელს რომ ფილმს საინტერესო ადგილას უწყვეტ და შიგ შენს ნამოქმედარს სჩრი. მაგრამ ამის გაკეთებაში ყველანაირად ხელს გიშლიან. და ასე ხდება ყოველთვის, ყოველდღე... ათასობით კაპიტულაცია და პირში ჩალაგამოვლებულთა არმიები... ათასობით ადამიანის ყოველდღიური „ლაჩრული ნუგეშისცემა“. ასე, თანდათანობით ასეულობით ათასი ამგვარი დებილური შეკრების წყალობით საძულველი და წინასწარ გათვლილი კრეტინიზმი იმარჯვებს საზოგადოების პროგრესის მარტივი და მიამიტური პროგრესის

ძიებაზე. იდეალურ ვარიანტში, დემოკრატიის პირობებში უნდა არსებობდეს იმისი სურვილი, რომ შენს ხელთ არსებული კომუნიკაციის მშვენიერი ბერკეტი გამოიყენო აზროვნების სტიმულაციისათვის და არა პირიქით, მის საბოლოოდ დასაჩლუნგებლად. მაგრამ ასე არასოდეს ხდება, ვინაიდან ისინი, ვის ხელშიც ეს ბერკეტია, რისკს ერიდებიან. რეკლამის შემკვეთებს ყველაფერი გადაღეჭილ-გადამოწმებული ურჩევნიათ. მათ სულაც არ სჭირდებათ თქვენი ტვინების ფუნქციონირება. მათ სურთ ცხვრებად გაქციონ. არ გეგონოთ, ვხუმრობ. აი, ნახავთ, ერთ მშვენიერ დღეს შტრიხკოდის ტატუს თუ არ გაგიკეთებენ მაჯაზე. მათ კარგად იციან, რომ თქვენი ძალა თქვენს ცისფერ საბანკო კარტაშია. მათ ძალიან სჭირდებათ ხელი შეგიშალონ არჩევანში და თქვენი ჩვეულებრივი ქმედებანი მსყიდველობით ქმედებებად აქციონ.

ყოველ ასეთ უსახურ სააქტო დარბაზში გაშმაგებით ებრძვიან ყოველგვარ შესაძლო ცვლილებას. შეჩერებული გული ამ შენობაში ძგერს, ამ ქერტლიან და ქუსლსაფენიან რიგით მოსამსახურეთა შორის. ზემოთ ხსენებული ბერკეტის გასაღებები მათ ჩაუგდეს ხელში, თუმცა არავინ იცის, რატომ. თქვენ წარმოიდგინეთ, სწორედ ისინი არიან სამყაროს ცენტრი. პოლიტიკოსები ვეღარაფერს აკონტროლებენ, ყველაფერს ეკონომიკა მართავს. მარკეტინგი, ეს არის დემოკრატიის დამახინჯებული სურათი: დირიჟორი კი არ მართავს ორკესტრს, არამედ ორკესტრი - დირიჟორს. პოლიტიკას სოციოლოგიური კვლევები წარმართავენ, რეკლამას ტესტები ქმნის, გამოკითხვები წყვეტს, რა უნდა გაუშვან რადიოში, sneak previews[I] განსაზღვრავს თუ როგორ უნდა დამთავრდეს ფილმი, მაყურებელთა აზრის გამოკითხვები ქმნის ტელევიზიას. ყველა ეს გამოკვლევა მთელი ქვეყნიერების ალფრედ დიულერების მიერაა მანიპულირებული. ისინი არიან ყველაფერზე პასუხისმგებლები. ყველაფრის სადავეები ალფრედ დიულერების ხელშია, მაგრამ ისინი არსად მიდიან. Big brotheris not Watching you, Big Brother is testing you[II]. მაგრამ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა კონსერვატიზმია. ეს უკან დახევაა და ძალაუფლებაზე უარის თქმა. უკვე აღარ უნდათ, ისეთი რამ შემოგთავაზონ, რაც შეიძლება არ მოგეწონოთ. აი, ამ გზით კლავენ ინოვაციას, ორიგინალურ აზრს, შემოქმედებით სულსა და ამბოხს. ყველაფერი დანარჩენი უკვე აქედან გამომდინარეობს. ჩვენი კლონირებული არსებობა... ჩვენი მთვარეულების მსგავსი გაშტერება... ხალხის გარიყვა... ანესთეზირებული უნივერსალური სიმახინჯე... არა, ეს სულაც არ არის ერთი ვიწრო წრის კრება. აქ სამყარო დასასრულისკენ მიექანება. არ შეიძლება სამყაროს თან ემორჩილებოდე და თან ცვლიდე. ერთ მშვენიერ თუ უბედურ დღეს, ალბათ სკოლაში ბავშვებს ასწავლიან, როგორ გაინადგურა თავი დემოკრატიამ.

ორმოცდაათი წლის შემდეგ ალფრედ დიულერს კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის ბრალს წაუყენებენ. ყოველთვის, როცა ეს ტიპი სიტყვა „ბაზარს“ ახსენებს, უნდა ვიგულისხმოთ „მოგება“. თუკი იტყვის „ბაზარი უნდა შევისწავლოთ“, ეს ნიშნავს, რომ მოგების შანსების შესწავლას აპირებს, „საბაზრო ეკონომიკა“ ნიშნავს „მოგების ეკონომიკას“. ეს კაცი მომხრეა მოგების ლიბერალიზაციისა, მას სურს ამ მოგებით ახალი პროდუქტი გამოუშვას, მერე ახალ-ახალი მოგებები მიიღოს. თანაც,

---

[I] Sneak previews (ინგლ.) - დახურული კინოჩვენება.

[II] „დიდი ძმა თქვენ არ გიყურებთ, დიდი ძმა თქვენ გამოწმებთ“ (ფრაზა ინგლისელი მწერლის ჯორჯ ორუელის ცნობილი რომანიდან „1984“).

არასოდეს ავიწყდება იმის აღნიშვნა, რომ ეს მოგება მსოფლიო მასშტაბისაა. მას თქვენ სძულხართ, კარგად დაიმახსოვრეთ ეს. თქვენ მისთვის მხოლოდ ის ცხოველები ხართ, რომლებიც მუცლის გასკდომამდე უნდა გააძღონ, თქვენ პავლოვის ძაღლები ხართ. ალფრედ დიულერს მხოლოდ ის აინტერესებს, რომ თქვენი მაყუთი მისი აქციონერების ჯიბეებში ჩაჩხრიალდეს (ესენი არიან ამერიკული საპენსიო ფონდები, ანუ კანგადაჭიმულ პენსიონერთა ხროვა, რომელიც ფლორიდაში მაიამის აუზების ნაპირებზე კოტრიალებს) და იტრიალოს სამუდამოდ მატერიალური სამყაროებიდან საუკეთესომ.

ალფრედს კვლავ ბოდიში მოვუხადე და გასვლის ნება ვთხოვე, რადგან ვიგრძენი, რომ სადაც იყო ცხვირიდან სისხლი წამსკდებოდა. ამ პარიზული კოკაინის გადამკიდეს სულ ასე მემართება: ისეთი უხეშია, მის შესაყნოსად მაგარი ნესტოები გჭირდება. ვგრძნობდი, სახეზე სისხლი მაწვებოდა. ავდექი და მთელი სისწრაფით შევისრუტე ცხვირით, რომ როგორმე ტუალეტამდე მიმესწრო. იქ კი, იცოცხლეთ, ჩემმა ცხვირმა რომ გახსნა და გახსნა, კარგა ხანს არ გაჩერებულა. სისხლი ყველაფერს შეესხა: სარკეს, ჩემს პერანგს, ავტომატიზებულ პირსახოცის რულონს, მოთხვარა კაფელის იატაკი. ჩემი ნესტოები სისხლის წითელ ბუშტებად გადაიქცა, კიდევ კარგი, ტუალეტში ამ დროს არავინ შემოსულა. სარკეში ჩავიხედე და გასისხლიანებული სახე დავინახე. ნიკაპზე, პირზე, საყელოზე, პირსაბანზე, ხელებზე, - ყველგან სისხლი იყო. ამჯერად, მომიგეს! - ხელები სისხლიანი მქონდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამან კი ერთი იდეა შთამაგონა: ავდექი და იმათი ტუალეტს კედლებზე დავაწერე Pigs[I]. Pigs კარზეც მივაჯღაბნე და კორიდორში გამოვედი. ღორები - ტიხარზე, ღორები - ფეხსაწმენდზე, ღორები - ლიფტში და ეგრევე მოვტყდი. იმედი მაქვს, სათვალთვალო კამერებმა ეს დიდებული წამი უკვდავყვეს. ეს ის დღე იყო, როცა კაპიტალიზმი ჩემს საკუთარ სისხლში მოვნათლე.

[I] Pigs (ინგლ.) - ღორები

6.

ვაა! ჩემი სააგენტოს პრეზიდენტმა კაბინეტში შემოაბიჯა. თეთრი შარვალი აცვია, ზღვისფერი პიჯაკი თეთრი ჯიბით და ოქროსფერი ღილებით და ვიშის ვარდისფერი კუბოკრული პერანგი, (აბა, მაშ როგორ!). ძლივს მოვასწარი ეს ტექსტი ეკრანიდან გამექრო. მხარზე მამაშვილურად დამკრა ხელი: „აბა, მაგრად ვმუშაობთ?“ ფილიპს ვუყვარვარ, რადგან ხვდება, რომ ჩემს ხელობასთან საკმაო დისტანციაზე ვარ. კარგად იცის, რომ უჩემოდ არაფერს წარმოადგენს. სხვათა შორის, არც მე უიმისოდ. ეგ რომ არ იყოს, მშვიდობით, უკაცრიელო კუნძულო, კოკაინო და ფარვანებო (მოთენთილი ვერონიკა მისავათებულ ფიონაზე, მე კი ვერონიკაში). ფილიპი იმათ შორისაა, რომლებზეც გული დამწყდება, როდესაც ციხეში გამომკეტავენ ფრანგული რეკლამის სხვა შემქმნელებთან ერთად ამ ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ. ის მე საკმაოდ ძვირს მიხდის, რომ თავისი სიყვარული დამიმტკიცოს. მე მას პატივს ვცემ იმიტომ, რომ ჩემზე დიდი ბინა აქვს. ამჯერად უკვე ცოტა უცნაურად მიტყაპუნებს ხელს მხარზე და დაძაბული ხმით მეკითხება:

- მითხარი ერთი... ამ ბოლო დროს ხომ არ გადაიღალე?

მხრებს ვიჩეჩავ:

- ბოლო დროს კი არა, რაც დავიბადე, სულ დაღლილი ვარ.

- ოქტავ, ხომ იცი, რომ აქ ყველას უყვარხარ: მაგრამ ხომ შეიძლება ცოტა ფრთხილად იყო. ამ დილით Madone-სთან რაღაც უსიამოვნება მოგსვლია. დიულერმა დამირეკა და ძლივს დავაშოშმინე. ამიტომაც ვიფიქრე, ხომ არ ჯობდა, ამ ბიჭს ცოტა ხნით დაესვენა-მეთქი..

- იქნებ ჯობია, ეგრევე გამაგდოთ?

ფილიპი ამ სიტყვებმა კიდევ უფრო გაამხიარულა და ზურგზე ერთი-ორჯერ კიდევ შემომიტყაპუნა.

- მოკლედ, ხმა არ გაგეცემა! უკვე გეწყინა! დამიჯერე, შენი აქედან გაშვება არავის მოსვლია თავში. ხომ იცი, რომ შენი ნიჭით აქ ყველა აღფრთოვანებულია. „როსმა“ ცოტა ხეირი ნახა შენი წყალობით? მე 30(30, როგორ გიჟდებიან ამერი კელები შენს კლიპზე, Orangina-Cola-ზე და იმ შენმა ბეიზლაინმა „ეს ბევრად საუცხოოა“ დიდი შეფასება დაიმსახურა. შენს შემოქმედებით უნარს კი არ აყენებს ვინმე ეჭვქვეშ, არა, ეს რამ გაფიქრებინა, უბრალოდ, იქნებ ჯობდა კლიენტს ხშირად არ შეხვედროდი?

- ახლა, მე მომისმინე! მე ჩემთვის წყნარად ვიჯექი, ხმასაც არ ვიღებდი. შტერმა დიულერმა კი დამიწყო Spamming-ით[I] ტვინის ბურღვა და აღარ მორჩა ჭკუის დარიგებას. ერთი მეც უნდა ავმდგარიყავი და შარლისთვის მეთხოვა მაგათთვის ვირუსი „ტროას ცხენი“ შეეშვა და რას უზამდა მთელ სისტემას, მერე ნახავდა! ძვირფასი ტუალეტები რომ მოუწყვია, მაგაზე ბევრად ძვირი რომ დაუჯდებოდა, მერე ვნახავდი, რა ხასიათზე დადგებოდა!

ფილიპი ოთახიდან ბუტბუტითა და ბურტყუნით გავიდა. ეტყობა, ჩემი თავხედური აპილპილების მიზეზი მისთვის სრულიად გაუგებარი დარჩა. თუმცა, შეფი რომ თავისი

[I] Spamming (ინგლ.) - პრომოს გადაცემა ელექტრონული ფოსტის საშუალებით, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ვირუსის გავრცელება.

ფეხით მესტუმრა ჭკუის დასარიგებლად, იმის მომასწავებელი იყო, რომ ჩემი მომავალი განთავისუფლების მონახაზი უკვე იკვეთებოდა. ხომ შეეძლო სხვებივით მასაც თავი კი არ შეეწუხებინა პირადად ხლებისათვის, არამედ მეილი გამოეგზავნა. ადამიანები ერთმანეთს თანდათან უფრო იშვიათად ელაპარაკებიან. საერთოდ კი, როცა კაცი იძულებული ხდება სიმართლე გითხრას, ეს ნიშნავს, რომ უკვე ძალზე დაგვიანებულია.

7.

ჩემთვისაც ხშირად უკითხავთ, რატომ უხდიან კრეატიულ მენეჯერებს ასე ძვირს. ჟურნალისტი, რომელიც ერთი კვირა ჯახირობს „ფიგაროს“ სტატიაზე, ორმოცდაათჯერ ნაკლებს იღებს, ვიდრე რედაქტორი, რომელიც დაკვეთით ათ წუთში პატარა სარეკლამო ბანერს გამოაცხობს. გაინტერესებთ რატომ? იმიტომ, რომ ეს რედაქტორი ისეთ საქმეს აკეთებს, რასაც უფრო ბევრი მანი-მანი მოაქვს. რეკლამის მსურველს ათეულობით და ასეულობით მილიონიანი ყოველწლიური ბიუჯეტი აქვს რეკლამაში დასახარჯად. სააგენტო სარეკლამო მენეჯერის ჰონორარს პროცენტულად გამოთვლის გაყიდვათა საერთო მოცულობიდან: საერთოდ საკომისიო 9%-ია (ადრე 15% იყო, მაგრამ მერე რეკლამის გამშვებები მიხვდნენ, რომ მაგრად ატყუებდნენ). სიმართლე თუ გინდათ, კრეატიულ მენეჯერს სულაც არ უხდიან იმდენს, რა სარგებლობაც მათ შრომას მოაქვს. როდესაც ხედავენ, რა ფული ტრიალებს მათ ცხვირწინ, რამხელა თანხებს ჩალიჩობენ მათი დამქირავებლები, კრეატიული მენეჯერის ანაზღაურება უკვე საცოდავ გროშებად ეჩვენებათ. ის კი არადა, იდეის ავტორმა დაბალი ანაზღაურება რომ მოითხოვოს, ჩათვლიან, რომ ან მაგარი გიჟია, ან უნიჭოდ ღადაობს. ერთხელ, მე და მარკ მარონიე კრებიდან ერთად გამოვედით და გზაში ვკითხე:

- ერთი გამაგებინე, ყველა რატომ უსმენს ფილიპს და არა მე?

კითხვის დასმა არ მაცალა, ეგრევე მიპასუხა:

- იმიტომ, რომ 50.000 ევრო ფილიპს აქვს თვეში, შენ კი არა. კრეატივი ის ხელობა არ არის, სადაც შენ უნდა გაამართლო შენი ხელფასი, პირიქით, ხელფასმა უნდა გაგამართლოს შენ. ტელეწამყვანის პროფესიისა არ იყოს, ჩვენი ხელობაც მსწრაფლწარმავალია. ამიტომაც არის, რომ კრეატიული მენეჯერი რამდენიმე წელიწადში იშოვის იმდენს, რამდენსაც რიგითი ინდივიდი მოუყრის თავს ცხოვრების განმავლობაში. საქმის მასშტაბებიც განსხვავებულია: კრეატიული მენეჯერი ერთი წელი უნდება 30-წამიანი სიუჟეტის მომზადებას, მაშინ როდესაც ტელეანიმატორი 30 წამში მოაყომარებს მთელი წლის პროგრამის კონცეფციას.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ კრეატივი არც ისე მარტივი საქმეა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ამ ხელობის რეპუტაცია, ცოტა არ იყოს, შელახულია იმით, რომ გარედან ყველაფერი ადვილად გამოიყურება. საქმეში ჩაუხედავებს ჰგონიათ, ამას რა უნდა, ამას ხომ ჩვენც გავაკეთებთო. ამ დილით კრების აღწერამ ალბათ ერთგვარი წარმოდგენა შეგიქმნათ ჩვენი პროფესიის სირთულეზე. თუ კვლავ ჩვენს სამუშაოს „ფიგაროს“ ჟურნალისტის საქმიანობას შევადარებთ, წარმოიდგინეთ, რომ მისი ნაწერი ჯერ მთავარი რედაქტორის მოადგილემ უნდა შეასწოროს, შემდეგ მთავარმა რედაქტორმა, მერე რედაქციის დირექტორმა, მერე უნდა გადაიკითხოს და გადააკეთოს მის ტექსტში მოხსენიებულმა ყველა პირმა, ბოლოს კი, სანამ ერთხელ კიდევ უცვლიან სახეს, უნდა გააცნონ ჟურნალის მკითხველთა წარმომადგენლობით ჯგუფს. აი, ყოველივე ამის შემდეგ 100-დან 90 შანსი გაქვს, რომ სულაც არ გამოქვეყნდეს ეს შენი ნაწვალები სტატია. აი, კიდევ ამიტომაც გვიხდიან ჩვენ ასე კარგად.

ისე კი, ვიღაცამ ხომ უნდა გააკეთოს ის რეკლამები, რომლებსაც საითაც გაიხედავთ, ყველგან დაინახავთ. სააგენტოს პრეზიდენტი და მისი კომერციული დირექტორები

რეკლამას მიჰყიდიან კლიენტს. მერე ამაზე ატყდება ლაპარაკი პრესაში, გაამაიმუნებენ ტელევიზიაში, ღრმა ანალიზს გაუკეთებენ კვლევით ცენტრებში. რეკლამა კი ამ დროს სახელს გაუთქვამს პროდუქტს და მისი გაყიდვათა რაოდენობაც ბევრად მოიმატებს. და ამ დროს, სადღაც სკამზე წამოსკუპულა ვიღაც ახალგაზრდა გამოსირებული ტიპი, რომელმაც ეს რეკლამები მოიგონა. თანაც, აი, ამ სირს უზარმაზარ მაყუთს უხდიან იმიტომ, რომ ის არის სამყაროს გამგებელი, მეტიც, - სამყაროს მბრძანებელი! ეს ჩვენი ნორჩი სირი მწარმოებელი კონვეიერის უკიდურეს წერტილშია წამოჭიმული. სწორედ იქ, სადაც ინტუიცია მთავრდება, სადაც ეკონომიკური ქიშპი და ბრძოლა ყველაზე მწვავე და დაუნდობელია. უამრავი ფირმა იგონებს პროდუქტს, ბოლოს კი ეს ყველაფერი უთვალავ მაღაზიაში ნაწილდება. მაგრამ მთელი ეს ალიაქოთი და დავიდარაბა სულ ტყუილუბრალოდ ჩაივლიდა, იმ ჩვენს სირიკოს რომ არ მოეფიქრებინა, რა გზით უნდა გაანადგურონ კონკურენტები, რა ბნელი ხრიკებით მოიგონ უსასტიკესი შეჯიბრება, როგორ დააჯერონ მყიდველები, რომ ზუსტად მათი ფირმის პროდუქცია შეიძინონ და არავითარ შემთხვევაში სხვისი. ეს ომი არც უსასყიდლო ფაციფუცია და არც დილეტანტების თამაში. ასეთ რაღაცებს ისე, გასართობად არავინ აკეთებს, არის რაღაც მისტიკური იმაში, რომ ვსხედვართ მე და შარლი, სამხატვრო დირექტორი და ვგრძნობთ, ვიპოვეთ ისეთი რამ, რითაც ერთით ზედმეტი პროდუქტი უნდა შევტენოთ საცოდავ დიასახლისს. ერთმანეთს თვალებში შეთქმულებივით შევაჩერდებით ხოლმე. მაგია აღსრულებულია: მათ, ვისაც ამის საშუალება არ გააჩნდათ, გავუჩინეთ იმის შეძენის სურვილი, რაც ათიოდე წუთის წინ საერთოდ არ სჭირდებოდათ. ყოველი შემდეგი ნაბიჯი პირველივითაა. იდეა ყოველთვის არსაიდან მოდის. ეს სასწაული იმდენად მაღელვებს, რომ თვალზე ცრემლიც კი მადგება. უკვე აღარ შეიძლება ჩემი აქ გაჩერება, სასწრაფოდ უნდა გავაგდებინო თავი სამსახურიდან.

ჩემს თანამდებობას ოფიციალურად კონცეპტორ-რედაქტორი ჰქვია; ჩვენს დროში ასე ეძახიან საჯარო მწერლებს. მე ვიგონებ ოცდაათწამიანი ფილმის სცენარს და სარეკლამო ბანერის სლოგანს. სიტყვა „სლოგანს“ იმიტომ ვხმარობ, რომ თქვენ გაიგოთ, თორემ „სლოგანი“ დღეს უკვე მოძველებულია. ახლა ამბობენ „ტიტრი“ ან სულაც „აკროში“. მეორე უფრო მომწონს, მაგრამ პირველი უფრო კაი ტიპურია. არ ვიცი რატომ, მაგრამ ყველა ცნობილი რედაქტორი რატომღაც „ტიტრს“ ამბობს. მეც ასე ვამბობ ხოლმე: ესა და ეს „ტიტრი“ მოვამზადე-მეთქი, იმიტომ, რომ სნობებს უფრო ხშირ-ხშირად უმატებენ ხელფასს. იმიტომ ვიკლავ თავს მუშაობით, რომ რვა ბიუჯეტი შევავსო: ფრანგული სუნამო, უცხიმო ხაჭო, მოდიდან გადასული ზმანები, იტალიური ცომეული, წამლის გემოს სინთეზური გამანეიტრალებლები, მობილური ტელეფონი, ხსნადი ყავა და ფორთოხლიანი სოდა. აი, ეს არის ჩემი საქმიანობის სფერო. ჩემი დღეები ისე გადის, როგორც ერთი გრძელი სეანსი. ამ სეანსის დროს კი 8 ხანძარი მაქვს ჩასაქრობი. მუდმივად სხვადასხვა პრობლემას ვეჯახები და სხვა რა გზა მაქვს, ყოველ მათგანს უნდა მოვერგო. მე დაბოლილი ქამელეონი ვარ.

ვიცი, არ დამიჯერებთ, მაგრამ ეს ხელობა მხოლოდ ფულისთვის არ ამირჩევია. მიყვარს ფრაზების წარმოდგენა. სხვა არც ერთი პროფესია ასეთ ძალაუფლებას არ ანიჭებს სიტყვებს. სარეკლამო მენეჯერი ხომ იმ აფორიზმების ავტორია, რომელიც შემდეგ იყიდება. მერე შევიძულე ის, რაც გავხდი. შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს სხვა პროფესია, სადაც შეიძლება ხალხმა ერთმანეთი სამი კვირა ლანძღონ ერთი ზმნიზედის

გამო. სიორანი[24] რომ წერდა: „ვოცნებობ ისეთ - მსოფლიოზე, სადაც შეიძლება კაცი ერთ სასვენ ნიშანს შეეწიროს“, ნეტა გული თუ უგრძნობდა, რომ კონცეპტორ-რედაქტორების მსოფლიოზე ლაპარაკობდა?

კონცეპტორ-რედაქტორი არტმენეჯერთან ერთად მუშაობს. სამხატვრო რედაქტორებმაც მიაგნეს იმას, რითაც უფრო სნობური იერი მიეცემათ მათაც და მათ საქმიანობასაც. ამბობენ A.D.[I] ვართო... ხომ შეუძლიათ თქვან, D.A.[II], მაგრამ არა, ბრიტანული ურჩევნიათ. A.D. რეკლამის ყველა ხრიკს და ნიუანსს ვერ აგიხსნით, ამ წიგნის წერა ამისთვის არ დამიწყია. თუ ძალიან გაინტერესებთ, შეგიძლიათ ლოზიეს[25] ძველი კომიქსები წაიკითხოთ ან ტელევიზორში უყუროთ (ძირითადად კვირა საღამოს) სამოცდაათიანი წლების კომედიებს, რომლებშიც სარეკლამო მენეჯერის როლს ყოველთვის პიერ რიშარი ასრულებდა. მაშინ რეკლამა ხალხს აცინებდა. ახლა კი ღიმილსაც აღარავის ჰგვრის. ეს უკვე მხიარული თავგადასავალი კი არა, ძლევამოსილი ინტუიციაა. სააგენტოში მუშაობა თითქმის ისეთივე მაცდუნებელი გახდა, როგორიც ექსპერტ-ფინანსისტის თანამდებობა.

ერთი სიტყვით, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა სარეკლამო მენეჯერი ვიღაც სიაფანდი ჯამბაზი იყო. ახლა ამ პროფესიის წარმომადგენლები საშიში, ანგარიშიანი და დაუნდობელი საქმოსნები არიან. ხალხმაც იგრძნო ეს. ამიტომაც თვალს გვარიდებენ ეკრანზე გამოჩენისას, ხევენ ჩვენს სარეკლამო ბუკლეტებს, ცდილობენ ავტობუსის გაჩერებაზე დგომისას არ შეხედონ ჩვენს ბანერებს, ჯღაბნიან ბილბორდებს 4X3-ზე. ამ რეაქციას რეკლამოფობია ეწოდა. თანდათანობით რეკლამა რვაფეხასავით ყველაფერს მოედო და ყველაფრის მართვა მოინდომა. საქმიანობა, რომელიც ერთ დროს თამაშ-თამაშით დაიწყო, ახლა ჩვენს ცხოვრებაზე ბატონობს: აფინანსებს ტელევიზიებს, თავის ნებაზე ატრიალებს ბეჭდვით მედიას, მართავს სპორტს (თურმე საფრანგეთმა კი არ დაამარცხა ბრაზილია მსოფლიო თასის ფინალში, არამედ „ადიდასმა“ გაიმარჯვა „ნაიკზე“); აყალიბებს საზოგადოებას, გავლენას ახდენს სექსუალურობაზე, განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას. ერთი ციფრი მაინც მოვიტანო? კი, ბატონო! 1998 წელს მსოფლიოში რეკლამის დამკვეთთა ინვესტიციები 2.340 მლრდ ფრანკამდე გაიზარდა (ევროშიც რომ გადაიყვანოთ, მაინც დიდი ფულია). შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ ამ ფასად ყველაფერი იყიდება - მით უმეტეს, თქვენი სულები.

[I] A.D - Artdirector-ის. აბრევიატურა, ნიშნავს სამხატვრო დირექტორს.

[II] D.A. - ეს აბრევიატურა ფრანგულად ასეა.

8.

ღრძილები გამუდმებით მექავება. მეც ვიფხან და ვიფხან. რაც ასაკი მემატება, ტუჩები თანდათან მიქრება. უკვე დღეში ოთხი გრამი კოკაინი მჭირდება. გაღვიძებისთანავე ვიწყებ. პირველ დოზას ყავის დალევის წინ ვიღებ. რა ცუდია, ორ ნესტოზე მეტი რომ არა მაქვს! ერთი-ორიც რომ მქონდეს, ხომ უფრო მეტს შევიყნოსავდი: კოკაინი „დარდების გამქარვებელიაო“, ამბობდა ფროიდი. მთელი დღე საღეჭ რეზინს ვიღეჭები, ოღონდ რეზინის გარეშე. ღამღამობით კი ისეთ ადგილებში დავდივარ, სადაც ვერავინ მხედავს.

თქვენი აზრით, რატომ აკონტროლებენ ამერიკელები მსოფლიოს? იმიტომ, რომ სწორედ ისინი აკონტროლებენ კომუნიკაციას. ამ ამერიკულ სააგენტოში იმიტომ მოვედი, რომ ვიცოდი მარკ მარონიე აქ მუშაობდა. სააგენტოს ოფიციალურად Rosserys & Witchcraft ჰქვია, მაგრამ ყველა La Rosse-ს ეძახის. ეს არის ფრანგული ფილიალი მსოფლიოში პირველი სარეკლამო ჯგუფისა, რომელიც ნიუ-იორკში 1947 წელს დააარსეს ედ როსერისმა და ჯონ უიჩკრაფტმა (მარტო 1999 წელს სუფთა მოგებამ 5,2 მლრდ დოლარი შეადგინა). ოფისის შენობა 70-იან წლებშია აშენებული. იმ ეპოქის მრავალი ნაგებობა გარეგნულად რატომღაც გემის სტილში იყო გადაწყვეტილი. ხომ იცით, როგორც არის ხოლმე: უზარმაზარი შიდა ეზო და უაზროდ გაშვერილ-გამოშვერილი მსხვილი, ყვითელი მილები, რაღაც ბობურგსა და ალკატრაზს შორის. მაგრამ ერთი კია: ჩვენი ოფისი ბულონ-ბილანკურში მდებარეობდა, რაც, დამეთანხმებით და, მედისონ ავენიუზე დაბალი კლასია. ჰოლში ორი გიგანტური ინიციალი იყო წამოჭიმული R&W, გარშემო კი ხელოვნური მწვანე მცენარეები შემოეწყოთ. საითაც გაიხედავ, იღლიაში დოსიეამოჩრილი ტიპები მიდი-მოდიან. ისე რა გასაჟიმი ნაშები კაი მობილურზე ლაპარაკობენ. სახეზე ეტყობათ, რომ საკუთარი მისია ღრმად აქვთ შეგნებული: გაულამაზონ სამარკო ნიშანი ტუალეტის ქაღალდს ყოველ მიზეზგარეშე, გამოუშვან წვნიანების ფხვნილები, „მარგარინის სექტორში გაიმყარონ შარშან მიღწეული ოპტიმალური მოწინავე პოზიცია“, „მჭლე სოსისის სფეროში აითვისონ ახალი ბაზრები“. ერთხელ, მივდივარ დერეფანში და მოქვითინე, თანაც ფეხმძიმე სავაჭრო მენეჯერს არ წავაწყდი?! საერთოდ, კომერციული მენეჯერები საქვეყნოდ ტირილს ერიდებიან. მეც ისე დავიჭირე თავი, ვითომ ძალიან გულისხმიერი და დაუზარელი კლიენტი ვიყავი. დავფაცურდი, რაღა არ შევთავაზე: ცივი წყალი, ერთჯერადი, ცხვირსახოცი, ტრაკზე ხელის მოსმა... ყველაფერზე უარი მითხრა. როგორც იქნა, თავს ძალა დაატანა და გაიღიმა. მივხვდი, შერცხვა ვიღაცამ მტირალი რომ ნახა.

- წუხელ დამესიზმრა, ვითომ ჩემი ფეხები მარტო, ჩემ გარეშე მიდიოდნენ და La Rosse-ში მივყავდი. ვუძალიანდებოდი, არ მივყვებოდი, მაგრამ ავტომატურ მართვაზე გადასულიყვნენ, მე არაფერს მეკითხებოდნენ... მაგრამ, არაფერია, უკვე გადამიარა, ახლა კარგად ვარ. ცოტაც და სულ გამივლის.

მთხოვა მის უფროსთან არაფერი წამომცდენოდა: მარწმუნებდა, არ ვიცი, რა დამემართა, ალბათ ნერვებმა მიმტყუნა და თავს ვეღარ მოვერიე, თორემ ამ წუთიერ ისტერიკას ჩემს სამუშაოსთან არავითარი საერთო არა აქვსო. თანაც, ეტყობა, ფეხმძიმობამაც ნერვები დამისუსტაო. მერე ჩანთა გახსნა, მაკიაჟი გადაიხალისა და

ვითომც აქ არაფერიო, ისევ საყოველთაო მარათონს შეუერთდა. აი, ამ დროს მივხვდი, რომ რაღაც არაადამიანური სექტის წევრი ვიყავი, რომელიც ორსულ ქალებს დაჟანგებულ რობოტებად აქცევდა.

მარკ მარონიემ მოსალმების ნიშნად ხელზე ხელი დამკრა:

- სიაფანდს გაუმარჯოს! წერ არა, რეკლამების დამანგრეველ რომანს და თანაც სარეკლამო სააგენტო გიხდის ფულს, ხომ“?

- აბა, რა გეგონა?! შენ არ მასწავლე ყველაფერი? ჰოდა მეც მოგბაძე!

ყველაზე ცუდი ის იყო, რომ მართალს ვეუბნებოდი. მარონიე La Rosse-ის კრეატიული დირექტორია და მიუხედავად ამისა, წერს წიგნებს, გამოდის ტელევიზიით, ცოლებთან მუდმივად გაყრა-შეყრაშია, სკანდალურ ლიტერატურულ ყოველკვირეულში კრიტიკულ წერილებს აქვეყნებს... ერთი სიტყვით, ქვეყანას არის მოდებული და თანამშრომლებსაც იმავეს ურჩევს, ასე ვთქვათ, „ტვინის გასანიავებლად“ (მე კი ვიცი, რომ უნდა ამ საცოდავებს ხელი შეუშალოს საბოლოო გაგიჟებაში). ახლა მარონიეს კარიერა, შეიძლება ითქვას, ერთგვარად უკვე დამთავრებულია, მაგრამ დრო იყო, ყველგან იმარჯვებდა: წარმოიდგინეთ, კანის ლომები[I], Strategies-ს გარეკანი, პირველი პრემია A.D.-ს კლუბში. ძალიან ბევრი ცნობილი სლოგანის ავტორია. Bouygues Telecom-ის ლოგო: „ეს ჩემია და თქვენ რა ტელეფონი გაქვთ? MCM-ის - „ხმის სიყვარულს რომ თავი დავანებოთ, გამოსახულებას რაღა ვუყოთ?!“ Wonderbra-ს - „მიყურეთ თვალებში, მე გითხარით, თვალებში-მეთქი“, Ford-ის - „თქვენი ერთი ნაწილი სურვილით კვდება, მეორეს კი ისღა დარჩენია, მოკეტოს“. ყველაზე ცნობილი კი ალბათ მაინც ესაა: „ყავა Mamie არის საუკეთესოზე საუკეთესო! სამწუხაროა, რომ არ არსებობს“. აზრზე ხართ, რა მაგრობაა?! ადვილი კი გეჩვენება, მაგრამ აბა, იპოვე თუ ვაჟკაცი ხარ! რაც უფრო მარტივია, მით უფრო ძნელი მისაგნებია. ყველაზე ლამაზი სლოგანები თავისთავად ადვილად გასაგებია: „გიჟი უნდა იყო, რომ უფრო მეტი დახარჯო“, „რასაც ის შიგნიდან აკეთებს, გარედან ჩანს“, „წყალი, ჰაერი, სიცოცხლე“, „პური, ღვინო, ბურსენი“, „გამარჯვებულთა 100%-მა ბედი სცადა“, „გავაერთიანოთ ჩვენი ნიჭი“, „სიცოცხლე ძალზე ხანმოკლეა იმისათვის, რომ მუქ ფერებში გვეცვას“, „მხოლოდ ფულია, რაც მიზიდავს“, „Seb - ეს კარგია“, „მიუხედავად ამისა, ძალიან ადვილია, არ შეცდე“, „თქვენ აღარ მოხვალთ ჩვენთან შემთხვევით, რადგან ეს მე ძალიან მინდა“, „გვერდს ნუ ჩაუვლით უბრალო საგნებს“, „მგრძნობიარობის რამდენიმე გრამი უგრძნობთა სამყაროშია“, „ვინაიდან ეს უკვე გაკეთებულია, სულაც არ ნიშნავს, რომ აღარ უნდა გავაკეთოთ“. და რა თქმა უნდა, ბიზნესის ისტორიაში საუკეთესოა JUST DO IT[II]. თუმცა, თუ კარგად დაფიქრდები, ჩემი ფავორიტი მაინც ესაა: HYUNDAY PREPARE TO WANT ONE[III]. ვერაფერს იტყვი, პატიოსანი ნათქვამია. ადრე ტუსაღებს რომ აწამებდნენ, ეუბნებოდნენ: „ახლა კი ალაპარაკდები“. ახლა კი „შენ მოისურვებ“. ტკივილი გაუსაძლისია, რადგან უფრო მტკივნეულია.

მარონიე კარგად იცნობს ჩვენი ხელობის სამზარეულოს. მან მასწავლა ის დაუწერელი კანონები, რომლებსაც ვერასოდეს გასწავლიან რეკლამის უმაღლეს სკოლაში.

[I] კანის „ლომები“ - კანის რეკლამის ფესტივალის მთავარი პრიზი.

[II] გააკეთე უბრალოდ (ინგლ.).

[III] მოემზადე მხოლოდ ერთისთვის (ინგლ.).

ეს რჩევები მოგვიანებით ამოვბეჭდე (საქმე არაფერი მქონდა და გავერთე) და კომპიუტერის ზემოთ ჭიკარტით მივაკარი.

კრეატიული მენეჯერის ათი მცნება

1) კარგი კრეატიული მენეჯერი თავის მომხმარებელს კი არ მიმართავს, არამედ იმ 20 პერსონას პარიზში, რომლებმაც შესაძლოა ის სამუშაოდ აიყვანონ (ესენი არიან 20 საუკეთესო სარეკლამო სააგენტოს კრეატიული დირექტორები). აქედან გამომდინარე, კანის პრიზის ან A.D.-ების რეკლამების კლუბის პრემიის მიღება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რომ ბაზრის სექტორი ჩააგდებინო ხელში შენს კლიენტს.

2) თავში მოსული პირველივე იდეა საუკეთესოა, მაგრამ მაინც 3 კვირის ვადა მოითხოვეთ მის წარსადგენად.

3) სარეკლამო მენეჯერობა ერთადერთი ხელობაა, სადაც ფულს გიხდიან ნაკლებად კარგად კეთებაში. როდესაც შენს გენიალურ იდეას შემკვეთს გააცნობ და ის ყოველმხრივ ეცდება, რომ როგორმე გააფუჭოს, ნუ შეეწინააღმდეგები, დაიკიდე და საკუთარი ხელფასის საკითხს ჩაუღრმავდი, მერე მისი კარნახით რამე სირობა მიაფუჩეჩე 30-წამიან პრომოდ და ბოლოს, კადრირების დროს პალმები მიამატე, რომ გადასაღებად მაიამიში ან კაპრიზე წახვიდე.

4) კრებებზე ყოველთვის დაგვიანებით მიდის. პუნქტუალურ კრეატიულ მენეჯერს კაცი ვერ ენდობა. დარბაზში შესვლისას, სადაც უკვე ნახევარ საათზე მეტია გელოდებიან, ბოდიში კი არ მოიხადო, არამედ უბრალოდ თქვით: „გამარჯობა, სამ წუთზე მეტს ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაგითმობთ“ ან სულაც შეიძლება მოიყვანოთ როლან ბარტის[26] ფრაზის ციტირება: „ის ოცნება არ არის, რომელიც ყიდის, ეს გრძნობაა“ (ან კიდევ სხვა ვარიანტი: რეიმონდ ლოვის[27] ციტატა: „სიმახინჯე ნაკლებად იყიდება“ მთლად პირველისნაირი ვერ არის, მაგრამ არა უშავს, წავა). კლიენტები ბოლოს მაინც იმას იტყვიან, რაც გადავიხადეთ, იმ ფასად უკეთესის გაკეთება შეიძლებოდაო. არასოდეს დაივიწყო, რომ შემკვეთი სააგენტოში იმიტომ მოდის, რომ თვითონ არაფრის მოფიქრება არ შეუძლია, ამას ძალიან განიცდის და ამიტომაც ბრაზდება შენზე. აბა, თავის თავზე ხომ არ გაბრაზდება. ამიტომაც კრეატიული მენეჯერის ვალია, სძულდეს შემკვეთი: წარმოების უფროსები მაზოხისტები და შურიანები არიან. ფულს საკუთარ დამცირებაში გვიხდიან.

5) როცა არაფერი მოგიმზადებია, ეცადე, ბოლოს გამოხვიდე სიტყვით. თან აუცილებლად დაიწუნე და სასაცილოდ აიგდე სხვების ნაზრევი. ყველა კრებაზე ბოლო გამომსვლელი ყოველთვის მართალია. ნუ დაგავიწყდებათ, რომ საერთოდ ყველანაირი შეკრების მიზანი ხალხის დამორჩილებაა.

6) პროფესიონალსა და ახალბედას შორის ის განსხვავებაა, რომ პროფესიონალი მეტს იღებს და ცოტას მუშაობს. რაც უფრო ბევრს გიხდიან, სხვები შენს ნათქვამს უფრო ანგარიშს უწევენ, შენ კი ნაკლებს ლაპარაკობ. ამ საქმეში, რაც უფრო მნიშვნელოვანი ფიგურა ხარ, მით მეტად უნდა ეცადო, რომ ბევრი არ ილაპარაკო, რადგან რაც უფრო სიტყვაძუნწი იქნები, მით უფრო გენიოსად ჩაგთვლიან. აბა, მოვუსმინოთ კოროლერს, რას ამბობს: DC-ს (კრეატიულ დირექტორს) იდეა რომ მიჰყიდოს, კრეატიულმა მენეჯერმა

თანამიმდევრულად და დაჟინებით უნდა დაარწმუნოს, რომ ეს იდეა კრეატიულ მენეჯერს კი არა, თვითონ მას, DC-ს მოუვიდა თავში. ამისათვის მან პრეზენტაცია ამგვარი ფრაზებით უნდა დაიწყოს: „კარგად ვიფიქრე იმაზე, რაც შენ გუშინ მითხარი და...“ ან კიდევ „რატომღაც ის აზრი მომივიდა თავში, შენ რომ იმ დღეს მეუბნებოდი და...“ ან სულაც „ხომ გახსოვს, შენ რომ დამაკვალიანე? ჰოდა, იმ გზას გავყევი და...“ თუმცა, რა თქმა უნდა, ამ თქვენს კრეატიულ დირექტორს არც გუშინ არაფერი უთქვამს, არც უახლოეს წარსულში გასჩენია არანაირი აზრი, ჩანაფიქრზე ხომ სულ ზედმეტია ლაპარაკი.

კიდევ ერთი განსხვავება პროფესიონალსა და ახალბედას შორის: ახალბედა მაგარ ხოხმებს ამბობს და კაციშვილი არც კი იღიმება, მაშინ როდესაც პროფესიონალის უკბილო ხუმრობაზე ყველა სიცილით კვდება.

7) ეცადე იყო მოუხელთებელი და ძვირი სანახავი. სამსახურში 12 საათამდე არ მიხვიდე. სალამზე სალმით არ უპასუხო. სადილზე რომ გახვალ, სამი საათი აღარ დაბრუნდე. ყველაფერი გააკეთე იმისათვის, რომ ადგილზე ვერავინ დაგიჭიროს. თუ ვინმეს საყვედურის მსგავსი წამოსცდება, არ დაიბნე და ეგრევე მიახალე: „კრეატიულ მენეჯერს განრიგი არა აქვს, ჩემო კარგო. ჩვენ მხოლოდ ვადები გვაქვს დადგენილი“.

8) არასოდეს არავის ჰკითხო აზრი კამპანიის შესახებ. თუ ერთხელ ფეხი დაგიცდა და ჰკითხე, რომ გიპასუხონ და თავიანთი სისულელე გაგიზიარონ, მერე სადღა მიდიხარ?! ხომ შეიძლება მერე ეს ე.წ. აზრი მუშაობაში გაითვალისწინო?! რა იცი, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

9) აქ ყველა ზემდგომის საქმეს აკეთებს: სტაჟიორი კონცეპტიორისას, კონცეპტიორი DC-სი, DC - პრეზიდენტისას. რაც უფრო მნიშვნელოვანი პერსონა ხარ, მით ნაკლებს მუშაობ (იხილეთ მცნება №6). ჟაკ სეგელამ[28] ოცი წელი არხეინად იცხოვრა „მშვიდი ძალის“ კმაყოფაზე, რომელიც ლეონ ბლუმის ესკიზი იყო თავიდან და მოგვიანებით მისი სააგენტოს ორმა კრეატიულმა მენეჯერმა განაახლა. მათი სახელები კი რა თქმა უნდა, აღარავის ახსოვს. ფილიპ მიშელი ფართო საზოგადოებამ ბანერული რეკლამით გაიცნო. ხომ გახსოვთ, „ხვალ მაღლა გავიხდი. ხვალ დაბლა გავიხდი“. ეს კი თურმე მისი ხელქვეითის, პიერ ბერვილის იდეა იყო. შენი საქმე სტაჟიორს უნდა შეტენო. თუ კარგი გამოვიდა, რა თქმა უნდა, სახელს შენ მოიხვეჭ: თუ ჩავარდა და ეგეც არაფერი: იმას მიაბუნძულებენ სამსახურიდან, შენ ხომ არა. სტაჟიორები თანამედროვე მონები არიან: შეგიძლია ხელფასი არ გადაუხადო, ყველანაირი საქმე დაავალო, როცა მოინდომებ, გარეთ გაისროლო, ყავის ფინჯნით ხელში აქეთ-იქით არბენინო, მთელი დღე დააყუდო და ქსეროქსი აღებინო, მერე კი როცა მოგბეზრდება, ადგე და Bic-ის საპარსივით გადააგდო.

10) როცა კოლეგა კრეატიული მენეჯერი კარგად მომზადებულ ანონსს გაჩვენებს, არავითარ შემთხვევაში არ შეიმჩნიო, რომ მისი იდეა მოგეწონა. უთხარი, რომ მაგარი ბანძობაა, მაგაში გროშსაც არავინ გადაიხდის და საერთოდ რაღა დროს ეს არის, ათასჯერ გადამღერებული და გამოყენებულია. ეს კი არადა, დასძინე, რაღაც ინგლისური რეკლამა გამახსენდა, ძალიან საეჭვოდ ჰგავს ერთმანეთს-თქო. ხოლო თუ რაღაც უნიჭობა გაჩვენა, უთხარი, რომ აღფრთოვანებული ხარ მისი იდეით და ისე დაიჭირე თავი, ვითომ შურისგან გულზე სკდები.

ახლა, რაც მარონიე სააგენტოს კრეატიულ მხარეს მართავს, თავისი რჩევები რატომღაც სულ მიივიწყა. როდესაც კრეატიული მენეჯერები სარეკლამო კამპანიის დეტალებს წარუდგენენ, ორ სიტყვას ჩაიბურტყუნებს და ეგ არის pônu ან pôsur. პირველი ნიშნავს, რომ იდეა მოეწონა და პრომო წლის ბოლომდე მომზადდება, მეორე კი იმის მაუწყებელია, რომ საჭიროა სხვა რამის მიგნება, რომ რაც შეიძლება მოკლე ვადებში დაიწყოს კამპანია. გამოდის, კრეატიული დირექტორის საქმიანობა სულაც არ არის ძნელი: უბრალოდ, არ უნდა შეგეშალოს, როდის pônu თქვა, ისიც ძლივს გასაგონად და როდის pôsur, ხანდახან ისიც კი მიფიქრია, ნეტავ მარკი ისე, ალალბედზე, ავერსი-რევერსივით ხომ არ ისვრის ამ თავის შეფასებებს-მეთქი.

სანამ ოცნებებიდან გამომიყვანდა, მარონიე ერთხანს გულაჩუყებული მაკვირდებოდა.

- როგორც გავიგე, დღეს დილით Madone-სთან ძაან თავზე გადაგიჯვია.

მეც უკან აღარ დავიხიე და საპასუხოდ ტირადა მივაყოლე. თან კლავიატურაზე ვბეჭდავდი, რომ თქვენც შეგძლებოდათ წაკითხვა.

- მომისმინე, მარკ, ძალიან კარგად იცი, რომ ყველა კრეატიული მენეჯერი, ბოლოს და ბოლოს, გიჟდება. სამუშაო ყველანაირ სულიერსა და ფიზიკურ ძალას გვართმევს. თანაც, ათასნაირი ნაგვით ვიტენით თავს. სააგენტოს ყველაზე მსხვილი კლიენტი ნაგვის ურნაა. და მერე რა ჯოჯოხეთური შრომა გვიწევს მაგ ურნისთვის: აბა, ერთი შეხედე ძველი რეკლამის მენეჯერთა უიმედო თვალებსა და ბედშეგუებულ სახეებს. რამდენიმე დაწუნებული ნამუშევრის შემდეგ საშინლად გულგატეხილი და იმედგაცრუებული რჩები. მართალია, თავი ისე გიჭირავს, ვითომ ყველაფერი ფეხზე გკიდია, მაგრამ სინამდვილეში დარდობ და ძალიანაც უბედური ხარ. ისედაც ხომ ყველა არშემდგარი ხელოვანები ვართ და ახლა ისიც გვემატება, რომ გვაძალებენ საკუთარ პატივმოყვარეობაზე უარი ეთქვათ და უჯრები უკანმოგდებული მაკეტებით გამოვტენოთ. ვიცი, რასაც მეტყვი: აქ მუშაობა მაინც უკეთესია, ვიდრე ქარხანაშიო, ვითომ რატომ? მუშამ იცის, რომ რასაც აკეთებს, რეალური და ხელშესახებია, კრეატიულმა მენეჯერმა კი უნდა მიიკეროს მაღალფარდოვანი ტიტული, სხვათა შორის, ძალიან სასაცილო სახელი, რომელიც მხოლოდ რყვნის მას და არარაობებისაგან უფრო დიდ არარაობას აკეთებინებს. ამიტომაც არის, რომ აქ ვინც მუშაობს, ყველა ან ლოთია, ან მუდმივ დეპრესიაშია და ან ნარკომანია. 12 საათის შემდეგ ფეხზე ძლივსღა დგებიან, უაზროდ ღრიალებენ, მთელი საათების განმავლობაში უაზრო ვიდეოთამაშებით ერთობიან, შეკეთებულს ეწევიან. ერთი სიტყვით, ყველას საკუთარი მეთოდი აქვს მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, ის კი არადა იმ დღეს ერთი ვნახე, 15-მეტრიან ბოძზე ამძვრალიყო და თავისი ჭკუით, ერთობოდა. რაც შემეხება მე, ცხვირი ცხვირად აღარ მივარგა, კოკაინზე ვარ შემჯდარი, კბილები მომერყა, ტიკები დამეწყო, სახეზე ოფლი მასხამს, მაგრამ მთელი ამ გაწამებული კოჰორტის სახელით ვაცხადებ: ჩემი წიგნი შურს იძიებს ყველა ჩაკლული იდეის გამო.

მარონიე თანადგომით მისმენდა, როგორც ექიმი, რომელმაც პაციენტს უნდა აცნობოს, რომ მისმა ტესტმა შიდსის ვირუსზე დადებითი პასუხი აჩვენა. ტირადის ბოლოს რომ ჩავედი, ეგრევე მიზანში მომარტყა:

- შენც ადექი და წადი, - და კაბინეტის კარი გაიხურა.

მაგრამ ეგრე სად არის! ჯინაზე გავუძლებ და არ წავალ, რომ წავიდე, იგივე იქნება, კრივის რინგზე ბრძოლის დაწყების წინ უარი რომ თქვა. მე კი მინდა ნოკაუტით

დავამთავრო და საკაცით გამიტანონ. ასეა თუ ისე, მარონიე იმას არ ამბობს, რასაც ფიქრობს: ეგრე ადვილად ვინ გამიშვებს?! კიდევაც რომ მოვინდომო და ერთ მშვენიერ დღეს მოვტყდე, როგორც le Prisonnier-ს სერიაშია, ალბათ ტვინს გამიხვრეტენ: რატომ წამოხვედით სამსახურიდან? რა იყო მიზეზი? სულ მაინტერესებდა Village-ის უფროსები რატომ უსვამდნენ ამ კითხვას გამუდმებით ნომერ 6-ს. დღეს მიზეზი უკვე ვიცი. უმუშევრობით დატერორებულ და სამუშაოს კულტურით მოწყობილ მსოფლიოში, საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვაა: „რატომ წამოხვედით სამსახურიდან?“

მახსოვს, ფილმის ტიტრები რომ წავიდოდა, ერთი სული მქონდა, როდის დაიღრიალებდა პატრიკ მაკგოანი: „მე ნომერი არა ვარ! გაიგეთ, მე თავისუფალი ადამიანი ვარ!“. დღეს კი ჩვენ ყველანი ნომერი 6-ები ვართ. თავს ვიკლავთ, იქნებ როგორმე CD-ს[I] გამოვკრათ ხელი. მაგრამ თუ მაინც ისე მოხდება, რომ სამსახურს დავტოვებთ და დაბოლილ ბოზებთან ერთად ჩვენს გადამრჩენელ კუნძულს მივაშურებთ, ერთ მშვენიერ დღეს პლაჟზე უზარმაზარი თეთრი ბუშტი გაიჩითება. გაბრაზებული დაგვიღრიალებს: „რატომ წამოხვედით სამსახურიდან?“ და ისევ უკან გვიკრავს თავს.

[I] CD - უვადო კონტრაქტი.

9.

ამ დროს პროდუქციის უზარმაზარ ფოტოებს თვალს ვერ ვარიდებდით. ისინი ყველგან იყო: კედლებზე, ავტობუსის გაჩერებებზე, სახლებზე, მიწაზე, ტაქსებზე, სატვირთო მანქანებზე, დანგრევის პირას მისულ შენობებზე, ავეჯზე, ლიფტებზე, ბილეთების დისტრიბუტორებთან, ქუჩებსა და სოფლებშიც კი. ცხოვრება დაპყრობილი იყო ლიფტებით, გაყინული პროდუქტებით, ქერტლის საწინააღმდეგო შამპუნებით და სამპირიანი საპარსებით. ადამიანის არსებობის მთელი ისტორიის განმავლობაში მისთვის არასოდეს უყიჟინებიათ ამდენი - გინდა თუ არა იყიდეო. გამოთვალეს და დაადგინეს, რომ ადამიანი დაბადებიდან 18 წლამდე დაახლოებით 350.000 რეკლამის უნებლიე მაყურებელი ხდება. სადაც უნდა იყო: ტყის პირას, სადმე გადაკარგულ პატარა სოფელში, მყინვარის წვერზე, საბაგიროს კაბინაში თუ უფსკრულის ძირში, ყველგან Castorama-ს, Bricodécor-ის, Champions Mida-ს და La Halla aux Vétements[I]-ის ლოგოებს წააწყდებით. Homo Consommatus[II]-ის თვალს მოსვენება არსად არა აქვს.

სიჩუმეც გაქრობის გზაზე იყო. ვერსად გაექცეოდი რადიოებს, ჩართულ ტელევიზორებს, მყვირალა სარეკლამო რგოლებს, რომლებიც სადაც იყო თქვენს კერძო სატელეფონო საუბარშიც შეაღწევდა. ეს Bouggues Telecom-ის ახალი გარიგება იყო: უფასო ტელეფონს მოგცემენ, მაგრამ 100 წამში ერთხელ თქვენს მობილურზე სარეკლამო ჭრა გაისმება. აბა, წარმოიდგინეთ, ტელეფონი გირეკავთ და პოლიციიდან გაცნობებენ, რომ თქვენი შვილი მანქანამ გაიტანა; თავზარდაცემული ღრიალებთ, კედლებს თავს ურტყამთ, ტელეფონში კი სიმღერა გაისმის: „Carrefour-თან ერთად კარგად ვარ“. ლიფტის მუსიკა ლიფტის გარდა უკვე სხვაგანაც ისმის. მობილურები წკრიალებენ და ბზრიალებენ TGV-ებში, რესტორნებში, ეკლესიებში და თვით ბენედიქტიანელთა მონასტრებიც კი ვეღარ უძლებენ ამ ყოვლისმომცველ კაკაფონიას (ეს ნამდვილად ვიცი: თავად შევამოწმე). ზემოხსენებული გამოკვლევის მიხედვით, დასავლეთის საშუალო მოქალაქე დღეში 4.000 კომერციულ მესიჯს ისმენს.

კაცი პლატონის გამოქვაბულში შევიდა. ბერძენმა ფილოსოფოსმა წარმოიდგინა, რომ ადამიანები ჯაჭვით არიან დაბმულები გამოქვაბულში და რეალობის აჩრდილებს თავიანთი დილეგის კედლებზე აკვირდებიან. იმ დროიდან მოყოლებული, ეს გამოქვაბული სულ არსებობდა: უბრალოდ, მას უკვე ტელევიზორი ერქვა. ჩვენს კათედრულ ეკრანებზე რეალითიშოუს ვუყურებდით - Canada Dry. ეს მართლაც სინამდვილეს ჰგავდა, სინამდვილის ფერი ჰქონდა, მაგრამ რეალობა მაინც არ იყო. ლოგოსი[III] ჩვენი მღვიმეების ნესტიან კედლებზე პროექტირებული ლოგოებით შევცვალეთ.

ორი ათასი წელი დაგვჭირდა, რომ აქამდე მოვსულიყავით.

[I] სავაჭრო ნიშნები.

[II] Homo consommatus (ლათ.) - მომხმარებელი.

[III] ლოგოსი (ბერძ.) - საყოველთაო კანონზომიერება.

ახლა კი სარეკლამო გვერდი

მოქმედება მიმდინარეობს იამაიკაზე.

რასტას სექტის სამი წევრი ქოქოსის პალმის ქვეშ გაშხლართულა. გათიშულ სახეებზე აშკარად ეტყობოდათ, რომ განჯას კაი მსხვილ-მსხვილი მასტერკები დაურტყეს. ისეთ კაიფში არიან, თავს მაღლა ვერ სწევენ. ამ დროს ზონზროხა შავკანიანი ქალი დაადგებათ თავზე და უყვირის:

- ჰეი, ბიჭებო! ადექით, მუშაობის დროა!

სამი რეგისტი[I], რა თქმა უნდა, არც ინძრევა, არაფრის თავი არა აქვთ, ისე არიან დაბოლილები. ქალს გაღიმებულები უყურებენ და მხრებს იჩეჩენ, მაგრამ ზონზროხა ისევ თავისას აწვება:

- ადექით! არ გესმით? მორჩა სიესტა[II]?! მუშაობის დროა!

ქალი ხედავს, რომ სამ „ძმასთან“ არაფერი გამოსდის, მისი სიტყვები არც კი ესმით. სასოწარკვეთილებისგან „დანეტის“ შოკოლადის კრემის ქილას წამოავლებს ხელს და იმათ ცხვირწინ იქნევს. ტიპები ეგრევე წამოხტებიან ქილის დანახვაზე, ბობ მარლის Get up, stand up-ს[III] მღერიან, პლაჟზე ცეკვავენ და კრემს მიირთმევენ. მოჩანს „დანეტის“ მთელი შეკვრა სლოგანით: „დანეტისთვის ყველა დგება“.

[I] რეგი (ინგლ.) - იამაიკური მუსიკალური მიმდინარეობა.

[II] სიესტა - (ესპ.) - ესპანეთში, იტალიაში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში: შუადღის დასვენება (სადილის შემდეგ, როცა ძალიან ცხელა).

[III] Get up, stand up (ინგლ.) - ადექი, ადექი (სიტყვების თამაში სიმღერაში).

II

შენ

„საპნის რეკლამაშიც ისეთივე ძვირფასი აღმოჩენები შეიძლება გააკეთოთ, როგორიც პასკალის „აზრებში“.

მარსელ პრუსტი[29]

1.

ეს ღამეც თეთრად დაგათენდება. სოფის წასვლის შემდეგ შაბათ-კვირას ყოველთვის მოწყენილი ხარ. იტანჯები იმის გამო, რომ მსხვერპლი ხელიდან დაგიძვრა. MTV-ზე The Grind-ს ადევნებენ თვალს. ღია ცის ქვეშ უზარმაზარ საცეკვაო მოედანზე ბიკინებსა და ძალიან მოკლე მაისურებში გამოკვართული უამრავი გოგო ტლინკაობს. პეიზაჟიდან გამომდინარე, მაიამიში არიან South Beach-ზე. მოცეკვავეებს გარშემო შოკოლადისფრად მუცელალაპლაპებული ტლანქი ზანგები შემორტყმიან. გადაცემის კონცეფცია მხოლოდ და მხოლოდ პლასტიკურ სილამაზესა და ტექნოტრანსპირაციაზეა დაფუძნებული. აქ ყოველთვის ყველა 16 წლის უნდა იყოს. აუცილებლად უნდა იყო ლამაზი, ახალგაზრდა, სპორტული, გარუჯული, მოღიმარი და რიტმს აყოლილი. მძაფრი გრძნობების გამოხატვა არ გეკრძალება, მაგრამ თაკარა მზის ქვეშ მორჩილება და დისციპლინა გმართებს. ტანსაცმელი აუცილებლად ზედ უნდა გასკდებოდეს. The Grind სრულიად განსხვავებული სამყაროა, სრულყოფილების პლაჟი და უზადო სხეულების როკვა. Grind ინგლისურად „დანაყვას“, „დაფხვნას“ ნიშნავს. აქ პიროვნება სულიერად ინაყება, ნადგურდება და მერე ნაფხვენისაგან თოჯინები მზადდება. ეს თავსმოხვეული და ნაბრძანები ახალგაზრდობა ლენი რიფენსტალის[30] „ნებისყოფის ტრიუმფს“ ან კიდევ არნო ბრეკერის[31] ქანდაკებებს გაგონებს ხშირად.

დროდადრო უკანა პლაჟზე დაღლილ-დაქანცული გოგო ჩნდება. საბრალოს ჰგონია, რომ კამერა ვერ აფიქსირებს და ზეზეულად ამთქნარებს. მერე კამერა უახლოვდება და შეამჩნევს თუ არა გოგონა ობიექტივს, მაშინვე აცმუკდება და გიჟმაჟობს, პორნომსახიობის პოზებს იღებს, ვითომდა უმანკო სახით თითებს იწუწნის. უსასრულო ერთი საათის განმავლობაში უყურებ ამ საკურორტო ფაშიზმს და თან კოკაინს იყნოსავ. ცხვირიდან სისხლდენა რომ აიცილო, სარკეზე დიდხანს ნაყავ ფხვნილს Premier-ის პლასტიკური ბარათით. კრისტალებს წვრილად ანამცეცებ. რაც უფრო წმინდაა ფხვნილი, მით უფრო ნაკლებად აღიზიანებს სისხლძარღვებს.

როდესაც ფხვნილს ოქროს მილით იყნოსავ, თავს უკან სწევ, რომ ცხვირის ლორწოვანი გარსი ნა კლებად გააღიზიანო. შენი ცხოვრება რელსებზე დგას. რელსები კი ეს მილებია. როგორც კი ყელში გემოს იგრძნობ, ერთ დიდ ჭიქა „ვოდკა ტონიკს“ სვამ, რათა ატეხილი ცემინება შეიჩერო. თივის ციებ-ცხელების შემდეგ, ახალი ავადმყოფობა დაგემართა: კოკაინის ციებ-ცხელება (ნეკროზული ნესტოები, ცხვირიდან სისხლდენა,

ყბის უნებლიე ცახცახი, ცისფერი საბანკო ბარათის გათეთრებული კიდე). ასე, ჰაერში ამაღლებული ატარებ შაბათ-კვირას.

რაც შეეხება ნარკოტიკებს, შენ კარგად ხედავდი, როგორ გეპარებოდნენ ნელი ნაბიჯით. თავიდან აქა-იქ ყურს მოჰკრავდი ხოლმე მათზე ლაპარაკს:

- მთელი შაბათ-კვირა გავსკდით „კორინათი“.

შემდეგ ვიღაც მეგობრების მეგობრებმა წრეში დატრიალებისას სასხვათაშორისოდ გკითხეს:

- ჰა, რას იზამ, დაარტყამ?

მერე ეს მეგობრების მეგობრები შენი ბარიგები ხდებიან.

შემდეგ კი ისე მოხდა, რომ ერთ მათგანს მეტი მოუვიდა და დაიბრიდა, მეორემ ციხე აიკიდა. თავიდან ინტერესის გამო გასინჯე. მერე ყოველ შაბათ-კვირას იმ ლაწირაკების მიბაძვით იყნოსავდი ხასიათზე მოსასვლელად. ცოტა ხნის შემდეგ კი „ხასიათზე მოსვლა“ ყოველდღე მოინდომე. თანდათან დაგავიწყდა, რომ კოკაინი გუნებაზე მოსაყვანად გჭირდებოდა და უკვე ყოველ დილით იყნოსავდი, ჭკუიდან რომ არ გადამდგარიყავი. თუ შიგ გამანეიტრალებელი აქვს გარეული, მთლად ცოფდები, თუ სტრიქნინა შეურიეს, მაშინ ხომ ამის გამო საყვედური არ დაგცდება: ამ ფხვნილს რომ არ იტენიდე ცხვირში, მაშინ სხვა გასართობი უნდა მოგეძებნა: მაგალითად, ჭყეტელა მწვანე ფერის ტრი კოში გამოწყობილს ბატუტზე უნდა გეხტუნავა ან გოიმური სამუხლეები უნდა ამოგეცვა და სკეიტბორდზე გემტვრია ცხვირპირი, ან სადმე ჩინურ რესტორანში კარაოკეში უნდა გებღავლა, ან ჩამოწერილ მექალთანეებთან ერთად ბაღებში გეძუნძულა, ან მარტოს სპორტლოტო გეთამაშა, ან სულაც დივანზე კოტრიალი და მისი თანამდევი ფსიქოანალიზი გაგიტკბებოდა, ან ჯიბგირებთან ერთად პოპერი გეთამაშა, ან ინტერნეტში შეძვრებოდი და აღარც გამოხვიდოდი, ან სადომაზოხიზმს მიაწვებოდი, ან გასახდომ დიეტებზე შეჯდებოდი, ან სახლში გამოიკეტებოდი და ვისკით გამოტყვრებოდი, ან ყვავილების მოვლით შეიქცევდი თავს, ან ველის თხილამურებით ისრიალებდი, ან ბურჟუაზიული ბუდიზმის ქადაგებას მოჰყვებოდი, ან ჯიბის გაყიდულ მულტიმედიას ჩაუღრმავდებოდი, ან ხელგარჯილობის წრეზე ივლიდი, ან კიდევ გრუპენსექსით გაერთობოდი. ყველას რაღაც გატაცება სჭირდება სტრესიდან თავის დასაღწევად. თუმცა, შენ კარგად იცი, რომ ადამიანები განწირულები არიან და სასოწარკვეთილები ფართხალებენ, რომ არ გაგიჟდნენ და როგორმე სიცოცხლის გაგრძელება შეძლონ.

მას შემდეგ, რაც მარტო ცხოვრობ, ხშირად ანძრევ პორნოვიდეოს ყურებისას. ამიტომაც თითებზე სულ ტუალეტის ქაღალდის სველი ნაგლეჯები გაქვს მიკრული. სანამ სოფის შეეშვებოდი, მისთვის უკვე ნათქვამი გქონდა, რომ პუტანკებთან ყოფნა გერჩივნა.

- მე შენი ერთგული ვარ. ერთადერთი ქალი ხარ, ვისაც მინდა რომ ვუღალატო.

როგორ მოხდა ეს ყველაფერი? აა, ხო, სოფისთან ერთად რესტორანში სადილობდი და უცებ გამოგიცხადა, შენგან ორსულად ვარო. ეს მომენტი არასოდეს იქნება შენთვის სასიამოვნო გასახსენებელი. უცებ ისეთ ტირადა გაუშვი, ამქვეყნად ვერანაირი ძალა ვერ შეგაჩერებდა. ისეთები მოუხიე, რის თქმაზეც ყველა შენნაირ მდგომარეობაში ჩავარდნილი ტიპი იოცნებებდა:

- ძალიან მინდა, რომ დავშორდეთ... მინდა პატიება გთხოვო. გემუდარები, ნუ ტირი. მე მხოლოდ ერთ რამეზე ვოცნებობ: დავშორდეთ ერთმანეთს... მე სადმე მარტოს ამომხდება სული... უშველე თავს, სანამ დროა... წადი... გამშორდი, შენი გზა ნახე...

მოიწყვე ცხოვრება, სანამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ლამაზი ხარ... გამეცალე, რაც შეიძლება მალე... დამიჯერე, მე ბევრს ვეცადე, ყველაფერი გავაკეთე, რომ გამეძლო ამ ცხოვრებისათვის, მაგრამ არაფერი გამომივიდა... ვიხრჩობი, მეტი აღარ შემიძლია... ბედნიერება საჩემო საქმე არ არის. მარტოობა და შემთხვევით გზაზე რომ შემომეყრებიან და ორ დღეში რომ დავიკიდებ, ისეთი ქალები მინდა... მარტო, თავისუფლად ხეტიალი მინდა უცხო ქვეყნებში... მე ბავშვს ვერ გავზრდი, იმიტომ, რომ მე თვითონ ბავშვი ვარ... მე ჩემივე შვილი ვარ... ყოველ დილით ჩემს თავს მე თვითონ ვშობ... მე მამა არ მყოლია და მე როგორღა უნდა ვიყო მამა... შენი სიყვარული არ მჭირდება... მე...

ბევრ წინადადებას ამბობდი, თანაც სულ „მე, მე“-ს გაიძახოდი. სოფიმ კი მოკლედ და გასაგებად გითხრა:

- ნამდვილად ურჩხული ხარ.

- თუ მე ურჩხული ვარ და შენ მაინც გიყვარვარ, ისეთივე უტვინო ყოფილხარ, როგორიც ფრანკენშტაინის საცოლე.

სოფიმ გამანადგურებელი მზერა გესროლა, მაგიდიდან წამოდგა და დარბაზიდან ჩქარი ნაბიჯით გავიდა, რათა შენი ცხოვრებიდან სამუდამოდ წასულიყო. უცნაური კი ამ სცენაში ის იყო, რომ როდესაც სოფი ტირილით წამოდგა და წავიდა, შენ ისეთი გრძნობა დაგეუფლა, თითქოს ის კი არა, შენ მიდიოდი და უკანმოუხედავად გარბოდი. შენ ღრმად ჩაისუნთქე, ამოისუნთქე და ის ლაჩრული შვება იგრძენი, რომელიც ყველა განშორების თანმდევია. მერე კი ქაღალდის ხელსახოცზე მიაწერე: „ყველა განშორება სიყვარულის მიუნჰენია“. და კიდევ: „ის, რასაც ადამიანები სითბოს და სინაზეს უწოდებენ, მხოლოდ და მხოლოდ განშორების შიშია“ და კიდევ: „ქალებთან ყოველთვის ერთნაირი ბაზარია, ან უნდა დაიკიდო, ან უნდა გეშინოდეს, რომ დაიკიდო“. თუ ქალს ვერ ტოვებ, ეს იმის ნიშანია, რომ ეს ქალი მაგრად გატერორებს.

როდესაც ქალი კაცს ეუბნება, რომ მისგან ბავშვს ელოდება, პირველი კითხვა, რაც კაცს თავში უჩნდება, ის კი არ არის „მინდა თუ არა ეს ბავშვი?“, არამედ „ვრჩები თუ არა ამ ქალთან?“

ისე გამოდის, რომ თავისუფლება მხოლოდ მძიმედ გადასატანი დროის მცირე მონაკვეთია. იმ საღამოს ბარ „ბიტუნიკში“, შენს რჩეულ ბორდელში გადაწყვიტე შევლა. საერთოდ, ამბობენ, რომ საფრანგეთში ბორდელები უნდა გაუქმდეს, თუმცა მარტო პარიზში ერთი ორმოცდაათი მაინც იქნება. ფეხს შეადგამ თუ არა, ეგრევე ყველა გოგო შენზე გიჟდება. ამ გოგოებს ორი ძალიან მაგარი თვისება აქვთ:

1) ძალიან ლამაზები არიან.

2) და, რაც მთავარია, შენ არ გეკუთვნიან.

ერთ ბოთლ შამპანურს უკვეთავ, ყველას უმასპინძლდები და ისინიც დაუყოვნებლივ საქმეზე გადადიან: ზოგი თმაზე გეალერსება, ზოგი კისერს გილოკავს, პერანგში თითებს გიცურებენ, შარვლის შესაკრავზე ხელს გისვამენ და ეს ადგილიც თანდათან გებერება, ყურში ნაზად ჩაგჩურჩულებენ ჟრუანტელის მომგვრელ უხამსობებს:

- რა საყვარელი ხარ, როგორ მინდა მოგიწუწნო. სონია, შეხედე რა ლამაზია! ერთი სული მაქვს, ვნახო რა სახე ექნება, პირში რომ ჩავიდებ. ჩამიყავი მისი ხელი ტრუსში, ნახე რა სველი ვარ. კლიტორი სულ მიცახცახებს, ხომ გრძნობ თითით, როგორ მიფეთქავს?

შენც სიტყვაზე ენდობი და დარწმუნებული ხარ, რომ გულწრფელები არიან. გავიწყდება, რომ ამ ყველაფერში შენ მათ ფულს უხდი. ისე, ეჭვი კი გეპარება, რომ ამ

გოგოს ჟოანა კი არა ჟანინა ჰქვია, მაგრამ სანამ შენს მიზანს - ორგაზმს არ მიაღწევ, ეგ გოგოც და მისი სახელიც სულ ფეხზე გკიდია. შენ აქ ყოყლოჩინა მამალი ხარ მაღალი დონის პროფესიონალ დედლებში. ბარის ქვედა სართულზე სილიკონის ძუძუებს წოვ, დედებივით განებივრებენ და გელოლიავებიან. გრძელი ენებით სახეზე გელამუნებიან. შენ კი ამ დროს სიტყვით გამოდიხარ და ხმამაღლა იმართლებ თავს:

- მანქანა რომ გაგიფუჭდება, კარგი ხელოსანი უნდა გამოძებნო; სახლი თუ გინდა აიშენო, სასურველია ცნობილ არქიტექტორს მიმართო. ავად რომ გახდები, შენთვის უკეთესი იქნება, თუ გამოცდილ ექიმს მიაკითხავ, მაშ, ფიზიკური სიყვარული რატომ უნდა იყოს ცხოვრების ერთადერთი სფერო, სადაც სპეციალისტებთან მისვლა არ არის საჭირო? ჩვენ ყველანი მეძავები ვართ. ადამიანების 95% ნებისმიერ შემხვედრს ლოგინში ჩაუგორდება სულ რაღაც 1.500 ევროდ. მინეტს კი ამის ნახევარ ფასადაც გაგიკეთებენ. თავიდან ქალმა შეიძლება ისე დაიჭიროს თავი, რომ ვითომ გაბრაზდა, ვითომ იუკადრისა, ალბათ არც დაქალებთან დასცდება ამაზე სიტყვა, მაგრამ ათას ევროდ რასაც გინდა იმას გააკეთებინებ. შეიძლება უფრო იაფადაც გამოხვიდე. ვისაც მოისურვებ, იმას გაჟიმავ, უბრალოდ, ტარიფის ამბავია რა; თქვენ, მაგალითად, მილიონად მინეტს არ იკისრებდით? ათ მილიონად? ასად? ნაღდად ვიცი, უარს არ იტყოდით. ანდა რატომ უნდა თქვათ უარი, გიჟი ხომ არ ხართ! უმრავლეს შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ სიყვარული ფარისევლურ-ამბიციური გრძნობაა: ლამაზ ნაშებს უყვარდებათ (თვითონ კი ჰგონიათ, რომ გულწრფელად) სრულიად შემთხვევით, მაყუთიანი ბიძები, რომლებსაც შეუძლიათ მათ მდიდრული ცხოვრება მოუწყონ. მაშ, რითი განსხვავდებიან ისინი ბოზებისგან? რა თქმა უნდა, არაფრით.

ჟოანა და სონია შენს მსჯელობას სავსებით ეთანხმებიან. ისინი ბრწყინვალე თეორიებს არასოდეს ეწინააღმდეგებიან, რას ვიზამთ, ადამიანები როდესაც ერთად არიან, აზრებითაც ერთმანეთს ემსგავსებიან. მათგან არაფრით განსხვავდები - შენც ხომ მიეყიდე ფულს.

გარდა ამისა, მხოლოდ ამ ნაშებს შესწევთ ძალა, აგიყენონ, მაშინაც კი, როცა ცხვირი გაქვს გამოტენილი, სირზე განდონი გაქვს წამოცმული და ძლივს გასაგონად ლუღლუღებ:

- იმას კი ნუ უყურებ, რა მასალის ღერო გაუჩრია შენს მეზობელს ნესტოში, შენ შენს შარვალში მიმალულ ბოძს მიხედე.

შენ მოყირჭებულ ცინიკოსს თამაშობ, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. ცინიზმის გამო კი არ დადიხარ მეძავებთან, არა, პირიქით, იქ იმიტომ მიდიხარ, რომ სიყვარულის გეშინია. ეს გოგოები ყოველგვარი გრძნობის გარეშე წვებიან შენთან; სიამოვნებას ისე განიჭებენ, რომ სულიერ ტკივილს არ გაყენებენ. „ჭეშმარიტება - ეს სიცრუის მომენტია“, - წერდა გი დებორი[32]. მანამდე ჰეგელმაც თქვა იგივე. უნდა დაუჯერო, ისინი შენზე ჭკვიანები იყვნენ. ეს გამონათქვამი ზუსტად აღწერს ბორდელებში არსებულ ატმოსფეროს. მეძავებთან სიცრუე ჭეშმარიტების მომენტია. მათთან შენ ხარ შენ. ასე ვთქვათ ნორმალურ ქალთან ყოფნისას კი, თავს ძალა უნდა დაატანო, ცოტა არ იყოს, უნდა შეიზღუდო, თავი უნდა მოაწონო, უნდა ეცადო იმაზე უკეთესი გამოჩნდე, ვიდრე სინამდვილეში ხარ. ერთი სიტყვით, უნდა მოიტყუო. აი, აქ უკვე კაცი გამოდის მეძავი. მაშინ როდესაც ბორდელში კაცს სულ კიდია, როგორც უნდა ისე იქცევა, არ ცდილობს იმაზე უკეთესად გამოიყურებოდეს, ვიდრე რეალურად ცხოვრებაშია, არ იპრანჭება. კაცისთვის ეს არის ერთადერთი ადგილი, სადაც ის არის ის,

რაც სინამდვილეშია: ნაღდი, სუსტი, კაცური და ფაქიზი. ცუდი არ იქნებოდა დამეწერა რომანი, რომლის სათაური იქნებოდა: „სიყვარული ღირს 500 ევრო“.

ბოზები ძვირი გიჯდება, მაგრამ იხდი, იმიტომ რომ საკუთარი თავი დაზოგო. საკმაოდ სათუთი ხარ იმისათვის, რომ კიდევ გარისკო და ვინმე შეიყვარო. თანაც, მარტო სიყვარული ხომ არ არის, ათასი რამ მოჰყვება: აჩქარებული გულისცემა, ძლიერი ემოციები, უეცარი იმედგაცრუება, ტრაგიკული ქვითინი და ღრიალი. შენი რომანტიკულობა ახლა მხოლოდ ფარვანებში სიარულით გამოიხატება. მხოლოდ ჭეშმარიტად მგრძნობიარე ადამიანებმა უნდა. იხადონ ფული, რათა თავიდან აიცილონ ტანჯვა. ადამიანები 30 წელს რომ გადასცილდებიან, ცდილობენ ჯავშანში გაეხვიონ. რამდენიმე გაცრუებული სასიყვარულო თავგადასავლის შემდეგ ქალები უკვე ჭკუას სწავლობენ და საფრთხეს გაურბიან: გამოიჭერენ ვინმე საიმედო, მაგრამ მაინც გამოსირებულ ბიძას და არიან წყნარად. მამაკაცებიც უარზე არიან, რომ ვინმე შეიყვარონ; ან კი რად უნდათ ზედმეტად თავის ატკივება: ბოზებს და ლოლიტებს რა დალევს ამ ქვეყანაზე?! ყველა ცდილობს ბაკნის ქვეშ საგულდაგულოდ დაიმალოს. არც გაემტყუნებათ, არავის უნდა მუდმივად გაბითურებული და უბედური იყოს. შენ გენატრება ის დრო, როდესაც სიყვარული ტკივილს არ გაყენებდა. 16 წლის გოგოებთან დაგრიალებდი, მერე ან შენ შეეშვებოდი ან ისინი დაგადებდნენ ყოველგვარი ძალადობისა და გაწევ-გამოწევის გარეშე, ორ სიტყვას ისინი გეტყოდნენ, ორს შენ ეტყოდი და საქმე მოგვარებული იყო. მერე რატომღა გახდა ყველაფერი ასეთი მნიშვნელოვანი? ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, ხომ პირიქით უნდა ყოფილიყო: სიყმაწვილეში ცრემლიანი დრამები, ოცდაათი წლის მერე კი სიმსუქნე და ხალისობა. მაგრამ თურმე ასე არ ხდება. წლები რომ გემატება, უფრო მგრძნობიარე და სათუთი ხდები. 33 წლისა უკვე ძალიან სერიოზულად აღიქვამ ყველაფერს.

მერე, სახლში რომ ბრუნდები, ლექსომილს იღებ და აღარც ოცნებობ და აღარც სიზმრები გაწუხებს. მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ ახერხებ სოფის დავიწყებას, ჩემო საბრალო ბიჭო.

2.

ორშაბათ დილით ტყვიასავით დამძიმებული ფეხებით La Rosse-ში მიდიხარ. გზაში მისი უდიდებულესობა მარკეტინგის შეუბრალებელ სელექციაზე ფიქრობ. ადრე ვაშლის სამოცზე მეტი ჯიში არსებობდა; დღეს სამიღა შემორჩა (გოლდენი, მწვანე და წითელი). წინათ წიწილას სამი თვე სჭირდებოდა, რომ ვარიკა გამხდარიყო. დღეს კი კვერცხიდან რომ წიწილა გამოიჩეკება, 42 დღეში უკვე როგორც ზრდასრული ქათამი, ისე იყიდება ჰიპერმარკეტში. თანაც რა მძიმეა ეს 42 დღე! წარმოიდგინეთ, ინკუბატორში ერთ კვადრატულ მეტრში 25 ანტიბიოტიკებითა და ანქსიოლიტიკებით გაჭყეპილი ქათამი!

70-იან წლებამდე 10 სხვადასხვა გემოს მქონე ნორმანდიული კამამბერი, არსებობდა; დღეს კი, გაწიე-გამოწიე, სულ სამია (სტერილიზებული რძის გამო). რა თქმა უნდა, ეს შენი ნამოქმედარი არ არის, მაგრამ შენც ხომ ამ სამყაროში ცხოვრობ. Coca-Cola-ში (1997 წელს სარეკლამო ბიუჯეტმა მილიარდ-ნახევარი ევრო შეადგინა) ნამდვილ კოკაინს აღარ ურევენ, მაგრამ სამაგიეროდ ახლა, ფოსფორმჟავასა და ლიმონმჟავას ჩამატებით წყურვილის მოკვლის ილუზიას გიქმნიან და ამ სასმელზე დამოკიდებულს გხდიან. მეწველ ძროხებს სილოსით კვებავენ, რომელიც ორგანიზმში ფუვდება და ციროზს იწვევს. ძროხებსაც ანტიბიოტიკებით ტენიან, რომლებიც ახალი რეზისტენტური ბაქტერიების შექმნას უწყობენ ხელს. გასაყიდად გამოტანილი ხორცი სწორედ ამ ბაქტერიებითაა გატენილი (რომ აღარაფერი ვთქვათ ძვლის ფქვილზე, რომელიც ძროხის ღრუბლისებურ ენცეფალიტს იწვევს. ამაზე აღარ გვინდა ლაპარაკი, გაზეთები ისედაც სულ ამ თემაზე წერენ). ძროხის რძე სულ უფრო და უფრო მეტ დიოქსინს შეიცავს, რაც პირუტყვის ორგანიზმში ბალახის ძოვის დროს ხვდება. ხელოვნურ წყალსაცავებში მოშენებულ თევზებს თევზის ფქვილით (მათთვის ისეთივე მავნეა, როგორიც ხორცის ფქვილი ძროხებისათვის) და ანტიბიოტიკებით კვებავენ.... ზამთარში გენმოდიფიცირებული მარწყვი აღარ იყიდება მასში შეყვანილი ცივი ზღვების თევზის გენის გამო. გენეტიკური მანიპულაციების გზით ქათმის გენი კარტოფილში ხვდება, მორიელისა - ბამბაში, ზაზუნისა - თამბაქოში, თამბაქოსი - სალათის ფოთლებში, ადამიანისა - პამიდორში.

ამის პარალელურად, თანდათან უფრო მეტი ოცდაათ წელს გადაცილებული ადამიანი ავადდება თირკმელების, საშვილოსნოს, ძუძუს, სწორი ნაწლავის, ფარისებრი ჯირკვლის, ნაწლავებისა თუ სათესლე ჯირკვლების კიბოთი. ექიმებს კი ვერაფრით აუხსნიათ, რა ხდება და რისი ბრალია ეს ყველაფერი. ხელოვნურმა ცვლილებებმა არც ბავშვებს დააყარა კარგი დღე: კატასტროფულად იზრდება ლეიკემიით, ტვინის სიმსივნითა და ბრონქიალური ეპიდემიებით დაავადებულ მცირეწლოვანთა რიცხვი, განსაკუთრებით კი დიდ ქალაქებში. როგორც პროფესორი ლუკ მონტანიე ამბობს, შიდსის გავრცელება გამოწვეულია არა მხოლოდ HIV ვირუსის გადადებით (რომელიც მან თავად აღმოაჩინა), არამედ სხვა მრავალი მისი თანამდევი ფაქტორით. ეს ფაქტორები კი ჩვენს ცივილიზაციას უკავშირდება. კერძოდ, მან ახსენა „პოლუცია“[I] და „კვება“, რომლებიც თურმე ჩვენს იმუნურ თავდაცვით სისტემას ასუსტებენ. ყოველწლიურად მცირდება მამაკაცის სპერმის რაოდენობა, რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანთა მოდგმის არსებობას უკვე საფრთხე ემუქრება.

[I] პოლუცია - (ლათ.) - მამაკაცის თესლის უნებლიე გამოყოფა ძილში.

ეს ცივილიზაცია ყალბ სურვილებზე დგას, რომლებსაც ძალით აღვიძებ შენს თავში. ამიტომაც ამ სამყაროს დაღუპვა გარდაუვალია.

იქ, სადაც შენ მუშაობ, ინფორმაციის დიდი ნაკადი შემოდის. შენდა უნებურად ისეთ რამეებს იგებ, რაც მასებისთვის არ არის განკუთვნილი. თურმე არსებობს ისეთი სარეცხი მანქანები, რომლებსაც ძალიანაც რომ მოინდომო, ვერ გააფუჭებ. მაგრამ არც ერთი მწარმოებელი ისეთ დანადგარს ბაზარზე არ გამოიტანს. რა, საკუთარი თავის მტერი ხომ არ არის?! თურმე ერთ ტიპს ქალის ისეთი წინდები გამოუგონია, რომლებსაც თვალი არ მისდის; ეგონა გავმდიდრდებიო, მაგრამ საქმეში ხარ? კოლჰოტების ფირმას მისგან პატენტი შეუძენია და ეს გამოგონება სამუდამოდ დაუსამარებია. თურმე არსებობს ისეთი საბურავები, რომლებიც არასოდეს სკდება, მაგრამ რად გინდა - ტექნოლოგიის საიდუმლოს საგულდაგულოდ მალავენ (და ეს ხდება მაშინ, როდესაც საბურავების გასკდომის გამო ავარიაში ათასობით კაცი იღუპება ყოველწლიურად; თურმე ნავთობის ლობი მთელ თავის ძალაუფლებას იყენებს იმისათვის, რომ რაც შეიძლება გაჭიანურდეს ელექტრომანქანების სერიული წარმოება (ეს ახირება კი პლანეტას ძვირად უჯდება: ატმოსფეროში იზრდება ნახშირმჟავა გაზის რაოდენობა, რაც იწვევს გლობალურ დათბობას დედამიწაზე, ე.წ. „სათბურის ეფექტს“, რომელიც 2050 წლამდე რაც კი უბედურება მოხდება, ყველაფრის მიზეზი იქნება: ურაგანების, არქტიკის ყინულების დნობის, ზღვებში წყლის დონის მომატების, კანის კიბოსი და სხვა მრავალი უბედურებისა, რომ აღარაფერი ვთქვათ შავ მოქცევაზე); თურმე ცალკე აღებული კბილის პასტა არაფერშია გამოსადეგი, ვინაიდან კბილების გასუფთავება მხოლოდ ჯაგრისის საქმეა; პასტა კი მხოლოდ სიგრილეს ანიჭებს სუნთქვას. თურმე ჭურჭლის სარეცხი სითხეები ყველა ერთნაირია და ჭურჭელს, სხვათა შორის, ეს სითხეები კი არა, მანქანა რეცხავს; თურმე კომპაქტდისკები ისევე მალე იხაზება, როგორც ვინილისგან დამზადებული ფირფიტები; თურმე ფოლგა ბევრად მავნეა, ვიდრე აზბესტი, თურმე მზისგან დამცავი კრემების შემადგენლობა ომის შემდეგ არ შეცვლილა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად მატულობს ავთვისებიანი მელანომების რიცხვი (ეს კრემები იცავს მხოლოდ ულტრაიისფერი ბეტასხივებისგან, მაგრამ ალფასხივებს ვერაფერს აკლებს). თურმე Nestlé-ს-სარეკლამო კომპანიებმა, რომელთა მიზანია ჩამორჩენილ ქვეყნებში მშობლებისთვის რძის ფხვნილის მიყიდვა, მილიონობით ბავშვის სიკვდილი გამოიწვია (მშობლები ფხვნილს სასმელად უვარგის წყალში ხსნიან). ბაზრის მიერ სამყაროს დაპყრობა საქონლის უხვ წარმოებაზეა დამყარებული. შენი სამუშაოს მიზანია დაარწმუნოს მომხმარებელი შეიძინოს ისეთი პროდუქტი, რომელიც მალე გაცვდება და მწყობრიდან გამოვა. მწარმოებლები ამას „მორალური ცვეთის დაპროგრამებას“ ეძახიან. შენ კი გევალება ამ ყველაფერზე თვალი დახუჭო და შენი სულიერი მდგომარეობა, ე.წ. გრძნობები შენთვის შეინახო. კი, რა თქმა უნდა, მორის პაპონივით[33] შეგიძლია მუდმივად თავი იმართლო და იძახო, რომ არაფერი იცოდი, რომ სხვანაირად მოქცევა არ შეგეძლო ან კიდევ თქვა, რომ შენ როგორც შეგეძლო შეეცადე პროცესი შეგენელებინა და რომ სულაც არა ხარ ვალდებული, გმირი იყო... ერთი სიტყვით, გამოდის, რომ შენ მთელი ათი წლის განმავლობაში რასაც გავალებდნენ, აკეთებდი და ერთხელაც არ აგიმაღლებია ხმა ამ სიბინძურის წინააღმდეგ. შეიძლება, შენ რომ შენი საქმის კეთებაზე უარი გეთქვა, ყველაფერი სხვანაირად ყოფილიყო. შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი მსოფლიო, სადაც წამლადაც კი ვერ იშოვიდი ამ ნერვების მომშლელ რეკლამას; სოფლები, სადაც არ

იქნებოდა მახინჯი სარეკლამო აბრები და რაც მთავარია, ყოველი ქუჩის კუთხეში ფასტფუდი არ იქნებოდა ჩასაფრებული. ასეთ სამყაროში ხალხი ერთმანეთთან უბრალოდ, ადამიანურად ისაუბრებდა. სულაც არ იყო აუცილებელი ცხოვრება ისე ყოფილიყო მოწყობილი, როგორც ახლაა. შენ სულაც არ გინდოდა ეს ხელოვნურად შექმნილი უბედურება. შენ არ შეგიქმნია ეს უსულო მანქანები (2050 წელს მათი რიცხვი დედამიწაზე 2,5 მილიარდს მიაღწევს). თუმცა, არც არაფერი გაგიკეთებია იმისათვის, რომ სამყარო სხვანაირად მოგეწყო და ადამიანთა ცხოვრებისთვის მეტი ხალისი მიგენიჭებინა. ბიბლიის ერთ-ერთი მცნება გვეუბნება: „არა ჰქმნა თავისა შენისა კერპი... არა თაყვანი სცე მათ, არცა მსახურებდე მათ“. მაგრამ შენ, ისევე როგორც სხვებს, ამ სასიკვდილო ცოდვაში გიდგას ფეხი და ახლა დანაშაულზე წასწრებულივით ვეღარც იქით მიდიხარ და ვეღარც აქეთ, ღმერთმა რა სასჯელიც მოგივლინა, ესეც კარგად მოგეხსენება: შენ ხომ უკვე ჯოჯოხეთში ცხოვრობ,

- გაქვთ ჩემთვის ცოტა დრო თუ როგორც ყოველთვის, ახლაც საქმე თავზე გაყრიათ?

ჟან-ფრანსუამ, Madone-ის კომერციულმა მენეჯერმა თავი შემოჰყო შენს კაბინეტში.

- ჩარლი მხატვრებთან არის დაკავებული; ჯობს დღის მეორე ნახევარში შემოგვიარო.

- კარგი, მაგრამ ხომ იცი, რომ ეს „მეგრელეტის“ საქმე ბოლოს და ბოლოს უნდა მოვაგვაროთ. იქნებ როგორმე უფროსობის გული მოვიგოთ,

- მლიქვნელობა და პირფერობა! ჩვენთვის სხვა აღარაფერი არსებობს დედამიწის ზურგზე! ეს არის კაცობრიობის მამოძრავებელი ძალა!

ჟან-ფრანსუა ისეთი სახით გიყურებს, აშკარად ჰგონია, რომ საბოლოოდ გააფრინე.

- შენა და, მომისმინე, დარწმუნებული ხარ, რომ შაბათ-კვირას კარგად დაისვენე?

- როგორ გეკადრებათ! მზად ვარ ახალი ენერგიით ვეკვეთო საქმეს და ახალ-ახალი მწვერვალები დავიპყრო, როგორც თავმომწონე საზოგადოების დაკრულზე მოცეკვავე რიგითს შეეფერება! მაშ, გავწიოთ წინ, მეოთხე რაიხისაკენ!

ჟან-ფრანსუა გიახლოვდება და ცხვირის წვერზე გაშტერდება:

- აი, აქ რაღაც თეთრი გაყრია.

დინგზე შეფრქვეულ ფხვნილს სახელოთი გწმენდს და გეუბნება:

- ახლა საქმიანი შეხვედრა მაქვს და გარეთ გავდივარ, მაგრამ თუ რამეა, შეგიძლია მობილურზე დამირეკო.

- ოხ, ჟეფ, ვგიჟდები, მობილურზე რომ გირეკავ.

ცოტა ხანში ჩარლიც შემოდის და შენ წინ ჯდება. ჩარლი შენთვის ნამდვილი საყრდენი და გალავანია. რამდენადაც ის მაგარი და თავის თავში დარწმუნებულია, იმდენად შენ მერყევი და საცოდავი ხარ. ჩარლი ბედნიერი კაცია ან ბედნიერ კაცს თამაშობს. ცოლი და ორი შვილი ჰყავს. ცხოვრებას, შენგან განსხვავებით, ისეთი თვალით უყურებს, თითქოს, არიქა, მის გარშემო ყველაფერი შენდება და ყვავდება. რას ვიზამთ, ყველა თავისებურად ცდილობს შეებრძოლოს საყოველთაო გამანადგურებელ ამაოებას. ჩარლის შეუძლია გაპატიოს შენი მანკიერებები და გაფრენები. შენ გიყვარს იგი, რადგან შენგან ძალიან განსხვავდება. სანამ შენ კბილების ტკივილს კოკაინით ებრძვი, ის პლანს ეწევა. მთელი დღე ინტერნეტში დაძვრება, ულტრათანამედროვე უხამსობებს ეძებს და პოულობს კიდეც. აი, მაგალითად: ქალი, რომელიც მინეტს უკეთებს ცხენს; კაცი,

რომელიც საკუთარ კვერცხებს ფიცარზე აჭედებს ან კიდევ ფაშფაშა დედაკაცი, რომელიც პლასტმასის უზარმაზარ ასოს იდებს. ჩარლის ყველა ეს სანახაობა ძალიან ამხიარულებს.

- ჩარლ, გინახავს MTV-ზე რომ გადაცემაა, The Grind? რაღაც მგონია, რომ ამ არასენტიმენტალური ბრბოსგან თუ ცხოველებად ქცეული ჯგროსაგან შეიძლება რაიმეს გამოვკრათ ხელი. აი, წარმოიდგინე, რაიმე სივრცული ესთეტიკა...

ჩარლი თანხმობის ნიშნად თავს მიქნევს და მორიგ ულუფას ახვევს:

- ჰოო! ეს გადაცემა მართლაც არ არის ნორმალურ მაყურებელზე გათვლილი. ისე, რა მოხდება, „მეგრელეტს“ სპონსორობა რომ ვთხოვოთ ამ გადაცემისთვის? სარეკლამოდ 20-წამიანი ფრაგმენტები ავარჩიოთ და ლოგოტიპი „მეგრელეტი“ მაღლა, მარჯვენა კუთხეში დავსვათ MTV-ის მაგივრად...

- მაგარი მოიფიქრე! წარმომიდგენია, ეს თავხედი ტიპები და ტიტლიკანა ნაშები როგორ იცეკვებენ „მეგრელეტTV“-ზე! ის კი არადა, შეიძლება მერე CNN-საც შევტენოთ! შემდეგ კი, საღამოს ახალი ამბების დროს გავუკეთოთ რეტრანსლაცია ერთობლივი ბრენდის ამბავში, Grind-Maigrelette[I]! რას იტყვი, როგორია?

- აუ, გლიჯავს! თანაც, ვინაიდან გადაცემა სხვადასხვა დროს გადის, შეგვიძლია ყოველდღე სარეკლამო რგოლის სხვადასხვა ფრაგმენტი გავუშვათ. ეს იქნება პირველი სატელევიზიო რეკლამა ყოველგვარი გამეორებების გარეშე!

- ბრწყინვალე იდეაა! პრესა ეგრევე აიტაცებს! ახლა ეს ყველაფერი ჩამოწერე და რეკლამის დატრიალების პროექტიც მოამზადე.

- კარგი, მაგრამ ტიტრი - „მეგრელეტი“ თქვენ უფრო ლამაზსა და ჭკვიანს გაგხდით“ სადღა ჩავაკვეხოთ?

- ეგეც მოვიფიქრე. აი, მომისმინე: ეკრანზე ჩანს უამრავი ბიჭი და გოგო, რომლებიც მდელოზე, უზარმაზარი აუზის გარშემო ცეკვავენ. ცა ნათელი და ლურჯია. ოცი წამის შემდეგ ჩნდება წარწერა: „მეგრელეტმა“ ისინი გაალამაზა; მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის, თქვენ ხომ არ მოგისმენიათ, როგორ საუბრობენ ისინი“!

- ოქტავ, ნამდვილი გენიოსი ხარ!

- არა, ჩარლი, მე შენთან აბა სად მოვალ!

- მე ვიცი, რომ შენ გენია ხარ!

მე კი ვიცი, რომ შენამდე ბევრი მიკლია!

- მოდი, ერთი გულში ჩაგიხუტო!

- მე კიდევ აღფრთოვანებული ვარ იმით, რასაც შენ აკეთებ!

- მე კიდევ შენი საქმიანობით ვარ აღტაცებული!

რა თქმა უნდა, ორივე იტყუებით. შენ ახალი სცენარის წერას შეუდექი, ჩარლიმ კი ახალი ვიდეო გააძრო ვებსაიტზე: ვიღაც ტიპი ხელოვნურ ასოს ამაგრებს ელექტრობურღზე და პატარა გოგოს შიგ უტენის, მაშინ როდესაც ეს გოგო თავისივე ნახმარ ჰიგიენურ ერთჯერად ტამპონს წუწნის. მართლაც რომ საკაიფო რამეა!

მეორე დღეს ახალ სცენარს მარონიეს უჩვენებ. ისიც სერიოზული სახით გიკრავს კვერს (ასეც უნდა იყოს: აქ ხომ მას მიჰყავს პარადი).

- ამ ვერსიასაც, დარწმუნებული ვარ, ზედაც არ შეხედავენ. ყიდვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ თუ ძალიან გინდათ, გააგრძელოთ მუშაობა, საწინააღმდეგო არაფერი

[I] Maigrelette (ფრ.) - გამხდარი, გაჩხიკული

მაქვს. ოქტავ, მხოლოდ ერთს გთხოვ: შენი ჩარლზ მენსონის სტილის წარწერებს ნუღარ დატოვებ ჩვენი საყვარელი კლიენტების ოფისების კედლებზე.

მოგვიანებით ჟან-ფრანსუას ურეკავ მობილურ-დებილურ ტელეფონზე:

- მისმინე, ჟან-ფრანსუა, რაღაც საინტერესო მინდა გითხრა.

- ვაშაევრიკა!

(ეს ჩვენი მოგონილია: „ვაშა“ და „ევრიკა“ შევაერთეთ).

- ჩვენ რომ ვილაპარაკეთ, იმ საქმისათვის სამი კვირა დაგვჭირდება.

ტელეფონში რამდენიმეწამიან სამარისებურ სიჩუმეს ღრიალი მოჰყვა:

- თქვენ რა, გაგიჟდით ყველანი? შემდეგ კვირაში იმ ხალხს უკვე მასალა უნდა ვაჩვენო!

- კაი ჯანდაბას, სამი კვირა თუ არა, ორი მაინც.

- ათ დღეზე მეტს ვერ დაიცდიან.

- სადაც ათი, იქაც თორმეტი.

- თერთმეტი-მეთქი და მოვრჩი!

- კარგი და Madone-ს დღესვე გადავუგზავნოთ გადაცემის ვიდეოჩანაწერი, - ბრძანებებს იძლევა ჩარლი, - ეგენი ისე გამოშტერდებიან ჩვენი ზეგზერითი სისწრაფით, რომ დაუფიქრებლად იყიდიან.

ჟან-ფრანსუა დასძენს, რომ „ეს პერსპექტიული წინადადება შეიძლება გახდეს მომავალი პროექტის ქვაკუთხედი“ (ციტატის დასასრული). შენ ისღა დაგრჩენია ტაში დაუკრა მის სიტყვებს. გავრცელებულია აზრი, რომ კრეატიული და კომერციული მენეჯერები ერთმანეთს ვერ იტანენ. მაგრამ დამიჯერეთ, ვინც ამას ამბობს, ძალიან ცდება. ჩვენ ხომ ერთმანეთი გვჭირდება; ჩვენს კანტორაში კი მხოლოდ საჭირო ხალხი უყვართ, სხვა დანარჩენებს მხოლოდ პენსიაზე გასვლისას, გამოსათხოვარ ბანკეტებზე თუ გაიცნობენ ხოლმე. ჩარლი მაგარია, არ ეშლება; ეგ რომ იტყვის, იქ ყველაფერი დამთავრებულია, შეკამათებას ვერავინ უბედავს.

3.

წასვლისას ისე გითხრა ნახვამდისო, როგორც მოსვლისას გამარჯობას გეუბნებოდა.

ახლა მარტო სადილობ.

ადრე უამრავი მეგობარი გყავდა; ახლა ერთიც აღარ დაგრჩა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ არც არასოდეს გყოლია.

სვამ. შენს პიჯაკს რაკლეტის[I] სუნი ასდის.

მაგარია, ვერაფერს იტყვი.

„ნება მომეცი მიგატოვო, ნება მომეცი წავიდე და გავხდე რიგითი ახალგაზრდა სირი“, - ეუბნებოდი მას.

უსათვალოდ გადიხარ ქუჩაში, რომ ერთ მეტრზე შორს ვერაფერი დაინახო.

შენს სრულ ბედნიერებას მიოპია[II] აკლდა და ეგაც აიკიდე. ყველაფერი შენ გარშემო ბრწყინვალე და ცოტათი ბუნდოვანი და გაურკვეველია, როგორც ვიდეოკლიპებში.

ყველაფერი ზედაპირულია.

აბა, წელში გაიმართე, ძველო!

შენ ხომ მომხმარებელთა საზოგადოების ზედა ფენებში ხარ წამოჭიიმული და კომუნიკაციის სფეროს მწვერვალსაც მიაღწიე.

შენ უკვეთავ სეჩუანურად მომზადებულ წიწაკიან ბატის ღვიძლს, ბოსტნეულისა და ხილის მწარე სალათას ხბოს ბულიონის სოუსით, სოიათი და სურნელოვანი ძმრით.

შენ წინ გოგონა ზის და იღიმება.

ის ვერასოდეს გაიგებს, რომ შენ ის უკვე შეგიყვარდა.

ფუი ეშმაკს! ფუი ეშმაკს!

ეს უბრალოდ, ლამაზი წუთი იყო.

ბარზე დაყრდნობილი ახალ ქალებზე ოცნებობ. კაი დრო დაგჭირდა იმისათვის, რომ ბოლოს და ბოლოს, მიმხვდარიყავი რა გინდოდა ცხოვრებაში: მარტოობა, სიწყნარე, სმა, კითხვა, ნარკოტიკები, წერა და დროდადრო სექსი ლამაზ ქალებთან, რომლებსაც მერე აღარასოდეს ნახავდი.

დადგა შუადღე, დრო, როდესაც კრეატიული მენეჯერები ქალებს აწუწნინებენ. ბულონის ტყეს მიაშურებ და უგანდონო მინეტს ყიდულობ. ოცი წუთის შემდეგ სააგენტოში ბრუნდები.

- გ ა მ ა გ დ ე თ ს ა მ ს ა ხ უ რ ი დ ა ნ!

დგახარ „როსის“ ჰოლში და ღრიალებ, თუმცა ყურადღებას არავინ გაქცევს.

- მ ო მ ი ს რ ო ლ ე თ ა ქ ე დ ა ნ, ხ ა ლ ხ ი ა რ ა ხ ა რ თ?!

რამდენიმე სტაჟიორი ერთმანეთს შენზე უთითებს და სიცილით კვდება. დარწმუნებულები არიან, რომ ხუმრობ და შენს პათეტიკურ გამოსვლაზე თავშეუკავებლად ხარხარებენ.

- ა რ გ ე ს მ ი თ, მ კ ა რ ი თ ჭ ი ტ ლ ა ყ ი დ ა გ ა მ ი შ ვ ი თ ს ა მ ს ა ხ უ რ ი დ ა ნ!

[I] რაკლეტი - გამდნარი ყველის კერძი.

[II] მიოპია - ახლომხედველობა.

მაგრამ ამ უდაბნოში შენი განწირული ყვირილი არავის ესმის და უცებ ხვდები რატომ გესმის აქეთ-იქიდან ჩუმი ხითხითი: თეთრი ჯინსის შესაკრავზე წითელი პომადის ნაკვალევი გატყვია.

მთელი დღე შენ მიერ მოგონილი სლოგანები ისმის ტელეეკრანიდან: „ახლის მოგონება არ არის საჭირო, უბრალოდ მიბაძეთ“, „რა აზრი აქვს ცხოვრებას შამპანურ KRUG-ის გარეშე?“, „Salope[I] - სურნელი, რომლის სიძულვილიც გსიამოვნებს“, „რადიო NOVA მუდამ ნოვაციაა“, KENZO Jungle - შეეცადეთ ცოტათი მაინც მოიშინაუროთ“, Viagra - უარი უთხარით უძლურებას“, „ევროსტარი“ - რა საჭიროა გაფრინდეთ რუასიდან ჰიჩროუში, როდესაც შეიძლება გაემგზავროთ პარიზიდან ლონდონში“, „Canderel - შენ ხარ ლამაზი, შენ ხარ გამხდარი, შენ ხარ შენ“, „BOUYGUES-TELECOM - მომავალს გინდათ ელაპარაკოთ? ახლავე, არ დაკიდოთ!“, ‚LACOSTE - გახდი შენი მშობლებისნაირი“, CHANEL N5 - მუდამ და ყველგან“.

- გ ა მ ა გ დ ე თ ა ქ ე დ ა ნ!

გინდა სადმე მწვანე მინდორზე მიეგდო, ცას უყურო და გული მოიოხო ტირილით. რეკლამამ გადააწყვეტინა გერმანელ ხალხს ჰიტლერის სათავეში მოყვანა. სწორედ რეკლამას ევალება დაარწმუნოს მოქალაქეები, რომ ყველაფერი კარგადაა როცა ყველაფერი ცუდადაა. რეკლამა, ისევე როგორც შუა საუკუნეების ღამის გუშაგი, დღედაღამ გვიყიჟინებს: „იძინეთ ტ კბილად კეთილო ადამიანებო; უკვე შუაღამეა, ყველაფერი კარგადაა, არ გაკლიათ ღვინო Boursin-ი და პური, სილამაზე, სიკეთე, Dubonner, აგერ, აქვეა Wasa, Mini-mir, Mini-prix[II]; სიტყვა mini-მ არ შეგაშინოთ, შეიძინეთ იქ და მაქსიმალურ სიამოვნებას მიიღებთ. მაშ, იძინეთ მშვიდად, პატიოსანო ხალხო“. „თანამედროვე მსოფლიოში ყველა უბედურია“ - გვაფრთხილებდა შარლ პეგი[34]. ძნელია არ დაეთანხმო ამ სიტყვებს: უმუშევრები უბედურები არიან იმიტომ, რომ სამუშაო არ აქვთ, ხოლო ვინც მუშაობს, ისიც უბედურია თავისი სამუშაოს გამო. იძინეთ მშვიდად; თუ უძილობა გაწუხებთ, ნურც მაგაზე იდარდებთ: მანდვე არ გაქვთ „პროზაკი“? ოღონდ მთავარი არ დაგავიწყდეთ: ერიდეთ კითხვების დასმას. ხომ გახსოვთ Hier ist kein warum[III].

ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ რაც ამ დედამიწაზე ხდება, სულაც არ არის მნიშვნელოვანი პლანეტარული მასშტაბით. დედამიწელის დაწერილს ისევ დედამიწელი თუ წაიკითხავს. სავარაუდოდ, გალაქტიკებს სულ ფეხზე ჰკიდიათ ის ფაქტი, რომ მაიკროსოფტის წლიური ბრუნვა ბელგიის ერთი წლის ბიუჯეტის ტოლია და რომ ბილ გეიტსის ქონება 100 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. შენ კი თავდადებით მუშაობ, უახლოვდები ხალხს, გიყვარდება სხვადასხვა ადგილი, ფაცაფუცობ იმ კენჭზე, რომელიც სამყაროს წყვდიადში ტრიალებს. ცოტა ამბიცია რომ დაგეოკებინა, ცუდი არ იქნებოდა. დაიმახსოვრე: შენ მხოლოდ ერთი უბადრუკი და უმნიშვნელო მიკრობი ხარ. არსებობს კი ეფექტური Baygon შენნაირი მავნე მწერებისთვის?

დიდი ხანია უკვე მხოლოდ თვითმკვლელთა დისკებს უსმენ: Nirvana INXS, Joy Divisions, Mike Brant. შენი თავი ბეხრეკი გგონია, რადგან ადამისდროინდელ ვინილის ფირფიტებს ატრიალებ (30 სმ-იანი დიამეტრით). საფრანგეთში ყოველწლიურად 12.000

[I] Salope - ბინძური, მეძავი.

[II] ფრანგული მაღაზიები.

[III] აქ არ არსებობს არანაირი რატომ (გერმ.).

თვითმკვლელობა ხდება, რაც ნიშნავს, რომ ყოველ საათში რაც ამ წიგნს კითხულობთ, ბრახ! - და ერთმა უკვე მოიკლა თავი, თუ ვეღარ ეშვებით და მეორე საათიც მიაყოლეთ, ბრახ! და მეორეც დაიბრიდა. და ასე მიჰყვებიან ერთმანეთს. როგორია დღეში 24 მოხალისე მკვდარი, კვირაში 168 საკუთარი სურვილით შეწყვეტილი სიცოცხლე?! ვერაფერს იტყვით: ნამდვილი ჰეკატომბებია, მაგრამ ამაზე ხმას არავინ იღებს. საფრანგეთი მზის ტაძრის გიგანტური სექტაა. Sofres-ს მონაცემების მიხედვით, სრულწლოვანი ფრანგების 13%-ისთვის თვითმკვლელობაზე ფიქრი უცხო არ არის.

ყოველ დილით ოთხ ავტომოპასუხეზე ამოწმებ მესიჯებს: სახლის, სამსახურის, მობილურის და ნოუთბუქის მეილზე. საფოსტო ყუთი უიმედოდ ცარიელია. სასიყვარულო ბარათებს აღარ იღებ. ვეღარასოდეს მიიღებ ბეჯითი და გაუბედავი კალიგრაფიით ნაწერ, ცრემლ დაპკურებულ, სიყვარულის სურნელით გაჟღენთილ და აკანკალებული თითებით კონვერტში ჩადებულ ფურცლებს. ვეღარც იმ კონვერტს იხილავ, მისამართი და ფოსტალიონისადმი ხვეწნა-მუდარა მკაფიო ასოებით რომაა გამოყვანილი: „გზა არ აგერიოს, ძვირფასო ფოსტალიონო, მიუტანე ეს სანუკვარი უსტარი ჩემს სათაყვანებელ და მონატრებულ ადრესატს...“ ხალხი ახლა თავს იმიტომ იკლავს, რომ ფოსტით წერილების მაგივრად სარეკლამო ბუკლეტებს იღებენ.

როგორც კი დეპრესიაში ვარდები (დეპრესია კი უკვე შენი მუდმივი მდგომარეობაა), მაშინვე ულტრაიისფერ სხივებს აფარებ თავს. რაც უფრო მეტად შემოგაწვება გულზე დარდი, მით უფრო მაგრად ირუჯები. სევდა კაი ფერზე გაყენებს. სასოწარკვეთა შენთვის მზის დაკვრაა. როგორ უნდა მიხვდეს კაცი, რომ ძალიან უბედური ხარ? ამის გამოცნობას რა უნდა: ამ დროს ისე გიბზინავს ბრინჯაოსფერი სახე, თითქოს სპილენძის ტაშტიაო. შენ გგონია, რომ ნამზეური ახალგაზრდულ იერს განიჭებს, არადა პირიქითაა: დაჩამიჩებული ბებრები სწორედ მუდმივი რუჯით იცნობიან. ჩვენს დროში მხოლოდ მოხუცებს სცალიათ იმისათვის, რომ სხივებს მიეფიცხონ. ახალგაზრდები ფერმკრთალნი და ნაღვლიანები არიან, მაშინ როდესაც ხანდაზმულები ნამზეურით მარიაჟობენ და მუდმივად ღიმილი აფენიათ სახეზე (რატომღაც არა, პენსიას ხომ ჩვენი ნაშრომიდან უხდიან). რა გინდა, ბოლოს და ბოლოს, ჟაკ სეგელასნაირი უნდა გახდე მაინცდამაინც? იმდენს იზამ, სანამ მაგ ულტრაიისფერი სხივებით საბოლოოდ არ დაიწვები და დაიხრუკები.

ეს იყო მეგა-რაიში, ბორდელების უბანში... ყველაფერი იმ წყეული კოკაინის ბრალია. ის რომ არა, ბევრ რამეს ვერც გაბედავდი და თავში აზრადაც არ მოგივიდოდა. არც სოფის შეეშვებოდი, არც ამ წიგნს... არ მოიწონებდი თავს ორიგინალური აზრებითა და კალამბურებით. კოკაინს ამქვეყნად ყველაფერი შეგიძლია დააბრალო. რომანის კომპიუტერზე აკრეფისას შენი თავი გამბედავ საიდუმლო აგენტად წარმოგიდგენია, რომელსაც სისტემის შუაგულში შეუღწევია და იმ მანქანას აკონტროლებს, რომელსაც ჩვენი გონების მოწამვლა ევალება. რა მოხდა მერე, განა ეფ-ეს-ბეც სააგენტო არ არის? შენ დაქირავებული შპიონი ხარ და უმნიშვნელოვანეს ინფორმაციებს აგროვებ დისკეტაზე. თუ ოდესმე ჩაგავლეს, იქამდე გაწამებენ, სანამ ყველა 8იკროფილმს არ მისცემ. შენ არაფერში გამოტყდები და ყველაფერს ნარკოტიკებს გადააბრალებ. როდესაც სიცრუის დეტექტორზე გაგიყვანენ, ყველა წმინდანს დაიმოწმებ და ფიცილით სულ ამოიწყვეტავ ყველას, რომ ამ გაუგებრობაში შენ მხოლოდ და მხოლოდ ერთი უბრალო გუშაგი იყავი.

ყოველდღე სადარბაზოში ბომჟს ხვდები, რომელიც შენ გგავს. გგავს კი არა, შენი ალიკვალია: გამხდარი, მაღალი, უფერული, ლოყებჩავარდნილი. ეს შენ ხარ

წვერმოშვებული, ჭუჭყიანი, ჯიბეგაფხეკილი, პირიდან საზიზღარი სუნით - ზუსტად ასეთი იქნები ახლო მომავალში, როდესაც ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდება და გამათხოვრებულსა და ფეხებდასისხლიანებულს მეტროში, სავენტილაციო გისოსების ქვეშ მოგიწევს ღამის გათენება. შენ მისთვის La Réverbère-ს არ ყიდულობ. დროდადრო განწირული ხმით წამოიბღავლებს: „ვინც თესავს ქარს, იმკის ქარიშხალს“, მერე ისევ მიეგდება და იძინებს.

მთელ ღამეებს Playstation-თან ატარებ. 29 ევროდ Playstation-ის კლუბის წევრი გახდი. წელიწადში შვიდჯერ უფასოდ გიგზავნიან CD-ს დემოვერსიებით, თან გაგულიანებენ, რომ კიდევ რამე იყიდო და კითხვასაც მოაყოლებენ ხოლმე. აქედან მიღებული პასუხები Sony-ს ფირმას საშუალებას აძლევს გაიგოს რამდენს ყიდულობ და რა ინტენსივობით, იგებს შენს მსყიდველობით უნარს და შენი პირადი ობიექტური შეფასებების საფუძველზე ადგენს საქონლის შეძენით შენი კმაყოფილების ხარისხს.

სუპერმარკეტში დიდხანს დახეტიალობ და თან სათვალთვალო კამერებს ღიმილით უყურებ. აი, კიდევ რა გაიგე სამსახურში: მალე ეს კამერები მხოლოდ კლეპტომანების გამოსაჭერად როდი იქნება გამოყენებული. ინფრაწითელსხივებიანი ვებ კამერები ჩამონტაჟდება შეკიდულ ჭერში, მიერთდება ცენტრალურ კომპიუტერზე და შენ მიერ ნაყიდი საქონლის შტრიხ კოდების იდენტიფიცირებით გაიგებენ შენს სამომხმარებლო ჩვევებს. მერე ამ ყველაფრის გათვალისწინებით შემოგთავაზებენ ახალ პროდუქციას, ფასდა კლებას, დაგაძალებენ დააგემოვნო ახალი პროდუქტები და რადიოს საშუალებით გიბიძგებენ იმ დახლებისკენ, სადაც შენი საყვარელი ნუგბარი თუ ნივთებია განლაგებული. მალე საყიდლებზე გარეთ გასვლაც აღარ დაგჭირდება. იჯექი სახლში, შემოიდე ფეხი ფეხზე, ფირმები კი უშენოდაც მშვენივრად გაარკვევენ, რა გჭირდება, რადგან შენი მაცივარი ინტერნეტში იქნება ჩართული და უკვე შენს დაუკითხავად მოგართმევენ ყველაფერს, რაც შემოგაკლდა. ამგვარად, მთელი შენი ცხოვრება იქნება მკაცრად აღწერილ-გაწერილი და წარმოების პროცესში ჩართული. რითია ეს ცუდი? ძალიანაც მაგარია! მიესალმე კამერას! ეგ ყოფილა ერთადერთი შენი ძმა და მეგობარი!

დღეს ფოსტით სქელი ყავისფერი კონვერტი მიიღე. ე.ი. გულის გასატეხად არ გქონია საქმე: სადღაც ვიღაც შენზე ფიქრობს და წერილსაც გწერს. კონვერტი გახსენი და რაღაც გაუგებარი ლაზერული შავ-თეთრი სურათი ამოიღე. ზედ გაურკვეველი ხელით ნაწერი საიდუმლო ნიშნების მსგავსი ასოები და ციფრები ეწერა: „435. Obg4 xr 15 pse12 rj 33 gm F2, alr Il/i ml dr55“, ზემოთ მარცხენა კუთხეში კი თარიღი და საათი იყო მიწერილი. ვერაფერს მივხვდი. ნაცრისფერ ფონზე თეთრ ლაქებს შუა, დიდი ხნის ძებნის შემდეგ, უცხოპლანეტელის თვალი აღმოაჩინე. ეს თვალი დაჟინებით გიყურებს, ორი მკლავი აქვს, ცხვირის მხოლოდ ნაწილი და კიდევ რაღაც, რაც წესით, ყური უნდა იყოს... ბოლოს და ბოლოს, მიხვდი, რომ ექოსკოპიის სურათი იყო. აბსტრაქტული ხელოვნების ამ ნიმუშს ხელნაწერი ბარათი ახლდა: „პირველად და უკანასკნელად ხედავ შენს შვილს. სოფი“.

4.

უკვე რამდენიმე დღეა მათ არ შევხვედრილვარ. დღეს კი ჟან-ფრანსუა შემოვიდა კაბინეტში და მივხვდი, რომ საშინელ ხასიათზე იყო.

- უნდა გენახათ ერთი, კლიენტმა რა გაგვათახსირა! ალფრედ დიულერს უნახავს Grind-ის ჩანაწერი. დამირეკა და ეგრევე მომახალა, რაღაც ნამეტანი ბევრი ფერადკანიანი იჩითება კლიპშიო. ასე გამომიცხადა - სიტყვასიტყვით გეუბნებით, არც ვამატებ, არც ვაკლებ: „იმედია, ეჭვი არ გეპარებთ, რომ რასისტი არ ვარ, მაგრამ შავ კანიანები ბაზრის უმნიშვნელო სეგმენტს შეადგენენ და ამიტომ გათვლა ძირითადად თეთრკანიან ფრანგებზე უნდა გავაკეთოთ. ჩემი ბრალი სულაც არ არის, რომ ჩვენი პროდუქტი თეთრია და სარფიანად რომ გავყიდოთ, კლიპშიც თეთრკანიანები უნდა გამოვაჩინოთ, მაგრამ ვიმეორებ, რომ ამაში რასისტული არაფერია, ბოლოს და ბოლოს, ეს დედამოტყნული იოგურტი შავი ხომ არ არის, თეთრია! შავკანიანები მერე მორეკეთ, შოკოლადიან „მეგრელეტს“ რომ გამოუშვებთ!“ აბა, როგორია, რას იტყვით? ასისტენტები ჩუმ-ჩუმად იცინოდნენ, ის რომ ამ სისულელეს ბოდავდა, მაგრამ ერთი თქვა, თუ ჭკვიანად არ იქნებით, შეკვეთას ტენდერზე გავუშვებო და ეგრევე ყველამ მოკეტა.

- კაი ხო, დაიკიდე. ღირს ახლა მაგის გულისთვის ამდენი ნერვების შლა? ხომ იცი, ეგ საცოდავი მოფაშისტო ელემენტი რა გონებაშეზღუდულია! შენც უნდა ამდგარიყავი და ეგრევე უნდა გეთქვა, შოკოლადიანი არ ვიცი, მაგრამ დიოქსინებით გატენილ იოგურტს რომ უკვე უშვებ, ეგ ფაქტია-თქო. მაგის მთხლე რეკლამაზე ის შხვართები კი არა, უფორმო, ქონიანი და მუწუკებიანი ძროხა დედაკაცები უნდა აგეყვანა!

სულის სიღრმეში სიხარულით ცას სწვდები: სააგენტოს ერთერთი ყველაზე მომგებიანი შეკვეთის გაუქმება ხომ პრობლემათა მეფური მოგვარების გზა იქნებოდა. როგორც იქნა, ღმერთმა შეისმინა შენი ვედრება და ანაზღაურებადი უსაქმურობის სამოთხე მოგიმზადა, თანაც ისეთი, რომელშიც ფულსაც გიხდიან! როგორია უვადო შვებულება მუქთაზე, სახელმწიფოს ხარჯზე?! მაგრამ, ჟან-ფრანსუა, შენგან განსხვავებით შოკში ჩავარდა... თავი უკვე უმუშევრად წარმოიდგინა: ის ქუჩაში ხეტიალისთვის არ დაუპროგრამებიათ. მან ხომ დედიკოს ბიჭებისთვის განკუთვნილი კერძო კომერციული სკოლა დაამთავრა, მერე დაქორწინდა ისეთ მოსაწყენ ქალზე, რომელიც ცოცხისა და იატაკის საწმენდის მიღმა ვერაფერს ხედავს; თხუთმეტი წელი ხმისამოუღებლად იტანდა უფროსებისა და კლიენტების უმადურობასა და დამცირებას, მხოლოდ იმიტომ, რომ კრედიტი აეღო Société Général-ში და, ბოლოს და ბოლოს, ლევალუა-პერეში სამოთახიანი ბინა ეყიდა. მის ცხოვრებას მხოლოდ ერთი რამ ახალისებს: მთელი დღე „ტიტანიკის“ ორიგინალურ ვერსიას უსმენს. ოდნავაც არ ეპარება ეჭვი, რომ სხვანაირი არსებობაც შეიძლება. შემთხვევის იმედად არასოდეს არის. მისი ცხოვრება ერთხელ და სამუდამოდ დასახულ კურსს მიჰყვება. Madone რომ ჩვენს სააგენტოს ჩამოშორდეს, ასეთ დარტყმას ჟან-ფრანსუა ნამდვილად ვერ გადაიტანს. სადაცაა ცრემლი წასკდება. რაც დაიბადა, მას შემდეგ პირველად შეიპყრო გაურკვევლობამ. მსგავსი რამ მის კარიერაში გათვალისწინებული არ ყოფილა.

- თქვენზე კარგად ვიცი, რომ დიულერი ნამუსგარეცხილი ფაშისტი და კიდევ უარესია, - ლუღლუღებს შეშინებული ჟან-ფრანსუა, - მაგრამ ძალიან ძვირი ღირს ეგ არაკაცი, - 12 მილიონ ევროს ეხუმრებით?!

აი, აქ უკვე ჟან-ფრანსუასადმი სიყვარულით გევსება გული. ისიც არ დაგვიწყებია, რომ რამდენიმე დღის წინ მან მოგწმინდა კოკაინიანი ცხვირი.

- კარგი ახლა, ბევრს ნუ ხტუნაობ, - გესმის საკუთარი ხმა, - რისი გეშინია? მე და ჩარლი აქ არა ვართ? რა არის ასეთი, ჩვენ რომ ვერ მოვერიოთ?!

- მგონი, უკვე დროა გამოვაცხადო საბრძოლო მზადყოფნა ნომერი პირველი!

შემოღებულ კარში მარკ მარონიეს თავი გამოჩნდა.

- ე, ბიჭებო! რა ყურები ჩამოგიყრიათ! კაცს ეგონება, Rosserys-ისა და Witchcraft-ის საქმეები სულ ამათ კისერზეაო... რა გჭირთ, ოე!

უცებ შუბლზე შემოიკრა ხელი:

- ჩავიჭერი, ჩავიჭერი, ბოდიში! ამ „კანტორებისთვის“ მუშაობთ, მა რა ჯანდაბისთვის!

- მორჩი ბაზარს, მარკ, - ხვნეშის ჟეფი, - ამ „მეგრელეტის“ გამო ყელამდე მძღნერში ვართ, ვერ ხედავ?

- აი, ხომ ხედავ, ამ მსუბუქი ყველის მწარმოებელები რა მძიმეები ყოფილან?

მარკი თანაგრძნობით გიყურებს, როგორც ავადმყოფი ავადმყოფს.

ოქტავ, ჩარლ, - გეკითხებათ ის, - განა დრო არ არის სამაშველო ოპერაციის დაწყება გამოვაცხადოთ?

საბრძოლო მზადება ნომერი პირველი უკვე გამოაცხადეს, აცნობა ჟეფმა, - მაგრამ რას ნიშნავს ეს, ვერაფერი გამიგია.

ამ დროს ჩარლი შეუდგა თავისი საუკეთესო ნომრის შესრულებას: ხელები მაღლა აღაპყრო, ჭერს ახედა, ღრმად ჩაისუნთქა, ხმაურიანად ამოისუნთქა, გეგონება სიტყვის წარმოთქმას აპირებსო (ან პატარა, საყვარელ მწერს ეპარებაო) და თეატრალური პაუზის შემდეგ საბოლოო მზერას სტყორცნის მარონიეს:

- აბა, უფროსო! მწვანე შუქს გვინთებ?

უფროსმა ქედმაღლურად დაუკრა თავი და ოთახიდან გავიდა. მაშინვე თითქმის არაამქვეყნიური, ლამის ძენისტური[I] სიჩუმე ჩამოვარდა. ჩარლი ნელა ტრიალდება და სანუკვარ ბრძანებას გასცემს:

- მძღნერთა მფრქვევი ბრძოლაში!

- არის, უფროსო! წავიდა!

და თვალის დახამხამებაში, ჟან-ფრანსუას ცხვირწინ, შენ და ჩარლიმ ისეთი რეკლამა გააჩალიჩეთ, რომელზედაც ყველა შემკვეთი იოცნებებდა: ლამაზი, მომხიბლავი, თბილი, უწყინარი და თანაც ნაღდად მაცდუნებელი ანუ ზუსტად ისეთი, როგორიც ესაჭიროება აკიკინებული ხბოების საზოგადოებას (არ გაგიკვირდეთ, ათასგვარი გენეტიკური მანიპულაციების წყალობით ძროხებმაც შეიძლება თხებივით კიკინი დაიწყონ).

მერე კი ჟან-ფრანსუას შენი შედევრი ხმამაღლა, გამოთქმით წაუკითხე:

„მომხიბლავი თეთრკანიანი ქალი (არც ხნიერი, არც ახალგაზრდა), წაბლისფერი თმით (არც ქერა, არც შავგვრემანი), სოფლის ლამაზი სახლის ტერასაზე ჯდება.

[I] ძენისტური - ძენ - ბუდიზმისთვის დამახასიათებელი.

დეკორაცია „სამხრეთ სანაპიროს“ სტილშია გადაწყვეტილი (მყუდრო, მაგრამ არც ძალიან მდიდრული). ქალი მოკალათებულია სარწეველა სავარძელში (არც ძალიან ძვირფასი, არც ჯაბახანა), კამერას უყურებს და აღტაცებით ამბობს (ნარნარი, მაგრამ ბუნებრივი ხმით): „მე ლამაზი ვარ? კი, ასე ამბობენ. მაგრამ ამ კითხვას მე ჩემს თავს არ ვუსვამ. მე ვარ უბრალოდ მე“. ხელის აუღელვებელი მოძრაობით (არც სექსუალურად, არც ყალბად) იღებს „მეგრელეტის“ ქილას, ხსნის ფრთხილად (არც ძალიან სწრაფად, არც ძალიან ნელა), პირში იდებს ერთ კოვზ იოგურტს (არც ძალიან ცოტას, არც გაპიპინებულს). პროდუქტის დაგემოვნებისას თვალებს სიამოვნებით ნაბავს (მინიმუმ ორი წამი). შემდეგ ტელემაყურებელს პირდაპირ თვალებში უყურებს და განაგრძობს: „ჩემი საიდუმლო... „მეგრელეტია“, საუცხოო უცხიმო იოგურტი, კალციუმით, ვიტამინებით და პროტეინით გაჯერებული. ფიზიკური და ინტელექტუალური ფორმის შესანარჩუნებლად ამაზე უკეთესი არაფერია“. შემდეგ დგება (გრაციოზულად, მაგრამ არა მანჭვა-გრეხით), თანამზრახველური (მაგრამ არა ცბიერი) ღიმილით დაასკვნის: „აი, ეს არის ჩემი საიდუმლო. თუმცა, რაღა საიდუმლოა, თქვენ ხომ უკვე გითხარით. ჰა, ჰა, ჰა“. ქალი ეშმაკურად (მაგრამ არა გველურად) იცინის. ეკრანზე ჩნდება პროდუქტის ქილა (მინიმუმ 5 წამი) წარწერით: „მეგრელეტი“ იმისათვის, რომ იყოთ მსუბუქად ფიზიკურად, მაგრამ არა გონებრივად“.

ჟან-ფრანსუა ორიოდე წუთში ღრმა სასოწარკვეთიდან უსაზღვრო ეიფორიაში გადავარდა. ასე უცბად როგორღა მოახერხა, არ ვიცი. მე თუ მკითხავთ, კომერციულზე კი არა, კონსერვატორიაში დრამატული ხელოვნების განყოფილებაზე უნდა ჩაებარებინა, სპეციალობით მიმი-ციკლოთიმიკი[I].

გვეცა ორივეს, გვიკოცნის ხელებს. ფეხებს, ტუჩებზეც გვეპოტინება.

- ძმებო, თქვენ აზრზე ხართ რა ქენით?! თქვენ მე სიცოცხლე შემინარჩუნეთ!

- გეყოფა ახლა, ხომ იცი, ფამილიარობას ვერ ვიტან, - ხელს ჰკრავს ჩარლი, რომელიც უკვე თავისი კომპიუტერის ეკრანში შთაინთქა, სადაც ვიღაც ტიპს გველთევზასთან სოდომ-გომორული ამბები გაუმართავს.

უცებ მიხვდი, რა იაღლიში მოგივიდა.

- აუ, ეს რა ვქენი?! ე.ი. ახლა აღარ გამაპანღურებენ! ასეთი რეკლამისათვის ფილიპი ალბათ მეფურად დამაჯილდოებს და ერთი ათი წელი კიდევ უბატონოდ ხმას არ გამცემს! ისევ გავუდეთ იმ Madone-ს და ეგ არის!

მაგრამ, როგორც ყოველთვის, ახლაც ბოლო სიტყვა ჩარლისია:

- კი, იძახე, რომ გავუდეთ, მაგრამ ვინ ვის გაუდო, ეგ ხომ კარგად იცი!

ფრთაშესხმული და ამქვეყნად მობრუნებული ჟან-ფრანსუა კი, იღლიაში სცენარამოჩრილი, კი არ გავიდა, გაფრინდა. ეს ამბავი იესო ქრისტეს დაბადებიდან მესამე ათასწლეულის დასაწყისში მოხდა (იესო ქრისტეა მსოფლიოში საუკეთესო რეკლამების იდეის ავტორი. მას ეკუთვნის მრავალი უკვდავი სლოგანი, როგორიცაა, მაგალითად: „გიყვარდეთ მოყვასი თქვენი“, „მოიღეთ, შეჭამეთ, რამეთუ ეს არის ხორცი ჩემი“, „შეუნდეთ მათ, რამეთუ არ იციან რას იქმენ“, „უკანასკნელი პირველნი იქნებიან“, „პირველად იყო სიტყვა“, - არა, ბოდიში, ეს მან კი არა, მამამისმა თქვა).

[I] მიმი-ციკლოთიმიკი - მსახიობი-მიმი, რომლის გამოსვლაში ერთმანეთს ენაცვლება უკიდურესი მხიარულება და მწუხარება.

5.

კაი კოკაინი გრამი 100 ევრო ღირს. სპეციალურად არის ასე ძვირი, იმიტომ რომ მდიდრების ჯანმრთელობას არაფერი დაემუქროს; ღარიბებს კი რაც უნდათ ის უქნიათ, ნაგავი რიკარი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ყრია.

თამარას ურეკავ. ტელეფონით გამოსაძახებელ გოგოებში ყველაზე მაგრად ეგ გევასება. მისი ავტომოპასუხე სასიამოვნო ხმით გეპასუხება: „თუ გსურთ დასალევად დამპატიჟოთ, დააჭირეთ ღილაკს 1, თუ გსურთ სადილზე მიმიწვიოთ, დააჭირეთ ღილაკს 2, ხოლო თუ ჩემი ცოლად მოყვანა განგიზრახავთ, საერთოდ დაკიდეთ ყურმილი“. შენ სამსახურის ნომერს და ორიოდე სიტყვას უტოვებ: „დამირეკე; შენი მხრები თოხლო კვერცხის ფერია; მოდი, ბნელი აზრები გამინათე; ჩქარა, ნუღარ დააყოვნებ. მსურს შენს ნაზ არსებაში ჩავიძირო. ოქტავი“. თამარას ისეთი სახე აქვს, ძალიანაც რომ მოინდომო, თვალს ვერ მოაშორებ.

აბა, გამოიცანი, ვისა აქვს სურნელოვანი კანი, მექსიკელის ტანი და ევრაზიელის თვალები? ვისა და ერთ ბერბერ[I] გოგონას, რომლის ნამდვილი სახელი, რა თქმა უნდა, თამარა არ არის. შენ მას სთხოვე Obsession დაესხა, სოფის საყვარელი სუნამო.

თამარას ცოტა ჩახლეჩილი ხმა, თხელი თითები და შერეული სისხლი აქვს. მისი ქალური სხეული მრავალი დეტალისგან შედგება, რომლებიც სულაც არ არის მოკლებული შარმს: მუქი წვივები, რომლებიც კოჭებს მუხლებთან აერთებს, ლაქწასმული ფეხის ფრჩხილები, პატარა ნაჩვრეტები (ტუჩის კუთხეში და ტრაკის ძირში), კბილთა სითეთრე მშვენიერ კონტრასტს ქმნის მეწამულ-წითელ ტუჩებთან; მეტად მაცდუნებელია მისი სხეულის ჩაზნექილ-ამოზნექილობები (ფეხისგულები, ზურგის ქვედა ნაწილი), სხვადასხვა ტონალობის ვარდისფერი ადგილებით (ყვრიმალები, მუხლები, ქუსლები, ძუძუსთავები), ხოლო მკლავების შიდა მხარე ყოველთვის თოვლივით ქათქათა და მის მიერვე გამოწვეული ემოციის მსგავსად თეთრი აქვს.

დიახ, ეს იყო დრო, როდესაც სინაზეც კი იყიდებოდა.

თამარა არის მეძავი, რომელსაც შენ არ ჟიმავ. მინიბოლოკაბაზე გასაგებად აწერია: Lick me tilli Scream[II], მაგრამ შენ მხოლოდ ყურის ლოკვით კმაყოფილდები (თამარა კი ზუსტად ამას ვერ იტანს). 500 ევროდ კლიენტთან მთელ ღამეს ატარებს. ადრე დისკებს ერთად უსმენდით: „იყო და არა იყო რა“, Moody, Blues, Massive, attack. მზად ხარ ძალიან ძვირი გადაიხადო მარტო იმ წუთისთვის, როდესაც თქვენი ტუჩები ერთმანეთს მაგნიტივით მიიზიდავს. შენ მისი გაჟიმვა კი არ გინდა, არამედ უბრალოდ შეხება, მისი არამიწიერი მიზიდულობის განცდა. საყვარლები მაგნიტებივით არიან. თამარასთან შესაერთებლად პრეზერვატივის ხმარება არ გინდა. ამიტომაც არასოდეს არა გაქვთ სექსი. თავიდან მას არაფერი ესმოდა იმ კლიენტისა, რომელიც მხოლოდ ენების გადასკვნით კმაყოფილდებოდა. მერე კი იმანაც დაუჭირა მუღამი და ძალიანაც მოსწონს ნაზად კბენა ტუჩებზე, შენი არყისგემოიანი ნერწყვი და ახლა უკვე თვითონ გიდებს ენას პირში, ბურბუშელასავით ახვევს და როცა შენ ამ ბურბუშელაში შენს ენას ყოფ, ეს უკვე სქესობრივი აქტია და შენი ენა ენა კი არა, უკვე სასქესო ასოა; ულოკავ ლოყებს, კისერს,

---

[I] ბერბერები - ალჟირის აბორიგენი მოსახლეობა.

[II] „მლოკეთ მანამ, სანამ არ ავყვირდები“ (ინგლ.).

თვალებს... ვნებიანად კვნესით. ოხრავთ, გიპყრობთ ყველაფრის წამლე კავი ჟინი და უცებ..... სტოპ! შენ თავს იკავებ, რომ გაუღიმო მას, სახეს სახე ოდნავ მოაშორო, შეეცადო, პაუზით ვნება გაიმძაფრო, დატკბე, შეირგო და მერე ყველაფერი თავიდან დაიწყო. საჭიროა საგნებს თავისი სახელები ვუწოდოთ: ზოგჯერ კოცნა სქესობრივ აქტზე უფრო მშვენიერი და მნიშვნელოვანია.

- რა ლამაზი თმა გაქვს.

- მართლა? არადა პარიკია.

- ვგიჟდები შენს თვალებზე.

- ნუ გაგიჟდები. ლინზებია.

- შენს ძუძუებზე ვაფრენ.

- გააფრინე. „უონდერბრას“ ლიფის დამსახურებაა.

- შენნაირი ფეხები კი მართლა არ მინახავს.

- ოჰო, ამ კომპლიმენტს კი შევიფერებ!

თამარას სიცილი წასკდა:

- შენთან ყოფნა მაგარი კაიფია.

- ამ სიტყვას ახალგაზრდები ხმარობენ და როცა ამას ამბობენ, ნიშნავს, რომ ბედნიერი ხარ. მართლა ასეა?

- ბედნიერი ვარ თუ არა? რატომაც არა ვარ.

- მე კი მშვენივრად ვხვდები, რომ შენ ახლა ბედნიერებას თამაშობ.

- ჯერ ერთი, რახან ფულს მიხდი, ბედნიერებას მაგიტომ არ ვთამაშობ, დამიჯერე. ფული აქ არაფერ შუაშია. და მეორეც, ძალიანაც ბედნიერი ვარ. თვეში რომ ათი ათასს მოღუნავ, ცუდია?

- ე.ი. ბედნიერებას ფული ქმნის, არა?

- არა, მთლად ეგრე არ არის. მაგრამ ფულს იმიტომ ვინახავ, რომ სახლი ვიყიდო და იმ სახლში ჩემს შვილთან ერთად ვიცხოვრო. ეს კი უკვე ბედნიერებაა.

- რა სამწუხაროაა! მე კი მინდოდა გამეუბედურებინე!

- უბედური არასოდეს არ ვარ, როცა ფულს მიხდიან.

- მე კი პირიქით ვარ: აქეთ გიხდი, რომ უბედური არ ვიყო.

- კაი, გეყოფა, მაკოცე. დღეს შენთვის 10%-იანი სეილია.

თამარა ზედას იხდის. წვრილი ოქროს ძეწკვი უკეთია. მარჯვენა ძუძუს ქვეშ ვარდი აქვს ამოსვირინგებული.

- ნაღდია თუ დასაწებებელი?

- ნამდვილია, მოწუწნე და ნახავ თუ წაიშლება.

რამდენიმეწუთიანი მაგნიტური მიზიდვა-განზიდვის შემდეგ თამარას ციფრული კამერით იღებ და თან ინტერვიუს ართმევ:

- მითხარი, თამარა, იმ დღეს რომ მეუბნებოდი, მართლა გინდა მსახიობობა თუ მეღადავებოდი?

- რას ამბობ, რა ღადაობა, ჩემი ოცნებაა ახლანდელ, შენთვის კარგად ცნობილ საქმიანობასთან ერთად, მსახიობიც ვიყო.

- მანეკენი რომ იყო, არ გინდა?

- ვინ გითხრა, რომ არ მინდა?! მინდა და ვარ კიდეც. როგორც ყველა Bar-Bitourique-ში მომუშავე გოგო, მეც მთელი დღე კასტინგებზე დავრბივარ. მაგრამ მსურველი ბევრია

და სამუშაო ცოტა. ამ სფეროში რომ რამეს მიაღწიო და ფულიც გადაგიხადონ, ძაან თავი უნდა მოიკლა.

- არა, იცი, რატომ გეკითხები? ყური მიგდე... შენი კანდიდატურა „მეგრელეტის“ მომავალ რეკლამაში გადასაღებად შევთავაზე. რას იტყვი?

- მაგარია! დღეს მინეტს მუქთად ვკისრულობ. მოსულა?

- მაგაზე ლაპარაკი არ გამაგონო! ბოლოს და ბოლოს, ვერ ხვდები, რომ შენ წინაშე თანამედროვე რობინ ჰუდია?

- ეგ როგორ?

- როგორ და ძაან მარტივად: მდიდრებს ვართმევ და ფარვანებს ვაძლევ:

ზოგჯერ 500 ევროც გადაგიხდია, რომ თამარასთან გეკოცნავა და ეს ნამდვილად ღირდა. ღირდა და მერე ეგრე?!

6.

ათ დღეში სააგენტოში წინასაპროდაქშენო კრება დანიშნეს, PPM (უნდა წარმოვთქვათ პი-პი-ემ). კრება კი არა სუფთა უმაღლესი დონის შეხვედრა იყო. ისეთი სიჩუმე იდგა, ბუზებიც კი ვერ ბედავდნენ ხმის ამოღებას. ამოიღებდნენ და კარგი დღეც დაადგებოდათ! ხელის ერთი გაქნევა და მორჩა, მეყოლე მერე ვარდივით! „მანონიდან“ ალფრედ დიულერი თავისი სამი მუშკეტერის თანხლებით მობრძანდა. La Rosse-ს წარმოადგენდა ორი კომერციული მენეჯერი, ერთი ტელეპროდიუსერი ქალბატონი და ორიც კრეატიული მენეჯერი (შენ და ჩარლი). ასევე ბრძანდებოდა მოწვეული რეჟისორი ენრიკე ბადუკულე მთელი თავისი ამქრით. მისი პარიზელი პროდიუსერი, ვიღაც გარეკილი სტილისტი, ინგლისელი მხატვარი და ფინანსური დირექტორი ახლახან გადაჭიმული კანით. ჩარლი დაგენაძლევა, ვინც პირველი წარმოთქვამს სიტყვებს „ანქსიოგენური“ და „მინორიზირება“[I], „აპიციაში“ კაი ქეიფს გაირტყამსო.

სიტყვას იღებს ტელეპროდიუსერი:

- 12-ში ჩატარებულ კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებებში შესწორებები შევიდა. ჩვენ კიდევ სხვა კასტინგების შედეგებს ველოდებით, თუმცა ენრიკე იწუნებს თქვენი სააგენტოს პროექტს. ახლა კი ჩანაწერს გაჩვენებთ და ყველამ ერთად კიდევ ერთხელ ვნახოთ,

მაგრამ როგორც ხდება ხოლმე ამ ტიპის თავყრილობებზე, ვიდეომ გაჭედა და ამდენ ხალხში კაციშვილმა არ იცოდა რა ექნა. ეგრევე ვიღაც ფინაჩ მექანიკოსს დაუძახეს, რადგან იქ მყოფი 14 კაციდან, რომელთა წლიური ხელფასი ერთად მილიონ ევროზე მეტია, არც ერთი გაგებაში არ იყო, როგორ ჩაერთო აპარატურა, რომელსაც 6 წლის ბავშვიც კი ცალი ხელით და თვალდახუჭული რასაც უნდა, იმას უზამს. სანამ მხსნელი მოვიდოდა და გადამრჩენელ ღილაკს თითს დააჭერდა, რეჟისორი თავისი პროექტის ხმამაღლა კითხვას შეუდგა:

- არ უნდა გოგო სალიან ლამასი, იყავი ახალგასდა, სიცოსლე სავსე.

ენრიკე ბადუკულემ კარიერა გლამურ ჟურნალში ფოტოგრაფად მუშაობით დაიწყო. შემდეგ ფორთოხლისფრად გადაწყვეტილი სარეკლამო რგოლის ვარსკვლავი გახდა. ის განსაკუთრებით უფრთხილდება თავის ვენესუელურ აქცენტს, რადგან ეს ეგზოტიკური ნიუანსი მისი წარმატების მთავარი საწინდარია (დღეს დაახლოებით 500 უმუშევარი რეჟისორი ზუსტად მისი მეთოდით იღებს ანუ იყენებენ უამრავ ფილტრს, ახმოვანებენ ტრიპ-ჰოპის სტილში, მაგრამ ისინი არავის სჭირდება, რადგან მათი სახელი ენრიკე ბადუკულე არ არის).

- მე პირადად სალიან მომსონს, რომ ფირმის სახელი პირველივე კადრში ჩანს. მაგრამ უნდა იყოს ადგილი სემოქმედებისთვისაც, ასე ვპიკრობ.

ბადუკულე იმიტომ მოიწვიეს, რომ ჯო პიტკას არ ეცალა, ჟანბატისტ მონდინომ კი უარი განაცხადა. ყველას ხელში ტექსტის ქსეროქსები უჭირავს და დაწყებითი კლასის მოსწავლეებივით თითს აყოლებენ. უცებ, ყოველგვარი კაკუნისა და ბრაგუნის გარეშე, ლურჯხალათიანი მუშა შემოდის, მიიხედ-მოიხედავს, ამოიოხრებს და თვალის დახამხამებაში ვიდეოს რთავს.

[I] მინორიზირება (ფრ.) - შემცირება.

- მადლობა, ჟეჟე, - ეუბნება ჟეფი, - შენ რომ არ იყო, რა გვეშველებოდა!

- რა დებილებიცა ხართ, იმ დებილებად დარჩებოდით, - არ დაიბნა ჟეჟე და როგორც შემოვარდა, ისევ ისე გავარდა.

ჟეფს არ ეცინება, მაგრამ სხვა გზა არა აქვს და ჟეჟეს ნათქვამზე, თავისი ჭკუით გულიანად ხალისობს:

- ვა, რა ტიპია ეს ჩვენი ჟეჟე! რასაც ეგ არ იტყვის! გვეყოფა ახლა გართობა! აბა, ვნახოთ ახლა ეს ჩვენი კასტინგი!

ჟეჟეს სიტყვებით რომ ვთქვათ, თოთხმეტივე დებილი პირდაღებული შესცქერის წელს ზემოთ გაშიშვლებულ „უონდერბრას“ შავლიფიან მშვენიერ თამარას, რომელიც პირდაპირ კამერაში იყურება, ტუჩებს იკვნეტს და აცხადებს: „ეს ჩემი ოცნებაა, ძალიან მინდა მსახიობობა... ჩემს საქმიანობასთან შეთავსებით... მთელი დღე კასტინგებზე დავრბივარ... მაგრამ დღეს ბევრი მსურველია, სამუშაო კი ცოტაა...“ (სტოპ!).

შენ სასწრაფოდ სიტყვას იღებ და იქ მყოფებს ამცნობ, რომ ეს არის სამოყვარული კასტინგი, შემთხვევითი გადაღება „ძალიან საინტერესო მოდელისა და რომ ხვალვე დაუკავშირდებით ამ გოგოს, მისცემთ ტექსტს და ნამდვილ სინჯებს გააკეთებთ.

ალფრედ დიულერი კითხულობს, შესაძლებელია თუ არა, რომ გადაღების შემდეგ რეტუშირება გაკეთდეს, რათა მოდელის კანის ფერი უფრო ღია გამოჩნდეს.

- რა თქმა უნდა, რა პრობლემაა, ისე გავაღიავებთ, რომ კარენოი ფრანგისგან არ განირჩეოდეს.

დიულერის სარეკლამო სამსახურის უფროსმა, Zara-ს სამოსში ჩატენილმა ძეხვის ნაჭერმა, ასე ვთქვათ ქალმა, იმ შეხვედრაზე მხოლოდ ერთხელ ამოიღო ხმა:

- მთავარია სურვილი გავაღვიძოთ.

ერთი ამას დამიხედეთ, რა! კაციშვილი ვერა რისკავს მაგის გაჟიმვას, ეგ კი დღე და ღამე მუშაობს და თავისი ჭკუით, მილიონობით მომხმარებლის სურვილის გაღვიძება მოინდომა.

ტელეპროდიუსერი ბლოკნოტში გამალებით იწერს: „Ok თამარა, მაგრამ მაინც ერთი სინჯი გავუკეთოთ და კანი გავუღიავოთ“.

ალფრედ დიულერი თავისას ერეკება:

- მინდოდა კიდევ ერთხელ ხაზგასმით მეთქვა, რომ ძალიან ბედნიერები ვართ ენრიკესთან მუშაობით. კლიპის მისეული დემოვერსია შესანიშნავია. ძალიან კარგად ვიცით, რომ ენრიკე არის რეჟისორი, რომლის ხედვა რეკლამის ვიზუალურ ნაწილში ნამდვილად პროფესიონალურია.

(ამ სიტყვების სინქრონული თარგმანი: „ჩვენ ავირჩიეთ დამყოლი და უპრინციპო რეჟისორი, რომელიც უკვე გაყიდულ სცენარში არაფერს შეცვლის“).

- და კიდევ, ენრიკე, ძალიან ვაფასებ შენს ნათქვამს ფირმის თაობაზე. აქ ყველას მშვენივრად მოგვეხსენება, რომ პოეზიის მოყვარულთა კლუბში არ ვიმყოფებით, ძალიან მნიშვნელოვანია, კლიენტმა პირველივე კადრიდან დაინახოს ეკრანზე „მეგრელეტის“ ლოგოტიპი.

- კი, კი, მე ფიქრობს, პროდუქსის შეფუთვა იყოს სალიან ბრწკინალე.

- აი ზუსტად, რომ ეგრე იქნება! - სიტყვის დამთავრება არ დააცადა ჟეფმა, - მთელი სარეკლამო რგოლი განათებული იქნება მზით, მაგრამ ჩვეულებრივი მზე კი არ იქნება, არამედ რაღაცნაირი ნათელი და უმანკო.

საუბარში სტილისტი ერთვება:

- მართლაც ბრწყინვალე გამოვა თუ ტანსაცმელსაც ღიას და კაშკაშა ფერისას ავირჩევთ.

ქალმა საიდანღაც ფერადი მაისურები გააძრო და გაიქნ-გამოიქნია:

- აი, ასეთები შეგვიძლია ჩავაცვათ, ნათელი და თვალისმომჭრელად ლამაზი.

- გეთანხმებით, - კვერს უკრავს ერთ-ერთი ბრენდმენეჯერი, რათა გაამართლოს თავისი ყოფნა ამ სამიტზე და საერთოდ Madone-ის ფირმაში, - მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისეთი უნდა შევარჩიოთ, სადაც წელიწადის დრო არ იგრძნობა - ჩვენ ხომ მთელი წელი უნდა ვატრიალოთ ეს რგოლი.

- თუ დავუბრუნდებით იმას, რაც შეკრებაზე ითქვა 12 რიცხვში, - დასძენს ფინანსური დირექტორი, რომლის მიზანია გააკონტროლოს იმ რეკლამირებული პროდუქტის გამოშვება, რომლის ფულსაც Madone იხდის, გააკრიტიკოს ამქვეყნად ყველაფერი და შეამციროს ხარჯები (თავისი ხარჯების გამოკლებით), - გირჩევთ, რეკლამა იყოს უფრო გაბედული, უფრო პიკანტური... ხომ ხვდებით...

- აუცილებლად, პირობას აძლევს ჟეფი, - ეს ხომ უკვე გადავწყვიტეთ 12-ში!

ერთი უნდა მოგესმინათ, რა აღტყინებული კრიახებდნენ და ჟივჟივებდნენ. სტილისტი თავისი მოტანილი სამოსივით გაწითლებულიყო.

- აი, ეს მაისურიც წამოვიღე...

ყველა თავდაუზოგავად შეუდგა მაისურის ლანძღვას, სანამ არ შენიშნეს, რომ დამ კვეთს ზუსტად ისეთი ეცვა.

- მომისმინეთ, ერთი წუთით, - ამბობს ჩარლი, - ჩვენი კონტრაქტი კი საერთოა, მაგრამ რამე რომ იყოს, გადაღებების დროს სპონტანურად შეცვლის უფლება ხომ გვაქვს?

ყველამ მზერა ალფრედ-დიულერ-დიდ სირს მიაპყრო:

- იძულებული ვარ შეგახსენოთ, რომ საავტორო უფლებები სცენარზე Madone-ს ეკუთვნის და თუ მონტაჟის დროს რაიმე ცვლილებებს აღმოვაჩენთ, კლიპს აღარ მივიღებთ, ჩვენ თქვენთან გასაგებად ჩამოყალიბებული კონტრაქტი გავაფორმეთ. ამ პუნქტთან და კავშირებით კი მკაცრი და მომთხოვნი ვიქნები.

- აბა რა! - შეშინებული ეთანხმება ჟეფი, - ჩვენი სააგენტო თავის თავზე იღებს, რომ სარეკლამო რგოლში იქნება ყველაფერი ის, რაც დღეს გაჩვენეთ,

და ასე მისდევდა საათი საათს, ლაპარაკს კი ბოლო აღარ უჩანდა. ღამდება. შენ კი ზიხარ და მდივანივით ყველაფერს სიტყვასიტყვით იწერ, როგორც თანამედროვე კოშმარის ჟამთააღმწერელი. ეს კრება ხომ უმნიშვნელო დეტალი არ არის მესამე მსოფლიო ომის ისტორიაში.

- ჩაამატეთ სცენარში ზმნიზედა „ხარბად“. ეს თხოვნა არ არის, ეს მოთხოვნაა.

- ეს 30 წამი რაღა საჭიროა? იქნებ ყველაფერი ოც წამში ჩაგეტიათ და ყველა პლანი შეგემცირებინათ?

- კარგი, მივჭრით-მოვჭრით, მაგრამ იცოდეთ, კადრები აჩქარებული გამოვა.

- შევეცდებით ვიყოთ ძალიან ლაკონიური.

- თუ ტესტირებაზე ტექნიკური პრობლემა არ შეგვექმნება, ოცშიც ჩაგვეტევა.

- სცენარში სიტყვა „ხარბად“ შეიცვალოს სიტყვით „დაუძლეველი სურვილი“. ამაღლებული გრძნობებიც ძალიან მნიშვნელოვანია. მე ამას უბრალოდ მოვითხოვ.

- უნდა ვაჩვენოთ, რომ ეს ისეთი პროდუქციაა, რომლის დაგემოვნების სურვილსაც წინ ვერაფრით აღუდგები. შეგახსენებთ, რომ სანამ სარეკლამო რგოლი ეთერში გავა, წინასწარ ტესტირებას გაივლის ფოკუსჯგუფთან. თუ ჩვენ ერთმნიშვნელოვნად დადებითი შეფასებები არ გვექნება, რგოლს უბრალოდ მოვისვრით.

- მაშ ასე, გიკითხავთ პროექტს: „პროდუქტის მოხმარება: ხსნის რა „მეგრელეტის“ ქილას, დაუძლეველი სიამოვნებით მიირთმევს, თანაც კოვზით“.

- ოქტავ, რას ხედავ ამაში სასაცილოს?

- ცუდი არ იქნებოდა გვეჩვენებინა, როგორ მიდის გოგონა ქუჩაში და თან იოგურტი უჭირავს ხელში... ვიზუალს მოუხდებოდა.

- არავითარ შემთხვევაში! გამორიცხულია! „მეგრელეტი“ ქუჩა-ქუჩა ხელით სათრევი იოგურტი არ არის!

ცდილობ, არაფერი გამოგეპაროს და გამალებული იწერ, რადგან ეს ყველაფერი ძალზე რეალურია იმისათვის, რომ ლამაზი იყოს.

- მოდი, ახლა გადავიდეთ ნატურაზე. სიტყვა ეძლევა ტონის.

- ჩვენ დათვალიერება ბევრი სახლი მაიამის შემოგარენში და ბევრი ვარიანტ ნახა: ზალიან ღია და დიიდი ბაღით ან უფრო თანამედროვე, აი, ნახა ეს ფოტოები ვრსელი ვერანდათი; შეგვისლია სულაც გადაღება სამხრეთული სთილის ტრადისიული ფერმაში, არა?

- ხო, - ეუბნება ენრიკე, - შენ მოგსა რეკომენდასიონე. რას ურჩევ?

- მე მგონია, რომ კარგი კლასიკო სახლი და წინ დერეფანი, ეს ძალიან beautiful იქნება, ფიქრობ. მოსაწყენი კლიპი არ უნდა, ხო?

- მე okay, შენ თუ okay.

- ახლა დავუბრუნდეთ უშუალოდ პროდუქტის გადაღებას.

- აუცილებელია, რომ იოგურტი კარგად ჯდებოდეს გარემოში... როგორ გითხრათ... აბა, წარმოიდგინეთ, „მეგრელეტის“ ქილა ბალახებში, რათა ხაზი გავუსვათ ბუნების ფაქტორს.

- ეს თითქოს ძირითადი საკვები არ არის, მაგრამ ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოა.

- ჩვენი მთავარი და ყველაზე დიდი ღირებულება სიყვარულია, - დაასკვნა დიულერმა, - ჩვენი კლიენტები სიყვარულს ყიდულობენ (აი, ეს კი ნამდვილად მოეწონებოდა თამარას, ფიქრობ შენ). ჩვენ იოგურტს კი არ ვყიდით, არამედ დედის რძეს! აი, ამიტომაც Madone მსოფლიო ფირმაა! დედამიწას სიყვარული მართავს, ჩვენ მსოფლიო მასშტაბით უნდა ვიაზროვნოთ, და არა მარტო ვიაზროვნოთ, არამედ ვიმოქმედოთ კიდეც!

მოულოდნელად, ყოველგვარი დაკაკუნების გარეშე, ფილიპი შემოვიდა. კი თქვა, გააგრძელეთ თქვენ თქვენი საქმე, ნუ მომაქცევთ ყურადღებას, ისე მოიქეცით, თითქოს არც შემოვსულვარო, მაგრამ რად გინდა?! ყველაფერი თავიდან დაიწყო, კრების გახსნის მომენტიდან ბოლო წუთამდე. ხანდახან მისი მობილურის წკრიალი თუ აწყვეტინებდა ლაპარაკს მეორე წრეზე წასულებს.

- ეს არის ქალი, ამ სიტყვების სრული მნიშვნელობით. აცვია ჯინსი, გრძელსახელოიანი მაისური. თავიდანვე უნდა გაესვას ხაზი, რომ ეს ქალი ბუნებრივად ელეგანტურია, მაგრამ ცოტა არ იყოს, დაუდევარი სტილი აქვს.

- ერთი სიტყვით, წარმოიდგინე შერონ სტოუნი, ოღონდ შავგვრემანი და უფრო ახალგაზრდა,

- მერე და, რა დარწმუნებულები ხართ, რომ სადღაც ვალანსიენში მცხოვრები ჩვეულებრივი ოჯახის დიასახლისი მადამ მიშუ თავის თავს ამ მოდელთან გააიგივებს?

- ყურადღება მიაქციე: ტიპური საშუალო კლასის წარმომადგენელია, მაგრამ რაღაც უფრო ხალისიანია, თითქოს გეთამაშება და არც გეთამაშება!

- ძალიან ევროპული ვიდიც არა აქვს.

- არ იფიქროთ, რომ ჩრდილოაფრიკელების საწინააღმდეგო რამე გვქონდეს; რა თქმა უნდა, არა და არა! მაგრამ ისეთი მოდელიც არ გვინდა, რომ ჩვენმა სამიზნე აუდიტორიამ თავი მის სიახლოვეს ვერ წარმოიდგინოს.

- უფრო სამხრეთელის ტიპაჟია, მაგრამ თანამედროვე ტენდენციების მიხედვით მოდაში მუქი კანია, ხო ხვდები, რაღაც ინეს სასტრი-ჯენიფერ ლოპესი-სელმა ჰაიეკი-პენელოპა კრუსის ამბავში.

- სელმა ჰაიეკი ვიღაა?

- ენრიკემ ერთი ოთხმოცი გოგო მაინც გასინჯა და თქვა, ეს ყველაზე ტელეგენურიაო.

- ზუსტად ამ ფირმის ღირებულებაში ზის: თავისუფალია, სექსუალური; ერთი სიტყვით, თავიდან ფეხებამდე „მეგრელეტია“, რა.

- მართალია, პირდაპირ გადასარევი იქნება!

- ძალიან მაგარი!

- მეტყვით თუ არა, ვინ არის სელმა ჰაიეკი?

- თანაც საკუთარ ემოციებს მშვენივრად გადასცემს კამერას.

- ამ არჩევანის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ოღონდ განმეორებითი სინჯების შემდეგ.

„ქალაქგარეთ სახლის ატმოსფერო, წყნარი, მაგრამ დინამიკური; მწვანე ბალახი სამხრეთულ სტილში, ბუნებრივი ხმები, ჩიტების ჭიკჭიკი“.

- გახმოვანებისას ჭრიჭინების ხმას დავამატებთ.

- გამაგებინეთ, ბოლოს და ბოლოს, ვინ არის ეს სელმა ჰაიეკი!

- ერთი გოგო რა, მოდური ლათინოსებიდან.

- მისი სურათი ინგლისური Vogue-ს გარეკანზე იყო სექტემბრის ნომერში.

- აზრზე არ ვარ. ეგეთი არავინ გამიგია.

ისტერიკის ზღვარზე მისული სტილისტი მაგიდაზე მზის სათვალეებს ახვავებს: კლიენტმა უნდა აირჩიოს, რომელი გაიკეთოს თამარამ კლიპში, ოღონდ თავზე აწეული უნდა ჰქონდეს. 20-წუთიანი თავგანწირული მსჯელობის შემდეგ დაადგინეს, რომ ეს ყველა სათვალე გადაღებაზე წაიღონ და იქ გადაწყვიტონ, რომელი მოუხდება სიტუაციას (ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, გადაწყვიტეს, რომ არაფერი გადაწყვიტეს).

- ახლა, რაც შეეხება მუსიკას: ხუთი მუსიკოსის ჩანაწერი გამოგვიგზავნეს. მოვუსმინოთ, ხომ?

დემოვერსია 1

- ზედმეტად თანამედროვეა.

დემოვერსია 2

- ძაან მძიმეა.

დემოვერსია 3

- ძაან გოიმურია.

დემოვერსია 4

ნელია, ჩაგეძინება.

დემოვერსია 5

- მაგარი ბანძობაა!

პროდიუსერი ბლოკნოტში ინიშნავს: „მუსიკას გადამუშავება ესაჭიროება“.

- პირადად მე დეგუსტაციის მომენტის ქვემოდან გადაღების წინააღმდეგი ვარ. გოგონას ფიგურა დეფორმირებული გამოჩნდება. მე რაღაც უფრო კლასიკური მირჩევნია ბრენდინგის დონეზე.

აი, აქ ჩაიჭირა ჩარლიმ მომენტი და ქეიფიც მოიგო „აპიციაში“.

- თქვენ მიიჩნევთ, რომ ეს ანქსიოგენურია? არ არის პრობლემა, შეგვიძლია რგოლის მინორიზება.

გენერალური დირექტორი ფილიპი დგება და სანამ კრებას დატოვებს, ტელეპროდიუსერს მიმართავს:

- ძალიან კარგი კრება იყო, მარტინა! ბრავო, მშვენიერი ნამუშევარია... შენ აქ ახალი ხარ, არა? კეთილი იყოს შენი მობრძანება La Rosse-ში! მადლობა მარკს, რომ შენნაირ მხეცებს იყვანს სამუშაოდ.

- ფილიპ, მე მარტინა კი არა, მონიკა მქვია და შეგახსენებ, რომ უკვე ხუთი წელია რაც აქ ვმუშაობ, - უპასუხა ტელეპროდიუსერმა ამ სიტუაციაში სრულიად გასაგები ცივი ტონით.

7.

შენ უკვე საბოლოოდ გამეგრელეტდი - სამ თვეში 17 კილო დაიკელი. მა რა მოგივიდოდა, საკვებს პირიდან კი არა, ცხვირიდან იღებ. ყოველ დილით თაბაშირად ქცეული ცხვირით იღვიძებ. სამსახურში საღამოს 17:35 -ზე მიდიხარ და თუ მარკ მარონიე შენიშვნას მოგცემს, პასუხობ:

- გაფიცვას იქამდე ვაგრძელებ, სანამ არ გამაგდებ.

- ვერ გავიგე, რა გინდა. ხელფასი მოგიმატო?

- რა ხელფასი, რის ხელფასი?! მინდა ყველაფერს მივაფურთხო და მოვისვენო.

- გადაგიბირეს, არა? მაინც ვინ? - CLM-მ თუ BDDP-მ?

- არა-მეთქი გაიგე! აღარ მინდა, არაფერი აღარ მინდა! მორჩა! აღარ შემიძლია! ვერ ხედავ, რომ თანდათან უკან-უკან მივდივარ? შემომხედე რას დავემსგავსე, ცარიელი ძვალი და ტყავი ვარ!

- კაი, მაგრამ, არ გამიგია, კაცი იმიტომ გაეშვათ სამსახურიდან, გინდა თუ არა კეიტ მოსს რატომ დაემსგავსეო!

- მე შეიძლება, ტვინში სიმსივნე მაქვს!

- არ არსებობს! ტვინი არა გაქვს და სიმსივნე როგორღა გაგიჩნდებოდა!

- ხო, მაგრამ, ვერ ამჩნევ ხალხშიც რომ სულ უფრო და უფრო იშვიათად ვჩნდები?

- ვამჩნევ, მაგრამ სახელისთვის გვჭირდები, შენც გაიგე, რა!

შენ გაცვია ერიკ ბერჟერის კოსტიუმი, Saint Laurent Rive gauche-ის მამაკაცის ტანსაცმლის მაღაზიაში ნაყიდი პერანგი Hedi Sliman, ბერლუტის ფეხსაცმელი, ატარებ Royal Oak d'audemars piguet-ის საათს (სანამ Samsung Watch phone გამოვა, რომელიც ამავე დროს მობილური ტელეფონიც იქნება), Starckeys-ს სათვალეს, ნიუ-იორკში ნაყიდ Banana Republic-ის საცვლებს. ცხოვრობ სენ-ჟერმენ დე პრეზე, 5-ოთახიან აპარტამენტში, რომლის დიზაინერიც კრისტიან ლიეგრია.

აგრეთვე შენი საკუთრებაა:

- მუსიკალური ცენტრი Bang and Olufsen 10-დისკიანი ჩეინჯერითა და პულტით;

- თანამგზავრული GSM ტელეფონი ფაქსით;

- ლუი XV-ს სტილის 6 სკამი, რომლებიც მემკვიდრეობით გერგო წინაპრებისგან;

- „მის ვან დერ როეს“ ტაბურეტი „ბარსელონა“;

- ჟან პრუვეს წიგნის კარადა „პლეადის“ თხზულებათა სრული კრებულით (ერთიც არ გადაგიშლია);

მულტისისტემური ვიდეომაგნიტოფონი Sony;

- ახალთახალი ბრტყელეკრანიანი ტელევიზორი Philips;

- პორტატული DVD ფლეიერი Sony Glasstrom;

ორკამერიანი მაცივარი General Electric (მუდმივად გამოტენილი პეტროსიანის ზუთხის ხიზილალით, Petite auberge-ის ტრიუფელებიანი ბატის ღვიძლით და Cristal Roederer-ის შამპანურით) გიგანტური საყინულით და ყინულის ავტომატური დოზატორით;

- ციფრული ვიდეოკამერა Sony PCI (წონა 360 გ, სიმაღლე 12 სმ, სიგანე 5 სმ);

- ციფრული ფოტოაპარატი Leica Digilux Loom;

- 24 ბროლის ბოკალი Puiforcat;

- ჟან-ფრანსუა ჟონველის სამი ესტამპის[I] ორიგინალი;

- ბასკიას ტილო სიდიდით 3 კვმ და დევიდ ჰოკნის ნახატი;

- ჟან კოკტოს აფიშა;

- ემბანოზის ხის შავი Modenature-ს ჟურნალების მაგიდა.

- პიერ ლე ტანის, ედმონ კირას, რენე გრუოს, ჟან-ჟაკ სამპეს, ჟან-ფილიპ დელომის, ვუჩის, მატს გუსტავსონის[II] ნახატების ორიგინალები;

- „ურბან ოუტფიტერსის“ ტორშერი;

- ქიშმირის 8 ჩალისფერი და თეთრი ბალიში Maison de Famille-დან.

- ლეტიცია კასტას ჩარჩოში ჩასმული ავტოგრაფი;

- შენი პორტრეტები, რომელთა ავტორები არიან: მარიო ტესცინო, ელენ ფონ უნვერტი, ჟან-ბატისტ მონდინო, ბეტინა რეიმსი, დომინიკა ისერმანი;

- ფოტოები, სადაც გვერდს გიმშვენებენ: ინეს სასტრი, ჟერარ დეპარდიე, რიდლი სკოტი, ევა ჰერციგოვა, ნაომი კემპბელი, კარლა ბრუნი, დევიდ ლინჩი[35] და ტიერი არდისონი;

- სარდაფი გამოტენილი გაქვს ელიტარული ბორდოს ღვინოებით Augé-ს მარნიდან (ოსმანის ბულვარი, 116, პარიზი, 8): Chasse-Spleen, lynch bages, Talbot, Petrus, Haut brion, Smith haut Laffite, Cheva Blanc, Magaux, Latour, Mouton Rotchild.

- ათასი ცალი კომპაქტდისკი, DVD, CD-Rom და ვიდეოკასეტები;

- კაფე „ფლორასთან“ მთელი წლით იჯარით აღებულ პარკინგზე შენი BMWRZ3-ია გაჩერებული; მისივე ტყუპისცალი SDF კი - შენი სახლის წინ გარაჟშია;

- „ბერლუტის“ ფირმის ხუთი წყვილი ფეხსაცმელი;

- სამი წყვილი NIKE AIR MAX, ერთი წყვილი Adidas Micropacer (ქრონომეტრით და ნაბიჯების ელექტრომთვლელით);

- Hermes-ის სამი ქიშმირის პალტო და ლუი ვიუტონის 3 ზამშის პალტო;

- Dolce et Gabbana-ს 5 კოსტიუმი და 5-ც რიჩარდ ჯეიმსისა;

- ჰელმუტ ნიუტონის გიგანტური (50X70 სმ) ფოტოალბომი sumo (გამომცემლობა Taschen);

- ჰელმუტ ლანგის ჯინსის 5 შარვალი;

- 5 წყვილი გუჩის მოკასინი;

- Prada-ს 20 პერანგი და Muji-ს 20 მაისური;

- ქიშმირის 10 უმაღლესი ხარისხის პულოვერი და კიდევ 10 ასევე ქიშმირის ჯემპრი ლუსიან პელა-ფინესი (ყველაფერი, რაც კი ქიშმირისა არ არის, გარდა ვიკუნიასი, საშინლად გფხაჭნის);

- კედლის კარადა სავსეა ბოლო ათი სეზონის APC-ის ყველა სიახლით;

- რუბენ ალტერიოს ტილო;

- Culter and Gross-ის ათი წყვილი მზის სათვალე;

[I] ესტამპი (ფრ.) - რაიმე გამოსახულების ანაბეჭდი ქაღალდზე, გადაღებული თვით მხატვრის მიერ მომზადებული ფორმიდან.

[II] ცნობილი ფრანგი მხატვრები.

- კელვინ კლაინის სტილში მოწყობილი სააბაზანო (პირსახოცები, ხალათები, სასაპნეები, კოსმეტიკა, პარფიუმერია, გარდა ლოსიონებისა, რომლებიც „კილსის“ ფირმისაა (ნიუ-იორკი);

- ვარდისფერი ნოუთბუქი, რომელზეც ეს წიგნი იბეჭდება; კიდევ მეორე ლეპტოპი, ფორთოხლისფერი, უკაბელო ინტერნეტით და ფერადი პრინტერი Epson Styles 740.

კიდევ სხვა მრავალი ნივთი გაქვს ნაყიდი Colette-სთან. თუ Colette-ისა არ არის, ე.ი. Catherine Memmi-საა. და თუ არც Colette-ისა და არც Catherine Memmi-საა, ეს უბრალოდ ნიშნავს, რომ შენ შენს სახლში არა ხარ.

ძალიან იშვიათად სადილობ ისეთ რესტორანში, სადაც კაცი 100 ევროზე ნაკლები ჯდება. მოგზაურობისას მხოლოდ Relais et chateaux-ის ქსელის სასტუმროში ჩერდები. უკვე სამი წელია, როცა სადმე მიფრინავ, მხოლოდ ბიზნესკლასით მგზავრობ (სხვაგან მაშინვე კისერი გტკივდება) ქიშმირის საბანში გახვეული (თუ არადა, გფხაჭნის, იხ. ზემოთ). ინფორმაციისთვის გაცნობებთ, რომ პარიზი-მაიამი ბიზნესკლასი აქეთ-იქით 10.000 ევრო ღირს.

ყველა ამ ძვირფასი ნივთის პატრონი და ასეთ ფუფუნებაში მცხოვრები კაცი, ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, ვალდებულიც კი ხარ, რომ ბედნიერი იყო. მაშ, რატომ არ ხარ ბედნიერი? რატომღა იტენი ცხვირს ამ ნარკოტიკებით? განა შეიძლება უბედური იყოს კაცი, რომელსაც ანგარიშზე 2 მილიონი ევრო აქვს. თუ შენ ახლა გაღმა გადიხარ, მაშ გამოღმა რაღაა?

ორიოდე დღის წინ უნივერსიტეტის ქუჩაზე მაღაზია Bompoint-ის წინ იდექი და გულამოსკვნილი ტიროდი. უყურებდი ვიტრინაში გამოფენილ ხის თეთრ პატარა საწოლებს, დათუნიების ფორმის ნათურებს, სამი თვის ბავშვის ფაჩუჩებს, 55-ევროიან ნახატებიან წინსაფრებს, 94-ევროიან ციცქნა პულოვერებს და თავშეუკავებლად ქვითინებდი. შენი შემხედვარე კლიენტები მაღაზიიდან გულგახეთქილები გამორბოდნენ და დარწმუნებული იყვნენ, რომ ამ კაცმა, ახლა აქ რომ ყველას დასანახავად ღრიალებდა, შვილი დაკარგა ავტოკატასტროფაში. თუმცა შენ ხომ ავტოკატასტროფის გარეშეც კარგად მოახერხე საკუთარი შვილის დაკარგვა.

შენი უკიდეგანო სამზარეულოსკენ მიემართები, რომ რამე ჩახეთქო და შიმშილი დაიოკო. ულტრათანამედროვე მაცივართან მიხვედი. კარზე შენი ფიგურა ირეკლება. ნერვიულად აწვები ყინულის გამანაწილებელს. შენი Absolut-ის ჭიქიდან ყინული გადმოდის, მაგრამ ღილაკიდან ხელს არ იღებ და მალე სამზარეულოს მთელი იატაკი სრიალა, თეთრი ნატეხებით იფარება. შემდეგ „დაფშხვნილ ყინულზე“ აპროგრამებ და ღილაკს აწვები. შავი მარმარილო თოვლით გადათეთრდა. შენს ანარეკლს მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული მაცივრის კარზე უყურებ. მაშინ უფრო იოლი იყო ყველაფერი, როცა გამოუსწორებელ ბერბიჭასავით ცხოვრობდი და თანაც იცოდი, რომ აქ, სახლში ვიღაც შენს დაგვიანებაზე დარდობდა და მოუთმენლად გელოდა. ისეთ კაიფში ხარ, რომ არაყიც კი ჩალის ღერით შეისრუტე ცხვირში. გრძნობ, რომ კოლაფსი გიახლოვდება. სარკეში ხედავ, როგორ კარგავ ადამიანურ სახეს და არარაობად იქცევი. ნუთუ არ იცოდი, რომ სიტყვებს: ნარცისულს და ნარკოტიკულს ეტიმოლოგიურად ერთი ძირი აქვს? ყინულის მთელი რეზერვუარი იატაკზე დაცალე. ფეხი გისხლტება და ყინულის ათსანტიმეტრიან ფენაზე ეცემი. ცივ ნატეხებში იძირები. ნეტავ რა იქნება ამ უთვალავ მინიაისბერგში რომ დაიძინო? ჩაიძირო და ჩაინთქა, როგორც ზეთისხილი

უზარმაზარ ჭიქაში. „აბსოლუტში“ ჩაძირული „ტიტანიკი“. ხელოვნური ყინულის მოედანზე გდიხარ და ოდნავ განძრევაზეც კი აქეთ-იქით აწყდები. გაყინული ლოყით მარმარილოს ფილაქანს ეწებები. გარშემო იმდენი ყინულის ნატეხი გიყრია, ერთ პოლკს თავისუფლად გააგრილებდა. შენ თვითონაც ხომ პოლკი ხარ, ნაპოლეონის არმია, რუსეთიდან რომ კუდამოძუებული გამოიქცა. იატაკს ლოკავ, ცხვირიდან და ყელიდან წამსკდარ სისხლს ყლაპავ და სანამ გონება საბოლოოდ არ დაგიკარგავს, ასწრებ და მობილურით სასწრაფოს ურეკავ.

შ ე ვ ხ ვ დ ე ბ ი თ ზ უ ს ტ ა დ ა მ ი ს . . . შ ე მ დ ე გ

(სარეკლამო პაუზის შემდეგ)

ახალგაზრდა კაცი შედის სამრეცხაოში და ჩერდება უზარმაზარი, ორი მეტრის სიმაღლის მანქანაავტომატის წინ. შემდეგ, ჭრილში ყრის მონეტებს, ჯიბიდან იღებს სარეცხი ფხვნილის „არიელის“ პაკეტს, ფხვნილს მუჭაზე იყრის და ცხვირით იყნოსავს. შემდეგ, თავს გააქნევს, თითქოს შეყნოსილმა „არიელმა“ ძალა შემატაო, აღებს ავტომატის კარს, პირდაპირ ტანსაცმლიანი შედის შიგ და მანქანის დოლურაში ფეხმორთხმით ჯდება. მიიხურავს თუ არა კარს, ავტომატი ირთვება და კაცს აქეთ-იქით ისვრის, ყველა მიმართულებით ატრიალებს და ცხელ წყალს ასხამს. კამერა დოლურასთან ერთად ტრიალებს და მანქანის ბრუნვის სიჩქარეს აჩვენებს. უცებ ავტომატი ჩერდება და კაცი შიგნიდან ხედავს, რომ სამრეცხაოში შემოდის მინიბოლო კაბაში გამოწყობილი ლამაზი, მაცდური გარეგნობის ქალი. იგი უახლოვდება სარეცხ მანქანას, ხედავს შიგნით ახალგაზრდა კაცს, გამოაღებს კარს და უღიმის მას. კაცი საპნიან, აქაფებულ წყალს გადმოაფურთხებს. ქალი ხედავს მანქანის წინ დადებულ „არიელის“ პაკეტს, იღიმება, ბოლოკაბის ქვეშ ხელს შეიყოფს, იხდის ტრუსს და ახალგაზრდა კაცს მანქანაში შეუგდებს; მერე კარს მიკეტავს და მანქანას ჩართავს. ახალგაზრდა კაცი კვდება - წყალში იხრჩობა და საპნიან ბუშტებს უშვებს. ეკრანზე ჩნდება „არიელის“ ლოგო, პაკეტი და ტიტრი: „არიელულტრა“ - ულტრასისუფთავე სარეცხ მანქანაშიც კი“.

III

ის

„ეს იყო დრო, როდესაც მდიდარმა, მაღაზიამრავალმა და ზეგანვითარებული წარმოების ქვეყნებმა აღმოაჩინეს ახალი რწმენა, რომელიც მართლაც რომ ღირდა ხალხის მიერ ათასწლეულების განმავლობაში გადატანილ წვალებად და ძალისხმევად: ამ სარწმუნოების მიხედვით, ადამიანებს სამყარო ერთ უზარმაზარ საწარმოდ უნდა გადაექციათ“.

რენე-ვიქტორ პილე[36], „დამაწყევარი“, 1974

1.

„წითელი ჯვრის“ მონაცემების მიხედვით, დღეს მსოფლიოში მილიარდი კაცი ცხოვრობს ქოხმახებსა და ჯურღმულებში, მაგრამ ამას სულაც არ შეუშლია ხელი ოქტავისათვის, მადა კვლავ დაბრუნებოდა: შეხედეთ ერთი, როგორ იჭამს ფრჩხილებს და ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია. მარონიემ იგი ერთთვიანი სამკურნალო-დეზინტოქსიკაციის კურსის ჩასატარებლად გაგზავნა ბელვიუს ფსიქიატრიულ კლინიკაში (მედონი, 11 ნოემბრის ქუჩა, №8), რადგან სუასონში კეიტ ბერის ცენტრი უკვე შევსებული იყო. სარეკლამო ბიზნესის მამები „ტურ დე ფრანსის“ ექიმი-ბარიგებივით იქცევიან: რეკორდების დასამყარებლად თავიანთ ჩემპიონებს ჯერ ნარკოტიკებით ტენიან და მერე, კისერს რომ მოიტეხენ, ნაწილ-ნაწილ კრეფენ. ამიტომაც გადაინაცვლა ოქტავმა თავისი მდიდრული აპარტამენტიდან ფსიქიატრიულ კლინიკაში.

დილაობით პარკში სეირნობს; ცდილობს გვერდი აუაროს ასწლოვან მუხებსა და სულიერად დაავადებულებს. კითხულობს მხოლოდ იმ მწერლებს, რომლებმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს: ჰემინგუეი, კავაბატა, გარი, შამფორი, სენეკა, რიგო, პეტრონიუსი, პავეზე, ლაფარგი, კრეველი, ცვაიგი, დრიე, მონტერლანი, მიშიმა, დებორი, ლამარშ-ვალელი; თვითმკვლელ ქალებსაც არ ივიწყებს: სილვია პლატი და ვირჯინია ვულფი (თუ მხოლოდ ასეთ მწერლებს კითხულობ, ეს ნიშნავს, რომ ბევრს კითხულობ). კოლეგები გაეღადავნენ და ექსპრესფოსტით ფქვილ „ფრანსინის“ პაკეტი გამოუგზავნეს. თუმცა, მკურნალმა ექიმმა სათანადოდ ვერ შეაფასა ეს ხუმრობა. ჩარლიმ ნოუთბუქზე პორნოვიდეო გადმოუგდო, სადაც ქალს ცალი ხელი წინ აქვს შეტენილი, მეორე კი უკან. ოქტავს ღიმილი დაუბრუნდა. ჰპირდებოდნენ, რომ ექსპერიმენტული პრეპარატი BP-897 მალე ნარკოშიმშილს მოუხსნიდა. თუ ყველაფერი კარგად წავიდოდა, თავისი ცისფერი საბანკო ბარათის დანახვაზე ცემინებაც აღარ აუტყდებოდა.

სასადილოში ისეთი ახალ-ახალი ავადმყოფობების არსებობა შეიტყო, რომლებსაც ვერც კი წარმოიდგენდა. მაგალითად, სართულის მეზობელმა უთხრა, რომ იგი „შიდსოფილია“ (აქამდე გაუგონარი სექსუალური გარყვნილება).

- მე კამერით ვიღებდი გოგოებს, რომლებიც უგანდონოდ ჟიმაობდნენ შიდსიან ტიპებთან. გოგომ, რა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ ტიპი ინფექციის მატარებელი იყო.

შემდეგ კი უკვე ჩუმ-ჩუმად ვიღებდი ამ გოგოს, როცა ლაბორატორიაში მიდიოდა ტესტების პასუხებზე. და იმ მომენტში, როცა იგებდა, რომ ინფიცირებული იყო, ორგაზმს განვიცდიდი. კონვერტს რომ ხსნიდა, სწორედ მაშინ ვათავებდი. შიდსოფილია მე გამოვიგონე. რომ იცოდე, რა სიამოვნებაა ამ უბედურებს რომ დაინახავ, როგორ გამოდიან ლაბორატორიიდან ხელში ანალიზების პასუხით, სადაც გარკვევით წერია: HIV+ და ხმამაღლა მოთქვამენ! მაგრამ მერე იძულებული გავხდი გადაღებებზე ხელი ამეღო, რადგან პოლიციამ კასეტები ჩამომართვა. ჯერ ციხეში ჩამსვეს, მერე აქ გადმომიყვანეს. ვიცი, რომ მალე მოვკვდები, თუმცა, აქ კარგად ვარ, კარგად ვარ... კარგად ვარ... აქ კარგად ვარ... კარგად ვარ, კარგად ვარ, კარგად ვარ... აქ კარგად ვარ, კარგად ვარ...

კაცმა დაასლოკინა და სტაფილოს წვენიანი დუჟი გადმოუვიდა გაუპარსავ ნიკაპზე.

- მეც ეგრე ვარ, - უთხრა ოქტავმა, - ძალიან იშვიათი სექსუალური ფსიქოპათია მჭირს - მე ექსოფილი ვარ.

- ეგ რაღა უბედურებაა?

გარყვნილებაა, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ჩემს ყოფილ შეყვარებულზე ფიქრს ვერ ვიშორებ თავიდან. თუმცა, ახლა მეც კარგად ვარ, კარგად ვარ, კარგად ვარ, კარგად ვარ... აქ კარგად ვარ...

სოფი მის სანახავად არ მისულა. ნეტა თუ იცოდა, რომ ოქტავი საავადმყოფოში იწვა? სამი კვირის შემდეგ ოქტავს უკვე ეცინებოდა ბაღში სეირნობისას შიზოფრენიკების დანახვაზე, რომლებიც ერთმანეთს ეჯღანებოდნენ. ეს სანახაობა მშობლიურ სააგენტოს აგონებდა.

- ცხოვრება შედგება ხეების, მანიაკალურ-დეპრესიული ადამიანებისა და ციყვებისაგან.

უკვე დანამდვილებით იძლება ითქვას, რომ ოქტავს ცოტა მოეშვა: დღეში, სულ ცოტა, ექვსჯერ მაინც ანძრევს (წარმოიდგენს ანასტასიას, რომელიც ედვინას ულოკავს კლიტორს, ედვინა კი მის სპერმას ყლაპავს). ისე კი, შეიძლება, ოქტავი ჯერ კიდევ ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა.

ყველა ვარიანტში, უკვე დრო შეცვლილიყო. რაღაც დიდხანს მოუწია 80-იანებში ჩარჩენამ კოკაინით, შავი კოსტიუმებით, მაგარი მაყუთითა და ბანძი ცინიზმით. მას მერე მოდა ძაან შორს წავიდა: ახლა შენი მიღწევები და მაგრად გაქაჩული საქმეები ქვეყანას კი არ უნდა მოსდო, არამედ ხალხს თავი ისე უნდა მოაჩვენო, ვითომ ერთი ჯიბეგაფხეკილი უსაქმური ხარ. ხელმოცარულები ძალიან პოპულარულები იყვნენ ახალი საუკუნის დასაწყისში. პროფესიონალი სტახანოველები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტად დამსგავსებოდნენ გაუბედურებულ უმუშევრებს. სეგელას სტილი მოდაში აღარ არის - დასრულდა ხმაურიანი, გარუჯული, ძეწკვიანი და ვულგარული ბიჭების დრო; რიდლი სკოტისეული რეკლამების ხანაც წარსულს ჩაბარდა (ხომ გახსოვთ, ვენეციური შტორები და ჭერზე ვენტილატორი). რეკლამასაც, ისევე როგორც ყველაფერს, თავისი მოდა აქვს: 50-იანებში რეკლამა კალამბურზე იდგა, 60-იანებში - კომედიაზე, 70-იანებში - ახალგაზრდების ფართებზე, 80-იანებში - სანახაობაზე, 90-იანებში - კონტრასტებზე. ახლა კი უნდა გცმოდა ძველი „ადიდასები“, Gap-ის დაბრედილი მაისური, Helmut Lang-ის გახეხილი ჯინსები და წვერი ისე უნდა გაგეპარსა, რომ სამი დღის გასაპარსის დონეზე გქონოდა; თმა გაქონილი, ჩამოწეწილი კულულები, თავზე ჩამოფხატული ნაქსოვი ქუდი და გამოქლიავებული სიფათები, როგორც ჟურნალ Dazed ard confused-შია და შავ-თეთრ

კლიპებში, სადაც ფორმადა კარგულ გაჩხიკინებულ ტიპებს ტანზემოთ გაუხდიათ და გიტარაზე ყურისწამღებად აჟღარუნებენ (ან კიდევ ლიმუზინები, რომლებიც უხმაუროდ მისრიალებენ სიმწვანეში ჩაფლულ ხასხასაფერებიანი სახლების წინ და იქვე, პუერტორიკოელი ბიჭები, რომლებიც წვიმაში ფრენბურთს თამაშობენ). რაც უფრო ზღაპრული ქონების პატრონი იყავით (ინტერნეტის გამოჩენამ თქვენი სიმდიდრის ციფრულ გამოსახულებას კიდევ სამი ნული შემატა), მით უფრო შეგეფერებოდათ, რომ ბომჟს დამსგავსებოდით.

ყველა ახალგამოვლენილი მილიარდერი ძირგავარდნილი ბოტასებით იწონებდა თავს. ოქტავმა გადაწყვიტა, რომ როგორც კი კლინიკიდან გავიდოდა, მაშინვე თავის ტყუპისცალ ბოგანოს მისდგომოდა მოდის თანამედროვე ტენდენციებზე კონსულტაციის მისაღებად.

- უცნაური შეგრძნებაა: როცა პატარა ვიყავი, 2000 წელი სამეცნიერო ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა. ალბათ, ძალიან გავიზარდე, რადგან ეს წელი უკვე დადგა.

XIX საუკუნის ბოლოს აშენებულ ამ შენობაში ოქტავს ფიქრისთვის დიდი დრო ჰქონდა. როგორც ჩანს, მედონში დრო უფრო ნელა გადის. ოქტავი მინდორზე დასეირნობს და ორიათასწლოვან კენჭს იღებს. კბილის პასტის ტუბებისგან განსხვავებით, კენჭები არასოდეს კვდებიან. კენჭს შორს ისვრის, ხეებს მიღმა. თქვენ კი როცა ამ სტრიქონებს წაიკითხავთ, ის კენჭი ისევ იქ იქნება. გამორიცხული არ არის, რომ შემდეგი 2000 წელი კიდევ იქ ეგდოს და ადგილიდან არ დაიძრას. აი, ასეა ოქტავის საქმე კენჭის შურს (მოდი და ნუ შეგშურდება).

მერე კი წერს:

თმაზე მოგეფერო, მინდა,
მკვრივ სხეულს დავაკვდე შენსას,
შენს ზღვისფერ, უძირო თვალებს
მინდა მხოლოდ ჩემი ერქვას.

ვინაიდან გვერდით არავინ ჰყავს, რომ ეს ოთხტაეპედი მიუძღვნას, ბელვიუდან წამოსვლამდე, მეზობელ შიდსოფილს ჩუქნის:

- გაუგზავნე რომელიმე შენს მსხვერპლს. ნახე, შეიძლება იმანაც აღგაგზნოს, როდესაც დაინახავ იმ ქალის რეაქციას, რომელიც შიდსზე დადებითი პასუხის გარდა სხვა რამესაც კითხულობს.

- მაჩვენე, ერთი... ო, არა, არა, გიჟი ხომ არა ხარ... ლექსი კი არა,

სუფთა კილერის ფიქრებია.

2.

სანამ ოქტავი თავის სამსახურს დაუბრუნდებოდა, ჯერ სენეგალის სემინარი მოიარა. La Rosse ჯარივითაა: დროდადრო დაძაბული რეჟიმიდან სულის მოსათქმელად გამოსასვლელ დღეებს მოიწყობს ხოლმე. ამ დღეებს სამოტივაციო სემინარი ეწოდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 250 კაცი ავტობუსებში ჯდება და რუასის აეროპორტისაკენ მიქრის. წამსვლელებში რატომღაც მრავლად არიან გათხოვილი მბეჭდავები (ქმრების გარეშე), ანტიდეპრესანტებით გამოტენილი ნევრასთენიკი ბუღალტრები, მამაშვილურად მზრუნველი უფროსობა, მკაცრი, მაგრამ დიდძუძუებიანი ტელეფონისტი, ერთ-ერთი დირექტორი ქალი, ტიპური ქონიანი ძეხვი (თუმცა, რაც კადრების უფროსი ხმარობს, მაგრად გალამაზდა) და ბოლოს, რამდენიმე კრეატიული მენეჯერი, რომლებიც ნაძალადევად იცინიან, რათა უფრო მეტად დაემსგავსონ კრეატიულ მენეჯერებს. ყველა მღერის, ოღონდ არც ერთი სიმღერის ტექსტი ბოლომდე არ იციან - როგორც კარაოკეში, სიტყვებს რომ ვერ იხსენებენ, თვითონვე იგონებენ. მიდის გაქანებული ჭორაობა; ცდილობენ გამოიცნონ ვინ ვისთან დაწვება, ვინ ვისთან რას გააკეთებს. ოქტავი აბორიგენ ფარვანებთან შეხვედრას მოუთმენლად ელის: მათი უსაზღვრო შესაძლებლობები ძალიან შეუქო ერთმა დაქალმა, France2-ის რეპორტიორმა დოროთი ოლირმა. ახლა რაც შეეხება ოდილს: 18 წლისაა, ზურგმოშიშვლებული, თმაზე ლენტი აქვს შემოჭერილი, ფეხები შლოპანცებში გაუყვია, ჯინსის ჩანთა მხარზე გადაუკიდია, და თანაც, რაც მთავარია, „საკუთარ თავს შეკითხვებს უსვამს“.

როგორ უნდა გამოვიცნოთ, რომ გოგონა 18 წლისაა? სულ ადვილად: 18 წლის გოგოს არა აქვს ნაოჭები, არც თვალების ქვემოთ ე.წ. ჯიბეები, ლოყები ბავშვივით სავსე და სრიალაა, ფლეიერში უილ სმიტს უსმენს და „ცხოვრებისეულ საკითხებზე ფიქრობს“.

ოდილი რედაქტორ-სტაჟიორად აუყვანიათ ოქტავის არყოფნაში. ძალიან უნდა მდიდარი და გამოჩენილი იყოს, თავი კი ისე მოაქვს, თითქოს გულუბრყვილოა. ახალმოსულ გოგოებს ძირითადად ასეთი პოზა აქვთ დამხეცებული: ოდნავ ღია ტუჩები და ვითომდა გაოცებული, ფართოდ გახელილი თვალები. აი, როგორც ოდრი მარნეს აქვს ტერი რიჩარდსონის ფოტოსესიაში. დღევანდელ დღეს კარიერის შექმნის ხელოვნების მწვერვალი მიამიტობისა და უმანკოების თამაშია. ოდილი ოქტავს უყვება, როგორ წავიდა ერთ შაბათ საღამოს, თანაც სრულიად მარტო და როგორ გაიკეთა ენაზე პირსინგი.

- არა, არავითარი ანესთეზია! ტატუს კაცმა პინცეტით ენა გამომაყოფინა და ეგრევე ნემსი გამიყარა. მაგრამ, დამიჯერე, სულაც არ იყო მტკივნეული; უბრალოდ, ჭამის დროს ცოტა მოუხერხებელია. თავიდან გამირთულდა, იმიტომ, რომ ინფექციის გამო ანთება დამემართა და რასაც ვჭამდი, ჩირქის გემოს ვატანდი.

ოდილი შავ სათვალეს არაფრით იშორებს (მხედველობის კორექტორებიაო), კითხულობს მხოლოდ ანგლოსაქსურ პრიალაყდიან ჟურნალებს (Paper, Talk, Bust, Big, Bloom, Surface, Nylon, Sleazenation, Soda, Loop, Tank, Very, Composite, Frieze, Crac, Boom, Hue); ოქტავს გვერდით მიუჯდება და ფლეიერს იხსნის მხოლოდ იმის სათქმელად, რომ „არტეს“ გარდა ტელევიზორში არაფერს უყურებს. ოქტავი საკუთარ თავს ეკითხება, საერთოდ რატომ არის იქ და რა ჯანდაბას აკეთებს (რაც დაიბადა, თავის თავს მუდმივად ამ შეკითხვას უსვამს).

ოდილი მრავალსართულიანი სახლისკენ იშვერს ხელს:

- შეხედე, აგერ, იქ, სიტე-4000-ს; აი, მანდ ვცხოვრობ Stada de France-ის გვერდით. ღამით ისეთი ლამაზი განათებაა, თავი Indépentence Day-ში გეგონება! ხომ გახსოვს ეგ ფილმი?

ოქტავი ხმას არ სცემს. ოდილიც მისი დუმილით სარგებლობს, დროს არ კარგავს და საკუთარი და გვერდით მჯდომი კოლეგის ეპილაციის შედეგებს განიხილავს.

- ამ დილით კოსმეტოლოგთან ეპილაციაზე ვიყავი. ეს ლაზერული პირდაპირ საშინელებაა, ძაან მტკივნეულია, განსაკუთრებით ბიკინის ზოლი. მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან ეპილაცია ცხოვრებაში აღარ დამჭირდება.

მერე კი გააბეს:

- ჰო, მართლა, რომ ჩავფრინდებით, შემახსენე აეროპორტში საეპილაციო კრემი ვიყიდო.

- დაკარში რომელ საათზე ვიქნებით?

- სადღაც ღამის 12-ისთვის. პირდაპირ ღამის კლუბში უნდა გავვარდე. სულ რაღაც სამი საღამო გვაქვს და რაც შეიძლება მაგრად უნდა გავერთო.

- ფუ, ჯანდაბა! ლარა ფაბიანის კასეტა სახლში დამრჩენია!

- თვითმფრინავში მაკიაჟს ვიცლი, რომ კანი არ გამომიშრეს; ლოსიონით ვიწმენდ სახეს და მერე დამატენიანებელ კრემს ვისვამ.

- მე მანიკიურისა და პედიკიურის გა კეთებით ვერთობი. ჯერ ფეხებზე ვისვამ ლაქს; სანამ გაშრება, ხელებზე ვი კეთებ.

ოქტავი კონცენტრაციის მიღწევას ცდილობს. უნდა როგორმე გაძლოს უკოკაინოდ, ადეკვატურად აღიქვას რეალობა, გახდეს საზოგადოების წევრი, პატივი სცეს სხვებს, მიიღოს საყოველთაო თამაშის წესები. ოქტავს სურს კლინიკიდან გამოსვლა სათანადოდ აღნიშნოს და ყოველი შემთხვევისთვის ანკესს აგდებს:

- რას იტყვით, გოგოებო, ერთი კარგი ჯგუფური ორგია რომ მოვცხოთ? აქვე, ახლავე, ტრახ-ტრახ და მორჩა!

გოგოებმა ძალიან იუ კადრისეს და ერთი ამბავი აუტეხეს, რაც ოქტავს ესიამოვნა:

- ცხვირს მიხედე, შე საცოდავო (მინიშნება გასაგებია).

- შენთან დაწოლას სიკვდილი ჯობს!

ოქტავს მათ რეაქციაზე ეღიმება:

- ტყუილად ამბობთ უარს. საერთოდ, ქალები ეგრე ხართ: ან ძალიან გვიან ამბობთ ჰოს, როცა კაცი უკვე შეგეშვებათ, ან ძალიან ადრე, სანამ რამეს გთხოვენ. თანაც, ბოლომდე არ მომისმინეთ. მათქმევინეთ, იქნებ რას გთავაზობთ: 5.000-5.000 რომ ჩამოგირიგოთ, არც მაშინ?

- ერთი ამას უსმინეთ, რა! შენ აქ პუტანკები ხომ არ გგონივართ?!

- სარკეში ჩაიხედე, ბიჭო! 5.000 კი არა, 10.000-ადაც არავინ მოგცემს!

ოქტავი უკვე ხარხარებს:

- მინდა შეგახსენოთ, რომ თვით კაზანოვაც კი უხდიდა ფულს ხშირად თავის საყვარლებს. თქვენ რაღა გეტაკათ, ამაში სამარცხვინო და შეურაცხმყოფელი, მერწმუნეთ, არაფერია.

შემდეგ ფოსტით მიღებულ ექოსკოპიის სურათს უფრიალებს ქალებს ცხვირწინ:

- აბა, შეხედეთ ჩემს მომავალ შვილს! არც ამის ხათრით მომცემთ?

მაგრამ ამჯერადაც სასტიკი მარცხი განიცადა. Cite-4000 ავტობუსის უკანა სავარძელში მიიკუნჭა. ე.ი. რა გამოდის, ოქტავი ნაშებს ვეღარ აბამს, ეტყობა, საკუთარ თავში რწმენა და კარგა. თუკი არსებობს ისეთი რამ, რაც შეუთავსებელია ირონიასთან, ეს ნამდვილად ცდუნების უნარია. ერთ-ერთი გოგო ეკითხება:

- შემთხვევით, ინტერიერის დიზაინის რაიმე ჟურნალი ხომ არა გაქვს თან?

- რომელი გინდა Nevlook, Playboy თუ Penthouse?

- ჰა, ჰა, ჰა, როგორ გამაცინე! არ მოგწყინდა ხუმრობა, ჩემო საბრალო ოქტავ?

- ხვდები, რომ უკვე ვულგარული გახდი? მე კი მეგონა, რომ თავში ჭანჭიკები კარგად მოგიჭირეს.

- შენი მკურნალობა ნამდვილად უშედეგოა! ალცჰეიმერის სინდრომი აშკარად სახეზეა!

ოქტავი თვალებს ხრის და იასამნისფერ ფეხსაცმელში ჩაჭედილ საკუთარ ფეხებს დასცქერის (ამ ფეხსაცმლის ფასი საფრანგეთის მოქალაქის მინიმალური ხელფასის ტოლია). შემდეგ თავს სწევს და ხმამაღლა იწყებს წუწუნსა და ვიშვიშს:

- მოვრჩეთ ახლა ხუმრობას! შემიბრალეთ ქალიშვილებო! გიფიქრიათ ოდესმე, რომ ყველა, ვინც ქუჩაში გხვდებათ, ან ფეხით მოსიარულე, ან ისინი, ვინც მანქანით ჩაგიქროლებთ, ყველა, აბსოლუტურად ყველა, სასიკვდილოდაა განწირული? თუნდაც აგერ ის იდიოტი, Audi Quattro-ში რომ გამოჭიმულა, ანდა ის ორმოცი წლის ნევრასთენიკი, Mini Austin-ში რომ მარიაჟობს და ისე ჩაგვიქროლა, მგონი ვერც კი შეგვამჩნია. ისინიც, ვინც ამ მრავალსართულიან სახლებში ხმაურგაუმტარ კედლებს ამოფარებულან (თუმცა ხმაური მაინც შესდით), სულ ტყუილად ფიქრობენ, რომ მაგათ ვერაფერი მოერევათ. ეგენი ყველანი, ადრე თუ გვიან, ხრწნაშეპარული გვამების გროვად იქცევიან. რაც ჩვენი პლანეტა არსებობს, მასზე 80 მილიარდმა კაცმა იცხოვრა. კარგად დაიმახსოვრეთ ეს ციფრი: ჩვენ 80 მილიარდ ცხედარზე დავდივართ. ახლა ისიც გაიაზრეთ, რომ ჩვენ, ყველანი, რომლებსაც ჯერ კიდევ გვაქვს დრო, წარმოვადგენთ მომავალი გვამების გროვას, ხორცის აყროლებულ მასას. სიცოცხლე ერთი დიდი გენოციდია.

აი, ამჯერად კი გაუფუჭა ყველას ხასიათი და თავისი თავით მეტად კმაყოფილია. „მარკ ჟაკობის“ ზამშის ქურთუკის ჯიბეში ხელს იყოფს და ლექსომილის მწვანე ყუთს თითებით ეხება. ამ ყუთის არსებობა ისეთივე რწმენას მატებს, როგორც ციანიტის კალიუმის ამპულა აგულიანებდა წინააღმდეგობის მოძრაობის გმირს გესტაპოში დაკითხვის წინ ლორისტონის ქუჩაზე 60 წლის წინ.

3.

თვითმფრინავი სარეკლამო ბიზნესის ხალხითაა გაძეძგილი. ახლა უცებ რამე რომ მოხდეს და ეს ამხელა ჯართი მიწას დაენარცხოს, დედამიწაზე სამართლიანობასა და გულწრფელობას გამარჯვების რაღაც შანსი გაუჩნდება. მაგრამ ცხოვრება რატომღაც ისეა მოწყობილი, რომ რეკლამისტებით სავსე თვითმფრინავები არასოდეს არ ვარდებიან. ავიაკატასტროფებს ძირითადად ისეთი თვითმფრინავები განიცდიან, რომლებითაც მგზავრობენ ალალმართალი მოქალაქეები, ერთმანეთზე გადარეული შეყვარებულები, კაცობრიობის კეთილისმყოფელები, ან ისეთი თვითმფრინავები, სადაც იმყოფებიან ოტის რედინგი[37], ჯგუფი Lynyrd Skynyrd[I], მარსელ დადი[38], ჯონ კენედი უმცროსი. მსოფლიო კომუნიკაციის გარუჯული სპეციალისტები თავს უსაფრთხოდ გრძნობენ, რაც კიდევ უფრო მეტ ქედმაღლობას ანიჭებს მათ. ამ ხალხს ბირჟაზე მომხდარი კატასტროფები უფრო აშინებს, ვიდრე ჰაერში დატრიალებული უბედურებები. ნოუთბუქზე ამ ფრაზის ბეჭდვისას ოქტავს ეღიმება: იგი VIP პერსონაა, მდიდარია და ეშინია - ყველა ეს კომპონენტი ძალიანაც ეწყობა ერთმანეთს, Espace-127-ის სალონში „ვოდკა-ტონიკს“ წრუპავს (Espace-127-ში თქვენ სიამოვნებით აღმოაჩენთ ერგონომიულ და კომფორტულ სავარძლებს, რომლებიც 127 გრადუსით იხრება. ეს კი ადამიანის სხეულის საუკეთესო პოზაა უწონადობის მდგომარეობაში. ტელეფონებით, ინდივიდუალური ვიდეოპლეიერებითა და ხმაურსაწინააღმდეგო შლემებით აღჭურვილი Espace-127-ის სავარძლები უზრუნველყოფენ იდეალურ კომფორტს თქვენი მუშაობისა და დასვენებისათვის - გვამცნობს Air France Madame-ის რეკლამა).

ბიზნესკლასის სალონში სტრატეგიული დაგეგმარების განყოფილების მუშაკები არტმენეჯერებს ეჩალიჩებიან, დირექტორების მოადგილეები ტელეპროდიუსერებს ეღლაბუცებიან, საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი მდგრადი განვითარების მიმართულების დირექტორს ბაყვებზე ეთომარება (ნებისმიერ დაწესებულებაში ეგრევე გამოიცნობ რომელი გოგო ჟიმაობს კოლეგასთან. ასეთები სხვებისგან განსხვავებით ძალიან გამომწვევად იცვამენ). მთელი ეს ჯგუფური შმაშური ემსახურება „თანამშრომელთა შორის უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებასა და ადამიანური რესურსების წიაღში შიდა ურთიერთობების ოპტიმიზაციას“. ოქტავს უკვე დიდი ხანია ასწავლეს როგორ დაემორჩილოს თამაშის ამ წესებს. თანაც ცხოვრება ხომ დროის სულ მცირე ნაგლეჯია, რომელსაც სივრცეში მოტრიალე პატარა კენჭზე საცხოვრებლად გვანიჭებენ და ეს ციცქნა ნაგლეჯიც იმაზე ფიქრში ხომ არ უნდა გავლიოთ, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, როგორაა ცხოვრება ორგანიზებული? ჯობია თავიდანვე მივიღოთ თამაშის წესები ისეთი, როგორიც არის.

- ჩვენ გაგვწვრთნეს იმისათვის, რომ რასაც თავზე მოგვახვევენ, ულაპარაკოდ მივიღოთ. მე უფსკრულის პირზე ბორძიკით დავდივარ და ყოველ წამს შეიძლება გადავიჩეხო. ბოლოს და ბოლოს, რამდენს მახვეწნინებთ, მითხარით ახლა, რომელს გინდათ ჩემთან ჟიმაობა?

ადრე მის ასეთ პროვოკაციულ გამოხდომებზე ეცინებოდათ მაინც. ახლა კი ამ სიტყვების გაგონებაზე გარშემომყოფთ გული უმძიმდებათ.

[I] ამერიკული ფოლკ-როკჯგუფი

ამდენ ხალხში მარტოობა საშინელებაა. წამდაუწუმ ტელეფონის ავტომოპასუხეს ამოწმებს. პასუხი უცვლელია:

- ახალი ინფორმაცია არ შემოსულა.

ოქტავს ფილმის ყურებისას ჩაეძინა. ტომ ჰენქსი თამაშობდა (მსახიობი კი არა, სუფთა ძილის წამალია). ესიზმრება სექსუალური ორგიები ბაჰამის კუნძულებზე: ვანესა ლორენცოს და ჰაიდი კლუმს ხელით უსინჯავს გაპრიალებულ და სველ ფუჩუნებს. კბილებს აღარ ახრჭიალებს. ეჩვენება, რომ როგორც იქნა, თავი დააღწია უბედურებას, ერთი ნაბიჯით დაშორდა, მერე ორით, ცოტაც და უკვე საკმაო მანძილით დაშორდა საფრთხეს. ძლივს გასაგონი ხმით შვებით ამოიოხრა და დაასველა კიდეც „ლევისტრაუსები“ (501 მოდელი, 2001 წლის შემოდგომა-ზამთრის სეზონის „ნაღვლიანი ტროპიკები“).

როგორც იქნა, სააგენტო (იგივე Entreprise - დაწესებულება) მიწაზე დაეშვა. მიიღო ბარგი და იკარუსში ავიდა. ფუგენის სიმღერებს გაჰკივიან, მაგრამ მისი უსაზღვრო პესიმიზმისა არაფერი გაეგებათ. „უმღერე სიცოცხლეს, უმღერე ისე, / თითქოს იცი, რომ ხვალ უნდა მოკვდე“ და „შეიძლება ხვალამდე ანუ / შეიძლება სულაც სიკვდილამდე“. ოქტავი უცებ მიხვდება, სერიალ Star Trek-ში კოსმოსურ ხომალდს რატომ ჰქვია Entreprise: სააგენტო Rosserys and Witcherayt ძალიან ჰგავს ამ საფრენ აპარატს, რომელიც ვარსკვლავთშორის სივრცეშია გაშვებული არამიწიერი ცივილიზაციების საძებნელად. სხვათა შორის, ისიც გაახსენდა, რომ მის ბევრ კოლეგას წაწვეტებული ყურები ჰქონდა.

სააგენტო სასტუმროში მისვლისთანავე დაიშალა: ზოგიერთმა პროდიუსერმა ქალმა აუზს მიაშურა, სხვები მაღაზიებში გაცვივდნენ, დანარჩენები დასაძინებლად წავიდნენ. ვისაც არ ეძინებოდა, Roll's-ში წავიდა ოდილთან და მის ძუძუებთან საცეკვაოდ. ოქტავიც მათ გაჰყვა. ერთი ბოთლი Gordon's შეუკვეთა და განჯას ტარიანზეც არ უთქვამს უარი. პლაჟზე სიტუაცია ერთი შეხედვისთანავე იჩითება, რაც არის. შავკანიანი ნაშები ეგრევე გეტმასნებიან. ერთი მათგანი ოქტავს მიმართავს:

- წამოდი ჩემს ბინაში.

მაგრამ ვინაიდან კონა კრის აქცენტი აქვს, ოქტავმა ასე გაიგონა:

- წამოდი ჩემს წინაში.

მაგარი ღადაობა იყო. მერე ყველაფერი გაირკვა. ოქტავმა სახეზე ხელები აიფარა და წაიჩურჩულა:

- ჩემო კარგო, მე გოგოებს არ ვჟიმავ; მე მათ ვღუპავ!

ტურისტული კომპლექსი „სალი“, რომელსაც სენეგალის არმიის გაძლიერებული დაცვა ჰყავს, შედგება 15 სასტუმროსაგან. სააგენტომ თავისი არჩევანი „სავანაზე“ შეაჩერა, სადაც საწოლი ოთახები კონდიცირებულია, აუზები ღამით განათებულია და გარშემო სრული კომფორტია. იქვეა ჩოგბურთის კორტები, მინიგოლფის მოედანი, სავაჭრო ცენტრი, კაზინო და დისკოთეკა. და ეს ყველაფერი ატლანტის ოკეანის სანაპიროზე. ჰემინგუეის დროინდელი საფარის შემდეგ აფრიკა შეიცვალა. დღესდღეობით ეს არის კონტინენტი, რომელიც დასავლურმა სამყარომ სასიკვდილოდ გაწირა (1998 წელს აქ შიდსით 2 მილიონი კაცი გარდაიცვალა და ეს მოხდა ძირითადად იმიტომ, რომ წამლის დამამზადებელი ფარმაცევტული ლაბორატორიები, მაგალითად, ამერიკული Bristol-Muers-Squibb, უარს ამბობენ მედიკამენტების ფასის შემცირებაზე). აფრიკა საუკეთესო ადგილია იმისათვის, რომ საშუალო რგოლში მომუშავე კადრები წაახალისო და უფრო

მიზანმიმართულები გახადო: ამ შიდსითა და კორუფციით დაქცეულ მხარეში, სადაც ბოლო არ უჩანს უაზრო ომებსა და განუწყვეტელ გენოციდს, კაპიტალისტური ქვეყნების წვრილფეხა მოსამსახურეები ნდობით ივსებიან იმ სისტემისადმი, რომელიც მათ პურს აჭმევს. ისინი ყიდულობენ ტიპურ შავი ხის ნიღბებს, სუვენირებს, მსჯელობენ (ან ჰგონიათ, რომ მსჯელობენ) ადგილობრივებთან მომავალზე, ახლობლებს მზიანი პეიზაჟების ამსახველ ღია ბარათებს უგზავნიან სამშობლოში, რათა პარიზული ზამთრით გათოშილებს მათი ბედნიერება შეშურდეთ, სარეკლამო ბიზნესის ხალხს უჩვენებენ აფრიკას, როგორც თვალსაჩინო უარყოფით მაგალითს, რათა შვებამოგვრილთ კვლავ შინისკენ გაუწიოთ გულმა, მას შემდეგ რაც დაადგენენ, რომ სხვაგან უარესია. და მაშინ წლის დარჩენილი ნაწილი ასატანად მოეჩვენებათ. აფრიკა მათ კეთილდღეობას უფრო მეტ ფასს სძენს და ამართლებს. ვინაიდან ღარიბები იხოცებიან, მდიდრებს აქვთ უფლება იცოცხლონ.

არის ერთი გრიალ-სრიალი სკუტერებით ტალღებზე, პოლარ- ოიდების ჩხაკუნი, არავის არავინ აინტერესებს, ყველა ტონგაშია გამოწყობილი. აფრიკაში, როცა თეთრკანიანი შავ კანიანს მიმართავს, მის ხმაში უკვე აღარ ისმის გარდასულ დღეთა რასისტ-კოლონიზატორთა მოწყალე ტონი. ახლა საქმე უარესადაა: თეთრკანიანი შავკანიანებს ისეთი შემბრალებელი სახით უყურებს, როგორც სიკვდილმისჯილს საზიარებლად მისული მღვდელი.

4.

„სავანის“ აუზის პირას მიმდინარე საუბრების ნაწყვეტები:

დირექტორის მდივანი (წყალზე ლივლივებს) - რა კარგი წყალია!

ოქტავი - შენც კარგი ხარ.

რეკლამის განთავსების განყოფილების აგენტი გოგო (მანგოს ნაყოფს კბეჩს) - რა მკვრივი ბურთივითაა!

ოქტავი - მე შენი მკვრივი ბურთები მირჩევნია!

არტდირექტორის თანაშემწე (კაფეტერიისკენ მიდის) - წავიდეთ, დღეს პირში არაფერი ჩამიდია!

ოქტავი - ჩაიდე მერე; აქ არა მაქვს?!

მიდის პერსონალის ე.წ. მოტივირების პროცესი. დილის საათები თვითკმაყოფილების ჯგუფურ სეანსებს ეთმობა, სადაც სააგენტოს მუშაობის შედეგების ქება-დიდება მეცხრე ცას სწვდება. ტერმინები: „თვითდაფინანსება“ და „კრედიტების დაფარვის მრავალწლიანი განვადება“ წამდაუწუმ ისმის, რათა გაამართლონ თანამშრომლების საახალწლო პრემიების გარეშე დატოვება (ვინაიდან მთელი ფილიალის მიერ გამომუშავებული ფული საბოლოოდ უოლ სტრიტზე ვიღაც თავმოტვლეპილი ბეხრეკების ფერხთით იდება, რომლებიც პარიზში ფეხსაც არ დგამენ, სიგარებს აბოლებენ და მადლობის თქმასაც კი არ კადრულობენ. R and W-ის უფროსები, როგორც შუა საუკუნეებისდროინდელი ვასალები ან სულაც პუნიკური ომების მსხვერპლნი, მთელ წლიურ მოგებას აქციონერებს მიართმევენ, თან შიშით კანკალებენ, რომ ახალნაყიდი ვილის კრედიტის გადასახდელად ფული არ დააკლდეთ).

სადილის შემდგომი საათები ეთმობა კონსტრუქციულ თვით კრიტიკას, რომლის მიზანია მარკეტინგული პროდუქტიულობის შემდგომი გაუმჯობესების მეთოდების კვლევა. ოქტავმა ბევრი ყინული ჩაიყარა ჯინ-ტონიკში და ტურისტების დაავადება - ფაღარათიც დაირტყა. პრეზიდენტ ფილიპსა და მარკ მარონიეს დროდადრო გვერდზე გაჰყავთ და ყურში რაღაცებს ეჩურჩულებიან; ხო აზრზე ხართ რას ეტყვიან, აი, ეგეთ ამბავში: „ძალიან გვიხარია, რომ გამოძვერი იმ სიტუაციიდან; ახლა ამ თემაზე ლაპარაკს არ დაგიწყებთ, თავადაც ხვდები ალბათ, რომ შენს გიჟობებს გაგებით ვეკიდებით, თუმცა, რა გასაკვირია - ჩვენ ხომ თანამედროვე, გაგებული უფროსები ვართ; შენც აღარ წახვალ, ხომ?“ ეს ძმაბიჭური გვერდზე გაყვანები სულაც არ უშლის ხელს ფილიპს, შეახსენოს ოქტავს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია „მეგრელეტის“ წარმატებული გადაღებები სააგენტოსა და Madone-ის ჯგუფის წევრებს შორის კარგი ურთიერთობებისთვის.

- ამას წინათ ერთად ჩავატარეთ თათბირი სარეკლამო სტრატეგიის შემუშავების თაობაზე და კარგადაც შეგვჯორეს.

- დაიკიდე, პრეზიდენტო. ამჯერად აღარ ვაპირებ კლიენტს შევდგე და გადავუარო. ჰო, მართლა, კლიპისთვის ძაან მაგარი გოგო ვიპოვე.

- ჰო, ვიცი, ის მაროკოელი... მაგრამ გადაღების შემდეგ მოუწევს გაღიავება.

- მაგაზე ნუ იდარდებ. მაგის ფული ბიუჯეტში გათვალისწინებულია. აზრზე ხართ, რა შესაძლებლობები არსებობს დღეს? ვიყვანთ კარგ ტაკუცუნებიან გოგოს, დაასვამ მეორე

გოგოს სახეს, მიაბამ მესამე გოგოს ფეხებს, მეოთხეს - ხელებს, მეხუთეს - ძუძუებს. ერთი სიტყვით, გამოდის ადამიანის აჯაფსანდალი!

- იქნებ კლიპის გადასაღებად რეჟისორის მაგივრად ვინმე პლასტიკური ქირურგიის ცნობილი სპეციალისტი მოგვეწვია?

ოქტავს არ უნდა ყველაფერი ერთი ხელის მოსმით უარყოს, მაგრამ არც ის უნდა, ყველაფერში დაეთანხმოს და ერთი-ორი თავისებური არ გამოურიოს. ეს აშკარად მომწიფების ნიშანია. თუმცა, ბოლომდე თავი ვერ შეიკავა და იფეთქა:

- მაინც რატომ არ შეიძლება, რომ კლიპში მაროკოელი გადავიღოთ? აუცილებელია ჩვენც ზოგიერთი კლიენტივით ფაშისტები ვიყოთ? ყელში ამომივიდა უკვე ეს რასისტული მძღნერობები! Nike-მ პეტენის[39] სულისკვეთება დააბრუნა Nikepark-ის ბანერებზე; Nestlé-მ უარი თქვა შავკანიანების გადაღებაზე, თანაც რაში? კალათბურთის კლიპში! ახლა რა ვქნათ, ჩვენც იგივე გავაკეთოთ? მაგრამ თუ კაციშვილი ხმას არ ამოიღებს, სად მიგვიყვანს ეს ყველაფერი? ამ წყეულმა რეკლამამ სულ თავდაყირა დააყენა ყველაფერი: აზრზე ხართ, განდი[40] ყიდის Apple-ის კომპიუტერებს! ეს წმინდა ადამიანი, რომელიც ყოველგვარი ტექნოლოგიების სასტიკი წინააღმდეგი იყო, ბერივით ჩაცმული დადიოდა, თანაც ფეხშიშველი, გაიხედავ და ტექნიკის გამყიდველად არ ვაქციეთ?! პიკასო თურმე Citroën-ის ერთერთი მოდელი ყოფილა! სტივ მაკკუინი[41] „ფორდს“ დააგრიალებს, ხოლო ოდრი ჰეპბერნი Tods-ის მოკასინებით იწონებს თავს! არ გიფიქრიათ, რომ ეს საცოდავები საფლავში გადატრიალდნენ, რადგან ჩვენ აქ ისინი კომივოიაჟერებად[I] ვაქციეთ! ეს ცოცხალ-მკვდრების მზის დაბნელება და მკვდრების ჰოლოკოსტია[II]! ჩვენ გვამებით ვიკვებებით! ჩვენს საქონელს ზომბები ყიდიან! კი, მაგრამ ამ საზიზღრობას ხომ უნდა ჰქონდეს დასასრული?! ლატარიის სახელმწიფო კომპანიამ ახლახან ახალი ტირაჟით გაგვაბედნიერა და არ იკითხავთ ბილეთებზე ვინ იყვნენ გამოსახული? მაო, კასტრო და სტალინი! მოუნდათ ფულის გაკეთება! და ვინ შეაჩერებს ამ ბაკქანალიას თუ შენ, დიდო უფროსო ფილიპ, ხმას არ აღიმაღლებ მსოფლიო კომუნიკაციებში გაბატონებულ რასიზმისა თუ ნაციონალისტური იდეების ბატონობის წინააღმდეგ?!

- აუ, ეს რა ნუდნი გამხდარა, რაც კოკაინს შეეშვა! შენ რა გგონია, მე არ ვფიქრობ ამ საკითხზე? რა თქმა უნდა, ჩემთვისაც საშინელებაა მთელი ეს ჩვენი ნამოქმედარი, მაგრამ ამას გარდა, მე ცოლ-შვილზეც უნდა ვიფიქრო, ჩემო კარგო! თანაც, მეგალომანიით ისე არა ვარ შეპყრობილი, რომ რევოლუცია მოვაწყო, მთლად მიწასთან ნუ გაგვასწორებ, ოქტავ და ეცადე შეეგუო ამ ყველაფერს! საკმარისია ტელევიზორს არ უყურო და „მაკდონალდსშიც“ აღარასოდეს მოგინდება წასვლა! მთელი ეს სამძღნერეთი მარტო ჩემი ბრალი ხომ არ არის, თქვენც დიდი წვლილი მიგიძღვით მის შექმნაში, თქვენ ყიდულობთ ნაიკებს და ინდონეზიელი მონების მიერ შეკერილ სხვა ზმანებს. ადვილია იმ სისტემის ლანძღვა-გინება, რომელსაც თქვენ თავადვე ქმნით! და საერთოდ, გეყოთ ჩემი მანიაკად შერაცხვა მხოლოდ იმის გამო, რომ ფული მიყვარს! მე მგონი, არც თქვენ გეჯავრებათ! მაგრამ არის რაღაცები, რაც მეც თქვენსავით გულს მირევს. მაგრამ ახლა არ ვგულისხმობ გადასაღებად თეთრკანიანების შერჩევას, იმიტომ, რომ აქ ჩვენ ვერაფერს გავხდებით: ნამდვილი რასისტები მომხმარებლები არიან და არა რეკლამის შემკვეთნი. არც მიცვალებულებით

[I] კომივოიაჟერი (ფრ.) - სავაჭრო ფირმის აგენტი.

[II] ჰოლოკოსტი (ებრ.) - გენოციდი.

მანიპულაციები მიშლის ნერვებს: დიდი ადამიანები მარტო თავის თავს არასოდეს ეკუთვნოდნენ, ისინი ყველასი იყვნენ; ყველა გენია სიცოცხლეშივე სამარეში ტრიალებდა. არა, ჩემო ნორჩო გუჩი, მე სულ სხვა რამ მაცოფებს, კერძოდ კი, ეს მოდური დღესასწაულები და გაუთავებელი ტაშ-ფანდური, რომლებიც რეკლამისტებმა გამოიგონეს, რათა ადამიანები მუდმივად სადღესასწაულო აქსესუარების შეძენაში იყვნენ. უკვე აღარ შემიძლია იმის ყურება, თუ როგორ ეგება ჩემი ოჯახი ყოველ ასეთ ახალ სატყუარაზე. კარგი, ხო, შობა მაინც შობაა, ვერსად წაუხვალ, მიუხედავად იმისა, რომ სანტა კლაუსი ერთ-ერთი ამერიკული სადისტრიბუციო არხის გამოგონებაა, მაგრამ დანარჩენები? დედების დღეო (მადლობა მარშალ პეტენს), მამების დღეო, ბებიების დღეო, ჰელოუინი, წმინდა პატრიკის დღე, ვალენტინობა, რუსული ახალი წელი, ჩინური ახალი წელი, Nutras Weet-ის, Tupper Ware-2-ის და კიდევ ათასი ჯანდაბისა და დოზანის დღე! მალე კალენდარში წამლად ერთი თავისუფალი დღე აღარ დარჩება! ყველა წმინდანს 365 ლოგოტიპი შეცვლის!

- აი, ხომ ხედავ, უფროსო, რომ მე ცამდე მართალი ვიყავი, როცა პროტესტისკენ მოგიწოდებდი! ვერც მე ვიტან ჰელოუინს. ადრე გვქონდა მშვენიერი ყველაწმიდის დღე. რა გვინდოდა, რაში გვჭირდებოდა ეს ცხრა მთას იქიდან ყურით მოთრეული მაიმუნობა!

- არა, არა ესენი სულ სხვადასხვა რაღაცებია! ყველაწმიდის დღეს სასაფლაოზე მივდივართ მიცვალებულთათვის პატივის მისაგებად; ჰელოუინზე კი პირიქით, მკვდრები აქეთ მოდიან ჩვენს მოსაკითხად. მე თუ მკითხავთ, ძალიანაც პრაქტიკულია - სასაფლაოზე წასვლა აღარ გვჭირდება. ყველაფერი აქვეა, ერთი ხელის გაწვდენაზე... მიცვალებულები გამოძახებით: სიკვდილი კარზე ზარს გირეკავს! მაგათ უყვართ ეგეთი ფოკუსები: სიკვდილი ემსგავსება ფოსტალიონს, რომელსაც საშობაო კალენდრები დააქვს კარდაკარ.

- მე მგონი, ხალხს ათასჯერ მეტად ურჩევნია ურჩხულებისა და მოჩვენებების ფორმები გადაიცვან და გოგრაში ანთებული სანთელი ჩატენონ, ვიდრე ის, რომ გარდაცვლილ ახლობლებზე იფიქრონ და იდარდონ. მაგრამ მინდა შეგახსენო, რომ წეღან რომ ძალად შეთითხნილი დღესასწაულები ჩამოთვალე, ერთი, თანაც ყველაზე კომერციული, გამოგრჩა - ქორწილი, რომელიც მთავარი ობიექტია ინტენსიური სარეკლამო კომპანიებისა და იანვრიდან დაწყებული ყოველწლიური დღესასწაულებისა: Printemps-ის Galerie lafayette-ისა და bon marche-ს საქორწინო განყოფილებების სარეკლამო პლაკატები, ქალთა ყველა ჟურნალის გარეკანი მხოლოდ და მხოლოდ ტელევიზორიდან და რადიოდან მომდინარე ტ კბილი საწამლავია. ტვინგადაბრუნებულ ახალგაზრდა წყვილებს სჯერათ, რომ სიყვარულით ქორწინდებიან და ბედნიერებას ესწრაფვიან. არადა, სინამდვილეში იმიტომ ქორწინდებიან, რომ მერე მაგათ მივასაღოთ რაც შეიძლება მეტი ჭურჭელი, აბანოს პირსახოცები, ყავადანები, დივანი, მიკროტალღური ღუმელი...

- ჰო, მართლა, ერთი რაღაც გამახსენდა; ოქტავ, გახსოვთ Bariella-ს ამბავი რომ იყო და შენ რომ შემოგვთავაზე, ტიტრში ყოფილიყო სიტყვა „ბედნიერება“?

- აა, ხო, როგორ არ მახსოვს... მერე იურიდიულმა სამსახურმა რომ აგვიხსნა, არ შეიძლებაო.

- აი, ზუსტად ეგ! და არ გაინტერესებს რატომ არ შეიძლებოდა? თურმე ნუ იტყვით და „ბედნიერება“ უკვე Nestlé-ს მარკაში ყოფილა! ბედნიერება ეკუთვნის Nestlé-ს!

- ეგ სულაც არ მიკვირს. უკეთესს გეტყვი: თურმე Pepsi-მ გადაწყვიტა ლურჯი ფერი მიითვისოს?

- როგორ თუ მიითვისოს?

- როგორ და ჭრელად! ნაღდს გეუბნები: უნდა იყიდონ ლურჯი ფერი, გახდნენ მისი ბატონ-პატრონები და ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის: თურმე აფინანსებენ CD-ROM-ზე საგანმანათლებლო პროგრამების ჩაწერას, რომლებსაც მერე უფასოდ ურიგებენ დაწყებითი კლასის მოსწავლეებს. ბავშვები სკოლაში Pepsi-ს კომპიუტერებზე მეცადინეობენ და ეჩვევიან სიტყვა წყურვილის წაკითხვას Pepsi-ს ფერის ფონზე.

- ჰოდა, მერე უყურონ პეპსისფერ ცას, უციმციმებდეთ პეპსისფერი თვალები და როცა ველოსიპედებიდან გადმოყირავდებიან, მუხლები კი არ ჩაულურჯდებათ, არამედ ჩაუპეპსდებათ.

- Colgate-შიც იგივე ამბავია: ფირმა ურიგებს მასწავლებლებს ვიდეოკასეტებს იმ პირობით, რომ ბავშვებს ჩააგონონ კბილები მხოლოდ მათი პასტით გაიხეხონ.

- ჰო, ეგ მეც გავიგე. L'oreial-იც იმავეს არ აკეთებს Petit Dop-ის შამპუნით? ტვინი რომ გამოურეცხეს ბავშვებს, ეგ არ ეყოთ და ახლა თმას მისდგნენ!

ამ სიტყვებზე ფილიპს სიცილი წასკდა, მაგრამ ოქტავი ისევ თავისას უბერავდა.

- თუმცა, ცოტა გულზე მომეშვა, რომ თურმე ეს ყველაფერი შენთვის სულერთი არ ყოფილა...

- არა, მე, უბრალოდ, ვხვდები რაც მოგველის: რეკლამა იმიტომ იკავებს მთელ ადგილს, რომ იმ ადგილზე სხვა არაფერია. იგი ერთადერთი იდეალი გახდა. ბუნებას კი არ ეშინია სიცარიელისა, არამედ იმედს და შესაბამისად, ადამიანსაც.

- საშინელებაა! მოიცა, არ წახვიდე! რახან ამ თემაზე წავიდა ლაპარაკი, ერთ მაგარ ამბავს მოგიყვები. როდესაც რეკლამის შემკვეთები ჩაწოლილ საქონელს ვეღარ ყიდიან ანდა სულაც თავიანთი უხამსობამდე მისული ხელფასების გამართლებას მოინდომებენ, რეკლამისტებს უბრძანებენ, პროდუქტის შეფუთვა შეცვალონ. სააგენტოებს უდიდეს მაყუთს უხდიან სტილისტი კის შესაცვლელად. მერე იწყება გაუთავებელი თათბირები. ერთხელ, Kraft Jacobs Suchard-ში ვიყავი, აი, იმ ბიჭთან კაბინეტში, თავი ბოთლების სახეს რომ მიუგავს, აღარ მახსოვს რა ჰქვია... ანტუან პუასარი თუ პონშარი... მგონი, სულაც პოდარი თუ რაღაც ეგეთი...

- პუდარი ჰქვია, დაწყნარდი.

- ჰო, ჰო, პუდარი, მაგას კაცი როგორ დაივიწყებს... ერთი სიტყვით, მაჩვენა ყველა ლოგოტიპი, რაც კი შესთავაზეს და მთხოვა აზრი გამომეთქვა. თან უნდა გენახათ, რა აღტყინებული იყო! როგორ მოჰქონდა თავი! ორგაზმამდე აღარაფერი უკლდა. პირდაპირ იატაკზე ვისხედით და პროექტები წინ გვქონდა გაშლილი. ვისხედით ასე ფეხმორთხმულები ვალიზის შენობაში, ის სუფთად გაპარსული, Tintin et Milou-ს ჰალსტუხით გასკვანჩული, მე კიდევ ერთი შეხედვისთანავე რომ მეტყობა ვინცა ვარ. ვსვამდით გაცივებულ ყავას, რომელიც ბოლო 30 წლის განმავლობაში უხმარ, დამჭკნარ მდივან ქალს შემოჰქონდა ქოშინ-ქოშინით, პუდარს თვალებში შევხედე და ეგრევე მივხვდი, რომ ეჭვებს შეეპყრო, პირველად ცხოვრებაში თავის თავს ეკითხებოდა, რა ჯანდაბას აკეთებდა იმ კაბინეტში და საერთოდ, რისკენ ისწრაფოდა. მეც მაშინვე მოვუხიე, ნებისმიერი აირჩიე-მეთქი. იმანაც თვალები დახუჭა და იმ დახვავებული პროექტებიდან ერთი გამოაძრო, ისე, ალალბედზე, რაც ხელში მოხვდა, თან ბუტბუტებდა:

Am, Stram, gram, pic et pic et colégram, bour et bouret ratatam, am, stram, gram, pic, dam“[I]. და ახლა მის მიერ ეგრე ხელის ცეცებით ამოღებული ვარიანტის მიხედვით დამზადებული პაკეტი ევროპის ყველა სუპერმარკეტში მოგხვდებათ თვალში! მაგარი პარაბოლაა, რას იტყვით, აბა? „ჩვენი იმიჯი ალალბედზეა არჩეული!“

თუმცა, ოქტავს უკვე აღარავინ უსმენდა. ფილიპი სადღაც გაქცეულიყო. მას არ უყვარს იმ ხელზე კბენა, რომელიც პურს აჭმევს და ამიტომაც თავს არიდებს ხანგრძლივ კონფრონტაციებს. თავის უკმაყოფილებას შემოდებს ხოლმე იმ თაროზე, რომლის სახელია „საკუთარ თავზე დაცინვის ყოველთვიური სეანსი „ფუკესთან“ სადილებზე“. ამის გამოა, რომ ყოველ დილით სულ უფრო და უფრო გამოუძინებელი დგება.

ოქტავი ცხელ ჰაერს ისუნთქავს. ყურეზე აფრიანი ნავები უხმაუროდ დაცურავენ. სააგენტოს ყველა გოგომ იქაური წვრილ-წვრილი ნაწნავები გაიკეთა იმ იმედით, იქნებ იმან ბოუის[42] დავემსგავსოთო (შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა: დაემსგავსნენ, ოღონდ არა ბოუის, არამედ ბო დერეკს[43] ღრმა სიბერეში). საშინელ სამსჯავროზე რეკლამისტებსაც რომ გამოიძახებენ და ანგარიშის ჩაბარებას მოსთხოვენ, ოქტავს ალბათ ნაწილობრივ ჩათვლიან დამნაშავედ. მას გაასამართლებენ მხოლოდ როგორც ერთ რიგით უმნიშვნელო თანამშრომელს, რომელსაც ერთხელ თვითონვე შეეპარა ეჭვი თავისი საქმიანობის მართლგონიერებაში. მედონში ყოფნა ალბათ შემამსუბუქებელ გარემოებად ჩაეთვლება და სამსჯავროს გულმოწყალებასაც დაიმსახურებს. თანაც, მარონიესაგან განსხვავებით, მისთვის კანის „ლომებიც“ არასოდეს მიუნიჭებიათ.

ოქტავი თავის პლატონურ შეყვარებულ თამარას ურეკავს და თან სოფიზე ფიქრობს, საკუთარი ბავშვის დედაზე, ბავშვისა, რომელსაც ვერასოდეს ნახავს. ჯერ რა იცხოვრა და უკვე რამდენი რამ დაკარგა!

- გაგაღვიძე?

- გუშინ საღამოს Plaza-ში ერთი კლიენტი დავითრიე, - აჭიკჭიკდა თამარა, - შეიძლება არ დამიჯერო, მაგრამ იცი, რამხელა ჰქონდა? თითქმის ბავშვის მკლავისხელა. რა ჩალიჩი დამჭირდებოდა იმის შესატენად, აზრზე ხარ? „ა ღ ჭ ურ ვ ე თ თ ქ ვ ე ნ ი ს ა მ ა რ ე უ ლ ო ჩ ვ ე ნ ი კ ო მ ბ ა ი ნ ე ბ ი თ . . . ბ უ მ - ბ უ მ . . . გ ა ა კ ე თ ე თ კ ა რ გ ი დ ა ჭ კ ვ ი ა ნ უ რ ი ა რ ჩ ე ვ ა ნ ი . . .“

- რაო, ეს რაღა ოხრობაა?

- აა, ესა? ეს იცი რა არის? მაგარია... ტელეფონის ფულს არ ვიხდი. დროდადრო რეკლამებს უშვებენ, სამაგიეროდ, დარეკვა მუქთაა. რა, ცუდია?

- კი, მაგრამ, ასეთ იდიოტობას რატომ დათანხმდი?

- „კ ა ს ტ ო ს თ ა ნ ა რ ი ს ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი, რ ა ც კ ი ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ ა ხ ე ლ შ ე ს ა ხ ე ბ ი ა . კ ა ს ტ ო კ ა ს ტ ო რ ა მ ა“. . . რა მოხდა, არც ეგეთი საშინელებაა! მე, მაგალითად, უკვე მივეჩვიე. ხო, კაი, დაიკიდე. გუშინდელ კლიენტზე რომ გიყვებოდი, კიდევ კარგი, განგრეულ კაიფში იყო. კი უდგებოდა, მაგრამ ჩვარივით ჰქონდა. რაღას ვიზამდი? ავდექი და პატარა სტრიპტიზი ჩავუტარე იქვე, ლოგინში. მერე მითხრა, ფეხზე რომ დაგაყარო და ისე შევიყნოსო, რა მოხდებაო. ბოლოს ტელევიზორს ვუყურეთ და სულ 38 იყო რა. მშვიდობიანად დავაღწიე თავი. „I n t e r m a r c h e - ს ე ი ლ ე ბ ი ს მ უ შ კ ე ტ ე რ ე ბ ი“. რომელი საათია?

[I] უაზრო ფრაზები.

- სამი.

- აუ, ვკვდები ისე მეძინება. დილის 7 საათამდე Banana-ში ვიყავი. რა ამბავში ვიქნებოდი, ხო აზრზე ხარ?! ვეღარ ვიგებდი, სად ხელი მქონდა, სად ფეხი. ის კი არადა, მისაწებებელი წამწამები თვალების მაგივრად კბილებზე მივიკარი. აბა, შენ როგორღა ხარ, რას შვრები და საერთოდ, სად ხარ?

- სადა ვარ და სენეგალში. ძალიან მენატრები. იცი რას ვკითხულობ? „ფარვანების სფეროს გაფართოება“.

- მორჩი ახლა მაიმუნობას. წუხანდელ ამბებს ნუღარ მახსენებ, თორემ აქვე ვარწყევ, „Caillaux, Caillaux, Caillaux[I] - მარად მბრწყინავი ტორშერები“ - იმეორებს ექო. მოგვიანებით ხომ არ გადმომირეკავდი?

- შენ რა, მობილური ყურთან გიდევს? ფრთხილად იყავი, ხომ იცი, ფიჭური ტელეფონები თურმე დნმ-ს ანგრევენ. თაგვებზე ჩაუტარებიათ ტესტი და ნახეს, რომ მობილურებთან ახლოს მყოფების სიკვდილიანობამ 75% შეადგინა. მე რაღაც სპეციალური ბალიში ვიყიდე, რომ ტელეფონი პირდაპირ ყურზე არ მომედოს. შენც იყიდე, დამიჯერე. მე, პირადად, სულაც არ მინდა, რომ ტვინის სიმსივნე დამემართოს.

- კარგი რა, ტვინი სადა გაქვს, რომ სიმსივნეც დაგემართოს! „მომგებიანი შენ ამენების კონტინენტი“.

- მაპატიე, მაგრამ მაგ შენმა რეკლამებმა უკვე თავი ამატკივა. ახლა გავთიშავ და დაიძინე ჩემო ქურციკო, ჩემო ბერბერო, ჩემო „მარაკეშის[II]“ მხსნელო“.

თანამედროვე ადამიანის პრობლემა მისი ბოროტება და სიავკაცე არ გახლავთ. პირიქით, უმეტეს შემთხვევაში, წმინდა პრაქტიკულ მოსაზრებათა გამო, ადამიანი ცდილობს კეთილიც კი იყოს. იგი, უბრალოდ, ვერ იტანს მოწყენას. მოწყენილობა კაცს თავზარს სცემს; თუმცა, სინამდვილეში არაფერია უფრო კონსტრუქციული და კეთილშობილური, ვიდრე ერთი კაი ყოველდღიური დოზა უქმად დაკარგული დროისა, საუკუნედ გაწელილი ცარიელი წამებისა, კოშმარად ქცეული საყოველთაო გამოთაყვანებისა. ოქტავი მიხვდა, თუ რა არის ჭეშმარიტი ჰედონიზმი - ეს არის მოწყენილობა. მხოლოდ მოწყენილობა აძლევს ადამიანს საშუალებას, დატკბეს აწმყოთი, იმ კონკრეტული წამებით, რომელშიც იმყოფება. მაგრამ რატომღაც ყველა უკუღმა იქცევა. დასავლეთის მცხოვრებნი ოღონდაც კი როგორმე მოწყენილობას გაექცნენ და რაღას არ მიედ-მოედებიან: ეს ტელევიზორიო, კინოო, ინტერნეტიო, ტელეფონი, ვიდეოთამაშები, ჟურნალები. ისინი უკვე აღარ მონაწილეობენ იმაში, რასაც აკეთებენ. თითქოს საკუთარი ნებით კი არა, მინდობილობით ცხოვრობენ ამ ქვეყანაზე. თითქოს სამარცხვინო და რეპუტაციის შემლახველი იყოს ისუნთქო აქ და ახლა. კაცი, რომელიც ტელევიზორს უყურებს ან ინტერაქტიულ საიტზეა შემძვრალი, ან ვიღაცას მობილურზე ელაპარაკება, ან pleaystation-ზე თამაშობს, არ ცხოვრობს. ის არ არის იქ, სადაც არის, თითქოს სხვა სამყაროში გადავიდაი. შეიძლება მთლად არ მომკვდარა, მაგრამ ცოცხალიც აღარ ეთქმის. საინტერესო იქნებოდა, ვინმეს გამოეთვალა, რამდენ საათს ატარებს დღეში ასე „სხვაგან“ ადამიანი. სხვაგან ანუ არა იქ, სადაც ფიზიკურად ვართ. მალე ეს ხელსაწყოები მომსახურების ზონიდან გასულ აბონენტებად დაგვაფიქსირებს და მერე ვეღარავის

[I] საფირმო მაღაზიის სახელწოდება.

[II] მარაკეში - ქალაქი მაროკოში.

დააჯერებ, რომ აქ ხარ და არა იქ. ყველას, ვინც გართობის ინდუსტრიას აკრიტიკებს, სახლში ტელევიზორი აქვს. ხალხს, რომელიც მომხმარებელთა საზოგადოებას გმობს, ვიზაბარათი უდევს გულის ჯიბეში. ამ პროცესს წინ ვეღარაფერი აღუდგება. პასკალის შემდეგ არაფერი შეცვლილა: ადამიანი სიკვდილის შიშის დაძლევას გართობით ცდილობს. მაგრამ, ეს გართობა ისეთი ყოვლისმომცველი და ყოვლისშემძლე გახდა, რომ ლამის ღმერთი შეცვალოს. როგორ გავექცეთ გართობას? ამაზე ადვილი არაფერია: უბრალოდ, დავუმეგობრდეთ მოწყენილობას.

სამყარო ირეალურია, დროის იმ მონაკვეთების გამოკლებით, როცა მოსაწყენია.

ოქტავი მოწყენილობით ტკბება ქოქოსის პალმის ქვეშ. ბედნიერია, რადგან უყურებს ქვიშაზე სასიყვარულო აქტით დაკავებულ ორ კალიას და თან ბუტბუტებს:

- როდესაც დედამიწის ზურგზე ყველა თანახმა იქნება, რომ მოწყენილი იყოს, კაცობრიობა გადარჩება.

მაგრამ, სამწუხაროდ, მოწყენის ნეტარი წამები მარკ მარონიემ დაურღვია:

- შენ რა, სოფის საბოლოოდ შეეშვი?

- ჯერ არ ვიცი, დარწმუნებული არა ვარ. რაზე მეკითხები?

- ისე, უბრალოდ. შეიძლება ერთი-ორი წუთი დაგელაპარაკო?

- რო გითხრა, არა-მეთქი, შენსას მაინც არ მოიშლი და მეც იძულებული გავხდები, უფროს-უმცროსობის წესს დავემორჩილო და მოგისმინო.

- მართალი ხარ. ახლა გაჩუმდი და მომისმინე. „მეგრელეტის“ სცენარი ვნახე, Madone-ს რომ მიჰყიდეთ. რა საშინელებაა! ეგეთი სირობა თავში როგორ მოგივიდათ?

ოქტავმა ყურები მოისრისა, რათა დარწმუნებულიყო, რომ არ შემოესმა.

- მოიცა, მარკ, განა შენ თვითონ არ გვითხარი, რომ ეს ბანძობა გაგვეკეთებინა?

- მე? მე თქვენთვის მსგავსი არაფერი მითქვამს.

- შენ სკლეროზი ხომ არა გჭირს? რა, აღარ გახსოვს, 12 პროექტს რომ გვტენიდნენ და იმასაც კი გვეუბნებოდი, დროა ORSEC-ის გეგმა ავამოქმედოთო, ჩვენი ბოლო შანსიო...

- მაპატიე, რომ გაწყვეტინებ, მაგრამ მინდა ერთი რამ შეგახსენო: ახლახან ნამკურნალევი ჩაშვებული ნარკომანი შენა ხარ და არა მე. ამიტომ ძალიან გთხოვ, არაფერი შეგეშალოს, OK? ძალიან კარგად ვიცი, რას ვეუბნები ჩემს კრეატიულ მენეჯერებს. არასოდეს მოგცემდი იმის უფლებას, რომ ეგ არარაობა გეჩვენებინა ისეთი საამაყო კლიენტისათვის, როგორიც Madone-ია. უკვე ყელში ამომივიდა „მეგრელეტის“ საზოგადოებაში თავის მართლება და თქვენ მაგივრად საყვედურების მოსმენა. „მეგრელეტი“ იმისთვის, რომ იყოთ მსუბუქად, მაგრამ არა თავში“! რა არის ეს, რას ჰგავს, სულელებად რატომ გვთვლი ყველას?

- მოიცა, მარკ, მომისმინე. ჩვენ უკვე შევეჩვიეთ შენს გამოხდომებს კონტრაქტზე ხელმოწერის წინა პერიოდში. მაგრამ აქ ვეღარაფერს ვიზამთ. „მეგრელეტის“ სცენარი უკვე გაყიდულია, ტესტირებამ წარმატებით ჩაიარა, პროდიუსინგის წინა ეტაპმაც; ახლა აღარაფრის შეცვლა აღარ შეიძლება. მე დიდხანს ვიფიქრე და...

- მე შენ სამსახურში ფიქრისთვის არ ამიყვანიხარ. პროექტის გაუმჯობესება გვიან არასოდეს არ არის. სარეკლამო რგოლი ჯერ გადაღებული არ არის და ეკრანზეც არ გამოსულა, ჯერ კიდევ შეიძლება რაღაცების გადაკეთება. ახლა კარგად მომისმინე:

როგორც გინდა, ისე გამოძვერი ამ საქმიდან, მაგრამ შენ და ჩარლიმ სცენარი რამენაირად უნდა შეცვალოთ. ვერ ხვდები, რომ La Rosse-ის იმიჯი დააყენე ეჭვქვეშ?

ოქტავი უსიტყვოდ უქნევს თავს. წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა აქვს. მან მშვენივრად იცის, რომ მარკს La Rosse-ის რეპუტაცია კი არ აღელვებს, არამედ საკუთარი სავარძელი, საიდანაც შეიძლება ერთი ხელის დაკვრით მოისროლონ. თუ მაშინ, პირველ დღეს, ფილიპი თვითონ მივიდა მათთან დასალაპარაკებლად, ე.ი. Madone-იდან მაგრად მიაწვნენ. ჰოდა, ახლა გადაწყვიტა, ოქტავსა და ჩარლის შესდგომოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დღეს საღამოს სენეგალის ჰაერში ვიღაცის სამსახურიდან გაშვების სუნი დადგა და საუბედუროდ, ოქტავი მიხვდა, რომ ამჯერად მის გათავისუფლებაზე არ იყო ლაპარაკი.

5.

მეორე დღეს სასტუმროს ანიმატორმა სააგენტოს ხალხი ჯუნგლებში ექსკურსიაზე წაიყვანა. ამ ღონისძიების მიზანი იყო განუსაზღვრელი ვადით აყვანილი თანამშრომლებისთვის ეჩვენებინათ ნამდვილი აფრიკა და დაემტკიცებინათ, რომ ამისთვის ღირდა დროებით დაეტოვებინათ თავიანთი ოქროს გალია. რა თქმა უნდა, როგორც მოსალოდნელი იყო, აქედან არაფერი გამოვიდა: ვარდისფერ ტბასთან ჯიპებით მიაგრიალეს, უყურეს აფრიკულ ცეკვებს, გემო გაუსინჯეს მეშუის[I]. უბედურება კი ის იყო, რომ მთელი ეს ალიაქოთი წინასწარ დადგმული სპექტაკლი იყო. ისინი მხოლოდ იმიტომ წაიყვანეს იმ მიდამოებში, რომ შეემოწმებინათ ადგილობრივი პეიზაჟი რამდენად ჰგავდა ტუროპერატორების ბროშურებზე გამოსახულ თვალისმომჭრელ სანახებს. ტურიზმი ხომ მოგზაურს შემმოწმებლად აქცევს, აღმოჩენას - ინსპექტირებად, გაკვირვებას - კონსტატაციად, მოხეტიალე მგზავრს - ურწმუნო თომად. მთავარი კი ის იყო, რომ ოქტავს გაუმაძღარი კოღოები დაესივნენ. აქედან გამომდინარე, რაღაც თავგადასავალი კიდევ შესაძლებელი იყო, რადგან მას, როგორღაც მოეხერხებინა და ლიმონისარომატიანი სპრეი სასტუმროში დაეტოვებინა.

ვახშმის შემდეგ ჩატარდა სენეგალური ეროვნული შერკინების სეანსი, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ე.წ. სემინარის მონაწილე (Lacoste-ს მარკიან ზმანებში) და არარსებული ტომის მეომრები („ტარზანში“ რომ აბორიგენებს აცვიათ, ისეთ ფორმებში). ერთი სიამოვნება იყო იმის ნახვა, თუ როგორ გააგორეს Kangourou-ს ტრუსიანი მარონიე თიხაზე ტამტამების ყურის წამღები ხმაურის თანხლებით, გიგანტური ბაობაბის ძირში. ბენზინისგემოიან ღვინოს წრუპავდნენ, უცხოეთთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ცხენისკბილებიანი ქალი თავშეუკავებლად ხარხარებდა, ბუჩქებიდან ადგილობრივი ბავშვების დამშეული თვალები ავად ანათებდნენ, ჰაერში კაზამანსის ბალახისა და სანელებლებიანი უგემური ფაფის სურნელი იდგა. და ოქტავს კვლავ მოუარა სურვილმა გულში ჩაეკრა ცის კამარა, მადლობა ეთქვა სამყაროსთვის, რომ იყო აქ და არა სხვაგან, მართალია დროებით, მაგრამ მაინც.

მას მოსწონდა ეს მუდმივი სინესტე, რომლის დროსაც ხელები ასე ადვილად სრიალებს სხეულზე და კოცნას მწველი შეგრძნება ემატება, ასეთ დროს ყოველი წვრილმანი მნიშვნელოვანი ხდება, ყოველივე მატერიალური აზრს კარგავს, თვით სამუშაოზე თავგადაკლული ხალხიც კი ხვდება, რომ თუ დროდადრო არ შეისვენებს და სამყაროს მშვენიერებით არ დატკბება, მერე, უბრალოდ, ცხოვრების გაგრძელებას ვეღარ შეძლებს. ოქტავი ამ სავალდებულო ვოიაჟში ფეხათრევით წავიდა. მაგრამ მერე მიხვდა, რომ რაღაც ღვთიურს მიუახლოვდა, შეეხო რაღაც მარადიულს, მოეფერა სიცოცხლეს, მაღლა დადგა მიწიერ ამაოებაზე, ჩასწვდა ყოველდღიურობის სისადავის დიდებულებას. როდესაც ვიღაც ბარიგამ, მეტსახელად „ოქროს საბადომ“, განჯას ყოველდღიური დოზის პაკეტი გადასცა, ოქტავი პლაჟზე გაიშხლართა და აღმოხდა სახელი „სოფი“, რომლის წარმოთქმისას სუნთქვა ეკვროდა.

- სიყვარულს გულთან არაფერი ესაქმება. გული მხოლოდ და მხოლოდ ერთი საზიზღარი ორგანოა, სისხლის ამოსაქაჩი შლანგი და მეტი არაფერი. სიყვარული, პირველ

[I] მეშუი - არაბული კერძი.

რიგში, ფილტვებს ემტერება. ამიტომ, გული მტკივა სიყვარულის გამოო, - ამას კი არ უნდა ვამბობდეთ, არამედ უნდა ვთქვათ, - ფილტვები დამეხშოო. ფილტვები ადამიანის ორგანოებს შორის ყველაზე რომანტიკულია; ყველა შეყვარებული ტუბერკულოზითაა დაავადებული. სულაც არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ ამ დაავადებით გარდაიცვალნენ: ჩეხოვი, დ.პ. ლოურენსი, ფრედერიკ შოპენი, ჯორჯ ორუელი და წმინდა ტერეზა ლიზიელი. ხოლო რაც შეეხება კამიუს, მორავიას, ბუდარს, მარია ბაშკირცევას[44] და ქეთრინ მენსფილდს[45], განა შეძლებდნენ ზუსტად ისეთივე წიგნების დაწერას ამ ავადმყოფობის გარეშე?! სხვათა შორის, არც ქალი კამელიებით[46] გარდაცვლილა მიოკარდიუმის ინფარქტით. ეს სასჯელი მხოლოდ დეპრესიული კარიერისტებისთვისაა განკუთვნილი და არა უნუგეშო შეყვარებულებისათვის.

ოქტავი კაიფში იყო და საკუთარ თავს ელაპარაკებოდა:

- ყოველი ადამიანის სულში მთვლემარე სასიყვარულო სევდაა ჩაბუდებული. გული, რომელიც სიყვარულს არ უტკენია, გული არ არის. ფილტვები ტუბერკულოზს ელოდებიან, რათა საკუთარი არსებობა შეიგრძნონ. მე ვარ თქვენი ფთიზიკური[I] აღზრდის მასწავლებელი. თითოეული ჩვენგანი ლამაზ ყვავილს უნდა ელოლიავებოდეს გულის სიღრმეში ისევე, როგორც ქლოე „დღეების ქაფში“[47]. ანდა მადამ შოშა[48] „ჯადოსნურ მთაში“. მიყვარდა მძინარეს რომ გიყურებდი მაშინაც კი, როცა შინ ვბრუნდებოდი გვიან, ნალოთავები, შენ კი თავს იმძინარებდი. ჩამოგიჯდებოდი საწოლზე და შენს წამწამებს ვითვლიდი, ხანდახან მეჩვენებოდა, რომ იღიმებოდი. შეყვარებული მამაკაცი ის არის, რომელსაც უყვარს ჩაძინებული ქალის ყურება და კიდევ იმ ქალის ყურება, რომელიც ათავებს. სოფი, გესმის თუ არა ჩემი, მიუხედავად ჩვენ შორის გაწოლილი ათასობით კილომეტრისა, როგორც SER-ის რეკლამაშია? რატომ ხდება ისე, რომ როცა შორდები, მაშინ ხვდები, როგორ გიყვარს? ნუთუ ვერ ხვდებოდი, რომ მხოლოდ ერთი რამ მინდოდა შენგან: ცოტა ტკივილი მოგეყენებინა ჩემთვის, სულ ცოტა ფილტვების ტკივილი.

მაგრამ ამ დროს პლაჟზე თითქმის ბოლომდე გაშიშვლებული მბეჭდავები და დიდძუძუებიანი სტაჟიორი ოდილი მოლაგდნენ. წრეში ტარიანი დაატრიალეს და ზედ მრავალი ორაზროვანი ხუმრობაც მოაყოლეს:

- არა რა, ჯგუფურს არაფერი ჯობია!

- ვწუწნი, ვწუწნი და არაფერი არ მოდის!

- დარწმუნებული ხარ, რომ ყლაპავ?

- დიდი სიამოვნებით გავიმეორებდი კიდევ, მაგრამ ხმარებამდე საწუწნი უნდა გარეცხოთ!

ახლა ეს ყველაფერი ძალიან უხამსად გამოიყურება, მაგრამ მაშინ, იმ სიტუაციაში, ძალიან სასაცილო იყო.

ყველა მამაკაც თანამშრომელს მხრებზე პულოვერები მოუგდია და ისე დასეირნობენ. ზოგიერთს სახელოები გაუნასკვავს, ზოგიერთს კი დაუდევრად მოუცვამს „რალფ ლორანის“ ვარდისფერ პერანგზე. ოქტავს ეს ყველაფერი დაუშვებლად მიაჩნია და თავისთვის გიჟდება.

[I] ფთიზიატრია - მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს ფილტვების ტუბერკულოზს და მისი მკურნალობის მეთოდებს.

-ვერ გავიგე, რატომ შემოუჭერია კისერზე ამ ხალხს ეს პულოვერები? ან ისე უნდა ქნა, ან ასე. თუ გცივა, ჩაიცვი და თუ გცხელა, სახლში დატოვე. კისერზე შემოხვეული პულოვერი ნათლად აჩვენებს, რომ პიროვნება მხდალია, გადაწყვეტილებას ვერ იღებს, ეშინია ორპირში გაცივების, უნებისყოფოა და შოტლანდიური შალით უსწორდება (იმიტომ, რომ წუწურაქია და ქიშმირში ფულს ვერ იმეტებს). შემოუხვევიათ ყელზე ეს დონდლო რვაფეხები მხოლოდ იმიტომ, რომ აზრზე არ არიან, რომელ ამინდში რა ჩაიცვან. ვისაც პულოვერი მხრებზე აქვს მოგდებული, მშიშარა, უშნო, საცოდავი და სუსტია. გოგოებო, შემომფიცეთ, რომ ასეთ ტიპებს, როგორც ჭირიანებს, ისე მოერიდებით! შორს მხრებზე მოგდებული პულოვერების დიქტატურა!

მერე დაღამდა. ღამეს დღე მოჰყვა, დღეს კი ლანგუსტების ბარბეკიუ. ვინ იყო, აქ რომ დეკოლონიზაციაზე მელაპარაკებოდა? ვერაფერი ისე ვერ აქცევს ქვეყანას კოლონიად, როგორც მსოფლიო რეკლამა. სადღაც მიყრუებული ქვეყნის გადაკარგული კუთხის წვირიან ქოხში Nike-მ, Coca-Cola-მ, Cap-მა და Calvin Klein-მა საფრანგეთი, ინგლისი, ესპანეთი და ბელგია შეცვალეს. ზანგებს ისღა დარჩენიათ, ნასუფრალით დაკმაყოფილდნენ: თავზე გადასდით პირატული კასეტები, ყალბი Rolex-ები და Lakoste-ები, რომელთა ნიანგები პირველივე გარეცხვისთანავე უკვალოდ ქრება. ვარდისფერი ღვინო ცოტა თავში აუვარდა, მაგრამ განა ამისთვის არ არის აქ? რვა კაცმა 17 ბოთლი დალია. ჩარლის ვეღარ აკავებენ, სულ აიწყვიტა: გიჟივით ყველა ღონისძიებაში მონაწილეობს, რასაც კი სასტუმროს ადმინისტრაცია აწყობს: მატარებლობანაო, კარაოკეო, კონკურსი სველი მაისურებით, თან შიგადაშიგ „მაკდონალდსის“ სათამაშოებს ურიგებს ადგილობრივ ბავშვებს, რომლებიც განუწყვეტლად ყვირიან: „სათამაშოები! სათამაშოები!“

ოქტავმა იცის, რომ ორშაბათიდანვე ამ სიყალბეს ბოლო მოეღება. მაგრამ როდესაც ტყუილი მთავრდება, ეს არ ნიშნავს, რომ სიმართლე იწყება. ფრთხილად იყავით. ერთი ტყუილი თავის თავში შეიძლება მეორე ტყუილსაც შეიცავდეს.

ღმერთო ჩემო, რა რთულადაა ყველაფერი მოწყობილი: შეიძლება ერთ ხაფანგს დააღწიო თავი, მაგრამ იქვე ორში ერთად გაება.

ჩარლიმ ზურგზე ხელი დაუტყაპუნა. ოქტავმა შეკეთებული ულუფა მიაწოდა.

- ერთი მითხარი, იცოდი, რომ Pepsi-ს ლურჯი ფერის დათრევა უნდოდა?

- ვიცოდი, აბა, მე გამომეპარებოდა? ეგაც ვიცი და სიტყვა ბედნიერება რომ Nestlé-ს ეკუთვნის, ეგაც ხომ იცი, ყოველთვის ყველაფრის აზრზე ვარ.

- მაგარი ხარ! აბა, ერთი ამას შეხედე! („ლე მონდის“ ნომერს უფრიალებს ცხვირწინ). აი, კიდევ ერთი სიახლე შენი მომავალი წიგნისთვის: თურმე მედიამეტრიის ინსტიტუტს მაყურებელთა აუდიტორიის კვლევის ახალი სისტემა შეუმუშავებია. ეს არის მოწყობილობა ინფრაწითელი გამოსხივების კამერით თვალის მოძრაობის დასაფიქსირებლად და გადამცემით, რომელშიც ჩართულია მიკროფონი, პროცესორი და მეხსიერება ყურის მუშაობის დასაფიქსირებლად. ბოლოს და ბოლოს, შეძლებენ დაადგინონ რას უსმენენ და უყურებენ მომხმარებლები, თანაც, არა მხოლოდ სახლში, ტელევიზორის წინ, არამედ მანქანაშიც, სუპერმარკეტშიც; ერთი სიტყვით, ყველგან და ყოველთვის! დიდი ძმა თვალყურს გადევნებთ!

ჩარლიმ მოქაჩა და ხველა აუტყდა. ოქტავი სიცილით კვდებოდა.

- მიდი, მიდი, ახველე, მისტერ მეციხოვნევ. ამაზე უკეთესს მაინც ვერაფერს გააკეთებ ამ სიტუაციაში! ისე, ორუელი სწორად მოიქცა, რომ ჭლექით მოკვდა. ზუსტადაც რომ დროზე მოუსწრო ჭლექმა და თავისი თვალით ვერ ნახა, რომ არ ცდებოდა.

სამოტივაციო სემინარი კოლექტიური უტოპიით დაიწყო. რატომღაც უცებ ყველანი თანასწორი გავხდით. მონები ბატონებს შენობით მიმართავენ - აშკარად სოციალური ორგიაა. ყოველ შემთხვევაში, პირველ საღამოს ასე იყო. მაგრამ მეორე დღიდანვე უკვე კლანები ჩამოყალიბდა, ერთმანეთში აღარ ირევიან, თუ არ ჩავთვლით ღამეს, როცა ერთმანეთს ოთახების გასაღებებს უცვლიან. გუშინდელი უტოპია ვოდევილად იქცა: ერთი იურისტი ქალი უგონოდ დამთვრალა და იქვე ბუჩქებში ჩაცუცქული ფსამს; ერთი მდივანი გოგო კი ცალკე კუთხეში მიმჯდარა და მარტო სადილობს, რადგან არავინ ელაპარაკება; ერთი არტდირექტორი ქალი კი დამაწყნარებლებით გაჭყიპეს, რადგან როგორც კი სულ ცოტა ზედმეტი მოუვა, მაშინვე შეტევაზე გადადის და ყველას ცხვირ-პირს ალეწავს (ვიღაცას მუშტი თვალში გაუქანა, კინაღამ გადმოაგდებინა; ვერც ოქტავი გადაურჩა - პერანგი სულ ზედ შემოახია). გამოდის, რომ ამ მივლინებამ ყველას სათითაოდ გაარეკინა. სააგენტოს ცხოვრება სკოლაში გამეფებულ სისასტიკეს ჰგავს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ ვერავინ დაგიცავთ, დაუშვებელი რეპლიკები, უსამართლო აგრესია, სექსუალური ძალადობა და ბრძოლა ძალაუფლებისათვის: აი, ეს ყველაფერი აქაც ისევე ნებადართულია, როგორც იქ, კოშმარად ქცეულ სასკოლო შესვენებებზე. სარეკლამო სააგენტოს მოჩვენებითი უშუალობა სკოლის სასტიკ დაუწერელ კანონებს გაგონებთ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ იქ ყველაფერი ათასჯერ უფრო დიდი მასშტაბისაა. თავს ყველა უფლებას აძლევს, დანარჩენებთან ისე იუხეშოს და იუზრდელოს, როგორც მაშინ, 8 წლისები რომ იყვნენ. თანაც, წყენა არ უნდა შეიმჩნიო და არ გაბრაზდე იმის შიშით, რომ ვინმემ არ თქვას, კაი ტიპი და ჯიგარი არ არისო. ყველაზე გიჟები ისინი არიან, ვინც მიიჩნევენ, რომ ყველაზე ჭკვიანები არიან. გენდირექტორები დარწმუნებულები არიან, რომ სწორედ ისინი უნდა იყვნენ ამ თანამდებობაზე; კადრების მენეჯერებს კი ეჭვიც არ ეპარებათ, რომ პრეზიდენტ-გენდირექტორის ადგილი სინამდვილეში მათ ეკუთვნით, მოწოდების სამსახურის პასუხისმგებლებს კი ერთი სული აქვთ ზემდგომები პენსიაზე როდის გავლენ, რომ მათ სავარძლებში გამოიჭიმონ. ყველაფერზე პასუხი უფროსებს მოეთხოვებათ, მოადგილეები კი მშრალად გამოდიან. ეს ჟეფი სადღაა? ოქტავს მისთვის თვალი არ მოუკრავს. არადა, სამწუხაროა, ეს გაგებული ბიჭი აქ რომ ყოფილიყო, უცებ გაუიასნებდა, რა ბოღმა აწვალებს La Rosse-ს უფროსობას. ეტყობა, იმ მძღნერმა დიულერმა კვლავ ხანჯალი ჩასცათ ზურგში.

პლაჟზე ოქტავი უყურებს გოგოების სველ სხეულებზე აკრულ ქვიშას, ბარძაყების გალურჯებულ ადგილებს, გაკაწრულ მუხლებსა და გულაჩუყებული ქვითინებს. ერთი შეკეთებულიც რომ მოსწიოს, ეგრევე ვიღაცის ზურგი შეუყვარდება. ყოველდღიურად სილამაზის სულ პაწაწინა დოზა ესაჭიროება. ოდილს მკლავებზე კოცნის, იმიტომ, რომ Obsession ასხია. მთელი საათების განმავლობაში იდაყვებს უქებს.

- ვგიჟდები მომავლისკენ მიმართულ შენს წვეტიან იდაყვზე. ნება მომეცი დავტკბე შენი იდაყვით, ვინაიდან თავად არ ძალგიძს განიცადო მისი ყოვლისშემძლეობა. შენი იდაყვი შენს თავს მირჩევნია. მოუკიდე სიგარეტს, ჰო, ასე, ცეცხლი სახესთან ახლოს მიიტანე. თუ გინდა, შეეცადე ჩემს ცდუნებას, მაგრამ იდაყვზე მოფერებას ვერ დამიშლი. შენი იდაყვი ჩემი მაშველი რგოლია. მან მე სიცოცხლე შემინარჩუნა. შენი იდაყვი

არსებობს, რადგან მე მას შევხვდი. ჩემს სხეულს ანდერძით შენს სუსტ იდაყვს ვუტოვებ, რომელიც ჩემში აღტაცების ცრემლებს იწვევს. შენი იდაყვი, ეს არის ცოტათი გაუხეშებული კანით დაფარული სახსარი. ალბათ, ბავშვობაში გადაიტყავე და სისხლი დაიდინე. პატარაობაში ალბათ სულ დაკაწრული გქონდა ის ადგილები, რომლებსაც ახლა ვკოცნი. თითქოს დიდი არაფერია იდაყვი, მაგრამ ბევრი ვეძებე და ამ წუთში ჩემი სიცოცხლის გასაგრძელებლად სხვა მიზეზი ვერ ვიპოვე.

- რა საყვარელი ხარ.

- შენი იდაყვი მალოკინა, მეტი არაფერი მინდა. მერე თუ უნდა, მოვიდეს სიკვდილი.

და ოქტავი დეკლამირებას მოჰყვა:

„ოდილის იდაყვები

ჩემი აქილევსის ქუსლია“.

მერე ჩვენმა გარუჯულმა ვალმონმა[49] ოდილის ზურგი დაფად გამოიყენა და სოფის ღია ბარათი მისწერა:

„ძვირფასო შეპყრობილობავ! ნუთუ არ გამოიჩენ მოწყალებას და არ გადამარჩენ ჩემივე საკუთარი თავიდან? თუ უარს მეტყვი, ფეხებს წყალში ჩავყოფ, თითებს შტეფსელში. შენთან ყოფნაზე უარესი მხოლოდ ერთი რამაა: ყოფნა უშენოდ. დაბრუნდი. თუ დაბრუნდები, New Beetle-ს გიყიდი. კარგი, ვიცი, რომ ეს სულელური წინადადებაა, მაგრამ შენი ბრალია: მას შემდეგ, რაც შენ წახვედი, თანდათან უფრო სერიოზული ვხდები. მივხვდი, რომ სხვა შენნაირი გოგო არ არსებობს და აქედან დასკვნა გამოვიტანე: მე შენ მიყვარხარ“.

ხელის მოწერას აზრი არა აქვს: სოფი ისედაც იცნობს ამ ძალიან ორიგინალურ და გამორჩეულ სტილს. ბარათი როგორც კი გაგზავნა, მაშინვე ინანა, რომ სოფის მუხლმოდრეკილი არ შეეხვეწა: „მიშველე, არ შემიძლია უშენოდ, ვერ ვძლებ, შეუძლებელია, რომ ჩვენ ერთად არ ვიყოთ, შენ თუ დაგკარგავ, ყველაფერს დავკარგავ“. მის ფეხებთან უნდა დაცემულიყო და მუხლებზე ეკოცნა. აი, ეს უნდა გაეკეთებინა. ღმერთო ჩემო, ნუთუ ესეც ვერ შეძლო?!

სოფის გაცნობამდე გოგოებთან ღლაბუცისა და მათი შებმის სხვადასხვა ხერხი ჰქონდა დამხეცებული. აი, მაგალითად: მიაწვებოდა ხოლმე, ხელოვნური წამწამები გაქვთო. ისინი, რა თქმა უნდა, თავს იგიჟებდნენ, არაო. მაშინ ოქტავი ეუბნებოდა: აბა, ერთი თვალები დახუჭეთ და ვნახავთო. დახუჭავდნენ თუ არა, ეგრევე აპრიალებულ ტუჩებზე კოცნიდა. ასევე დიდი წარმატებით იყენებდა ნომერს სახელწოდებით „სატვირთო მანქანა“.

- აბა, თქვი „სატვირთო მანქანა“.

- სატვირთო მანქანა.

- პი-პიი (და ძუძუებზე ჰკიდებდა ხელს).

კიდევ ენაძლევებოდა:

- დაგენაძლევები, რომ ტრაკზე ისე მოგკიდებ ხელს, ტანსაცმელზე არ შეგეხები.

- აბა, მიდი!

- წავაგე, წავაგე! - ყვიროდა გახარებული და ტრაკზე ხელს უსვამდა.

არის კიდევ ეგეთი ნომერი - „ტეკილა ბუმ-ბუმ“: გოგოს ეტყვი, კბილებით მწვანე ლიმონის ნაჭერი დაიჭიროს, ხელისგულზე მარილს აყრი, ლოკავ მარილს, სვამ ტეკილას გაზიანი სასმელით და ლიმონს გოგოს ტუჩებიდან კბეჩ. სამი ასეთი სეანსის შემდეგ

ლიმონს, რა თქმა უნდა, ენა ცვლის. როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, ეს სტრატეგია ყოველთვის წარმატებული იყო. მაგრამ სოფისთან ყველაფერი სხვანაირად მოხდა. ოქტავმა ისე დაიჭირა თავი, თითქოს სერიოზულად დაინტერესდა მისით. სოფიც ისე იქცეოდა, თითქოს მისი სჯეროდა. ბოლოს და ბოლოს, ორივემ დაიჯერა ის, რაშიც ერთმანეთს არ უტყდებოდნენ. და ერთ მშვენიერ დღეს, სოფიმ ჰკითხა:

- რატომ არაფერს ამბობ?

- როცა არაფერს ვამბობ, კარგი ნიშანია: ე.ი. დამორცხვებული ვარ, ესეც კარგი ნიშანია: ე.ი. აღელვებული ვარ; როცა აღელვებული ვარ, ეს ხომ მთლად კარგი ნიშანია: ე.ი. შეყვარებული ვარ. ხოლო როცა შეყვარებული ვარ, აი, ეს კი ძალიან ცუდი ნიშანია.

ოქტავს სოფი იმიტომ შეუყვარდა, რომ გათხოვილი იყო და თავისუფალი არ იყო. ისინი ერთად მუშაობდნენ TBWA de Plas-ში, მაგრამ ოქტავმა ვერაფრით მოახერხა ამ გოგონას ხელში ჩაგდება. კიდევ იმიტომ შეუყვარდა, რომ თვითონაც ცოლი ჰყავდა და ეს სიყვარული, წესით, მისთვის აკრძალულ, საიდუმლო და უსირცხვილო ღალატი უნდა ყოფილიყო. ისე შეუყვარდა, როგორც ის ქალები უყვარდებათ, რომლებიც გამორიცხულია რომ შეგიყვარდეს - დედა, და, მამის საყვარლები, პირველი სიყვარული, რომლისადმი ცალმხრივი, სუფთა გრძნობა გამოძრავებს. სიყვარულში დომინოს პრინციპი მოქმედებს: პირველ დაცემას სხვა დანარჩენებიც მალე მოჰყვება. ისე სურდა სოფი, როგორც ყველა ლამაზი გოგონა უნდოდა ბავშვობაში, თავისთვის, ჩუმად, ისე რომ ამ გოგოებს არ გაეგოთ. შემდეგ კი უთხრა: „მე როცა მიყვარდება, ეს ცუდის ნიშანია“ და ეს სოფის სულაც არ გაჰკვირვებია. ოქტავმა პაემანი ღამის თორმეტ საათზე დაუნიშნა ხელოვნების ხიდზე, აკადემიის შენობიდან მესამე მერხზე და იჯდა იქ, ელოდა, pont-neuf-ისკენ იყურებოდა, ხედავდა როგორ იყოფოდა სენა ორ ტოტად, თითქოს მომავალს ხელგაშლილი ეგებებაო. თუმცა, მოვიდა სოფი და სხვა ყველაფერმა მნიშვნელობა დაკარგა.

- მაპატიეთ, მადმუაზელ, შეიძლება თქვენი კოორდინატები მომცეთ, რათა შემდგომშიც შევძლო თქვენი ნახვა?

- დიახ, რა თქმა უნდა, ბატონო...

- ოქტავ, ოქტავი დამიძახეთ. მგონი, მე თქვენ მიყვარხართ, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, ძუძუებში ხელი რომ ჩაგიყოთ და მოგიფათუროთ, თუ შეიძლება, ქალბატონო?

- არა, როგორ გეკადრებათ, რა ბრძანებაა! მოიქეცით, როგორც საკუთარ სახლში. მაგრამ კეთილი ინებეთ და სანამ ლაპარაკს დაიწყებდეთ, ერთი შვიდჯერ მაინც დამიტრიალეთ ენა პირში!

- დიდი სიამოვნებით, მაგრამ სადმე ბინაც ხომ არ გაქვთ ამ საქმისთვის შესაფერისი?

ასე ადვილად შეყვარებას შედეგად კარგი არაფერი მოჰყვება. გრძნობათა უეცარი აფეთქება მეტად სახიფათოა ერთმანეთით ლამის მოჯადოებული შეყვარებულებისათვის. სასიყვარულო სიამოვნება საქორწინო კავშირის დამოკლეს მახვილია. სოფიმ სააგენტოს პარკინგისკენ წაიყვანა, პონ-ნეფის ქუჩაზე, ბნელ და წყნარ ჩიხში. და ასე, პირდაპირ, სამსახურის ორ მანქანას შორის ბეტონის კედელზე მიყუდებულები მიეცნენ სექსს. ეს იყო ორივეს ცხოვრებაში ყველაზე ხანგრძლივი ორგაზმი. მერე სოფიმ მისი მობილური დაითრია, თავისი ნომერი აკრიფა, ჩაუწერა და კმაყოფილმა უთხრა:

- მერე ვეღარ მეტყვი, შენი ნომერი დავკარგეო.

ოქტავი იმდენად შეყვარებული იყო, რომ სოფისთან დაშორებისას უკვე სხეული უჯანყდებოდა: აყრიდა მუწუკებს, ალერგია ემართებოდა, ძილსა და მოსვენებაზე ხომ

ლაპარაკი სულ ზედმეტი იყო. როდესაც ტვინს ჰგონია, რომ ყველაფერს აკონტროლებს, გული ამბოხებულია, ფილტვებს ჰაერი არ ჰყოფნის. ყოველი ადამიანი, ვინც თავის თავში სიყვარულს ახშობს, არარაობად იქცევა და ავად ხდება. სოფის გარეშე ოქტავი პირდაპირ უშნოვდებოდა. და ასე გრძელდებოდა ბოლო წუთამდე; ასე რომ, ახლა მხოლოდ ნარკოტიკის ნაკლებობას კი არ განიცდის ოქტავი.

- ჩემს სირს ქალი სურს!

ოქტავი ამ სიტყვებს მიკროფონში ღრიალებს. ოდილი ლერწამივით ირხევა. სასტუმროს ღამის ბარში ოქტავი ცდილობს დისკები შეარჩიოს. დიდი არჩევანი არა აქვს, რაც არის იმას უნდა დასჯერდეს: დისკომუსიკის რამდენიმე ძველი მაქსისინგლი, ფრანგული ესტრადის ალბომები და სამი დაფხაჭნილი ფირფიტა. მაინც მოახერხა და რაღაც მუსიკალური პროგრამის მსგავსი შეადგინა; კერძოდ, ჯერ

მსოფლიოს ყველაზე ლამაზი სიმღერა გაუშვა: „ეს ისეთი კარგია / წახვიდეთ სადმე, შორს / ხელიხელჩაკიდებულები / სიმღერ-სიმღერით“ - ერთა კიტის შესრულებით, მერე შედარებით მსუბუქზე გაავიდა - Ymsa დადო.

Village People ღვინოსავითაა: რაც უფრო ბერდება, მით უფრო მაგრად უბერავენ.

რაც გინდა ის იყოს, ოღონდ Marcia Baila არა! დროდადრო, თანამშრომლების თვალწინ, ოდილი ეხუტება, მაგრამ როგორც კი ქალები აქეთ-იქით წავლენ, ისიც მოტყდება. ოქტავი მისი გემოვნების კაცი არ არის, მაგრამ, უბრალოდ უნდა, გოგოები გულზე გახეთქოს. ოქტავს კი თავისი თავი უშნო და ბებერი ჰგონია ამ ლამაზი, ახალგაზრდა გოგონების გვერდით. ოდილს მაჯაში ხელს ჰკიდებს და გაბრაზებული ეუბნება:

- ძნელია 18 წლის თავგზის ამრევი ნაშების ყურება.

- არც ის არის ადვილი, გარშემო 33 წლის ცოლგაშორებულები რომ გიტრიალებენ.

- ერთადერთი რამ, რასაც შენთან ურთიერთობაში ვერ შევცვლი, ეს ჩემი ასაკია.

ლამაზი ნაშების ბანდას უკან დასდევს, რათა თავი აარიდოს პასუხს კითხვაზე, რატომ დასდევს ლამაზი ნაშების ბანდას. თუმცა, ძალიან კარგად იცის რატომაც: იმიტომ, რომ თავი აარიდოს ერთ-ერთ მათგანთან მარტო დარჩენას.

მოგვიანებით კი არაფერი მომხდარა. ოქტავმა ოდილი თავის ნომერში აიყვანა. გოგონას ფეხი ერეოდა. ოქტავი ლოგინზე გაიშხლართა. ოდილი კი სააბაზანოში შევარდა და ოქტავმა გაიგონა, როგორ აერია გული. მერე ოდილმა უნიტაზში წყალი ჩაუშვა და კბილები გაიხეხა იმ იმედით, რომ ოქტავი ვერაფერს მიხვდებოდა. როდესაც გაიხადა, ოქტავმა თავი მოიმძინარა და მერე მართლა ჩაეძინა. ოთახში Fluocaril-ნარევი ნაღებინარის სუნი იდგა.

უკან რომ მოფრინავდნენ, ქალები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმიტომ, რომ ვარცხნილობები დაეშალათ და დეზოდორანტის ბალონებმა გაჭედეს. ოქტავი კი ხმამაღლა კითხულობდა ალენ დელონის „სიტყვები, სიტყვების“ დალიდას სიმღერიდან:

უცნაურია, ამ საღამოს რა მემართება,
გიყურებ ისე, პირველად გხედავდე თითქოს,
გული კი ჩვენი სიყვარულის ლამაზი ისტორიის
გადაფურცვლას და წაკითხვას ითხოვს.
არ ვიცი, როგორ გითხრა, როგორ გაგიმხილო
შენა ხარ ჩემი გუშინდელი და ხვალინდელი დღე,

ჩემი მარადიული ნეტარება,

ჩემი ერთადერთი სიმართლე.

რა გასაკვირია, რომ ზოგჯერ ლამაზი სიტყვები ზუსტად გამოხატავს ნამდვილ გრძნობებს.

შენა ხარ ის ქარი, რომელიც სევდიანად აკვნესებს ვიოლინოს / და შორს, უმოწყალოდ ერეკება ვარდების სურნელს.

მის თაობაში ვეღარავინ ბედავს ასე ლაპარაკს.

შენა ხარ ის ერთადერთი მთრთოლარე მუსიკა, / რომელიც ვარსკვლავებს აცეკვებს დიუნებზე.

ოქტავსა და მის გალეშილ ძმაკაცებს ბევრჯერ უღადავიათ ამ სიტყვების გაგონებისას. მაინც რა იყო აქ საღადაო და სასაცილო? რატომ გვეხამუშება რომანტიკული სიტყვების გაგონება? ჩვენ ჩვენი საკუთარი გრძნობების გვრცხვენია. ამაღლებულ სიტყვებს ისევე ვებრძვით და ვდევნით, როგორც შავ ჭირს. აბა, მაშ, რა ვქნათ, საკუთარი უგრძნობლობა ვაქოთ და ვადიდოთ?!

შენ ხარ ჩემი ოცნება, აკრძალული,

სატანჯველი ჩემი, ერთადერთი

და იმედიც, იმედიც ერთადერთი.

მდივან გოგონებს სასაცილოდ არ ჰყოფნით ეს სიტყვები და ტუჩაბზუებული უყურებენ ოქტავს, მაშინ როდესაც პირველივე შემხვედრმა თვალებში რომ ჩახედოს და უთხრას, შენ ჩემი აკრძალული ოცნება ხარო, ალბათ ცრემლებად დაიღვრებიან. უბრალოდ, ახლა შურისგან სკდებიან და ამიტომაც ქირქილებენ ამრეზილები. მაშინვე ცვლიან სალაპარაკო თემას და დაწვრილებით არჩევენ, რა ფასდაკლებები გამოაცხადა სააგენტომ ფოტოსურათების გამჟღავნებასა და დაბეჭდვაზე. უფროსებს სახელებით კი არა, პირდაპირ ინიციალებით მოიხსენიებენ:

- ხომ არ იცი, ფაპი დაელაპარაკა პიტს ამ საკითხზე?

- ერთი ეს უფდ-ს უნდა ვუთხრა...

- პი-პი-ემმა აპტ-სთან და რუპ-სთან ძალიან კარგად ჩაიარა.

- ჰო, მაგრამ დუ-ს და ად-ს ჯერ არაფერი დაუმტკიცებიათ.

დანარჩენი დრო სასადილო ტალონების შემცირების თაობაზე უკმაყოფილო ბუზღუნს ეთმობა. ოქტავი ცდილობს ყველაზე ხმამაღლა იხარხაროს და ზოგჯერ გამოსდის კიდეც. COFD - რის დამტკიცებასაც გვთხოვდნენ.

6.

თუ კაცი მოუხელთებელია, ქალი დაუმარცხებელია. რამდენიმე დღის შემდეგ, საწინააღმდეგო მიმართულებით მფრინავ თვითმფრინავის სალონში, სოფი ოქტავისგან გამოგზავნილ ღია ბარათს კითხულობდა და ვერაფერ საინტერესოს ვერ პოულობდა. მისგან ფეხმძიმედ იყო, მაგრამ აღარ უყვარდა. უკვე ერთი თვე იყო, რაც მარკ მარონიესთან ღალატობდა და ახლა მასთან მიფრინავდა სენეგალში, სადაც მარკმა გადაწყვიტა ცოტა ხანს კიდევ დარჩენილიყო.

თავიდან სოფი ძალიან იტანჯებოდა. დაშორდე საყვარელ ადამიანს, რომლის შვილსაც მუცლით ატარებ, ეს ზეადამიანურ ძალას, უფრო ზუსტად კი, არაადამიანურ სიძლიერეს მოითხოვს. ეს იგივეა, დაჟანგული დანით, უანესთეზიოდ, ფეხი მოგაჭრან, თანაც ოპერაცია უსასრულოდ რომ გაგრძელდეს. მერე შურისძიება გადაწყვიტა. სიყვარული სიძულვილში გადაეზარდა და ამიტომაც დაურეკა ოქტავის უფროსს, რომელთანაც რამდენიმე წლის წინ მუშაობდა. მარკმა სადილად დაპატიჟა და იქ კი უკვე ვეღარ შეიკავა თავი სოფიმ, იტირა, მთელი დარდები Quai Ouest-ის მაგიდასთან გადმოაფრქვია. მარონიეც მის დღეში იყო: თავის ბოლო მანეკენს დაშორებოდა. ერთი სიტყვით, მისი გულიც დროებით თავისუფალი იყო. მრავალინგრედიენტიანი და რთულსახელიანი კერძები შეუკვეთეს და ცდილობდნენ ეჭამათ. სოფის ოქტავმა მაშინ დაურეკა მობილურზე, როცა მარონიე მაგიდის ქვეშ ფეხზე ფეხს უსვამდა.

- ალო, სოფი! ჩემს ზარებს რატომ არ პასუხობ?

- შენი ნომერი აღარ მაქვს.

- რას ჰქვია ჩემი ნომერი აღარ გაქვს?

- იმას ჰქვია, რომ წავშალე მობილურში.

- კი, მაგრამ რატომ?

- მეხსიერებაში ტყუილად ადგილს იკავებდა.

სოფიმ გაუთიშა, მერე ტელეფონი გათიშა, შემდეგ კი შოკოლადის დესერტის ჭამის დროს მარკს აკოცნინა. მეორე დღეს კი ახალი ნომერი აიღო.

ასე წაშალა სოფიმ ყველაფერი, რაც მის ხსოვნაში ზედმეტი იყო. ოქტავმა არ იცოდა, რომ მას რომანი ჰქონდა მარონიესთან, არადა გაუხარდებოდა, რომ გაეგო: საკუთარი შეფი რომ რქებს დაგადგამს, ეს არაპირდაპირი გზით სამსახურიდან დათხოვნის მიმანიშნებელია. არც სოფის თვითმფრინავი ჩამოვარდნილა. მარონიე დაკარის აეროპორტში ელოდებოდა. ერთი კვირის განმავლობაში დღეში ერთხელ ჰქონდათ სექსი. მეტჯერ არც უნდოდათ. უბრალოდ, ერთად ყოფნა სიამოვნებდათ. უცებ მიხვდნენ, რომ სინამდვილეში ყველაფერი ძალიან უბრალო და ნათელი იყო. ასაკის მომატებასთან ერთად ადამიანები უფრო ბედნიერები კი არ ხდებიან, უბრალოდ, თამასას აღარ სწევენ ძალიან მაღლა; უფრო შემწყნარებლები ხდებიან, საკუთარ მარცხზე დაუფარავად ლაპარაკობენ და ყველაფერს აღიქვამენ ისე, როგორც არის; სიცოცხლის ყოველ წუთს უფრო მეტად აფასებენ. მარკი და სოფი ერთმანეთს არ უხდებოდნენ, მაგრამ ერთად თავს კარგად გრძნობდნენ; ეს კი საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა. ერთადერთი, რაც ცოტა არ სიამოვნებდათ, ის იყო, რომ მათაც იგივე სახელები ერქვათ, რაც სულელური ტელესერიალის „მარკის და სოფის“ გმირებს.

მაგრამ ამის გამო არ გადაუწყვეტიათ სიკვდილი.

თუ კი?

დარჩით ჩვენთან! რომანის გაგრძელება სარეკლამო პაუზის შემდეგ!

ახალგაზრდა წვერიანი ნარკობარიგა საზოგადოებრივ ნაგავსაყრელთან შემაღლებულ ადგილზე დგას. ხელები მკერდზე გადაუჯვარედინებია. გარშემო თორმეტი კლიენტი შემორტყმია. აცვიათ კაპიუშონიანი ჯემპრები, K-Way-ს კურტაკები და განიერი შორტები. თავზე ბეისბოლის ჩაჩქანი ახურავთ. ისინი ბარიგას თაყვანს სცემენ. მოულოდნელად ბარიგა ხმამაღლა კითხულობს:

- ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომელი თქვენგანი მესვრის პირველი ქვას?

ერთ-ერთი მოციქული უწვდის გაქვავებულ კოკაინის ბურთულას.

- ო, უფალო, აი, ერთი დოზა!

ამ დროს გაისმის ღვთიური ჰანგები, ხოლო ციდან წამოსული სხივი ანათებს კოკაინის თეთრ ბურთულას ჩვენი წმინდა ბარიგის ხელში. იგი ხმამაღლა ღაღადებს:

- შენ ხარ ქვა[I] და ამ ქვაზე მე ავაგებ ჩემს ეკლესიას.

შემდეგ ეს ჩვენი თმაწვერგაბურძგნილი სუპერვარსკვლავი კოკაინის კენჭისმაგვარ ბურთულას ხელში ამტვრევს, რომ თეთრი ფხვნილი მიიღოს. როდესაც ხელს შლის, ხელისგულზე თორმეტი, იდეალურად თანაბარი კოკაინის ღარი ჩანს.

- აიღეთ და შეიყნოსეთ. ეს არის თქვენთვის მოძღვნილი ჩემი სული.

თორმეტივე მოწაფე მის წინაშე მუხლებზე ეცემა პირდაპირ ნაგავში და ერთხმად ყვირის:

- ალილუია! მან განამრავლა კოკაინის ღარები!

Paskshot; თეთრი ფხვნილის ჯვრის ფორმის შეკვრა შიგ ჩარჭობილი ჩალის ღერებით.

სლოგანი (ოფიციალური ხმა კადრს მიღმა): კოკაინი: ვისაც გაუსინჯავს, კიდევაც გასინჯავს!

[I] ფრანგულად ქვა - pierre და მამაკაცის სახელი Pierre - პეტრე ერთნაირად იწერება და გამოითქმის (მთარგმნელის შენიშვნა).

IV

ჩვენ

„იმისათვის, რომ ჩვენს მოწოდებას საზოგადოებაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოეხდინა, დაგვჭირდა ადამიანების დახოცვა“.

თეოდორ კაშინსკი[50] მეტსახელად „უნაბომბერი“

მანიფესტი, რომელიც გამოქვეყნდა „ვაშინგტონ პოსტსა“
და „ნიუ-იორკ ტაიმსში“ 1995 წლის 19 სექტემბერს

1.

მარკის თვითმკვლელობამ ყველას თავზარი დაგვცა, მაგრამ რომ ვთქვათ, მისი საქციელი მოულოდნელი იყოო, ტყუილი იქნებოდა. ოფიციალური ვერსიის თანახმად, ზღვაში, სალის სანაპიროსთან წყალქვეშა დინებამ ჩაითრია და დაიხრჩო. მაგრამ ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ მან უბრალოდ ფარ-ხმალი დაყარა, ხელიც არ გაუნძრევია თავის გადასარჩენად, რათა როგორმე თავი დაეღწია ამ ცხოვრებისგან, რომელმაც ჩიხში მოიმწყვდია და იქიდან გამოსვლას ვერანაირად ვეღარ ახერხებდა. ჩვენ ვხვდებოდით, რომ მარკს საშინელი სულიერი სტრესი ახრჩობდა; ვგრძნობდით, რომ ცდილობდა როგორმე შებრძოლებოდა დეპრესიას; მისი მოჩვენებითი ენთუზიაზმით ვივსებოდით და როგორც კი თვითმკვლელობაზე იწყებდა ლაპარაკს, მაშინვე საუბარი სხვა თემაზე გადაგვქონდა. სიმართლეს თვალს ვუხუჭავდით, მარონიე უფსკრულის პირას იდგა და არაფერს ვაკეთებდით მის გადასარჩენად. კაცი ჯერ ცოცხალი იყო, ჩვენ კი უკვე მისი პანაშვიდებისათვის ვემზადებოდით. „მეფე უკვე თითქმის მკვდარია, გაუმარჯოს მეფეს!“ ბანიეს სასაფლაოზე, მის დაკრძალვაზე, სარეკლამო ბიზნესის 300 წარმომადგენელი აფრქვევდა ნიანგის ცრემლებს, განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც მარკი სძულდა და დიდი ხნის განმავლობაში მოთმინებით ელოდა მის სიკვდილს. ახლა რცხვენოდათ, რომ ბოლოს და ბოლოს, მათი ოცნება ახდა და იმაზე ფიქრით იმტვრევდნენ თავს, ამის მერე ვინღა შეეძულებინათ, კომუნიკაციისა და სარეკლამო სფეროში რომ წინ წახვიდე, სულ ცოტა, ერთი მტერი მაინც უნდა გყავდეს გასანადგურებელი. და როცა ასეთ სტიმულს იშორებ თავიდან, უკვე იბნევი და მერე რა გზას დაადგე, აღარ იცი.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვისურვებდით, რომ ეს დაკრძალვის ცერემონია უბრალოდ სიზმარი ყოფილიყო. ჩვენ ვიმყოფებოდით ხალისიანი და ხუმრობის მოყვარული ადამიანის დასაფლავებაზე, ვუყურებდით, როგორ ეშვებოდა კუბო საფლავში და იმედს არ ვკარგავდით, რომ ეს მისი მხრიდან ერთ-ერთი ბოლო ოინბაზობა იყო. წარმოიდგინეთ, რა ბედნიერება იქნებოდა, რომ უცებ კამერა გვერდზე გაწეულიყო და ყველას დაგვენახა, რომ ეს დადგმული სპექტაკლი იყო, მღვდელი ვინმე მივიწყებული მსახიობი აღმოჩენილიყო, ცრემლებმოღვარღვარე მეგობრებს უცებ სიცილი აეტეხათ, უკან მდგომ

ტექნიკოსების ჯგუფს კაბელების ახვევა დაეწყო, რეჟისორს კი დაეძახა: „გადაღებულია!“ მაგრამ, საუბედუროდ, ეს ასე არ მომხდარა.

ჩვენ ხშირად გვიჩნდება იმისი სურვილი, რომ ცხოვრება ცხადი კი არა, სიზმარი იყოს, როგორც ცუდ ფილმებში ხდება, გავიღვიძოთ და ჯადოსნური ჯოხის ერთი აქნევით ყველა პრობლემა მოვაგვაროთ. რამდენჯერ გვინახავს ეკრანზე: აგერ კაცი წყალში იხრჩობა, ხელ-ფეხს ვეღარ ამოძრავებს, სუნთქვა ეკვრის და... ბაც! უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებს, მოდუნებულ კუნთებს ძაბავს და მაინც ამოდის ზედაპირზე. ან კიდევ, ხომ ყველას გახსოვთ ასეთი კადრი: გმირს თავს ესხმის საშინელი სისხლისმსმელი ურჩხული, გმირი გარბის, მხეცი მისდევს, მათ შორის მანძილი სწრაფად მცირდება. უცებ კაცი ჩიხში მოემწყვდევა, აი, სადაც არის ურჩხული ეცემა და შუაზე გაგლეჯს! და... ბაც! - გმირი თავის ფუმფულა ლოგინში იღვიძებს. ნუთუ არ შეიძლება, რომ ასეთი სასწაულები ცხოვრებაშიც ხდებოდეს?

რა უნდა ქნა, რომ გაიღვიძო, როცა არ გძინავს?

ცხადში კი ჩვენ წინ იდგა კუბო და მასში ნამდვილი ფერფლი ეყარა (ჩარლიმ ისიც კი მოახერხა, რომ მუჭით ამოიღო და ჯიბეში ჩაიყარა). ჩვენ გულწრფელად დავიტირეთ მარკი. ჩვენ, ანუ მთელმა ევროპულმა La Rosse-მა: ჟეფმა, ფილიპმა, ჩარლიმ, ოდილმა, სტაჟიორებმა, გავლენიანებმა, ნაყარ-ნუყარმა და მე, ოქტავმა, ერთჯერადი ცხვირსახოცებით ხელში. ოქტავმა, რომელიც ჯერ არც გაუგდიათ და არც საკუთარი სურვილით წასულა და რომელიც ცოტათი იმედგაცრუებულია იმით, რომ დაკრძალვაზე სოფი არ მოვიდა. ჩვენ ანუ ის პარაზიტები, რომლებიც La Rosse-ის ხარჯზე ვცხოვრობთ: სატელევიზიო არხების მფლობელები, დიდი რადიოსადგურების ქსელის აქციონერები, მომღერლები, მსახიობები, ფოტოგრაფები, დიზაინერები, პოლიტიკოსები, მოდური ჟურნალების მთავარი რედაქტორები; ერთი სიტყვით - ჩვენ, რომლებიც ყველას მაგივრად ყველაფერს ვწყვეტთ, ვქმნით საზოგადოებრივ აზრს; ჩვენ - გაყიდული არტისტები, რომლებიც ან განადიდეს, ან შეაჩვენეს - ყველანი ვტიროდით. ჩვენ-ჩვენს ბედუკუღმართობას დავტიროდით: როდესაც სარეკლამო სამმოს წევრი კვდება, არც ერთი გაზეთი ამაზე კრინტსაც არ ძრავს, ვერც სადმე შავ ჩარჩოში ჩასმულ ნეკროლოგს მოჰკრავთ თვალს, არც ტელევიზია შეწყვეტს პროგრამას ამ სამწუხარო ამბის გამოსაცხადებლად. ერთი სიტყვით, გარდაცვლილის შემდეგ რჩება მხოლოდ გასაყიდი პროექტები და შვეიცარიის ბანკში გამოუყენებელი ანგარიში საიდუმლო შიფრით. როდესაც რეკლამისტი კვდება, თითქოს არაფერი მომხდარაო. მას, უბრალოდ, სხვა, ცოცხალი რეკლამისტი ცვლის.

2.

რამდენიმე დღის შემდეგ უკვე საუთბიჩზე, მაიამიში ვეძრობით. სრული საგიჟეთია. ნებისმიერი ზომის პამელა ანდერსონები და ყველა ჯურის ჟან-კლოდ ვანდამები ყოველი ფეხის ნაბიჯზე ყრია, დაითრიე რომელიც გინდა და რა დროსაც გინდა. აქ ყველანი ძმები ვართ. სანამ მზეს მივეფიცხებით, სოლარიუმის ულტრაიისფერს ვეძალებით. ასეთ ჯგუფში რომ გაიჩითო, ან რაღაც ბიმბოს ამბავში უნდა იყო, ან პორნოფილმის მსახიობს უნდა ჰგავდეს. ნარკოტიკებზე ვართ შემჯდარი, რადგან მარტო ალკოჰოლი და მუსიკა იმის გამბედაობას არ გვაძლევს, რომ ერთმანეთს დაველაპარაკოთ. ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც ერთადერთი გართობა უგანდონო სექსია. მაინც რატომ გვინდა ყველას, რომ ლამაზები ვიყოთ? იმიტომ, რომ სამყარო გულისამრევად მახინჯია. ჩვენ გვინდა ვიყოთ ლამაზები იმიტომ, რომ ვიყოთ უკეთესები. ერთადერთი იდეოლოგია, რომელიც შემოგვრჩა, ქირურგიული ესთეტიკაა. აქ თითქმის ყველას ერთნაირი ტუჩები აქვს. მთელ მსოფლიოს თავზარს სცემს ადამიანის კლონირების პერსპექტივა; თუმცა, რაღა პერსპექტივა: კლონირება უკვე დიდი ხანია არსებობს და მას plastic surgery - პლასტიკური ქირურგია ჰქვია. რომელ ბარშიაც უნდა შეხვიდეთ, შერის სიმღერა ისმის: „ნუთუ შენ გჯერა, რომ სიყვარულის შემდგომი ცხოვრება არსებობს?“ ახლა ის უნდა ვიკითხოთ, ადამიანის შემდგომი ცხოვრება თუ არსებობს, ისეთი სამყარო, სადაც პოსტადამიანური ღირსეული არსებები იცხოვრებენ, რომლებსაც სიმახინჯის უსამართლობა ვერ დაჩაგრავს. და ამ სამყაროს დედაქალაქი იქნება მაიამი. ყველას გვექნება ერთნაირი წინწამოწეული უმწიკვლო შუბლები, ატლასივით სრიალა კანი, ნუშისებური თვალები. ყველას ექნება უფლება, ჰქონდეს გრძელი ხელები, ფრჩხილებზე ესვას მუქი ფერის ლაქი. ყველას დაგვირიგდება დაბერილი ტუჩები, მაღალი ყვრიმალები, ნაზი ყურები, უნაკლო ცხვირები, აბრეშუმივით რბილი თმა, ნატიფი და სურნელოვანი ყელი და რაც მთავარია, წვეტიანი იდაყვები. იდაყვები ყველასთვის! წინ იდაყვების დემოკრატიზაციისაკენ! პაულინა პორიზკოვამ[51] თავმდაბლად აღიარა ინტერვიუში: „რა თქმა უნდა, მიხარია, რომ ხალხი ლამაზად მიმიჩნევს, მაგრამ ეს უბრალო მათემატიკის საკითხია, ანუ მილიმეტრების რაოდენობა ჩემს თვალებსა და ნიკაპს შორის“.

მე და ჩარლი შუა ზღვაში ვდგავართ და მობილურებზე ვლაპარაკობთ, პლაჟებზე უზარმაზარი ჯიპებით დავგრიალებთ. მიუხედავად მარონიეს გარდაცვალებისა, „მეგრელეტის“ გადაღებები არ გაგვიუქმებია - ძალიან ბევრი ფული იყო ჩადებული ამ საქმეში. რაღაც მომენტში, ჩარლიმ ჯიბიდან ამოიღო პატარა ყუთი, რომელშიც რამდენიმე გრამი მარკ მარონიეს ფერფლი ეყარა და ზღვას მოაფრქვია. მარკსაც ხომ ენდომებოდა, რომ მაიამის ტალღებს შეერთებოდა. ჩარლის ცოტა ფერფლი კიდევ შერჩა ხელისგულზე. უცებ ერთი აზრი მომივიდა თავში: ვთხოვე ხელისგული გაეშალა და მზისკენ გაეშვირა. დავიხარე და შევიყნოსე ის, რაც ჩემი მეგობრისაგან, ჩემი მენტორისაგან, მარკ მარონიესაგან დარჩა. I've got Marronier runnin around my brain[I]!

ამ ქალაქში ერთ შეუხედავ გოგოს თუ მაინც შეხვდებით, მაშინვე გვაცნობეთ, ისეთები, რომლებიც სხვაგან სტატისტიკურად არანორმალურ მოვლენად ითვლებიან, აქ ჩვეულებრივი ნორმაა (ლაპარაკია ლამაზებსა და მკვრივებზე). ასეთები იმდენი გვხვდება,

---

[I] ახლა მარონიე ჩემს ტვინში ტრიალებს (ინგლ.).

რომ მათი ყურება უკვე მოსაწყენია (არ დაგავიწყდეთ, რომ მე მოწყენილობის მომხრე ვარ). ყოველი მეორე გოგო პირველზე ახალგაზრდა და ლამაზია. მართლაც რომ სასიამოვნო ტანჯვაა აქ არჩევანის გაკეთება. მაგრამ ნდომა ხომ შვიდ ძირითად ცოდვათაგან ერთ-ერთია. მაიამი სოდომის, გომორისა და ბაბილონის დაძმობილებული ქალაქია.

ქოქონატ-გროუვზე ვიღაც ტიპს ექვსი ჩაუ-ჩა[I]" გამოუყვანია და ასეირნებს, თან რეზინისხელთათმანიანი ხელით კუკებს კრეფს. იქვე ნარკოტრეფიკიორები დაბლატაობენ, როლიკებზე შემდგარი ნავარჯიშევი ტიპები გიჟებივით დაქრიან. სახელგანთქმული სასტუმროს „კოლონის“ წინ გარუჯული ტიპები ირევიან და მობილურებზე გაუთავებლად ლაპარაკობენ. მშვენივრად ვხვდებით, რომ მაიამი ერთი მთლიანი, გიგანტური რეკლამაა. მაგრამ აქ რეკლამა კი არ ბაძავს ცხოვრებას, არამედ ცხოვრება ცდილობს რეკლამად იქცეს. ვარდისფერი, ნეონისგანათებიანი კადილაკები ჩიკანოსის რეპის სტილში გუგუნებენ. ასეთი თვალისმომჭრელი სილამაზისა და სიმდიდრის შემხედვარეს თავბრუ გეხვევა. New Cafe-ში ვსხედვართ, ტოპმოდელებს ვათვალიერებთ და თავს ძლივს ვიკავებთ, რომ არ წამოვხტეთ და ის ნაწილ-ნაწილ აწყობილი სიფათები ერთიანად არ ავახიოთ.

არტდეკო მაიამის სამხრეთით, ზედ ზღვის პირას მდებარეობს. ეს რაიონი 30-იან წლებში პენსიონერებისთვის გააშენეს. 40-იანი წლების დასაწყისში მაიამიში დიდი სამხედრო ძალის მობილიზება მოხდა, ვინაიდან შეერთებულ შტატებს ეშინოდა, იაპონია არ დასხმოდა თავს ფლორიდას. 1959 წელს ბატისტას რეჟიმის დამხობას მოჰყვა ამ რაიონში კუბელების მასობრივი ემიგრაცია. ამის შედეგად, მაიამი დასახლებული იყო პენსიონერებით (საპენსიო ფონდების მფლობელები, ვისთვისაც მთელი სიცოცხლე მუშაობენ დასავლეთის მშრომელები), სამხედროებით (რომლებიც სამხედროებს იცავენ) და კუბელებით (რომლებიც მათ ნარ კოტი კებით ამარაგებენ). ვერაფერს იტყვი, მაგარი დომხალია. 70-იან წლებში ნავთობის კრიზისის შედეგები მაიამიზეც აისახა. წესით, ამ ქალაქს ბოლო უნდა მოღებოდა, იყო და არა იყოს ამბავში უნდა ყოფილიყო, მაგრამ ათი წლის შემდეგ, 1985 წელს, რეკლამამ კვლავ გამოაცოცხლა და არნახული პოპულარობა მოუტანა. ამ წელს ბრიუს ვებერმა ოუშენ-დრაივზე კელვინ კლაინისათვის ფოტოების სერია გააკეთა. მთელი მსოფლიოს ჟურნალებში ამ სურათების გამოქვეყნებამ მაიამი ერთ დღეში მსოფლიო მოდის დედაქალაქად აქცია. ამ ქალაქში პარადი ფოტოგრაფებს მიჰყავთ. ნაცისტებს რომ ამგვარი ადგილის მომაკვდინებელი სარეკლამო ძალით ესარგებლათ, ათჯერ მეტ კაცს დახოცავდნენ. კრისტი ტარლინგტონი მაიამის პლაჟზე აღმოაჩინა ვიღაც უცნობმა ფოტოგრაფმა. ჯანი ვერსაჩეც აქ აკეთებდა ყველა თავისი კატალოგის ფოტოებს, სანამ არ გაასაღეს 1997 წლის 15 ივლისს. გორგოლაჭებზე შემდგარი სპილენძისფრად ალაპლაპებული ახალგაზრდა კუბელი გოგოები და შორტებში გამოწყობილი ცისფერები ტროტუარებზე წინ და უკან გიჟებივით დაქრიან, მზისგან თვალებს Oakly-ს ბოლო მოდელებივით იცავენ. ამაში არაფერია გასაკვირი. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ნაცისტები გამარჯვებულები დარჩნენ: აქ შავ კანიანებიც კი ქერად იღებავენ თმას. კანიდან ვძვრებით იმისათვის, რომ როგორმე მხიარულ ჰიტლერიუნგედს დავემსგავსოთ. ანტისემიტებმა მიაღწიეს იმას, რაც უნდოდათ. ვუდი ალენის ღადაობაზე

[I] ჩაუ-ჩაუ - ჩინური ძაღლის ჯიში.

გოგოები სიცილით იხოცებიან, მაგრამ ლოგინში მაინც არიელ როკო სიფრედის უგორდებიან.

დაპუტული პალმის ჩრდილქვეშ შეფარებულები Volleypalooza-ს ვადევნებთ თვალს. ეს არის ორდღიანი ტურნირი პლაჟის ფრენბურთში სხვადასხვა სააგენტოს მანეკენთა შორის. მატჩის არბიტრები არიან სტივენ მაიზელი და პიტერ ლინდბერგი (ამავე დროს, ისინი მსაჯობენ ყველაფერს, რაც კი ხდება ჩვენს პლანეტაზე დანარჩენი 363 დღის განმავლობაში). წითელ და შავ ბიკინებში გამოწყობილი სრულყოფილებები აღტყინებულები დარბიან მწველ ქვიშაზე. ქერა თმიდან ოფლისა და ზღვის წყლის წვეთები სცვივათ, რომლებიც შემდეგ სხვა ლამაზმანების გასაგიჟებლად ნაზ ჭიპებზე ეცემათ, ეღუტუნებათ და თავშეუკავებლად კისკისებენ. დროდადრო ოკეანიდან მონაბერი ბრიზისგან კანი ებურძგლებათ. შორიდანაც კი ვტკბებით იმის დანახვით, თუ როგორ უთრთით თხელი მხრები. ტანზე აკრული ოქროსფერი ქვიშა ისე უბრწყინავთ, როგორც წვიმის წვეთები. ეს სანახაობა „გულს გვიღონებს მონოტონური ღონემიხდილობით“[52] მათი კრიალა თეთრი კბილების დანახვა ხომ სულ ბოლოს გვიღებს. მე რომ მომეხერხებინა და ისეთი დისკი ჩამეწერა, რომლის 10 მილიონ ეგზემპლარს ორ წამში გავყიდდი, ახლა აქ არ ვისხდებოდით. ოჰო, წითელბიკინიანებს მოუგიათ. გამარჯვებულების კაპიტანი 15 წლისა თუ იქნება. მათ გვერდით კამერონ დიასი, უმა თურმანი, ჟიზელ ბიუნდჰენი და პიტერ გრეჰენი სუფთა დედაბრები არიან. ძალიან გთხოვთ, არ იფიქროთ, რომ ჩვენ თავში მხოლოდ მათი გაჟიმვა გვიტრიალებს. ფეხზე არ გვკიდია მაგათი ფუჩუნები? ჩვენ მხოლოდ იმას ვნატრობთ, რომ იქნებ როგორმე ტუჩებით შევეხოთ მათ მთრთოლვარე ქუთუთოებს, თითის წვერებით მოვეფეროთ გადატკიცინებულ შუბლზე, გვერდით მივუწვეთ, ხანდახან ნორჩ სხეულებზე ოდნავ მივედოთ და ვუსმინოთ არიზონაში ან სამხრეთ კაროლინაში გატარებული მათი ბავშვობის ამბებს. ყველაზე ძალიან კი ის გვინდა, რომ მათ გვერდით მოვკალათდეთ, სერიალს ვუყუროთ, რაიმე სასუსნავი ვაკნატუნოთ და დროდადრო საყვარელი სახიდან ფრთხილად გადავუწიოთ ჩამოწეწილი თმა. ოხ, როგორ მოგივლიდით და ვიზრუნებდით თქვენზე! შევუკვეთდით სუშის ნომერში, „როლინგ სტოუნის“ Angie-ს ჰანგებზე სლოუს ვიცეკვებდით, სიცილით დავიხოცებოდით ლიცეუმის ამბების გახსენებისას, ვინაიდან ჩვენ ერთნაირ ისტორიებს მოვიგონებდით (პირველი ფართი და იქ დალეული ლუდი, სასაცილოდ შეკრეჭილი თმა, პირველი და ამავე დროს უკანასკნელი სიყვარული, ჯინსის კურტაკები, ქეიფები, ჰარდ-როკი, „ვარსკვლავური ომები“ და ეგეთი რამეები). ეხ, რას ვიზამთ, ასეთი მზეთუნახავები ჩვენნაირ ბიჭებს ყოველთვის გრაფომან-ცისფერებს ან „ფერარის“ შოფრებს ამჯობინებენ. ამიტომაც მიდის საქმეები ცუდად ჩვენს პლანეტაზე. არა, სექსუალური მანიაკი ნამდვილად არა ვარ, მაგრამ სიყვარულისგან რომ ფილტვები ასტკივდებათ, იმათ რაღა ჰქვიათ? გამახსენდა, მე ვარ „ფილტვური მანიაკი“!

საღამოთი რამდენიმე მეორეხარისხოვან მოდელთან ერთად ვსადილობთ ნაქირავებ იახტაზე. დესერტის შემდეგ ენრიკე ბადუკული ერთ-ერთ მათგანს ენაძლევება 1000 დოლარზე. სანაძლეო იმაში მდგომარეობს, რომ მოდელმა ბიკინი უნდა გაიხადოს, მაღლა აისროლოს და ჭერზე მიაწებოს. გოგო წარბშეუხრელად ასრულებს ამ ნომერს და ჩვენც სულელებივით სიცილით ერთმანეთს ვასკდებით, თუმცა, აქ სასაცილო არაფერია: ბიკინი, რა თქმა უნდა, ჭერს არ მიეკრო, ჩამოვარდა და სპაგეტის ლანგარზე მოადინა ტყაპანი. ამქვეყნად ყველა პროსტიტუციითაა დაკავებული. განსხვავება ერთ რამეშია: შენ უხდი

თუ შენ გიხდიან. უხეშად რომ ვთქვათ, 40 წლამდე შენ გიხდიან, მერე კი იქით უნდა გადაუხადო. ასეა, გენაცვალე, ფიზიკური სილამაზის სასამართლოს განაჩენი აპელაციას არ ექვემდებარება. 4 დღის გასაპარსწვერიანი პლეიბოები გვიყურებენ, აბა, თუ ვუყურებთ, ჩვენ კი მათ ვუყურებთ, რომ გვიყურებენ თუ მათ ვუყურებთ და ისინი ჩვენ გვიყურებენ, მათ რომ ვუყურებთ, რომ გვიყურებენ თუ მათ ვუყურებთ და ასე დაუსრულებლად, როგორც „სიცილის ოთახში“, ძველ ბაზრობებზე მოწყობილ ატრაქციონზე, სარკეების ლაბირინთში, სადაც განუწყვეტლად ეჯახები საკუთარ ანარეკლს. მახსოვს, ბავშვობაში, ასეთი ოთახიდან რომ გამოვდიოდი, შუბლზე სულ კოპები მაჯდა.

3.

ოუშენ-დრაივის ნეონის განათებები გამვლელებს მოციმციმე სინათლეში ხვევს. თბილი ქარი დავიწყებისკენ მიაქროლებს ზაფხულის საღამოებს. წინადღეს Living Room-ში გოგოები ძროხებივით ცეკვავდნენ (თუ Living Room-ში შეიარე, ე.ი. VIP[I] ხარ, თუ შიგნით შეხვედი და მაგიდაც დაითრიე, ე.ი. VVIP ხარ, თუ მაგიდაზე შამპანურის ბოთლიც გაიჩითა, ე.ი. VVVIP ხარ, ხოლო თუ პატრონი პირზე კოცნით შეგხვდა, ეს ნიშნავს, რომ ან VVVVIP ხარ, ან სულაც მადონა, სხვა ვარიანტი გამორიცხულია). მაიამი ბიჩი გიგანტური საკონდიტროა. იქაური შენობები ნაღების ტორტებს ჰგავს, გოგოები კი ნაღდი კანფეტებია, გინდა იქამდე ლოკო, სანამ პირში არ დაგიდნებიან.

დილის 6 საათზე ვდგებით, რომ საუკეთესო განათებაში მოვასწროთ გადაღება. ქი-ბისქეინზე ვიღაც მილიარდერების ვილა იყო გაძეძგილი. თამარა დე ლემპიცკას ნახატების ასლებით. თამარა (ჩვენი) მალევე მოერგო ახალ, რეკლამის ვარსკვლავის იმიჯს. ვარცხნიან, მაკიაჟს უკეთებენ, ხეთქავენ ყავით რეჟისორის ფურგონში. დეკორატორებს დაევალათ გაზონის გადაღებვა (საკმარისად მწვანე არ არის ჩვენი კადრირებისთვის). მთავარი ოპერატორი გაუგებარ ბრძანებებს აძლევს ყოვლისგამგებ ტექნიკოსებს. ისინი დიდხანს უნდებიან განათების ხარისხის გაზომვას და ერთმანეთს რაღაც საიდუმლო, მხოლოდ მათთვის გასაგები კაბალისტური ციფრების ენით ელაპარაკებიან.

- აბა, სცადე, იქნებ 12-ში გადახვიდე მე-4-ზე.

- არა, სხვა ფოკუსი უნდა მოვსინჯოთ, მომეცი 8 14-ზე.

მე და ჩარლი ყველაფერს პირში ვიყრით, რასაც კი ოფიციანტი გვთავაზობს; კევები, ყველიანი ნაყინები, ბუბლიგუმები, ჰამბურგერები ლოსოსინებით, კევები, ნაყინები, ლოსოსინები, ქათმის ხორცი სასიმის სოუსით. მალე ცხრის ნახევარიც გახდა და ენრიკეს აღარ ეღიმება.

- ცა სულ თეთრი, არ შეისლება გადაღება, ისეთი ამინდი.

ტიპმა დააზუსტა, რომ ლურჯი ცა და კონტრასტული ჩრდილები ნებავდა.

- რა უნდა ვქნა? - თავს იმშვიდებს ენრიკე, - ეს ღმერთის სინათლე არის.

ჩარლი დამრიგებლური ტონით ეპასუხება:

- გამოდის, რომ ღმერთი დიდი ვერაფერი შვილი ოპერატორი ყოფილა!

თეთრ ცას კადრების დაყენების დროს აღარაფერი ეშველება. ასეთ ამინდში რომ გადავიღოთ, მერე საჭირო გახდება თითოეული კადრის ფლეიმში გაფერადება, ეს კი ძალიან ძვირი სიამოვნებაა. მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს და ვსაუზმობთ და ვსაუზმობთ, სანამ ნისლი გაიფანტება. ტელეპროდიუსერი ნერვიულობისგან თმას იგლეჯს და წამდაუწუმ პარიზელ სადაზღვევო აგენტს ურეკავს, რომ ამინდის ცვალებადობა მას გადააბრალოს. მე სანერვიულო არაფერი მაქვს: რაც კოკაინს თავი გავანებე, გამუდმებით ვჭამ.

მე, თამარა და ჩარლი ფლორიდის ჟიულები და ჟიმი ვართ. ადგილობრივი იანკები ინტერესით იხოცებიან და განუწყვეტლად გვეკითხებიან:

- Are you plaging a[II] „სასიყვარულო სამკუთხედი?“.

[I] Vip - Veru importantperson (ინგლ.) - ძალიან მნიშვნელოვანი პერსონა.

[II] Are you plaging a (ინგლ.) - გაქვთ თუ არა.

მთელი დილა „კორინას“ ვსვამთ და შეუჩერებლად ვხარხარებთ. რა თქმა უნდა, ყველა იქ მყოფს თამარაზე გული შეუვარდა. რატომაც არა, ქალი დღეში 17.000 ევროს იღებს იმაში, რომ მამრებში ამგვარი ქიმიური რეაქცია გამოიწვიოს. წვერიანი ტექნიკოსები კაბელებს აქეთ-იქით დაატარებენ, პორტატიული გადამცემები ჰაერში ზუზუნებენ, გამნათებლები დამწუხრებული სახეებით აკვირდებიან ცას. ჩვენ კი მზისგან დამცავი კრემებით ვითხუპნებით - იქნებ ამან მაინც მოიზიდოს მზე. შავი შტორები გარემომცველი სამყაროსგან საიმედოდ გვიცავენ. სამყარო თვალდავსილია. მართლაცდა, რა ჩემი ფეხებია მაიამი უმზეოდ?!

- ყურადღება მიაქციეთ, რომ პალმები კადრში არ ჩაიჩხიროს. არ დაგვავიწყდეს, რომ მოქმედება უნდა მიმდინარეობდეს საფრანგეთში. თუ არადა მერე წიფლებისა და ალვის ხეების გადაღება და ჩასმა დაგვჭირდება.

- ბრავო, ოქტავ, მაგარი რჩევა მოგვეცი. ხედავ, თანდათან სასარგებლო ხდები. ამ ერთი ფრაზით შენი თვითმფრინავის ბილეთის ფასი მთლად აანაზღაურე.

ჩარლი ხუმრობს, მაგრამ შეფიქრიანებული ჩანს. დილიდან გარშემო მივლის და რაღაცის თქმას ვერ მიბედავს. ნეტა ესეც წყალში გადახტომას ხომ არ აპირებს? ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა:

- იცი, ოქტავ, რაღაც უნდა გითხრა... ერთი სიტყვით, ჩვენთან, სააგენტოში მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი.

- დიდი მადლობა ინფორმაციისთვის. აბა, რა, კდ-ს (კრეატიული დირექტორის) სიკვდილის შემდეგ ეგრეც უნდა მომხდარიყო.

კდ-ზე სიკვდილი არ ითქმება, არამედ გარდაცვალება.

- შენ რა, ხუმრობ კიდეც ჩვენი საყვარელი და მწყალობელი უფროსის თვითმკვლელობაზე?

თამარას სიცილი აუტყდა, მაგრამ ჩარლის უ კვე აწყვეტილი ჰქონდა და ახლა ეგრე ადვილად ვეღარავინ გააჩერებდა:

- შეამჩნიე, ჟეფი რომ არ წამოვიდა სენეგალში?

- შევამჩნიე და ეს რომ გავიაზრე, კინაღამ მეც პარიზში დავრჩი. ჩემამდე არ დადის, როგორ გავძელით ეს ოთხი უუუგრძესი დღე უიმისოდ.

- მორჩი ახლა ღადაობას! მე კი ვიცი, სად დაძვრებოდა ის ვაჟბატონი, სანამ ჩვენ აქ ტაშ-ფანდური გაგვემართა. ჩვენი ძვირფასი კოლეგა ნიუ-იორკში მოტყდა და La Rosse-ის მთავარ ბოსებს პრეზიდენტ ფილიზის ადგილი სთხოვა.

- შენ ხომ არ უბერავ, ბიჭო?

- ვუბერავ კი არადა, წესიერად მომისმინე. ისე კი, უნდა ითქვას, რომ მაგრად იჩალიჩა. იქ, მთავარ ოფისში ხელცარიელი კი არ მიტლიკინდა: დიულერთან გაჩალიჩებული ჰქონდა საქმე და ჟეფმაც მოახსენა უფროსობას: თუ ფრანგულ ფილიალში ხელმძღვანელობას არ შეცვლით, Madone-ის შეკვეთას დაერხევაო. იმ ახვრებმა რა უპასუხეს, არ გაინტერესებს?

- რაო, Go fuck jourself, jef-ო?[I]

- კი, როგორ არა! იანკებს, ხომ იცი, ევასებათ ახალგაზრდა ბეწვაშლილი კარიერისტი მგელი რომ გაეძრობა ბებრების ხროვაში და მზის ქვეშ ადგილს აწერს. თვითონვე

[I] საკუთარი თავის შეგინება ინგლისურ ენაზე.

ასწავლიან ამ მეთოდებს ბიზნესის მომავალ „მამებს“ ჰარვარდში და იმ ვესტერნებში, ჯონ უეინი რომ თამაშობს.

- მოიცა, გეყოფა ახლა მაიმუნობა! გამოტყდი, რომ ეს სისულელე ამწუთას მოიგონე!

ჩარლი ფრჩხილებს იჭამს და მაიმუნობისა არაფერი ეტყობა.

- ოქტავიო, ისე გაგიტაცა იმ შენმა ნაჯღაბნმა, რომ აზრზე არა ხარ, შენ გარშემო რა ხდება!

- კაი ერთი, შენ რა გაქვს ჩემთვის სათქმელი! მთელი დღე ინტერნეტში გდიხარ და გათახსირებული პორნოებით ერთობი!

- არაფერი შეგეშალოს! კი არ ვერთობი, ჩემი ეპოქის ქრონიკას ვადგენ. ჰო, მართლა, შემახსენე, რაღაც ფილმი უნდა გაჩვენო მერე - გაგიჟდები, 90 წლის ბეხრეკი დედაბერი რა სიამოვნებით ჭამს საკუთარ მძღნერს. ერთი სიტყვით, მისმინე: ხომ შენი თვალით ნახე, რა გიჟობანას თამაშობდნენ სემინარზე? გამოიღვიძე და გაიაზრე, რას გეუბნები: ჟეფს ფილიპის ადგილზე დანიშნავენ ანუ La Rosse-ის პრეზიდენტ-გენერალურ დირექტორად, ფილიპი კი ევროპულ სექტორს უხელმძღვანელებს. თეთრი ძაფით ნაკერი საქმეა, რა. საპატიო თავმჯდომარისა თუ რაღაც საპატიო სირის ტიტულს მიაკერებენ და მორჩება ბაზარი!

- ჟეფი და სააგენტოს უფროსი? კი მაგრამ, ჯერ 30 წლისაც კი არ არის, მცირეწლოვანი ღლაპია!

- შეიძლება ასეც არის, მაგრამ უმწიკვლო და მიამიტი ბიჭუნა არ გეგონოს. ხომ ხედავ, როგორ მოტვინა, როცა საქმე კარიერას შეეხო! აბა, კეთილი იყოს თქვენი შემობრძანება XXI საუკუნეში, კოლეგავ! ახლა 30 წლის პრეზიდენტ-გენდირექტორების დრო დადგა. ესენიც ისეთივე გოთვერნები იქნებიან, როგორებიც 50 წლისები, მაგრამ გარეგნულად უფრო მომგებიანები არიან და ნაკლები ღირან. აი, ამიტომაც დადეს ფსონი იანკებმა ჟეფზე. ტიპმა სააგენტოს იმხელაბიუჯეტიანი პროექტი ააგდო, რომ კაციშვილი არ გაუმაზავდა. მაგრამ მარტო ჟეფი მარონიეს ფეხებს ვერ მოჭამდა. ხვდები რას გეუბნები?

- მაგის ბოზი დედა! გამოდის, მარკმა თავი იმიტომ მოიკლა, რომ იცოდა ეს ძუძუმწოვარა ნაბიჭვარი მაგის გაგდებას რომ ცდილობდა?

- იცოდა, აბა რა! ეგ კი არადა მარკს ეგონა, რომ ჩვენ ყველანი მის წინააღმდეგ ვიყავით შეკრულები.

ცა ისევ თეთრი ნისლით იყო დაფარული, თუმცა ეს სულაც არ იყო მიზეზი საიმისოდ, რომ მაინცდამაინც თავზე დაგვმხობოდა.

- აქ რაღაც კარგად ვერ გავიგე. ახლა რისი თქმა გინდა, ჟეფი მე და შენ კრეატიულ დირექტორებად გვნიშნავს?

- ჰო, ეგრეა. ამ დილით დამირეკა და ეს პოსტი შემოგვთავაზა. თითოეულს ხელფასი თვეში 30000 ევრო, ამას პლუს სამსახურისა და საბინაო ხარჯების ანაზღაურება და ერთი კაზიონი „პორშეც“ ჩვენს განკარგულებაში იქნება.

თამარას ეცინება:

- ოქტავ, საყვარელო, კაცისთვის, რომელიც ოცნებობდა, რომ სამსახურიდან გაეგდოთ, ცუდი სატყუარა არ არის, არა?

- მოკეტე, ქმნილება! თუ შეიძლება!

- მართალი ხარ, ძვირფასო: თქვენ კრეატივისტები ანუ შემქმნელები ხართ, მე კი თქვენი კრეატივი ანუ ქმნილება ვარ.

- ძაან ენამოსწრებული ხარ, ვერაფერს ვიტყვი, - გააწყვეტინა ჩარლიმ, - ახლა კი ენა ჩაიგდე, ლამაზო. ჩვენ უკვე კრეატივისტები კი არა, კრეატიული დირექტორები ვართ. მიხვდი განსხვავებას?

- მოიცა, ჩარლ! მე ჯერ თანხმობა არ მითქვამს!

- ეს შემოთავაზება, რომელი უარი ვერ იტყვი, - მესროლა შორიდან ენრიკემ. ეტყობა, მარტო მე არ ვიყავი ბაიბურში, თორემ მთელი გადამღები ჯგუფი ყველაფრის აზრზე იყო.

და ზუსტად ეს მომენტი აირჩია მზემ იმისათვის, რომ გამოენათებინა და ურცხვად გაბრწყინებულიყო.

4.

თამარას შემხედვარეს გეგონებოდათ, ამ გოგოს მთელი ცხოვრება ფილმში გადაღების მეტი არაფერი უკეთებიაო. თუმცა, საკითხს თუ კარგად ჩავუღრმავდებით, ასეც არის: როდესაც შენს ხელობას ჰქვია „გოგონა გამოძახებით“, მსახიობის ოსტატობას ბევრად უკეთესად სწავლობ, ვიდრე ნებისმიერ თეატრალურ თუ კინოხელოვნების სტუდიაში. ჩემდა გასაოცრად, თამარა ისე თავისუფლად გრძნობდა თავს კამერის წინ, კაი გამოცდილ ვარსკვლავსაც კი შეშურდებოდა. უნდა გენახათ, რა დღეში იყო: შეიძლება ითქვას, ოღონდ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რომ ობიექტივს აბამდა. ისეთი გრძნობითა და ვნებით იდებდა პირში იოგურტის ყოველ კოვზს, გეგონებოდათ, ამ გოგოს ბედი ამ წუთში, იოგურტის ჭამისას წყდებაო. თამარა არასოდეს ყოფილა ისეთი თვალისმომჭრელი და გიზგიზა, როგორც მაშინ, ფლორიდაში მოწყობილ სიაბანდ ხმელთაშუაზღვისპირა ბაღში.

- She's the girl of the new century[I]! - ზეაწეული, საზეიმო ტონით განუცხადა ადგილობრივმა ტექნიკურმა დირექტორმა Making of-ის გადამღებ გოგოს. უკვე აშკარაა, რა ჩაიდო კლიენტმა გულში: 1) თამარას გააცნობს ელიტის ჯონ კასაბლანკას და 2) მერე საწოლში ჩაიგორებს და ცოტა ხნით გაერთობა. თუმცა, მოვლენების ასეთი თანამიმდევრობა აუცილებელი არ არის - შეიძლება მეორიდან დაიწყოს.

ჯერ უცხო ტერიტორიას ვიპყრობთ, მერე საინფორმაციო სივრცეს ვიგდებთ ხელში და რასაც ჩავძახებთ, იმას ამოგვძახებს. „მეგრელეტის“ რეკლამის დატრიალების კამპანია 2004 წლამდე გაგრძელდება. რეკლამა იქნება ყველგან, სადაც კი ამის წარმოდგენა შეიძლება: უზარმაზარ ბანერებზე, ავტობუსების გაჩერებებზე, ქალთა ჟურნალების ფურცლებზე, პროდუქტის რეალიზაციისა და დეგუსტაციის ადგილებზე, საცხოვრებელი სახლების კედლებზე, პლაჟის კონკურსების აფიშებზე, ადგილობრივ საინფორმაციო გამოშვებებში და ქუჩა-ქუჩა დარიგებულ სარეკლამო ბუკლეტებში, ინტერნეტსაიტებზე, სუპერმარკეტების დახლებზე, სხვადასხვა მომგებიან კომერციულ შემოთავაზებაში (პროდუქტის შეძენის დამადასტურებელი სალაროს ჩეკის წარმოდგენის შემთხვევაში). თამარა, შენ ყველგან იქნები, ჩვენ შენგან შევქმნით უცხიმო იოგურტის ლიდერის ემბლემას, რომელიც მთელი შენგენის ტერიტორიაზე გაბრწყინდება.

Cape Cod-ის სმით ვერ ვძღებით და თან ვიზაჟისტთან ასპენზე ვმასლაათობთ. სეირნობისას გაძვალტყავებულ ძროხებს ვხვდებით (ასე ვეძახით სიგამხდრისაგან ყბა ყბაში გავარდნილ ძველ ბოზებს, რომლებიც ვაშინგტონ-ავენიუზე დაძრწიან ჰეროინის ძებნაში). ჯანი ვერსაჩეს სახლის წინ ჩავლისას ტყვიით დაბრედილის სიკვდილის სცენას ვთამაშობთ და ასფალტზე დაცემულები ვიკრუნჩხებით. ტურისტებსაც ხომ მეტი არ უნდათ - ეგრევე ჩერდებიან და ციფრულებით მარიაჟობენ, Delano Hotel-ის შტორებს ვგლეჯთ და შიგ ვეხვევით. თამარა შეჰერაზადედ იქცევა, მე კი კეთილ მოჩვენება კასპერად. გარშემომყოფებს ნარცისიზმის ისეთი შემოტევა აქვთ, რომ სექსით სხვებთან კი არ კავდებიან, არამედ საკუთარ თავს ეჩალიჩებიან.

[I] She's the girl of the new century (ინგლ.) - ეს ახალი საუკუნის გოგოა.

როგორ დღეს შეიძლება მაიამიში უწოდო წარმატებული? იმ დღეს, როცა დროის ერთი მესამედი სკეიტბორდს ეძღვნება, მეორე მესამედი - ექსტაზს და მესამე მესამედი - მასტურბაციას.

გადასაღებ მოედანზე მზემ გაზონი ისევ გადაწვა. მწვანედ მობიბინე მინდვრის იერი რომ დაუბრუნონ, დეკორატორები უკვე მერამდენედ ასხურებენ ბალახს მკვებავ საღებავ ხსნარს. დღეს საღამოს ლინკოლნ-ავენიუზე Drag-queens-ში შეჯიბრება იმართება: კეტჩის რინგზე ტრანსვესტიტები ერთმანეთს პარიკებს დააგლეჯენ. „სინამდვილეში არაფერს აზრი არა აქვს“, - მღერის მადონა. რა ვიცი, მაგარი სასახლე კი წამოუჭიმავს მაიამიში და... თუმცა, რას ვერჩი, სიმღერაში მშვენივრად გადაუჭრია ხელმოკლე ხალხისთვის პრობლემა. მე მიყვარს თამარა და მიყვარს სოფი. კრეატიული დირექტორის ხელფასით ორივეს კარგად შევინახავ, მაგრამ განა შეიძლება მივიღო ის შემოთავაზება, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება ამ წიგნის დასაწყისში ჩემივე ხელით დაწერილ სიტყვებს: „მე ამ წიგნს იმიტომ ვწერ, რომ სამსახურიდან გამაგდონ“. მაშ, უნდა ავდგე და ეს ფრაზა გადავაკეთო: „მე ამ წიგნს იმიტომ ვწერ, რომ ხელფასი მოვამატებინო“. თამარა ბრძნულ ფიქრებს მაწყვეტინებს:

- რა გინდა: ჩაი, ყავა თუ მე?

- სამივე, ოღონდ მესამეც პირში. თამარა, აბა, მითხარი, რომელია შენი საყვარელი რეკლამა?

- Less flower, more power[1] - „ფოლკსვაგენის“ ფირმის New Beetle-ის სლოგანია.

- თამარა, სლოგანი კი არა ტიტრი. კარგად დაიმახსოვრე თუ ჩემთან მუშაობა გინდა!

დღის მეორე ნახევარს უსაქმურ შრომაში ვატარებთ. Sony-ს ვიდეომონიტორის წინ ვსხედვართ და გადაღებულ მასალას კადრ-კადრ ვუყურებთ. თამარა ტერასაზე, თამარა კიბეზე, თამარა ბაღში, თამარა მსხვილი პლანით, თამარა საერთო პლანით, თამარა ბუნებრივად ხელოვნური, თამარა ხელოვნურად ბუნებრივი, თამარა პროდუქტის დეგუსტაციისას (ქილის გახსნა, კოვზის ჩაყოფა, დაგემოვნება), თამარა და მისი ამაღელვებელი იდაყვი, თამარა და მისი ძუძუები. მაგრამ ის თამარა, რომელიც ყველაზე მეტად მომწონს, მხოლოდ ჩემია: შიშველი თამარა ჩემი ნომრის აივანზე, შლოპანცებში, მარცხენა ფეხის თითზე წამოცმული რგოლით და მარჯვენა ძუძუს ქვეშ ამოტატუირებული ვარდით; თამარა, რომელსაც ვეუბნები:

- შენთან სექსი არ მინდა, მაგრამ შენ მე მომაჯადოვე. რატომღაც მგონია, რომ მიყვარხარ. მართალია, დიდი ტერფები გაქვს, მაგრამ მაინც მიყვარხარ. კი, უნდა ვაღიარო, რომ ეკრანზე ბევრად უკეთესი ხარ, ვიდრე ცხოვრებაში, მაგრამ მაინც მიყვარხარ.

- მე ძალიან ბევრ ბოროტ კაცს ვიცნობ, რომლებიც თავს ისე მოგაჩვენებენ, თითქოს იმათზე კეთილი ამქვეყნად არავინაა. აი, შენ კი ყველასგან გამორჩეული იშვიათი გამონაკლისი ხარ. სინამდვილეში კეთილი ხარ. თავი კი ბოროტ ადამიანად მოგაქვს. მოდი, მაკოცე, ამჯერად მუქთა იყოს.

- შენ ჩემი აკრძალული ოცნება ხარ, ჩემი ერთადერთი სატანჯველი და იმედი ხარ. შენ ჩემთვის ერთადერთი იმედი ხარ, რომელიც ვარსკვლავებს აცეკვებს დიუნებზე.

- ისევ სიტყვები და მუდამ სიტყვები!

---

[1] Less fiower, more power (ინგლ.) - ნაკლები ყვავილები, მეტი სიძლიერე.

დეგუსტაციის სცენის გადაღება ყველაზე მძიმე სამუშაოა: წარმოიდგინეთ, სადილის შემდეგ, კაი ნასვამ-ნაჭამზე, პაპანაქება მზეში, საწყალ ბერბერ გოგონას ერთი ოცჯერ მაინც უნდა ეთამაშა ექსტაზი „მეგრელეტით“ სავსე კოვზების პირში ჩადებისას. რამდენიმე დუბლის შემდეგ თამარას უკვე ყელში აღარ გადასდიოდა. რეკვიზიტორი ეგრევე პატარა ტაშტს მოურბენინებდა და როგორც კი ენრიკე სტოპს დაიძახებდა, პირში დაგროვილ იოგურტს იქ აფურთხებდა. პატარა საიდუმლოს გაგიმხელთ და საქვეყნოდ ნუ გააბაზრებთ: როცა ეკრანზე სარეკლამო რგოლში ხედავთ, როგორი სიამოვნებით აგემოვნებს მსახიობი ამა თუ იმ საკვებ პროდუქტს, იცოდეთ, რომ ის ამ პროდუქტს არასოდეს ყლაპავს და გადაღებისთანავე ასეთი შემთხვევებისთვის გათვალისწინებულ ტაშტში აღებინებს.

მე და ჩარლი პლასტმასის სკამებზე ვსხედვართ და სენდვიჩების გორა გვიდევს წინ. სარეკლამო კლიპების გადაღებებზე სულ ერთი და იგივე სიტუაციაა: კრეატივისტებს სადმე, მოშორებულ კუთხეში მოაყუჩებენ ხოლმე და კანფეტებით ტენიან, როგორც გაჟინიანებულ ბავშვებს, რათა ეს უკანასკნელნი შემოქმედებით პროცესში არ ჩაეჩხირონ, აქაოდა პროექტის ავტორები ჩვენა ვართო (თუმცა, სარეკლამო დატრიალება მერე სხვებზეა). ჩვენ თავს დამცირებულად, უმაქნისებად და საქმიდან მოტეხილებად ვგრძნობთ. ტკბილეულით ისე გამოვიტენეთ, რომ გული გვერევა. მაგრამ თავი ისე გვიჭირავს, თითქოს ვერაფერს ვამჩნევთ, რადგან ვიცით, რომ როგორც კი ფრანგული La Rosse-ის კრეატიული დირექტორების სავარძლებს ოფიციალურად დავითრევთ, ისეთ დაუნდობელ და უმოწყალო აბაროტს ავიღებთ, როგორიც ჯერ არ დასიზმრებიათ.

გავხდებით მდიდრები და უსამართლოები.

ყველა ძველ მეგობარს სამსახურიდან გავაგდებთ.

სიმკაცრისა და სისასტიკის ისეთ ცეცხლს ავაგიზგიზებთ, რომ თანამშრომლებს შიშისგან ძარღვებში სისხლი გაეყინებათ.

ქვეშევრდომების კარგ იდეებს ჩვენ მივისაკუთრებთ.

მოვიწვევთ ახალგაზრდა რეჟისორებს, ახალ-ახალ იდეებს დავტყუებთ და მერე ჩვენ თვითონვე განვახორციელებთ ამ იდეების მიხედვით პროექტებს მათ ზურგს უკან.

სანამ მორისის კუნძულებზე დასვენებით არ მოვიღლებით, მოსამსახურე პერსონალს შვებულებას არ ვაღირსებთ.

ვიქნებით ამპარტავნები და უტიფრები.

ყველაზე დიდბიუჯეტიან პროექტებს ჩვენ დავითრევთ, პერსპექტიულ კომპანიებს უშტატოებს ვანდობთ, შტატიანებს კი - ჩემი ფეხები: ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს.

დაჟინებით მოვითხოვთ, რომ ჩვენი ფოტოსურათებით დაამშვენონ „ფიგაროს“ ეკონომიკური საკითხებისადმი მიძღვნილი გვერდები, ხოლო თუ ჟურნალისტი სტატიაში სათანადო ქება-დიდებას არ შეგვასხამს, რედაქტორს მოვთხოვთ ამ საცოდავი მჯღაბნელის სამსახურიდან დაუყოვნებლივ დათხოვნას (თან დავემუქრებით, რომ თუ ჩვენს მოთხოვნას არ შეასრულებს, მათ გვერდებს რეკლამისთვის აღარ ვიყიდით).

ჩვენ ვიქნებით ახალი ფრანგული რეკლამის სახე.

ჩვენ მოვისყიდით ჟურნალ „სტრატეჟის“ პრესატაშეს, რათა კომუნიკაციისადმი მიძღვნილ გვერდებზე ჩვენი სიტყვა ვთქვათ: „უნდა შეგეძლოს ერთმანეთისგან განასხვავო კონცეფცია და პერცეფცია[53]“.

ძალიან ხშირად მოვიხმართ გამოთქმას: „ყიდვის დროს პირველობის უფლება“.

ჩვენ ვიქნებით ძალიან დაკავებულები და მოუხელთებელნი; ჩვენთან აუდიენციის მსურველებს მინიმუმ სამი თვე მოუწევთ ლოდინი (ხშირად მოხდება ისეც, რომ უკვე დიდი წვალებით მიღწეული აუდიენციის დღეს, დილით თავხედი მდივანი დაურეკავს მთხოვნელს და ეტყვის, რომ შეხვედრა გაუქმებულია გაურკვეველი ვადით).

პერანგები ყელამდე გვექნება შეკრული.

ჩვენ გარშემო შიშსა და დეპრესიას დავთესავთ. თანამშრომლები მუდმივ დაძაბულობაში გვეყოლება. კოლეგები ზურგს უკან გაგვლანძღავენ, მაგრამ პირში ვერაფრის თქმას ვერ გაგვიბედავენ.

უფრო მეტი თავისუფალი დრო გვექნება, მაგრამ ახლობლები მაინც აღარ მოვლენ ჩვენს სანახავად.

ჩვენ გავხდებით საშიშები და სუპერშურისმაძიებლები.

ხელში ჩავიგდებთ თანამედროვე საზოგადოების მართვის სადავეებს და ყველას ჩვენს დაკრულზე ვაცეკვებთ.

„კაშკაშა სინათლეშიც“ კი ჩრდილში დავრჩებით.

ძალიან ვიამაყებთ საკუთარ თავზე აღებული უდიდესი და უმძიმესი უპასუხისმგებლობის გრძნობით.

- მაკიაჟით კმაყოფილი არის?

- დაგვირღვია ტკბილი ხილვები ვიზაჟისტმა, რომელსაც ჩვენი - ჩემი და ჩარლის კომპეტენტური აზრი აინტერესებს. მოვა დრო და ჩვენ მას R and W-ს ვიზაჟისტების ჯგუფის ხელმძღვანელად დავნიშნავთ, რადგან პირველმა აღიარა ჩვენი მნიშვნელობა თანამდებობების ოფიციალურ დაკავებამდე.

- კარგი იქნება თუ მსახიობს ბუნებრივი ფერი ექნება, - სერიოზული ტონით ურჩევს ჩარლი, - უნდა გამოიყურებოდეს ჯანსაღად, გაწონასწორებულად და დინამიკურ-ავთენტურად.

- კაი, ახლა ცოტა ტუჩები პრიალა, ფერი არ შეხება, მაგარი კანი არის.

- არა, არა, არავითარი glossy, ჟინიანობს ჩარლი მომავალი დიდი უფროსის თავდაჯერებით, რომელიც ფაქტობრივად უკვე არის კიდეც, - shiny მირჩევნია.

- Of course, Shiny ბევრად უკეთესია, ვიდრე glossy, - სასწრაფოდ ავიტაცე მეც, - სხვანაირად მთლიან კოლორიტს დავარღვევთ.

ვიზაჟისტი უდიდესი მოწიწებით შეჰყურებს ტუჩების მაკიაჟის უბადლო ოსტატებს, აშკარა პროფესიონალებს, რომელთა დონეს ალბათ ვერავინ შესწვდება. ერთი კულინარიის სტილისტსაც შევუბღვირეთ და საქმეც მოგვარდა - tutto ira bene[I].

თამარამ მთელი გადამღები ჯგუფი აღანთო და გადარია. ყველანი მასზე ვგიჟდებით და ვეცემით. მისი არაამქვეყნიური სილამაზის შემხედვარე ერთმანეთს შეთქმულებივით ვუპაჭუნებთ თვალებს. ჩვენ შეგვეძლო ერთად ძალიან ბედნიერები ვყოფილიყავით, მე რომ მუდმივად სხვაზე არ ვფიქრობდე. რატომ არის ეს ცხოვრება ისე მოწყობილი, რომ ყოველთვის ისინი მჭირდება, რომლებიც ჩემთან არიან? დროდადრო თამარა მოდის და ხელისგულებს სახეზე მადებს - ეს მას ამშვიდებს. ჩემთვის კი სიმსუბუქის შეგრძნების უმცირესი დოზაც კი დიდი რამეა. ოჰო, აი, ახალი დამატებითი ტიტრიც გავჩითე ჩვენი

[I] Tutto ira bene (იტალ.) - ყველაფერი კარგადაა.

პროდუქტისთვის: „მეგრელეტი“ - ჩვენ ყველას გვჭირდება სიმსუბუქის შეგრძნების უმცირესი დოზა მაინც“. ერთი უნდა ჩავიწერო, რა იცი, როდის დამჭირდეს.

- მაშ, თანახმა ხარ იმ ფულზე, რომელსაც გთავაზობენ?

- თამარა, შენ ჩემგან არ გესწავლება, რომ ბედნიერება ფულში არ არის.

- კი, ახლა უკვე ვიცი შენი წყალობით. ადრე კი არ ვიცოდი. იმისათვის, რომ დარწმუნდე, რომ ფული ბედნიერება არ არის, ორივეს უნდა გაუსინჯო გემო: ფულსაც და ბედნიერებასაც.

- ცოლად გინდა მოგიყვანო?

- არა, არა... თუმცა, რატომაც არა, ოღონდ ერთი პირობით: ჩვენს ქორწილზე ცაში ვერტმფრენებმა იფრინონ და თავზე წითელი კამელიების წვიმამ დაგვაწვიმოს.

- კი, მაგრამ თეთრ კამელიებს რაღა ვუყოთ?

- რა ვუყოთ და შევჭამოთ! აბა, სად წავიღოთ?!

კი, მაგრამ თვალს რატომ მარიდებს? რაღაც ორივე დავიბენით. მის ინით გაფერადებულ ხელს ხელში ვიღებ:

- რა მოხდა, რა გემართება?

- ძალიან ცდები, დღეს რომ ასეთი კარგი ხარ; მერჩივნა ადრინდელივით ისევ ცუდი კაცის როლი გეთამაშა.

- კი, მაგრამ...

- მოკეტე ახლა! მშვენივრად იცი, რომ არ გიყვარვარ. თავიდან მინდოდა, ცხოვრება მეც შენსავით უზრუნველად და უდარდელად გამეტარებინა. ერთი სიამოვნებიდან მეორეზე გადავფრენილიყავი და სხვაზე არაფერზე მეფიქრა. მაგრამ ეს ყველაფერი უკვე ძალიან მომბეზრდა. იცი, ვიფიქრე და გადავწყვიტე, ასეთ ცხოვრებას შევეშვა. „მეგრელეტში“ აღებული ფულით პატარა სახლს ვიყიდი მაროკოში; შვილი მყავს გასაზრდელი. ჩემი გოგონა ახლა დედაჩემთან მყავს დატოვებული და ძალიან მენატრება... მომისმინე, ოქტავ, დაუბრუნდი შენს საცოლეს და შვილი ერთად გაზარდეთ. იმ გოგომ ამქვეყნად ყველაზე დიდი საჩუქარი გაგიკეთა - შვილი გაჩუქა და მიიღე ეს საჩუქარი, რა მოგივიდა?

- შენღა მაკლდი! რა იყო, რა დაგეტაკათ ყველას ერთად?! კაცი რომ გაგიცინებთ და ერთ-ორ თბილ სიტყვას გეტყვით, მაშინვე ბავშვებზე იწყებთ ლაპარაკს! იმის მაგივრად, რომ სიცოცხლის არსზე იფიქროთ და საკუთარ თავს დაუსვათ შეკითხვა: „რისთვის ვცხოვრობ, რა მინდა?“, დამდგარხართ აქ და პრობლემებს პრობლემებზე ამატებთ!

- შეეშვი ახლა შენს უტვინო ფილოსოფიას! ასეთ თემებზე ხუმრობა არ შეიძლება. აი, ჩემს შვილს მამა არა ჰყავს...

- დიდი ამბავი! არც მე გავუზრდივარ მამას, მაგრამ ამით ქვეყანა არ დაქცეულა!

- ძალიანაც დაქცეულა! ერთი სარკეში ჩაიხედე და საკუთარ თავს შეხედე! შენგან დაფეხმძიმებული გოგო იმიტომ მიატოვე, რომ დრო ვიღაც ნაბოზრებთან გეტარებინა, არა?

- ჰო, ეგრეა, მერე რა... სამაგიეროდ, თავისუფალი ვარ!

- თავისუფალი ხარ! ვაი, რას ამბობს, არ შემიძლია, გააჩუმეთ! არა, ოქტავ, არც ისეთი თანამედროვე ხარ, რომ ასეთი აზრები გქონდეს! აბა, ერთი თვალებში შემომხედე, თვალებში-მეთქი, სად მიყურებ! ბავშვს, რომელიც უნდა დაიბადოს, შეიძლება მამა ჰყავდეს! ხვდები, ეს რას ნიშნავს?! შენს ცხოვრებაში პირველად გეძლევა საშუალება,

ვინმეს სასიკეთოდ გამოადგე და ამაზე უარს ამბობ? კი, მაგრამ, კიდევ რამდენ ხანს აპირებ ბინძურ ბორდელებში თრევას და ერთი და იმავე უხამსობების მოსმენას ვიღაც უტვინოებისგან და იმპოტენტებისგან? გამაგებინე, აღარ მოგბეზრდა? ეს არის შენი თავისუფლება?

არსებობენ ფსიქოანალიტიკოსები, რომლებიც საათში 150 ევროს იღებენ, ჩვენი თამარა კი საათში 450-ევროიანი მორალისტია.

- მორჩი ახლა ნოტაციების კითხვას! გამომივიდა ესეც მორალის მასწავლებელი!

- ნუ მიყვირი, თორემ ანევრიზმა გამისკდება! მორალი, შეიძლება, ძალიან მოსაწყენი რამეა, მაგრამ ჯერჯერობით ამაზე უკეთესი საშუალება სიკეთისა და ბოროტების გასარჩევად არ გამოუგონიათ!

- მერე, მაგით რისი თქმა გინდა? მირჩევნია ვიყო უკანასკნელი ახვარი, მაგრამ თავისუფალი ახვარი, გაიგე? თა-ვი-სუ-ფა-ლი! და არა ვიღაც საცოდავი, მაგრამ პატიოსანი და კეთილშობილი მონა! „თავისუფალო ადამიანო! შენ ყოველთვის გეცოდინება სიმწრის ფასი“ ძალიან კარგად მესმის, რასაც მეუბნები, მაგრამ წარმოიდგინე, რომ ოჯახური ბედნიერება ზოგჯერ შეიძლება უფრო ყალბი და პათეტიკური იყოს, ვიდრე ის უხამსი ამბები, რომელთაც ვიღაც გალეშილი ლოთი გიყვება დილის 6 საათზე, სადმე ბინძურ კაფეში. აზრზე ხარ, რას გეუბნები? და მერე კიდევ, შვილი როგორ უნდა გავზარდო, როცა დღეში ათჯერ სხვადასხვა ქალი მიყვარდება, თანაც, სულ მეძავები?

ფუ! ახლა ეს მინდოდა?! საბოლოოდ დამენძრა: თამარასთან ურთიერთობის დაუწერელი წესი დავარღვიე: სიტყვა მეძავის წარმოთქმის უფლება მარტო თვითონ აქვს; თუ მისი თანდასწრებით სხვა ვინმეს წამოსცდა, პირად შეურაცხყოფად იღებს. ეგრევე ტირილს იწყებს. მერე მიდი და აწყნარე!

- კარგი, არ იტირო; ხომ იცი, ათასჯერ მითქვამს და ახლაც გიმეორებ: შენ ნამდვილი წმინდანი ხარ. მეც კაი ვინმე ვარ, რა! აქამდე მსოფლიოში ერთადერთი კაცი ვიყავი, რომელიც ნაშებს ფულს იმაში უხდიდა, რომ არ გაეჟიმა და ახლა ესეც აღარ ვიკმარე და ამათი ცრემლების მიზეზი გავხდი! მაგარი ვარ, რა! მოიცა, ერთი, მობილური მათხოვე, გინესებში უნდა გადავრეკო, „რეკორდების წიგნში“ შემიყვანონ. ალო! თუ შეიძლება, რუბრიკა „მსოფლიოში ყველაზე გამოსირებული და მოუხერხებელი მამაკაცი“ დამაკავშიროთ?

ბოლოს და ბოლოს, იმდენი ვქენი, რომ გაიღიმა. ვიზაჟისტი წამწამებზე ტუშს გადაუსვამს და ისევ ჩემი თამარა იქნება. მე კი ისევ თვითანალიზის სეანსს ვაწვები:

- ჩემო საყვარელო, საფრანგეთში ემიგრირებულო, თუ ღმერთი გწამს, ერთი კარგად ამიხსენი: რატომ ხდება, რომ ქალი გიყვარდება, ერთად თავს მშვენივრად გრძნობთ და მერე უცებ ეს ქალი გადაწყვეტს, ვნებიანი შეყვარებულიდან შენც და საკუთარი თავიც ბავშვების აღმზრდელებად აქციოს? ნუთუ ასეთი აუცილებელია ჩვენ შორის ქვეშაფსია და აღნავლებული ღლაპების ჯგრო იყოს, რომლებიც დღედაღამ ფეხებში გებლანდებიან და განმარტოების საშუალებას არ გაძლევენ? ნუთუ ასეთი ცუდია ორი ადამიანის ერთად ყოფნა ყოველგვარი ბავშვებისა და მოწმეების გარეშე? ძალიანაც მომწონდა, როცა ჩვენ მხოლოდ ორნი ვცხოვრობდით, რა საჭირო იყო მაინცდამაინც ოჯახი! ახლა დავიჯერო, ძაან მოგწონს ეს მრავალშვილიანი ოჯახები, პამპერსების გარდა სხვა სადარდებელი რომ არა აქვთ? ძმები გალაჰერები[54] რომ თავიანთ ბალღებს ტრაკებს უწმენდენ, ესეც ალბათ ძაან სექსუალურად მიგაჩნია! ჩემი აზრით კი, ამას მძღნეროფილია ჰქვია და მეტი

არაფერი! და თანაც, არ დაგავიწყდეს, რომ ჩემს BMWZ3-ის კუპეში ბავშვის სავარძლის ადგილი არ არის.

- მრავალშვილიანებს შენი შესაცოდი არაფერი სჭირთ. საცოდავი და უბედური შენა ხარ. დედაშენსაც რომ არ მოენდომებინა შვილის გაჩენა, ახლა აქ არ იქნებოდი და უაზრობებს არ გადმოაფრქვევდი.

- არ ვიქნებოდი და ნუ ვიქნებოდი! არც მაგითი დაშავდებოდა რამე!

- მოკეტე ახლა და მორჩი სისულელეებს!

- შენ თვითონ მოკეტე და შენი ხმა არ გავიგონო!

- ნუ მიყვირი, გაიგე, ყელში ამომივიდა შენი ღრიალი! - ღრიალებს თვითონაც და ტირილს იწყებს. სლუკუნ-სლუკუნით იხოცავს ცხვირს. ღმერთო ჩემო, რა ლამაზია! ალბათ კაცები იმიტომ ტკენენ გულს ქალებს, რომ ამ უკანასკნელთ ტირილი ძალიან უხდებათ.

ბოლოს, თამარამ თავი ასწია და თავისი ჭკუით, მიაგნო ყველაზე დამაჯერებელ მიზეზს, რომლითაც სოფიზე დაქორწინებას მაიძულებდა:

- ჩვენ შეგვიძლია მერეც შევხვდეთ ჩუმ-ჩუმად ერთმანეთს.

აი, ამ მორალს გაუმარჯოს! ბლეზ პასკალმაც ხომ გენიალურად თქვა: „ჭეშმარიტ მორალს სასაცილოდაც არ ჰყოფნის მორალი“. სანამ მე Seven up-ის ჩხირით მის ცრემლებს ვისრუტავ, ორივე ერთსა და იმავე რამეზე ვფიქრობთ.

- იცი, ჩვენ რატომ არაფერი გამოგვივა ერთად?

- ვიცი, - ვუპასუხე მე, - მე თავისუფალი არა ვარ, შენ კი ძალიან თავისუფალი ხარ.

5.

და აი, გადაღებაც დასრულდა: სამ დღეში 500.000 ევრო ისე გავაქრეთ, როგორც არაფერი. სანამ კამერებს ავალაგებდით, ენრიკეს ვთხოვეთ, ბარემ კლიპის trashვერსიაც გადაგვეღო. ყველანი, თამარას ჩათვლით, უკვე ისტერიკაში ვიყავით, მაგრამ ჩარლიმ წამოიძახა:

- მისმინეთ ყველამ! Listen to me, please[I]. მარკ მარონიე ბოლოს ცოცხალი რომ ვნახე, აი, ამ ჩვენს ოქტავს უყვიროდა და საყვედურობდა, რომ სცენარი, რომლის მიხედვითაც ეს კლიპი გადავიღეთ, ბანძობაა, კეთილი ინებეთ და ახალი დაწერეთო.

- დიახ, ასე იყო, - დავძინე მე, - მან თქვა ერთი ფრაზა, რომელიც ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება: „პროექტს რომ გაა კეთებ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმაზე უკეთესს ვეღარ დაწერ“.

- ქალბატონებო და ბატონებო! Ladies and Gentlemen, ნუთუ ჩვენ არ შევასრულებთ გარდაცვლილის უკანასკნელ თხოვნას?

ტექნიკოსები მაინცდამაინც აღფრთოვანებულები არ ჩანდნენ ჩვენი ენთუზიაზმით. მაგრამ ენრიკესთან და ტელეპროდიუსერთან მთელი მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა, რომ გადავიღებდით შინაურულ ვერსიას, მოკლე ეპიზოდებად, ხელის კამერით, Dogma-ს სტილში (ამ ზამთარს რატომღაც ყველა საღადაო კლიპს დანიური ინტელექტუალური კინოს ამბავში იღებდნენ).

აი, რას წარმოადგენდა „მეგრელეტ“ - Dogma-ს ვერსია: თამარა დგას გოგრის ხის ვერანდაზე, გრაციოზულად იხდის მაისურს და ისვრის; შემდეგ ნახევრად შიშველი კამერას უყურებს და იწყებს ლოყებსა და ძუძუებზე იოგურტის წასმას. ტრიალებს, ბზრიალებს, კიბეზე დახტის, ფეხშიშველი დარბის ბალახზე და უცხიმო „მეგრელეტს“ უყვირის: - „Maigrelete, I'mgonna eat you[II]! შემდეგ ახალგადაღებილ ბალახზე გორავს, ახლა ძუძუებზე იოგურტის გარდა მწვანე საღებავიც უსვია, იოგურტიან ზედა ტუჩს ილოკავს (კამერა მსხვილი პლანით იღებს სახეზე ჩამოწუწულ „მეგრელეტს“) და ვნებიანად კვნესის: „მმმმ... „მეგრელეტი“ it's so good when it comes in your mouth[III]!“

რა ტალანტია! ეგრევე გადავწყვიტეთ ეს ვერსია კანის რეკლამის მსოფლიო ფესტივალზე გავგზავნოთ Madone-ის ჩუმად. თუ „ლომი“ დავითრიეთ, დიულერი იძულებული იქნება ტაში დაგვიკრას.

მარონიე ამ გარჯასა და მისი სიტყვის ერთგულებას ალბათ დაგვიფასებდა. ახლა შეგვიძლია მშვიდად დავბრუნდეთ პარიზში და დაწყნარებული სინდისით მოვკალათდეთ მის ჯერ კიდევ თბილ სავარძელში. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ჩარლისთვის ეს საკმარი სი არ იყო. იმავე საღამოს, მას შემდეგ რაც Liquid-ში გადაღებების დამთავრება სათანადოდ დავასველეთ, საბედისწერო შარში გამხვია, რომელიც, ჩემდა სამწუხაროდ, უნდა მოგიყვეთ.

[I] Listen to me, please (ინგლ.) - მისმინეთ ყველამ.

[II] მეგრელეტო, უნდა შეგჭამო (ინგლ.).

[III] საუცხოოა, როცა შენს პირს უახლოვდება (ინგლ.).

6.

სტრობოსკოპების სინათლე სივრცეს უჯრედულად ყოფდა. საცეკვაო მოედანზე ხანდაზმულმა სადომაზოხისტმა ქალმა გაიარა. კორსეტში ისე იყო ჩაჭედილი, ტანის გარშემოწერილობა ჰა და ჰა ათი სანტიმეტრი ექნებოდა. შავი ტყავის ფუტლარში ჩაყუდებულ ქვიშის საათს ჰგავდა.

- იცი, ახლა ამ დედაბრის დანახვაზე რა გამახსენდა? ევროპაში საწარმოები ათასობით ადამიანს უმუშევრად ტოვებენ, რომ მაიამის პენსიონერებმა უფრო მეტი მაყუთი ჩაიჯიბონ. ასე არ არის?

- ჰოო... დაახლოებით ეგრეა. ფლორიდის მთელი ბებრების გუნდი საპენსიო ფონდების აქციონერებისგან შედგება და თანაც საერთაშორისო ფირმები აქვთ დათრეული. ასე რომ, სადღაც მართალი ხარ.

- ჰოდა, თუ მართალი ვარ და ბარემ აქ ვართ, რატომ არ უნდა ვისარგებლოთ შემთხვევით და რატომ არ უნდა ვესტუმროთ პლანეტის რომელიმე უმდიდრეს მესაკუთრეს?

ამ შანსის ხელიდან გაშვება მაგარი სისულელე იქნება. მივიდეთ რომელიმე მათგანთან და იქნებ როგორმე დავარწმუნოთ, რომ არ შეიძლება ხალხი ქუჩაში გაყარო. აბა, რას იტყვი?

- ვიტყვი იმას, რომ შენ ახლა უგონო მთვრალი ხარ, მაგრამ არა უშავს, წავედით! მე შენ გვერდით ვარ!

და ჩვენ, სამივემ: მე, თამარამ და ჩარლიმ დავადეთ თავი და ბიწიერი მაიამის ქუჩებში გავიჭერით მსოფლიო სააქციო საზოგადოების აქციების მფლობელთა საძებნელად.

- დენგ! დონგ! დენგ! დონგ-დენგ-დონგ-დენგ-დონგ-დენგ!

ამ მაიამიში ზარებიც კი მეტიჩრული აქვთ. ეს, მაგალითად, სხვა ჩვეულებრივი ზარებივით მამაპაპურად კი არ რეკავს „დრეენგ!“, არამედ მოცარტის „ღამის პატარა სერენადას“ უკრავს. უკვე ერთი საათია დასამოძღვრი პენსიონერის საპოვნელად Coral Gables-ის მდიდრულ კვარტალში დავბოდიალებთ. ბოლოს და ბოლოს, ჩარლი ერთ მაროკოულ სტილში აშენებულ მდიდრულ ვილას მიადგა და ზარს მიაჭირა.

- Yes!

- Good evening, Madame, do you speak french[1]?

- დიახ, დიახ, რა თქმა უნდა; მართალია, ძალიან კარგად არა, მაგრამ... ასე გვიან რატომ რეკავთ ზარს?

- იცით, რაშია საქმე მისის უორდ, აქ არის თამარა (თამარა სათვალთვალო კამერას უღიმის) და ამბობს, რომ თქვენი შვილიშვილია.

ბზზზ.

კარი იღება და ჩვენ მუმიის წინაშე აღმოვჩნდით. ანუ ეს არის არსება, რომელიც ძალიან შორეულ წარსულში და სხვა სამყაროში, წესით ქალი უნდა ყოფილიყო. ცხვირი, პირი, თვალები, შუბლი, ყვრიმალები სულ კოლაგენებით აქვს გამოტენილი. სხეულის

---

[1] Good evening, Madame, do you speak French (ინგლ.)? -საღამო მშვიდობისა, ქალბატონო, ლაპარაკობთ ფრანგულად?

დანარჩენი ნაწილი დამჭკნარი კარტოფილისგან არ განსხვავდება - ჩონჩხი ნაოჭებიან ხალათშია გახვეული და ალბათ, კარტოფილიც ამიტომ გამახსენა.

- მხოლოდ სიფათზე აქვს კანი გადაჭიმული, - ლუღლუღებს სიმთვრალისგან ენადაბმული ჩარლი.

- აბა, რას ამბობდით, შვილიშვილიო? მე...

მაგრამ უკვე გვიან იყო. დედაბერმა „შვილიშვილზე“ კანონიერი უარის თქმაც ვერ მოასწრო, თამარამ ეგრევე იატაკზე ბეჭებით გააკრა (ძიუდოს ყავისფერი ქამრის მფლობელია). თავიდან ბოლომდე მოოქრულ სახლში გიჟებივით შევცვივდით, სადაც ოქრო არ ბდღვრიალებს, იქ თეთრი მარმარილო ელვარებს. თამარას და ჩარლის მისის უორდი ფსიქოდელიკურ[55] მოტივებიან დივანზე გადააქვთ. ეტყობა, ეს დივანი და მისი პატრონი ერთ ეპოქაში იყვნენ მოდაში, სადღაც, ასე XX საუკუნის დასაწყისში.

- მაშ, მადამ უორდრაღაცავ, ვინაიდან ფრანგული გესმით, იმედი მაქვს, მშვიდად და წყნარად მოგვისმენთ. აქ მარტო ცხოვრობთ?

- დიახ, i mean no, სულაც არა, პოლიცია ახლავე აქ გაჩნდება. მიშველეთ heeeelp!

- ჩატენე რა, რამე პირში, თამარა, შარფი არა გაქვს?

- მოიცა, ახლავე!

თამარამ თავისი ბენდენა ლამის ყელში ჩათხარა; ჩარლი ზედ გადააჯდა დედაბერს. შემიძლია გითხრათ, რომ ჩარლი ისეთივე მძიმე და უხეშია, როგორიც მისი ხუმრობები. ამის მერე პენსიონერს ისღა დარჩენია, გაჩუმდეს და ბოლომდე მოუსმინოს თავის „მხედარს“.

- იცით რა, ქალბატონო, ამჯერად ჩვენი არჩევანი თქვენზე შეჩერდა. თუმცა კი შეიძლებოდა ასეთივე წარმატებით ჩვენი არჩევანის სიმძიმე სხვა რომელიმე თანამედროვე უბედურებაში პასუხისმგებელსაც დასწოლოდა. მინდა გაცნობოთ, რომ დღეიდან მსგავსი ვიზიტები უკვე ჩვეულებრივი მოვლენა გახდება. დადგა დრო, როდესაც ამერიკული საპენსიო ფონდების წარმომადგენლებმა უნდა შეიგნონ, რომ მათ არა აქვთ უფლება, ასე დაუსჯელად დაანგრიონ მილიონობით უდანაშაულო ადამიანის ცხოვრება და რომ მათაც ერთ მშვენიერ დღეს პასუხი უნდა აგონ თავიანთ დანაშაულებრივ საქმიანობაზე. ხომ გასაგებად გიხსნით?

ჩარლიმ გაუბერა და ახლა უკვე ვეღარაფერი გააჩერებდა. ხომ იცით სიტყვაძვირი ხალხის ამბავი? ჯერ ხმას არ იღებენ და მერე თუ ერთი პირი მოხსნეს, მტრისას!

- თქვენ ალბათ გაგონილი გექნებათ ლუი-ფერდინანდ სელინის „მოგზაურობა წყვდიადის დასალიერში“.

- მპფფპმმგნჰჰჰ.

- არა, ქალბატონო, გეშლებათ, სელინი ფეხსაცმლის მარკა არ არის, ფრანგი მწერალია. მისი ყველაზე ცნობილი რომანის გმირმა ბარდამუმ[56] მთელი დედამიწა შემოიარა დამნაშავის ძებნაში. რაღა არ გამოიარა: ომი, გაჭირვება, ავადმყოფობა, იყო აფრიკაში, ამერიკაში და ვერსად ვერ იპოვა ჩვენს საერთო უბედურებაზე პასუხისმგებელი. წიგნი 1932 წელს გამოვიდა და 5 წლის გასვლის შემდეგ სელინმა, თავისი ჭკუით, განტევების ვაცი იპოვა: თურმე სად დადიხარ, რას ეძებ, ყველაფერში დამნაშავე ებრაელები არ ყოფილან?!

ამასობაში თამარამ ოთახები შემოიარა და ერთგან მაცივარში ლუდს მიაგნო. ერთი გახსნა და მოიყუდა, მე და ჩარლისაც თითო-თითო მოგვაწოდა. მე გაფაციცებული ვიწერ

ჩარლის მგზნებარე გამოსვლას. ჩარლი თან ღაღადებს და თან უშნო კანაპეზე განრთხმულ მუმიას მძლავრად აჯანჯღარებს.

- ყველამ კარგად ვიცით, რომ სელინი ბოლოს მაგრად ჩაიჭრა და ერთი საზიზღარი ანტისემიტი გახდა - პლეონაზმისთვის ბოდიშს ვიხდი. ჩვენც, ბარდამუსი არ იყოს, ამ ყველაფრის პასუხისმგებელს ვეძებთ აი, თქვენ წინაშე წარმოდგენილ ქალს, რომელსაც თამარა ჰქვია, ძალიან აინტერესებს, რატომაა იძულებული შვილის სარჩენად სისტემატურად ვიღაცებს აძლიოს. აგერ კიდევ, ჩემ გვერდით რომ კრეტინი გამოჭიმულა, სახელად ოქტავი, მასაც ბევრი კითხვა აწვალებს და პასუხი ვერ მოუძებნია, როგორც თავადაც შეატყობდით, ჭლექიანი მითოლოგიური ცხოველის სიფათზე. ვინ უთხრის ძირს ქვეყნიერებას? ვინ არიან ავისმკეთებლები? სერბები? რუსული მაფია? ისლამისტი ფანატიკოსები? კოლუმბიური კარტელები? ან ვინმე დაბალი ღობეები, როგორიც იყო, მაგალითად, „ებრაულ-მასონური შეთქმულების“ წევრები 30-იან წლებში? ხვდებით ახლა რის თქმა მინდა, ღრმად პატივცემულო ლედი თუ მადამ იმანო? ჩვენი განტევების ვაცი თქვენ ხართ. ამ დედამიწაზე ძალიან მნიშვნელოვანია თითოეულ ჩვენგანს შეგნებული ჰქონდეს რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მის საქციელს. ერთ პატარა მაგალითს მოგახსენებთ: თუ მე ვყიდულობ მონსანტოს პროდუქტებს, ე.ი. მხარს ვუჭერ გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს და სასოფლო-სამეურნეო თესლის პრივატიზაციას. თქვენ თქვენი დანაზოგი მიანდეთ ფინანსურ ჯგუფს, რომელიც საკმარის პროცენტებს გიხდით, რომ ეს კომმარული სასახლე შეინახოთ მაიამის თვალწარმტაც უბანში. შესაძლებელია თქვენ არც კი დაფიქრებულხართ თქვენი გადაწყვეტილების შედეგებზე, რომლებიც თქვენთვის სრულიად უვნებელია, ჩვენთვის კი საბედისწერო და გამანადგურებელი. გაიგეთ, ბოლოს და ბოლოს? გამანადგურებელი და დამაქცევარი, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებამ თქვენ მსოფლიოს მბრძანებელი გაგხადათ!

ჩარლიმ დედაბერს ლოყაზე უჩქმიტა, რომ ცრემლით სავსე თვალები გაეხელინებინა. ბებრუხანას ბენდენით მოგუდული საწყალობელი ბგერები აღმოხდა.

- იცით, - განაგრძო ჩარლიმ, - პატარაობაში ჯეიმს ბონდის ფილმებზე ვგიჟდებოდი. ამ ფილმებში ყოველთვის იყო ვინმე ძალიან ბოროტი, რომელსაც მსოფლიო ბატონობა სურდა; სასწაულად შეიარაღებულ ჯარს მიწისქვეშა ციხესიმაგრეში მალავდა და იმუქრებოდა, რომ პლანეტას უზბეკეთში მოპარული ბირთვული რაკეტებით ააფეთქებდა. გაგახსენდათ ეს ფილმები, მადამ უორდნერვიულობავ? ჰოდა გეტყვით, რომ სულ ახლახან აღმოვაჩინე, რომ ჯეიმს ბონდი, ისევე როგორც ლუი-ფერდინანდ სელინი, მაგრად მიედ-მოედებოდა: მსოფლიო მბრძანებელი ის შიშის მომგვრელი ზეკაცი კი არ ყოფილა, არამედ აი ეს, იდიოტურ სასახლეში გამოკეტილი, ლურჯპარი კიანი, პენუარში ჩამძვრალი და ყანყრატოში ბენდენაჩაჩრილი არსება და თანაც, ყველა ამ უბედურებასთან ერთად, აზრზეც არ არის, რომ მსოფლიოს მბრძანებელია! დიახ, დიახ, მადამ უორდდოლარო, თქვენზე ვლაპარაკობ! და არ გაინტერესებთ ჩვენ ვინღა ოხრები ვართ? ვინ და აგენტი 007-ები! ტრა ტა ტან ტა ტატატატანტანტან!

ჩარლი ჯონ ბერის სიმღერას ღიღინებს. კარგი ხმა და სმენა აქვს. მაგრამ მსოფლიოს მბრძანებელი ხელს უშლის: პათეტიკურად ფშლუკუნებს ვერსაჩეს ჭყეტელა ფერის ბალიშში თავჩარგული (როგორც ჩანს, სინამდვილეში სულაც არ მომკვდარა, რადგან მისი შემოქმედება ისევ ცოცხალია).

- არც კი შეეცადოთ, რომ თავი შემაცოდოთ, მადამ უორდტრაკო. თქვენ შეგეცოდათ ვინმე, როცა მთელი რეგიონები განადგურდა სამსახურებიდან მასობრივი უსულგულო დათხოვნების, ინტენსიური რესტრუქტურიზაციისა და უსასტიკესი სოციალური გადაწყვეტილებების შედეგად? ეს ყველაფერი ხომ მხოლოდ თქვენი ლამაზი თვალებისთვის გაკეთდა! ასე არ იყო? ხო და ახლა ამას წირპლები და ფშლუკუნი აღარ უნდა! იქონიეთ ცოტა მეტი ღირსება და ყველაფერი მოგვარდება. My name is Bond, James Bond[I]. ჩვენ აქ მხოლოდ ერთადერთი მიზნით მოვედით. ჩვენ გვინდა, გადასცეთ თქვენს საპენსიო ფონდ „ტემპლეტონს“, რომლის აქტივები 200 მილიარდ ევროს შეადგენს, რომ ამიერიდან საწარმოებს მოგების იმდენივე პროცენტი აღარ წაართვან, თორემ ჩვენნაირების თქვენნაირებთან ვიზიტები აუტანლად ინტენსიური გახდება. შევთანხმდით?

აქ უკვე საქმეში თამარა ჩაერთო:

- მოიცა, ჩარლი, მე მგონი რაღაცის ჩვენება უნდა.

მართლაც, დედაბერი გალეულ თითებს დაბალ მაგიდაზე დაყუდებულ ჩარჩოში ჩასმული ფოტოსკენ იშვერდა. შავ-თეთრ სურათზე US Army-ს ჩაჩქანიანი ლამაზი ჯარისკაცი იღიმებოდა.

- მმმპგფამფნფ! - რაღაცის თქმას ლამობდა ერთ დროს ქალი და სურათზე მიგვანიშნებდა.

ვეცი და პირიდან ბენდენა ამოვაცალე - ხომ უნდა გაგვეგო ბოლოს და ბოლოს, რისი თქმა უნდოდა. ისეთი ჭყივილი ატეხა, კინაღამ ჩემი საქციელი ვინანე.

- We saved your assin'44! My husband died in Norfuckingmandy[II]! შეხედე, უტვინო, ჩემი ქმრის სურათი!..

პირადად მე, ჩავთვალე, რომ ეს მისთვის მომგებიანი ქულა იყო. მაგრამ ჩარლი ამ სიტყვებმა სულ ჭკუიდან გადაიყვანა. მე მისი ოჯახის ამბები საერთოდ არ ვიცოდი და ახლა რაც მესმოდა, ძალიან მოულოდნელი იყო.

- მომისმინე ახლა მისო თუ სირო. ჩვენ აქ იმიტომ არ მოვსულვართ, რომ ერთმანეთის მიცვალებულების სახელები ტალახში ვათრიოთ. ამ ომში თქვენი ერთადერთი მიზანი „ კოკა-კოლას“ ექსპორტირება იყო. IT's Coca-Cola WHO killed your husband[III]! რაც შეეხება მამაჩემს, მან თავი მოიკლა იმიტომ, რომ საწარმომ მოგების გაზრდის მიზნით მოსამსახურეები ქუჩაში გამოყარა. და მე თვითონ ვიპოვე ყულფში თავგაყოფილი, გაიგე? მიხვდი განსხვავებას? შე ნაბოზარო! You killed my Father[IV]!

ჩარლიმ ისეთი სილა გააწნა, რომ ბებრუცუნას ცხვირიდან სისხლი წასკდა. გეფიცებით, ვცდილობდი ჩარლის გაკავებას, მაგრამ ალკოჰოლისგან ისე იყო ძალამიცემული და გაგიჟებული, რომ არაფერი გამომივიდა.

- მამაჩემი შენ მოკალი, ბებერო ღორო და ახლა პასუხი უნდა აგო.

[I] My name is Bond, james bond (ინგლ.) - ჩემი სახელია ბონდი, ჯეიმს ბონდი.

[II] We saved your ass in 44! My husband died in Norfuckingmandy (ინგლ.) - ჩვენ თქვენ გიცავდით ორმოცდაოთხში. ჩემი ქმარი დაიღუპა ნორფუკინგმანდში.

[III] IT’s Coca-cola WHO killed your husband (ინგლ.)- „კოკა-კოლამ“ მოკლა თქვენი ქმარი.

[IV] You killed my Father (ინგლ.) - თქვენ მოკალით მამაჩემი.

მთელ სახეზე დაუნდობლად ურტყამდა მუშტებს, ლუდის ბოთლი ცხვირზე გადაამტვრია, კბილის პროთეზი ჩაულეწა და ფეხებშუა შეტენა. ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ჩარლიმ დედაბერს უშინაარსო და ტკივილებით აღსავსე ცხოვრება შეუმოკლა, რომელიც ისედაც მალე დამთავრდებოდა, თუმცა მეორე მხრივ, მისი მხრიდან ეს სუფთა გაფრენა და ნერვული შეტევა იყო. ერთი სიტყვით, 5 წუთის შემდეგ (ეს კი ცოტა არ არის - კრივის ერთი რაუნდი უფრო ხანმოკლეა), მისის უარდი აღარ სუნთქავდა და ოთახში საზიზღარი მძღნერის სუნი დადგა. ვერსაჩეს ბალიშები აშკარად ქიმწმენდაში იყო წასაღები. თამარას, რომლისთვისაც, ეტყობა, ასეთი გაფრენები უცხო არ იყო, წარბიც არ შეუხრია. მას შემდეგ, რაც დედაბერს პულსი გაუსინჯა ანუ გარდაცვალება დაადასტურა, მიიხედ-მოიხედა და მეთოდურად შეუდგა ოთახის მილაგებას. მერე გვიბრძანა, ცხედარი ბერძნულ-რომაული კიბის ძირში დაგვედო. შემდეგ ამ გულისამრევი ვილიდან თითისწვერებზე გამოვედით და ბაღში წამოკრეფილი ქვებით სათვალთვალო კამერა ჩავლეწეთ.

- როგორ გგონია, ვიდეომ გადაიღო?

- არა, რა ვიდეო, დომოფონია.

- ყველა ვარიანტში, თუ რამე კვალი იპოვეს, ფეხებს მოგვჭამენ, ჩვენ აქ არავინ გვიცნობს.

ამ ბოლო ფრაზამ მაგრად გაამხიარულა დაცვის ბიჭები, რომლებიც ყველა სამეთვალყურეო კამერის ჩანაწერს ამოწმებდნენ (ერთი მათგანი, ტაიტელი ახმახი, ფრანგულად თავისუფლად ლაპარაკობდა). მაგრამ როცა გაიგეს, რომ მისის უორდს თავს დაესხნენ და ამის გამო ქალაქ მაიამის პოლიციის დეპარტამენტში მკვლელობის ფაქტზე მოხსენებითი ბარათის შედგენა მოუწევდათ, სიცილისა და მხიარულების ყოველგვარი ხალისი წაერთვათ.

ქუჩა უკაცრიელი იყო. ჩარლი გონზე მოვიდა და თამარასთან შეთანხმებას მიაღწია:

- ის კანაპე მაინც რა საზიზღრობა იყო.

საღამო კლუბ „მადონაში“ დავასრულეთ, სადაც თავიდან ფეხებამდე ხელოვნური, სიმბოლურ ტრუსებში გამოწყობილი ლამაზი სტრიპტიზიორი გოგოები გასაოცარი სიმარჯვით აცლიდნენ კბილებით მამაკაცებს შარვლის შესაკრავზე მიმაგრებულ ათდოლარიანებს. ჩვენ მქუხარე აპლოდისმენტებითა და შეძახილებით ვაჯილდოებდით მათ ჭკუიდან შემშლელ (თუმცა კი სილიკონიან) ძუძუებს.

- ქალებთან სულ ასეა რა, - დაადგინა ჩარლიმ, - ან ცდილობენ დაგაშინონ, ან კიდევ გულს გირევენ და თავს გაბეზრებენ.

თამარამ ჩათვალა, რომ მისი პროფესიული ღირსება შეილახა და ისეთი თავბრუდამხვევი შოუ გვაჩვენა ბარზე შემხტარმა, რომ იქ დამსწრე მამაკაცები სულ გადარია. ლუდის ბოთლის ყელს ვნებიანად ლოკავდა, ჩემი არყის ჭიქიდან ამოცლილი ყინულის ნატეხებს ძუძუსთავებზე ისვამდა და იმკვრივებდა. ერთი სიტყვით, ისე გაიგიჟა თავი, რომ ჩრდილში დარჩენილმა მისმა კონკურენტებმა სულ კინწისკვრით გამოგვყარეს სამივენი ბარიდან. მერე სასტუმროს ნომერში ტელევიზორის წინ ჩაგვეძინა, სადაც მშვენიერ პორნოს აჩვენებდნენ. ორმაგი jist anal[I] იყო, რომელიც აქამდე ტექნიკურად

[I] გაუკუღმართებული სექსი (ინგლ.).

შეუძლებელი მეგონა. მსახიობი ქალი ისე კვნესოდა, რომ, რაღა დაგიმალოთ და, შარვალში გავათავე.

მეორე დღეს, როდესაც პარიზის თვითმფრინავში ჩავსხედით (რა თქმა უნდა, კვლავ ბიზნესკლასი, ადგილის ღირებულება 5.000 ევრო. მენიუ: ხიზილალა-ორაგული - მერცხლების ბუდე პამიდვრის სოუსით), ჩარლიმ მითხრა, რომ ის უკვე დათანხმდა კრეატიული დირექტორის პოსტს. მე ღმერთს შევთხოვე, რომ თვითმფრინავი ჩამოვარდნილიყო, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, არ ჩამოვარდნილა. აი, ამგვარად, ერთ დღეში სააგენტოს უფროსიც გავხდი და მკვლელობის თანამონაწილეც.

7.

პარიზში დაბრუნებისას კომპიუტერში მეილზე გამოგზავნილი ცირკულარი დაგვხვდა, რომელიც Rossery and Witchcraft-ის ყველა ფილიალის თანამშრომლისადმი იყო მიმართული (სავარაუდოდ, ავტომატური თარგმანის პროგრამით იყო შედგენილი).

ძვირფასო მეგობრებო! Rossery and Witchcraft-ის წარმომადგენლებო!

ჩვენს კლიენტებთან, აქციონერებთან და თითოეულ თქვენგანთან ურთიერთობაში ერთი ჩემი უმთავრესი მოვალეობაა Rossery and Witchcraft-ის მომავლის პროგნოზირება. ბოლო წლების განმავლობაში ჩვენ გვქონდა ბედნიერება, თვალყური გვედევნებინა ჩვენი მენეჯერების გამორჩეულად მაღალი ხარისხის მუშაობისთვის. ეს არის ჯგუფი ნიჭიერი ადამიანებისა, გლობალური და ინტეგრირებული მარკეტინგის სპეციალისტებისა, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დასახული მიზნების განხორციელებას და ჩვენი სააგენტო აქციეს მსოფლიო ლიდერად საკომუნიკაციო სფეროში. დღეს მე აღვნიშნავ და ვაღიარებ მათ უმნიშვნელოვანეს როლს მიღწეულ წარმატებებში და ვამზადებ ნიადაგს იმისათვის, რომ მესამე ათასწლეულში Rossery and Witchcrafi სიცოცხლისუნარიანი და ამავე დროს ბრძოლისუნარიანიც იყოს. აი, ამიტომაც დიდი კმაყოფილებითა და განსაკუთრებული სიამაყით გიცხადებთ, რომ ჟან-ფრანსუა პარკო დანიშნულია ფირმის პარიზული განყოფილების პრეზიდენტ-გენერალურ დირექტორად, ხოლო ფილიპ ანჟევენი დაიკავებს ევროპული ფილიალის საპატიო თავმჯდომარის თანამდებობას. ზემოხსენებული დანიშვნები დაუყოვნებლივ შედის ძალაში. საპატიო თავმჯდომარის რანგში ფილიპს უფრო მეტი დრო ექნება იმ საქმისათვის, რომელიც უყვარს და იცის, სახელდობრ კი, აქტიურად იმუშავებს მაღალეფექტური მარკეტინგული კომუნიკაციების უზრუნველსაყოფად, რომელთა მიზანი იქნება გლობალური წარმატებების მიღწევა. რაც შეეხება ჟან-ფრანსუას, მას ახალი პოსტი საშუალებას მისცემს კონცენტრირება მოახდინოს იმ სფეროში, სადაც მას შეუძლია გამოავლინოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი, იმუშავებს რა ჩვენთან ერთად ხარისხის ამაღლებასა და სტრატეგიის განახლებაზე, რომლითაც ვხელმძღვანელობთ საერთაშორისო მასშტაბებით განვითარების მიზნით. თავისი უშრეტი ენერგიისა და შრომისუნარიანობის წყალობით, 1992 წლიდან ჟანფრანსუა ხელს უწყობდა Madone-ის ფინანსურ გაძლიერებას. მინდა პერსონალური მადლობა გადავუხადო ფილიპს ფრანგული ფილიალის პოსტზე ყოფნისას გაწეული უდიდესი სამუშაოსთვის. ეჭვი არ გვეპარება, რომ იგი, სარეკლამო საქმისა და ჩვენი კლიენტურის ფინანსური შესაძლებლობების ღრმა ცოდნით, დიდ წვლილს შეიტანს ევროპული ქსელის ახალი წარმატებების მიღწევაში.

ჟან-ფრანსუამ განიზრახა ფრანგული კრეატიული განყოფილებების ხელმძღვანელობა და ამ მიზნით, ოქტავ პარანგო და ჩარლ ნაგუ დანიშნა მარკ მარონიეს ადგილზე, რომლის ტრაგიკულმა გარდაცვალებამ ღრმად შეძრა ყველა მისი კოლეგა და მეგობარი. ორგპროგრამის სხვა ცვლილებების თაობაზე ჟან-ფრანსუა მოგახსენებთ. მე კი აქვე მინდა მარკის ოჯახს ვაცნობო, თუ რამდენად გაამდიდრა ჩვენი სააგენტოს ისტორია და საერთოდ მსოფლიო კომუნიკაციის ევოლუცია მისმა გამორჩეულად ღრმა კონცეპტუალურმა ინტუიციამ და კრეატიული შესაძლებლობების ცოდნამ.

მე, რა თქმა უნდა, ყველანაირ დახმარებას გავუწევ ჟან-ფრანსუას, ოქტავსა და ჩარლის ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც ასევე მოიქცევით.

Rossery and Witchcrafi-ის მომავალს უდიდესი სიამაყის გრძნობითა და უსაზღვრო რწმენით შევყურებ, Rossery and Witchcrafi-ის ხელმძღვანელობა XXI საუკუნეშიც ბიზნესის უმაღლეს დონეს აუცილებლად შეინარჩუნებს.

საუკეთესო სურვილებით

ედვარდ ს ფარინჯერ უმცროსი.

თურმე ამ გათახსირებულ ჩარლის ჩემ მაგივრადაც თვითონ მიუცია თანხმობა, სანამ გადაღებებზე წავიდოდით ერთი კვირით ადრე! რაღას ვიზამდი? ისღა დამრჩენოდა, რამდენიმე დოკუმენტზე მომეწერა ხელი. თანაც ვიფიქრე, რომ თუ ამ თანამდებობაზე დავთანხმდებოდი, იქნებ რაიმეს შეცვლას მოვახერხებდი. მაგრამ ეს მხოლოდ თავის მოტყუება იყო: არასოდეს აძლევენ თანამდებობას იმას, ვისაც ხალხის საკეთილდღეოდ შეუძლია პოსტის გამოყენება. თუმცა, რა ძალაუფლება მექნებოდა? ძალაუფლება წარსულში ჩარჩენილი გამოგონებაა. დღევანდელი ძალაუფლებები იმდენად მრავალრიცხოვანი და ძალადაკარგულია, რომ მათ გამო, სისტემა მთლად დაუძლურდა. ჩვენ კი გაუთავებლად ვიმეორებდით ჩვენს გრამშისტურ კრედოს: „იმისათვის, რომ თვითმფრინავი გაიტაცო, ჯერ თვითმფრინავში უნდა ახვიდე“. რა ბედის ირონიაა! ახლა როცა ყუმბარებით ხელში კაბინაში შევცვივდით და ის იყო, ავტომატები პილოტისათვის უნდა დაგვემიზნებინა და კურსის შეცვლა გვებრძანებინა, აღმოვაჩინეთ, რომ იქ პილოტი საერთოდ არ იყო. ჩვენ იმ თვითმფრინავის გატაცება გვინდოდა, რომლის მართვა არავის შეეძლო.

ვიღაცამ ხომ უნდა აგოს პასუხი ამ ყველაფერზე!

შევხვდებით სარეკლამო პაუზის შემდეგ

ლუვრის წინ, კარუსელის მოედანზე მოწყობილ სცენაზე სადაცაა გრანდიოზული დეფილე დაიწყება. ხალხის უზარმაზარი ტალღა აწყდება შესასვლელს, რომელსაც ჟანსონ-დე-საიის ლიცეუმის წითელყელსახვევიანი ლამაზი ბიჭები იცავენ. შევდივართ მთელი მსოფლიოს VIP-ებით გადაჭედილ დარბაზში. სინათლე ქრება. წვეულნი მოუთმენლობისგან ადგილებზე ვერ ისვენებენ. და უცებ, პოდიუმზე, ტექნო-მეტალ-ჰარდ-ეისიდ-ჰაუს მუსიკის ფონზე მონარნარე მთლად შიშველი ტოპმოდელები ჩნდებიან. სტუმრები დაუფარავად ტკბებიან ულამაზესი შიშველი მანეკენების დანახვით: დიდი, მკვრივი ძუძუები, სრიალა დუნდულები, მუცლის ქვემოთ მოდურად გაპარსული ოთხკუთხედის ფორმის ჩამუქებული ადგილები. მოულოდნელად, მოდელები შუა პოდიუმზე ჩერდებიან. მანიკიურიან თითებს იღლიებისკენ იცურებენ და იქ ელვაშესაკრავს პოულობენ; ჩაიხსნიან ატლასივით კანს და ისე იხდიან, როგორც მყვინთავები ჰიდროკოსტიუმებს. წარმოიდგინეთ, რა ხდება დარბაზში! ვიღაც მოხუც ჰერცოგინიას გული უღონდება. წვერიანი შავსათვალიანი ტიპი პირდაპირ წინ მჯდომის პიჯაკზე ათავებს. თერთმეტიოდე წლის გოგო ფალოსის ფორმის ნაყინს წუწნის და საკუთარ კლიტორს ეფერება.

აღმოჩნდა, რომ მოდელები არიან ხელოვნური კანით დაფარული მეტალის ნაკეთობები, ნაწრთობი ფოლადის სიბორგები, მოციმციმე ანდროიდები. პირველ თოჯინას მთელ სხეულზე ასევროიანი კუპიურები აკვრია, მეორე პირიდან მონეტებს ყრის, მესამე კანფეტებივით ისვრის საკრედიტო ბარათებს. ესენი ნამდვილი ყულაბა-რობოტები არიან (სხვათა შორის, ერთი მოდელი მეტალის საშოდან, როგორც ბანკომატიდან, კუპიურებს იღებს). მაყურებლის ოვაცია ზენიტს აღწევს. ხალხი სიამოვნებისგან კივის. დაძაბულობა უკვე პიკზეა. მუსიკა სულ გადაირია. დარბაზში რამდენიმეს ინსულტი დაემართა, იყო უამრავი ინფარქტის შემთხვევა და ჯგუფური გაუპატიურება ბოლო რიგებში. ეკრანზე ჩანს packshot[I] მონეტებით, რომლებიც წვიმის წვეთებივით ეცემა ტაილანდელი გოგონას შიშველ სხეულზე. გამოსახულების ზემოთ ჩნდება სლოგანი: „პირდაპირ მიზნისაკენ იარეთ - გაათავეთ მეძავის საშოში“ და ამას მოჰყვება წარწერა: „ეს იყო ბლფფ-ის (ბორდელების ლეგალიზაციის ფრანგული ფედერაციის) მესიჯი“.

[I] პროდუქციის შესაფუთი მასალა (ინგლ.).

V

თქვენ

„ჩაკეტილ საზოგადოებაში, სადაც ყველა დამნაშავეა, ერთადერთ დანაშაულად დანაშაულის საქმეზე გამოჭერა ითვლება, ხოლო ქურდულ სამყაროში ყველაზე მძიმე ცოდვა სისულელეა“.

ჰანტერ ს თომპსონი[57], Las-Vegas paramo, 1971

1.

ძალიან მაგარი და ცოტა არ იყოს უცნაური შეგრძნება დაგეუფლათ, როდესაც La Rosse-ში გამარჯვებულები დაბრუნდით. თანაც ზუსტად იმ დროს სააგენტო სხვა შენობაში გადავიდა: ვინაიდან ძველი „გემი“ ძირგამომპალ ვარცლს ემსგავსებოდა, თქვენ ის ჩაძირეთ და იმ დღიდან მარსელ-სამბა დე ბიანკურის მოედანი მიტოვებულ სანაოსნო ხარაჩოებს ჰგავს რეპერის ფორმებში გამოწყობილი დეპრესიული დოკერებით, რომლებიც მაკდონალდსის წინ აბირჟავებენ. იმისათვის, რომ ახალი ოფისი აგეშენებინათ, სულ რაღაც სამას მეტრში, ძველი დაანგრიეთ და მერე ისევ ისეთი ააშენეთ, იმ ძველს რას ერჩოდით, არავინ იცის (იქნებ იმიტომ, რომ აზბესტი დასაშვებ ნორმაზე მეტი იყო კედლებზე? ან იქნებ არქიტექტორის კომპენსაციამ არ დაგაკმაყოფილათ?). შენობას წითელი აგურის აშკარად ფალოსის ფორმის ოცმეტრიანი მილი აგვირგვინებს. ამ მილიდან კვამლი არასოდეს ამოდის, იმიტომ, რომ იქ არაფერს წვავენ, ანუ უფრო სწორად, ჯერ არ წვავენ.

მთელი შეგრძნებით ტკბებით კარიერული წინსვლით. თქვენ გარშემო მრავალი ცვლილებაა: სამასი ქვეშევრდომის შეშინებული მზერა, აქამდე გულგრილი ქალების ნიმფომანური ტუჩები, ქვემდგომების, ანუ ყოფილი ზემდგომების ტონის უეცარი ცვლილება, ისეთივე ალალი, როგორც მოულოდნელი ძმაბიჭობა იმათი, ვინც უცებ აღმოაჩინა, რომ ყოველთვის თქვენი მეგობარი და ძმაკაცი იყო. წაგებულს კი, სხვა რაღა დარჩენია - იძულებულია პატივისცემით მოგეპყროს. თუმცა, არც შენ და არც ჩარლის გამარჯვება თავში არ აგვარდნიათ. თქვენ შეკრიბეთ მთელი სააგენტო და შემდეგი სიტყვით მიმართეთ:

„ძვირფასო მეგობრებო, ჩვენი კრეატიულ დირექტორებად დანიშვნა იმდენად წარმოუდგენელი იყო, რომ ისღა დაგვრჩენოდა, ჟან-ფრანსუას შემოთავაზებას დავთანხმებულიყავით. თუმცა ჰოს სათქმელად უფრო მეტი გამბედაობა დაგვჭირდა, ვიდრე არასთვის დაგვჭირდებოდა. ჩვენ მზად ვართ, გადავიტანოთ ის მძიმე პერიოდი, რომლის გავლაც აუცილებლად მოგვიწევს: ჯერ ერთი, ძალიან ძნელია, იმუშაო ისეთი ჭეშმარიტი გენიის შემდეგ, როგორიც იყო მარკი (აქ აღელვებისგან ჩუმდებით 4 წამით და ათი მეასედით); მეორეც, იმიტომ, რომ ჩვენ ვართ რეკლამის მოძულე რეკლამისტები და თქვენი დახმარებით ამ პარადოქსის დაძლევას შევძლებთ, რეკლამა აბინძურებს გონებას და ჩვენი მოვალეობა იქნება, კომუნიკაციის ეკოლოგიის შექმნა. ჩვენ (და შესაბამისად

თქვენც) ვალდებულები ვიქნებით, პატივისცემით მოვეპყროთ მომხმარებელს. ბოლო უნდა მოეღოს ყალბი კადრებით გატენილ დაუდევრად მომზადებულ კლიპებს! ჩვენ გადავწყვიტეთ, სააგენტოს კარი ფართოდ გავუღოთ კრეატორების ახალ თაობას: უცნობ მწერლებს, დაწყევლილ პოეტებს, საიტების უარყოფილ ავტორებს, ანდერგრაუნდის[I] მხატვრებს, პორნოგრაფიული ფილმების რეჟისორებს. უკვე დროა, რეკლამა თავისი ეპოქის არტისტულ ავანგარდს შეუერთდეს. La Rosse კვლავ ისეთ ექსპერიმენტულ ლაბორატორიად უნდა იქცეს, როგორიც თავისი არსებობის დასაწყისში იყო. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ვიყოთ იმ კრეატიული ამბიციების სიმაღლეზე, რომელიც ყოველთვის ეჭირა ჩვენს სააგენტოს.

ამგვარად, ჩვენ საქმიანობას დავიწყებთ რამდენიმე სიმბოლური ღონისძიებით (ვიმედოვნებთ, რომ შედეგს დაუყოვნებლივ მივიღებთ): ცვლილებებს დავიწყებთ იმით, რომ დინამიკებში გამუდმებით იჟღერებს ჯგუფ Ottawan[58]-ის სიმღერა T'es ok, T'es bath, T'es in[II], რომელიც აგრეთვე იქნება ლოდინის მუსიკალური ფონი ჩვენს სატელეფონო ქსელში.

ტელეფონისტი და მიმღებში მომუშავე გოგონები ჰოლში წელამდე შიშვლები ისხდებიან. კლიენტებთან ექსკლუზიურად გამართულ სარეკლამო კამპანიებზე დაკავებული იქნებიან მსახიობ-კომიკოსები ღამის კაბარეებიდან, რომელთაც სათანადო ატმოსფეროს შესაქმნელად რუსული ორკესტრი გაუწევს აკომპანემენტს. La Rosse-ის ყველა თანამშრომელი დღეიდან შეხვედრისას მისალმების ნიშნად ერთმანეთს აუცილებლად ტუჩებში აკოცებს. ყველა კრეატორს ყოველთვის ხელთ ექნება Sony pci კამერა, რათა გადაიღონ ყველაფერი, რაც კი თავში მომენტალურად მოუვათ.

ჩვენ კვლავ უნდა დავიბრუნოთ პირველყოფილი უმანკოება და ხელოვნების საწყისი ძირები. ყოველთვის უნდა ვიყოთ ბავშვივით აღტაცებული. უნდა დავანგრიოთ ეს თვითკმარი და საკუთარ თავზე ორიენტირებული სისტემა; თამაშის წესები მუდმივად უნდა ვცვალოთ და ამით ხალხი გავაოცოთ. ამის გარეშე მომხმარებელთა გულებს ვერაფრით ავაღელვებთ და ჩვენი კლიენტების ფულსაც ქარს გავატანთ. არასოდეს დაივიწყოთ ჩვენი მთავარი პრინციპი: თქვენ აქ იმისთვის ხართ, რომ გაერთოთ და თუ თქვენ კარგად გაერთობით, კლიენტებსაც გაართობთ და დააინტერესებთ. დღეიდან Rosse France-ის ახალი დევიზია სერ ტერენს კონრანის სიყვები: „ხალხმა მანამდე არ იცის, რა უნდა, სანამ არ შესთავაზებენ". უკვე ხვალიდან ეს დევიზი ამოტვიფრული იქნება სააგენტოს მთავარ შემოსასვლელ კარზე. გმადლობთ ყურადღებისთვის და დაე გაგრძელდეს ზეიმი!"

გაისმა მქუხარე, თუმცა არა მთლად ხმაშეწყობილი აპლოდისმენტები. თქვენი 300 ახლა უკვე ქვეშევრდომი დაპატიჟეთ კოქტეილზე პატიოს კონფერენცდარბაზში. პერსონალი აღფრთოვანებისგან ლამის იფსამდა და დარწმუნებული იყო, რომ თქვენ რასაც ამბობდით, სრული ჭეშმარიტება იყო და ყველაფერი აუცილებლად შეიცვლებოდა. ახლა ისღა დაგრჩენიათ, ნელ-ნელა იმედები გაუცრუოთ, სანამ თქვენც თქვენი წინამორბედის კვალს არ გაუყვებით (რომელმაც სააგენტოს ბიუჯეტში 20-მილიონევროიანი ვალი დატოვა).

[I] იატაკქვეშა ხელოვნება.

[II] შენ ხარ მაგარი (ინგლ.).

თქვენს ორგანაიზერში, რომელიც წესით ყველა ახალგამომცხვარ ბოსს უნდა ჰქონდეს, ჩამოწერთ მასებში პოპულარობის მისაღწევად საჭირო საშუალებებს:

„1100 - თავაზიანობის გამოჩენა ვინმე სრულიად უსარგებლო პერსონისადმი.

13.30 - ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ ვიფიქროთ.

15.15 - ვინმე დაბალანაზღაურებად თანამშრომელს მივმართოთ სახელით (ინფორმაცია წინასწარ მოვიძიოთ კადრებში).

17.10 - დავინტერესდეთ ერთ-ერთი ქვეშევრდომის ავადმყოფი გოგონას მდგომარეობით (მოწმეთა თანდასწრებით).

19.00 - ოფისიდან გასვლისას ყველას გავუღიმოთ“.

ტახტზე ასვლის აღსანიშნავი კოქტეილის შემდეგ, ჩარლიმ ვეტერან-კრეატორებს მაიმუნური სადილი გაუმართა რესტორან „ლაპერუზში“. ყველანი ორანგუტანგების კოსტიუმებში გამოეწყეთ და განცალკევებულ კაბინეტში მოთავსდით, სადაც 12 შიშველი გოგო მთელი საღამო ფეხებგაჩაჩხული ხელებზე იდგა, რათა თქვენ პირდაპირ იმათ ფეხებშუა გეჭამათ ახალ-ახალი ხამანწკები. რაც მართალია, მართალია, ჩარლს შინაგანი მოტივაციის ღრმა შეგრძნებას ვერ დაუკარგავ.

2.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, კლიენტისთვის გაწეული სამუშაოს პირველმა პრეზენტაციამ მთლად სასახელოდ ვერ ჩაიარა.

Madone-ში, ალფრედ დიულერმა და მისმა ჩმორებმა „მეგრელეტის“ სარეკლამო რგოლი სამომხმარებლო ფოკუსჯგუფს აჩვენეს და ტესტირების შედეგებმა კარგი არაფერი მოგცათ. ცხარე განხილვისას იძულებული გახდით, ხმა აგემაღლებინათ „50 წლამდე ასაკის დიასახლისთა“ ვერდიქტის წინააღმდეგ. კლიპს შემდეგი ეპითეტებით ახასიათებდნენ: „ძალიან ამაღლებული“, Overpromising, „ანქსიოგენური“[I], „დაბალი GRP“, „არადამაჯერებელი“, „ძალიან მაღრიბული“, „ნაკლებად ხარისხიანი ინტონაციის დონეზე“, „packshot გამართლებული არ არის“... ერთი სიტყვით, ჩაისვარეთ. დისკუსიის განმავლობაში სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოდით, უმტკიცებდით „გახმოვანების მოდიფიკაციის“, რგოლის ბოლოში packshot-ის აქცენტირებისა და კიდევ ერთი ASAP (AS SOON AS Possible) კადრირების შესაძლებლობას, „ფორმალური ინოვაციის მნიშვნელობას ამ ნიშაში“, „სამომხმარებლო ინსტინქტის, დასწრებისა და მიზიდვის ეფექტს“... დებატების ბოლოს კლიენტი დაგეთანხმათ, ოღონდ „იმ პირობით, რომ ხელახალი დამონტაჟებისას გათვალისწინებული იქნებოდა ASAPბრენდის აღწერაში შეტანილი შენიშვნები“.

აი, აქ ხვდებით, რომ უფროსებს მთლად ია-ვარდით მოფენილი ცხოვრება არა აქვთ. კრეატიული დირექტორები დურგლებს ჰგვანან, რომლებსაც კლიენტმა ფეხმრუდი მაგიდა დაუკვეთა იმ საბაბით, რომ ფულს თვითონ იხდის და რასაც უნდა, იმას გააკეთებინებს. რეკლამის დამკვეთნი ვერც კი ხვდებიან, რომ თავიანთი იდიოტიზმამდე მისული სიფრთხილის გამო, უზარმაზარ თანხებს ყრიან იმისათვის, რომ მათი რეკლამა რაც შეიძლება უინტერესო გახადონ. მათ იმდენად ეშინიათ კლიენტების უკმაყოფილებისა, რომ (ამას იმიჯის შელახვას ეძახიან) მთლიანად თავიანთ იმიჯში იკარგებიან და ბოლოს, საერთოდ კარგავენ საკუთარ სახეს. ტელეეკრანებზე კი ჩნდებიან, მაგრამ ეშინიათ, რომ არავინ შეამჩნიოთ. თქვენ კი, კრეატიული დირექტორები იმიტომ არსებობთ, რომ კიდევ უფრო განამტკიცოთ მათი შიზოფრენიული აკვიატებანი.

ამგვარად, იკვრება გრძელი ჯაჭვი სარეკლამო სიძულვილისა: კრეატორს სძულს სააგენტო, სააგენტო ვერ იტანს რეკლამის შემკვეთს, რეკლამის შემკვეთს ეზიზღება მომხმარებელი, მომხმარებელს ხომ საერთოდ გული ერევა თავისნაირებზე.

აი, რა დარჩა მაიამიში გადაღებული სარეკლამო რგოლისაგან. ეს რეკადრირება კი არა, ამპუტაციის ამპუტაცია იყო.

„თამარა მსხვილი პლანით ჯდება ქალაქგარეთ მდებარე ლამაზი სახლის ტერასაზე სავარძელში (პლანის სიდიდე არ იცვლება, სანამ არ გამოჩნდება პროდუქტი; შემდეგ იცვლება მსახიობის ფეხების პროპორციები, რათა უფრო გამძაფრდეს მაყურებლის აღქმის უნარი; სახე უნდა იყოს უფრო ღია ფერებში). იგი იყურება კამერაში და წამოიძახებს: „მე ლამაზი ვარ? კი, ასე ამბობენ. მაგრამ მე ჩემს თავს ამ შეკითხვას არ ვუსვამ“ (მოვაშოროთ სიტყვები: „ასე ამბობენ“. ეს ფრაზა ეჭვს იწვევს, ისევე როგორც შემდეგი ფრაზა: „მე ჩემს თავს ამ შეკითხვას არ ვუსვამ“, - თუ გმირი თავის თავს ამ შეკითხვას არ უსვამს, მაშ

[I] ანქსიოგენური - მოსაწყენი, სევდისმომგვრელი.

რატომღა უნდა იყოს ეს სიტყვები კლიპში? ერთი სიტყვით, რგოლში დარჩა მხოლოდ ორი ფრაზა: „მე ლამაზი ვარ, მე - მე ვარ, ეს არის და ეს“). შემდეგ მსახიობი მაგიდიდან იღებს „მეგრელეტის“ ქილას, დელიკატურად ხსნის და ერთ კოვზს აგემოვნებს (პროდუქტი ვაჩვენოთ მსხვილი პლანით), სიამოვნებისგან თვალებს ხუჭავს და პირის მოძრაობით გამოხატავს, რომ პროდუქტით ტკბება. არის შესაძლებლობა, ეს პლანი დიდხანს დავტოვოთ? არ დაგვავიწყდეს, რომ ლაპარაკია მთავარ კადრზე (ტესტირების რეზულტატი). მეტად მნიშვნელოვანია გათამაშდეს პროდუქტის სასურველობის ეფექტი და ამავე დროს ხაზი გაესვას გემოთი ტკბობის სარგებლობის კონცეფციას, რომელიც მოკლებულია დამნაშავეობის კომპლექსს. შემდეგ მსახიობი ტელემაყურებელს პირდაპირ თვალებში უყურებს და ტექსტის დანარჩენ ნაწილს წარმოთქვამს: „ჩემი საიდუმლო... ეს „მეგრელეტია“, უგემრიელესი იოგურტი ყოველგვარი ცხიმის გარეშე, კალციუმით, ვიტამინებითა და პროტეინებით მდიდარი. იმისათვის, რომ კარგ ფორმაში ვიყოთ, როგორც გონებრივად, ასევე ფიზიკურად, ეს ყველაზე საუკეთესო საშუალებაა“ (მოიფიქრეთ და დაამატეთ 3D-ში გაკეთებული დემო, სადაც იოგურტი ისხმება ცხიმიანი რძით სავსე ლამბაქზე და სიტყვები: „კალციუმი“, „ვიტამინები“, „პროტეინები“, და „0% მგ“ მსხვილი ასოებით მრავალჯერ მეორდება მომხმარებლის მოსაზიდად). თამარა დგება და შეთქმულის ღიმილით დასკვნას აკეთებს: „აი, ჩემი საიდუმლო; მაგრამ ეს საიდუმლო აღარ არის, ვინაიდან უკვე გითხარით, ჰი, ჰი, ჰი“ (მოაშორეთ ეს უაზრო ხუმრობა, რადგან packhot-ს 3 წამს ართმევს. სრულიად შესაძლებელია, დავასრულოთ სიტყვებით: „აი, ჩემი საიდუმლო“ - უფრო დამაჯერებელი და ეფექტურია კონკურენტული თვალსაზრისით). Packhot და დამამთავრებელი სლოგანი: „მეგრელეტი“ იმისათვის, რომ გახდეთ უფრო თხელი და მსუბუქი, მაგრამ არა გონებრივად“ (შეიძლება სხვა სლოგანებიც განვიხილოთ? რეკლამა გათვლილი უნდა იყოს მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფსა და კატეგორიაზე: ბავშვებზე, დიდებზე, ხანდაზმულებზე, ახალგაზრდებზე, კაცებზე, ქალებზე. და ეს ყველაფერი შესრულებული უნდა იყოს ულტრათანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით). ბოლოს კი, მოჰყვება საფირმო ჯინგლი[I]: „მმ...მ...მ... Madone!“

ხოლო, რაც შეეხება ტიტრს, ეს თქვენ უკვე აღარ გადარდებთ, ვინაიდან კიდევ სხვა ვარიანტი გაქვთ შემონახული: „მეგრელეტი“ - ყველას სჭირდება სიმსუბუქის მცირეოდენი დოზა მაინც“ (იხ. აქტი IV, სცენა 4).

[I] ამა თუ იმ გადაცემის სარეკლამო მუსიკალური ქუდი.

3.

მერე კი იყო კანი და კანის ფესტივალი; არა, კინოფესტივალი კი არა, მეორე, ნამდვილი, აი ის, ჩუმად რომ ატარებენ, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეკრებებსა თუ დავოსის სიმპოზიუმებს, ყოველ წელს ივნისში, სპონსორიზებული მასკარადის შემდეგ და ჰქვია რეკლამის მსოფლიო კვირეული; ინგლისურად „48 th international advertising Festivale“ ან „კანის ლომები 2001“. აი, აქ იყრიან თავს ის უჩინარი ყოვლისშემძლე მაგნატები, რომლებიც აფინანსებენ სრულმეტრაჟიან ფილმებს და ამ ფილმებში სხვადასხვა პროდუქციის რეკლამას აპარებენ (ხომ გახსოვთ, BMW-ს მოტოციკლეტები ჯეიმს ბონდის ფილმებში და „პეჟოს“ მოდელები Taxi 1-სა და Taxi 2-ში). ფესტივალზე ნახავთ იმ ადამიანებს, რომლებიც ჯიბის ფულით მთელ კინოსტუდიებს ყიდულობენ (როგორც დაითრია Seigram-მა Universal, Sony-მ - Columbia-tristar, AOL-მა - warner Bros). ეს ხალხი ფილმებს მხოლოდ იმისთვის იღებს, რომ თავიანთი ბიზნესი უფრო მრავალფეროვანი გახადონ და მერე ეს ფილმები ისევ საკუთარი პროდუქციის რეკლამირებისთვის გამოიყენონ (როგორც Disney ან Lucas-film). ეს პერსონები პლანეტის მფლობელები არიან (ზმნა „ფლობის“ ყველა მნიშვნელობით). ერთ 30-წამიან სარეკლამო რგოლს უფრო მეტი კაცი ნახავს, ვიდრე საათნახევრიან კინოფილმს (მაგალითად, „მეგრელეტის“ სარეკლამო კლიპი ჩაფიქრებული და გათვლილია ფესტივალში მონაწილე ქვეყნების მოსახლეობის 75%-ის დასაპყრობად).

აი, ფრანგული რეკლამის შემკვეთთა სარეკლამო დანახარჯები (მხოლოდ 1999 წელს):

„ვივენდი“ - 2 მილიარდი ფრანკი.

„ლ’ორეალი“ - 1,8 მილიარდი ფრანკი.

„პეჟო-სიტროენი“ - 1, 8 მილიარდი ფრანკი.

„ფრანს-ტელე კომი“ 1,5 მილიარდი ფრანკი.

„ნესტლე“ - 1,5 მილიარდი ფრანკი.

„Madone“ - 1,3 მილიარდი ფრანკი.

ყველა ეს მარკა აბსოლუტურად ხელშეუხებელი და მიუწვდომელია. მათ აქვთ უფლება, თქვენ გელაპარაკონ, მაგრამ თქვენ არ გაქვთ უფლება, მათ უპასუხოთ. პრესაში შეგიძლიათ ნებისმიერი სისაძაგლე დააბრალოთ ნებისმიერს, მაგრამ აბა გაბედეთ და გადაკვრით მაინც ცუდ კონტექსტში მოიხსენიეთ რომელიმე რეკლამის დამკვეთი! იმ წუთშივე, წამიერად დატოვებთ თქვენს გაზეთს იმ მილიონი ევროს გარეშე, რასაც შემკვეთი სარეკლამო გვერდებისთვის გიხდიდათ. ტელევიზიაში კიდევ უფრო მეტი სიმკაცრეა: კანონი კრძალავს ეთერში სავაჭრო მარკის ხსენებას, რათა თავიდან აიცილონ ფარული რეკლამა; სინამდვილეში კი იმიტომ კრძალავენ, რომ ვინმეს შემთხვევით კრიტიკული შენიშვნა არ წამოსცდეს ამ მარკის მიმართ. ფირმების მფლობელებს შეუძლიათ რამდენიც მოესურვებათ, იმდენი ილაპარაკონ საკუთარ პროდუქციაზე (ამისთვის ისინი ძალიან ძვირს იხდიან), მაგრამ ამ საკითხზე განსხვავებულ აზრს ნამდვილად არ დაუშვებენ. რაც შეეხება წიგნებს... სულაც არ არის გამორიცხული, რომ ეს რომანი უსასტიკესი ცენზურის მსხვერპლი გახდეს „სავაჭრო ნიშნის დისკრიმინაციისათვის“, „ფალსიფიკაციისათვის“, „პარაზიტობისთვის“,

„ცილისწამებისთვის“, „გარყვნილების პროპაგანდისთვის“ და „არაკეთილსინდისიერი კონკურენციისათვის“.

ინგლისურად რეკლამას advertising - ცნობება, შეტყობინება ჰქვია. ამ პროფესიის შემქმნელები აშ კარად საფრთხის შესახებ გვატყობინებდნენ.

აეროპორტში სტიუარდესა გეკითხებათ:

- ბაგაჟი გაქვთ?

თქვენ პასუხობთ: - გვაქვს და მერე როგორი?! მე მარკეტინგის სპეციალისტი ვარ, ამას კი ხელოვნების ა კადემია აქვს დამთავრებული.

შენ და ჩარლი კანის ტრიუმფატორთა სიმბოლოები ხართ: ახალგაზრდები, გარუჯულები, მდიდრები, ქედმაღლები. La Rosse-ის მაისურებში გამოპრანჭულები კრუაზეტის სანაპიროზე ღირსეული იერით დასეირნობთ (მაისურზე წინიდან გაწერიათ „როსი - მუშაობის ხოში“, უკნიდან - „მუშაობით როსში დაიღლება ლოსიც“. ორივე სლოგანი ვიღაც საცოდავი სტაჟიორის მოგონილია, რომელსაც გროშებს უხდიან), Helmut Lang Opticals-ის შავი სათვალე გიკეთიათ, ფეხზე სულ ახალთახალი New Balance გაცვიათ. ერთი სიტყვით, სუფთა მილიონერები ხართ, წესით, თქვენ ახლა ინტერვიუს უნდა აძლევდეთ იღლიაში ნოუთბუქამოჩრილ კარიერისტ ჟურნალისტ გოგოებს, რომლებიც აქ იმ იმედით არიან ჩამოსულები, რომ რამე სარგებელს გამოჰკრან ხელი. ისინი „ჯეინს ქლაბში“ არიან დაბანაკებულები, რომელიც ფირმა Premiere Heure-მა იქირავა (მსხვილი საპროდიუსერო კომპანია, რომელიც კანში კრეატორების გადასაბირებლად არის ჩასული). თქვენ ახლა მუქთა სადილზე მიიჩქარით Carlton-ის პლაჟზე ალან ბერნართან და არამ კევორკიანთან, Pac-ის ბოსებთან (Premiere Heure-ის დაუძინებელი მტრები. კანში მათი ყოფნის მიზანია ბავშვობის მეგობრებთან სარფიანი კომერციული კავშირების შენარჩუნება). ხანდახან წამიერი სიხარულისა და აუხსნელი ბედნიერების განცდა გეუფლებათ; ამ გრძნობას Wear Life Experience[I]-ს არქმევთ.

ბართან მიახლოებისას მაშინვე იცანით თქვენი პროფესიის ახალი დიდოსტატები. გარეგნულად მაწანწალებისგან არ განირჩევიან: თმაწვერმოშვებულები (ან ნულზე გადაპარსულები), დახეული მაისურებით, გახუნებული ჯინსებით, გაცვეთილი ბოტასებით. არადა ისინი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ხალხია თავიანთ ქვეყნებში. სახელები და გვარები მაჯებზე აწერიათ:

- კრისტოფ ლამბერი, CLM-BBDO-ს გენერალური დირექტორი (62,5 მილიონი ევრო სუფთა შემოსავალი ყოველწლიურად. შემკვეთები: Total - „თქვენ ჩვენთან შემთხვევით აღარ მოხვალთ“, FranceTelecom - „თქვენ ჩვენ 2000 წელს შეგაყვარებთ“, Pepsi-Cola, - The choise of a new generation[II]).

- პასკალ გრეგუარი, Leagas Delaney-ს პრეზიდენტი და კრეატიული დირექტორი (ამ პატარა სააგენტომ უდიდესი სლოგანი დაბადა 1998 წელს, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატისთვის: Adidas - გამარჯვება ჩვენშია“).

- გაბრიელ გოტიე, არტდირექტორების კლუბისა და ასოციაციის პრეზიდენტი. ეს ასოციაცია აერთიანებს ყველა ფრანგ კრეატორს და Young and Pubicam-ის კრეატიულ დირექტორებს (შემოსავალი: 73,5 მილიონი ევრო ყოველწლიურად; შემკვეთები:

[I] Wear Life Experience (ინგლ.) - ცხოვრების იმედი.

[II] ახალი თაობის არჩევანი (ინგლ.).

„ორანჟინა“, სლოგანი: „კარგად შეანჯღრიე ორანჟინა, რბილი ნაწილი ქვემოთ არ დარჩეს“; „სტიმოროლი“, სლოგანი: „ღეჭეთ დანიურად“, Ricard - „პატივი ვცეთ წყალს“).

- კრისტიან ბლანშა, CB News-ის მფლობელი (თქვენ მას ყოველ კვირადღეს ხედავთ M-6-ზე, Culture Pub მიჰყავს თომა ერვესთან ერთად.

- ერიკ ტონ კუონგი, როგორც მისი გვარი მიგანიშნებთ, Euro RSCG BABINET Erra Tong Cuong-ის პრეზიდენტი (შემოსავლების რაოდენობა უცნობია. შემკვეთები: „ევიანი“ - ეს წყალი თქვენი სხეულის ახალგაზრდობის წყაროა“, „პეჟო“ - დაე ავტომობილი თქვენთვის ყოველთვის სიამოვნება იყოს!“, Canal+ - სანამ Canal+-ს უყურებთ, გავიწყდებათ, რომ ტელევიზორის წინ ზიხართ“).

- ბენუა დევარიე, სააგენტო „დევარიე-ვილარეს“ დამაარსებელი (წლიური შემოსავალი 19,21 მილიონი ევრო; შემკვეთები: Credit Lyonnias, სლოგანი: „თქვენს ბანკს თქვენი მართებს“, Volvic - „წყალი Volvic თქვენი შანსია!“).

- ბერნარ ბიურო, Ogilvy and Mathe-ის ვიცე-პრეზიდენტი (წლიური შემოსავალი 72 მილიონი ევრო; შემკვეთები: Perrier - წყალი, ჰაერი, სიცოცხლე“, „ფორდ Ka“ - „Ka-ზე იფიქრეთ, კაი?“).

- ჟერარ ჟანი, ფირმა Jean and Mantmarin-ის თანადამფუძნებელი (შემკვეთები: Yop - „Yop-ის წყლები“, Teisseire - „თქვენ Teisseire არ უნდა მოგეკლოთ“, Herta - „უბრალო ნივთებს გვერდზე ნუ ჩაუვლით“).

- ჟან-პიერ ბარბუ, სააგენტო BDDPATBNA-ს ერთ-ერთი კრეატიული დერექტორი (127 მილიონი ევრო წლიური შემოსავალი; შემკვეთები: Mc Donald’s - „მაკდონალდსი“ მხოლოდ შინაურებისთვის“, SNCF - „ჩვენ მატარებელს შეგაყვარებთ“. 1664 - „ეს ოთხი ციფრი უფრო მრავლისმეტყველია, ვიდრე ყველა სიტყვა ერთად“).

- კრისტიან ვენსი, ჯგუფ DDB France-ის ვიცე-პრეზიდენტი (128,6 მილიონი ევრო წლიური შემოსავალი; შემკვეთები: Volkswagen - „არადა რა ადვილია არ შეცდე“; FNAC - „1954 წლიდან სიახლის შემომტანი“, „ბადუა“ - „შეიძლება სადილი ბადუას გარეშე?“).

- ბერტრან სუშე, ფირმა Lauis XIV-ის დამფუძნებელი და პრეზიდენტი (შემკვეთები: Audi - „ბრწყინვალება იმისთვის არსებობს, რომ თქვენ ის დაჩრდილოთ“; ReginalRubens - „ისუნთქეთ, თქვენ ხომ ქალი ხართ“; Givenchy - „ოდნავ უფრო შორს, ვიდრე უსაზღვროება“).

აქ არის კიდევ ვიღაც ბატონი ბზზზ, ასე იმიტომ ეძახიან, რომ ყოველ წუთს შეუძლია კოღოების კუნძულზე გაგეგზავნოთ, რა თქმა უნდა, თქვენს ხარჯზე (სადაც უნდა მივიდეს, ყველგან ბზუილით ხვდებიან. წესით, ეს სასაცილოა, მაგრამ მას ეცინება კი არა, არც კი ეღიმება).

აქვე მიდი-მოდიან უკვე ქონმოდებული და ღიპიანი ასაკში შესული კაცები, რომლებსაც ოციოდე წლის წინათ ერთი-ორი კაი იდეა გაუყიდიათ, ახლაც იმით ცხოვრობენ და თავსაც იმდროინდელი წარმატებით იწონებენ. ერთ-ერთმა მათგანმა უდიდესი ქონება დააგროვა იმით, რომ ერთი და იგივე სლოგანი ატრიალა შემკვეთის სპეციალიზაციის მიხედვით: „წინდები, ეს kindy-ა“, „ყველი ეს kiri-ა“, „კაკაო, ეს Banania-ა“, „საათი, ეს Kelton-ია“, „ფეხსაცმელი, ეს Bata-ა“.

ძალიან ცდილობთ ყველას თავი მოაჩვენოთ, რომ ვითომ ერთობით. გართობა თვითმკვლელობასავით არის, ოღონდ ერთი პატარა განსხვავებაა - თავს ყოველდღე ვერ მოიკლავ. როგორც კი ვინმე მარონიეს სახელს გიხსენებთ, შენ და ჩარლი - ისეთ სახეებს

იღებთ, როგორც ასეთ მომენტს შეეფერება: „აი, აი, აი, აი, ნუ მკითხავთ, ნუ მკითხავთ, საშინელებაა, რომ იცოდეთ, როგორ გვაკლია; მის ფოსტას დღემდე ვიღებთ, მის სახელზე მოდის ისევ Image Banc-ის კატალოგები; რა უბედურებაა, ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ გულს გვტკენენ, ხომ შეიძლება კარტოთეკა განაახლონ. მთელი სარეკლამო სამყარო გლოვობს, კანსაც ხომ ეტყობა უმარონიეობა... შენა და ამ საღამოს ხომ მოხვალ Martinez-ის ბარში შორტ-ლისტების მერე?“.

შორტ-ლისტები - ეს არის მთელი მსოფლიოდან 100 საუკეთესო სარეკლამო რგოლი, რომლებიც შეირჩა კონკურსზე წარმოდგენილი 5.000 კლიპიდან. თქვენც თქვენი „მეგრელეტით“ ამ შორტებში ფიგურირებთ It's so good when it comes in your mouth!

ჟიურიმ, რომლის წევრები თქვენი საძმოს წარმომადგენლები არიან მთელი მსოფლიოდან - იაპონელები, ინგლისელები, გერმანელები, ამერიკელები, ბრაზილიელები და ფრანგები - ჩათვალა, რომ თქვენი კლიპი ისეთი მაგარი იყო, რომ სიაში შეიტანა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენებისას დარბაზში რამდენჯერმე დაუსტვინეს. თქვენ ხომ კონკურსზე Dogma ვარიანტი წარადგინეთ, თამარა რომ ტიტლიკანა დარბოდა, თანაც სულ ბოლო წუთებში, მას შემდეგ, რაც ღამის სამ საათზე ერთხელ გაუშვით Canaljimmy-ზე. ასე რომ, იურიდიულად, ეს უკვე შეიძლებოდა ჩათვლილიყო სარეკლამო კამპანიად, მიუხედავად იმისა, რომ შემკვეთმა მასზე უარი თქვა, ხოლო მაყურებელს თვალითაც არ ენახა (სამაგიეროდ, მეორე, დაუნდობლად მიჭრილ-მოჭრილი ვარიანტი ყოველ საღამოს გადის Tei-ზე ახალი ტიტრით: „მეგრელეტი“ - ჩვენ ყველას გვჭირდება სიმსუბუქის მცირეოდენი დოზა მაინც“. რა თქმა უნდა, ეს ვერსია მეორე ტურშიც კი ვერ გავიდა).

თამარა ხვალ ჩამოგივათ. ალბათ, ძალიან მაგარი იქნება ის ფაქტი, რომ Rossery and Witchcraft-ის ფრანგული ფილიალის დირექტორის პოსტზე დანიშვნის ერთი თვის თავზე პრიზსაც დაირტყამთ. მერე ახვალთ სცენაზე, მიიღებთ ჯილდოს და შემდეგ უკვე თქვენს გამოსვლას პრესა და ტელევიზია გააშუქებს: „რეკლამის შექმნის საქმეში საფრანგეთი ყოველთვის ჩამორჩებოდა დასავლეთის სხვა ქვეყნებს. მაგრამ ამჯერად მაინც მოვახერხეთ რამდენიმე პრიზის მოპოვება, რომელთაგან ერთ-ერთი „ოქროს ლომი“ Madone-ის „მეგრელეტისათვის“ მოგვენიჭა. ეს არის მახვილგონივრული პაროდია პორნოგრაფიული რგოლისა, რომელიც შექმნა Rosserys and Witchcraft-ის სააგენტომ. სააგენტოს კი, სხვათა შორის, სულ ახლახან დაენიშნა ორი პერსონისგან შემდგარი კრეატიული დირექცია“... Strategies-ში დაიბეჭდა თქვენი ფოტო წარწერით: „ოქტავ პარანგო და ჩარლ ნაგუ გვიცხადებენ: „მთავარია გავაერთიანოთ კრეატორების ენთუზიაზმი მომავლის გზაჯვარედინთან“.

„მაჟესტიკის“ წინ, წყლის თხილამურების პონტონის ხიდთან მოსმენილი დიალოგების ნაწყვეტები (აქ მისალმების ნიშნად ერთმანეთს ხელისგულებს ადებენ):

- ეს „დიორი“ ხომ უკვე ყელში ამომივიდა.
- ნახე ის 30-წამიანი რგოლი, კურდღელი რომ რეზინაზე ხტუნავს?
- და ისა, „მეგანის“ რეკლამა, დამუხრუჭებისას თმა ყალყზე რომ დგება?
- სუფთა იდიოტობა იყო.
- სამაგიეროდ, გონდრის ახალი Air France მართლა მაგარი რამეა.
- მაგრამ, აი, Diesel-ის რეკლამა ცოტა აბდაუბდად მომეჩვენა.

- Tag Heuer-ის კამპანიაზე ხომ ტირილი მოგინდება. რატომ მოსწონს ხალხს ეს ტრაგედიები, მაინც ვერ გავიგე!

- შენ ეგა თქვი, რა! თუმცა, ზოგი მაგრად მომეწონა! აი Pepsi, მაგალითად ძალიან მაგარი იყო.

- Kiss FM-ზე რაღას იტყვი, ვიღაც შავკანიანი რომ მღერის Coccinelle-ში გამოჭიმული?

- მაგაზე მართლა კინაღამ გავაფრინე! Over the top[I].

- ალბათ ყველა პრიზს ისევ ნორვეგიელები მოხვეტავენ!

- წარმომიდგენია, მაყურებელი რა დღეში ჩავარდება იმ ცისფერის დანახვაზე, გოგო რომ აბამს!

- ვაღიარებ, რომ მართლა მაგარი მოფიქრებულია.

- ის ნახე, ორი ტიპი რომ საუნაშია? ეგ შეიძლება ოქროზეც გაიქაჩოს.

- „მეგრელეტზე“ გავგიჟდი, მაგრამ ის არ მომეწონა, რომ ცხოველის ჭაჭანება არ არის. ერთი-ორი ძაღლი ან კატა რომ გაეჩითათ, უფრო მაგარი იქნებოდა. კანზე ფასობს ხომ იცი!

- შენ იცოდი, ჩვენი მამები რომ კინაღამ პარტნიორები გახდნენ?

- ვაა, მართლა?! მაშ, მოდი. ჩავეხუტოთ ერთმანეთს! შენ რა გქვია?

- ნატალი ფოშტონი[II].

- შენ ფოშ-ტონი? მე კი ძირითადად ცუდი ტონი ვარ.

ნაძალადევი ღიმილი.

- ერთი რაღაც მინდა გითხრა: თუ ჩემთან ერთად არ ხარ, ე.ი. ჩემს წინააღმდეგ ხარ.

- ჰა, ჰა, ჰა! მე კი მეგონა, სერიოზულად ლაპარაკობდი.

- მე პირადად აქ უკვე ყველაფერი დავასრულე: ზამთარს სამხრეთ ნახევარსფეროში ვატარებ.

ნახე ჩვენი პატარა „მეგრელეტი“?

- Uberfashion[III].

- ჩანაფიქრი კარგია, მაგრამ ცოტა შესრულება მოიკოჭლებს.

- არა, სიმართლე მითხარი, მოგწონს თუ არ მოგწონს?

- თუ მოწონებასა და არმოწონებას შორის უნდა გავაკეთო არჩევანი, უფრო არ მომწონს.

- ახლა გაჩუმდი, თორემ მეტი კი არ მინდა!

- კაი, კაი, ვღადაობ. სიმართლე რომ გითხრა, გადასარევია. მაგრამ ფრანგული სლოგანი უნდა დაგეტოვებინათ. It comes in your mouth, - რაღაც ორაზროვანია.

- ჰოდა, ძალიანაც კარგი! ეს იანკები ისეთი პურიტანები არიან, აი ნახავ თუ ამას არ მისცემენ ხმას. ეკრანზე თუ შიშველ ტრაკს მოჰკრეს თვალი, აღფრთოვანებულები არიან, იმიტომ, რომ თვითონ ამას ვერასოდეს გაბედავენ.

ცერა თითი ჰაერშია.

- ეგ კი არადა, იმ დღეს ვზივარ წყნარად ჩემთვის კრებაზე და კლიენტმა ნერვები მომიშალა. რას მეუბნება, ხო იცი? - ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ცოტა დღესდღეისური

[I] ძალიან მაგარი (ინგლ.).

[II] ფოშტონი (ფრ.) - აქ: ყალბი ტონი.

[III] მაღალი მოდა (გერმ. -ინგლ.).

ამბავიც რომ იყოს, ცუდი არ იქნებაო. მეც მაგარი ვუთხარი: - ხვალხვალისური რომ იყოს, მაგაზე რაღას იტყვით-მეთქი?

ყველა შინაგანი ორგანოდან ხარხარი ისმის.

- ჩემი უფროსი კი სულ გემრიელობას გაიძახის გემოს მაგივრად.

თითქოს ცხოვრებაში სიტყვა გემო არ გაუგია! - რას იზამ! გემოსა და გემოვნებას კომერციის სკოლაში არ ასწავლიან!

- ყველა ვარიანტში, ჯობს თქვა „მე შენზე ვგიჟდები“, ვიდრე „მე შენ ვერ გიტან“.

- ყველაზე ხოხმა იცი რომელი რგოლია? აი, ტიპი რომ დგას და get up... ah-ს რომ მღერის იმ მანქანის ლოდინში, რომელიც მართლა ყოველდღე ჩამოივლის, მაგრამ მასთან არ ჩერდება.

- არა, მე ეგ არ მინახავს! კასეტას მომცემ?

- გენიალურადაა გაკეთებული, ჩანაფიქრიც ზუსტია.

- მე მგონი, არაბუნებრივია.

- კი, მაგრამ, სამაგიეროდ ძალიან განსხვავებულია.

- ვერ წარმოვიდგენდი, რომ Les Nike შორტ-ლისტებში მოხვდებოდა და La femme de Hulk[59] შესარჩევ ტურს ვერ გაივლიდა.

- ეტყობა, იმ იაპონელებმა ვერაფერი მოტვინეს.

- „მეგრელეტი“ პორნო ხომ არის და არის! ისე, მაგის გადაღებას მაგარი გამბედაობა უნდოდა!

- ახლა ხო იცი, ყოჩაღად უნდა იყოთ! აზრზე ხართ, რა ამბავი ატყდება?!

- ნახე ტონი ქეის ახალი ნამუშევარი? რა ამბები დაუტრიალებია გადაღებებზე, რომ მითხრეს, გავგიჟდი! ხალხს გვირაბი გაათხრევინა, კედლებზე 600 ცალი თევზი მიაჭედებინა და მერე ყველაფერი რომ მორჩა, ზედაც აღარ შეუხედავს - გადავიფიქრე, აღარ მჭირდებაო.

- ახალი გამოცემის გაკეთებას ვაპირებ, მერე ცალკე დაგელაპარაკები, „მაგალოგი“ ერქმევა, რაღაც ჟურნალსა და კატალოგს შორის იქნება.

- მაშ, „ჟურნალოგი“ დაგერქმია!

თანამოსაუბრე მაღლა იხედება.

- სოფი რას შვრება?

- არაფერს, ზის და ბავშვს ელოდება.

- კაი, რას მეუბნები! რა დამთხვევაა! აი, მეც ვზივარ და სენდვიჩს ველოდები.

- ხოო, კაი აბა, გნახავ მერე.

აი, მატიე კოკტოც გაეძრო, BDDP-ის ყოფილი რედაქტორი; ახლა ინტერნეტსაიტების შექმნაშია გადავარდნილი.

- ვაა, გამარჯობა, რას შვრება შენი ის... აი, ის... პატარა ბიზნესი?

- არის რა, ნელ-ნელა. 6 თვეში 200 მილიონი, როგორია?!

- მაგარია. აბა, აქ რაღა ჯანდაბას აკეთებ?

- მომენატრეთ და მოვედი! რას უნდა ვაკეთებდე?! რეკლამა და ფინანსები მჭირდება ჩემი დედამოტყნული საიტებისათვის, გაიგე? ისე, რომ იცოდე, ახალი ეკონომიკა სულაც არ არის ახალი. ურეკლამოდ ეკონომიკა არც ადრე იყო და არც ამის შემდეგ იქნება.

- ერთ რაღაცას გეტყვი: სინამდვილეში ჩვენც კაი თავხედები ვართ. ჯერ იყო და 80-იანებში ხალხს თავი მოვაბეზრეთ რეკლამით, მერე 90-იანებში გამოვაცხადეთ, რომ

რეკლამა მოდაში აღარ იყო, 2000 წელი რაც დაიწყო, გავიძახით, რომ ინტერნეტმა გადაუჯოკრა რეკლამას. არადა, სინამდვილეში რეკლამა ასეთი ყოვლისშემძლე არასოდეს ყოფილა.

- ხოო, კაი აბა... ხოო... დროც არა მაქვს, რომ დაგელაპარაკო. ახლა ინტერნეტკაფეში უნდა გავვარდე, ვნახო მეილზე ხომ არაფერი მომივიდა... ხოო... აბა, ჩაო!

- ბაი, ბაი, com.

ღამით კი Nibarland-ში სავარძლებში მოკალათებული დამბლადაცემულებივით ცმუკავთ და ამას ცეკვას ეძახით. მჯდომარე ცეკვის მოდა ნიუ-იორკიდან მოდის: იქ ერთმა მერმა ისე შეზღუდა ღამის ბარები და იმდენი რამ აუკრძალა, რომ ახლა ძიგძიგის მოყვარული ხალხი საცეკვაო ბარებში ერთმანეთს ფეხს ვეღარ უქცევენ: ყველა აქ მოაწყდა და აბა რა იქნებოდა?! ამიტომაც, ყველა ბარში: Spy-ში, Velver-ში, Jet-ში, Chaos-ში, Li quid-ში, Laje-ში სტუმრები უმაღლეს ხმაზე აწეულ მუსიკას უსმენენ, ადგილიდან ვერ დგებიან და ხელების ქნევით კმაყოფილდებიან. ახლა ამ ტენდენციამ ატლანტიკა გადმოლახა და ჩვენთანაც ფეხი მოიკიდა. უკვე მაგრად ტეხავს საცეკვაოდ ადგომა და საქვეყნოდ ტლინკაობა. მთელ მსოფლიოში უკვე ეგრეა რა, კაი ტიპად რომ ჩაგთვალონ ბარებში და ეგეთ ადგილებში, გამაყრუებელი მუსიკის ფონზე ადგილიდან ფეხი არ უნდა მოიცვალო. კანის დისკოთეკაზე იქაურებს ერთი შეხედვისთანავე იცნობ: დაუთრევიათ ადგილობრივი ნაშები და თავდაუზოგავად იგრიხებიან. მაშინ როდესაც რეკლამისტები წარბშეუხრელად სხედან სავარძლებში და პირდაპირ ბოთლებიდან წრუპავენ, რათა კოლეგებს დაანახვონ, რომ ესესაა ნიუ-იორკიდან ჩამომსერდნენ. შენ და ჩარლი ერთი ათჯერ მაინც დგებით სპეციალურად, შედიხართ ტუალეტში, ჩერდებით იქ ხუთი წუთი მაინც და მერე გამოდიხართ თმააბურძგნილები, სრუტუნ-სრუტუნით, დიდი ჭიქებით წყალს სვამთ და თან ცხვირს იფხანთ, რომ იაპონელებს აჩვენოთ, რომ თქვენ კოკაინი გაქვთ, იმათ კი - არა.

ისეთი შეგრძნება გაქვთ, რომ დევიდ ლინჩის ფილმში გგონიათ თავი: სასიამოვნო და მიმზიდველი მოჩვენებითობის უკან ბნელი ხილვა, ჩუმი ძალადობა და დამანგრეველი სიგიჟე იმალება. ეს კი უფრო მეტ ძალას გაძლევთ, რომ უფრო ფართოდ გაიღიმოთ.

4.

ახლა თავი წარმოიდგინეთ 53 წლის კომისარ სანჩეს ფერლოზიოს ადგილზე, რომელიც ამჟამად კანში, თავის ვიწრო კაბინეტში იმყოფება. მზე ჩადის, ისმის ჭრიჭინების ჭრიჭინი, მშვიდად გიახლოვდებათ ნანატრი უიკენდი და მასთან ერთად „ბუფე დე ლა გარის“ თეთრი ღვინის სურნელი. წინასწარ ტკბებით ამ მოლოდინით და უცებ მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით ახალი საქმე დაგატყდათ თავზე: მეილით მიიღეთ საერთაშორისო ორდერი დაპატიმრებაზე და მასთან ერთად ვიდეოჩანაწერი. ერთი-ორჯერ დააკლიკებთ და ეკრანზე იღებთ შავ-თეთრ გამოსახულებას ფრანგი სამეულისა, რომლებიც ერთ-ერთი ვილიდან გამოდიან და თან ხმამაღლა ბჭობენ:

„- როგორ გგონია, ვიდეომ გადაიღო?

- არა, რა ვიდეო, დომოფონია. ყველა ვარიანტში, თუ რაიმე კვალი იპოვეს, ფეხებს მოგვჭამენ, ჩვენ აქ არავინ გვიცნობს“.

მერე კი სათვალთვალო კამერას უახლოვდებიან ქვებით ხელში.

გაჭირვებით იგებთ ინგლისურად მოწერილ მესიჯს, რომლის სათაურია: First Degree Murder Prosecution[I] (ეს გინდოდათ ახლა?!). ინგლისური ცუდად იცით, მაგრამ ყველაფერს მიხვდით. გასული წლის თებერვალში ფლორიდის შტატის პოლიციამ შეკითხვა გაუგზავნა მაიამის მუნიციპალიტეტს იმ პირთა ვინაობის შესახებ, რომლებმაც მიიღეს უფლება, ღია ცის ქვეშ გადაღებების ჩატარებაზე. თქვენ კითხულობთ სამი ფრანგი ეჭვმიტანილის გვარსა და პროფესიას და ბოლოს და ბოლოს, ხვდებით, მაინცდამაინც თქვენ რატომ დაგირღვიეს მყუდროება გაქანებული რეკლამის ფესტივალის დროს. თქვენ გენატრებათ ის დრო, როდესაც პოლიციის კომისრის მუშაობა რთული კი იყო, მაგრამ დროში არავინ გზღუდავდათ. იღებთ ყურმილს და რეკავთ, სადაც საჭიროა, რათა კრუაზეტის სასახლეში გამართულ ცერემონიაზე მიწვეულ სტუმართა სია დაადგინოთ.

შენ და თამარა საღამოთი იღვიძებთ. სასტუმრო „კარლტონის“ ნომრებში ისეთი სქელი ფარდებია, რომ საკმარისია, კარის სახელურზე გარედან მიამაგროთ ქაღალდი წარწერით: Do not disturb[II], რომ აღარც სართულის მოსამსახურე პერსონალი და აღარც დღის სინათლე შეგაწუხებთ. მთელი ღამე სვამდით, მაგრამ კოკაინს არ გაკარებიხარ: ამსტერდამიდან ჩამოტანილი სოკო-ჰალუცინოგენი ამჯობინეთ. ამ ძალიან ძვირად ღირებული შხამის წყალობით, ერთი კარგი სარეკლამო იდეა მოგივიდა თავში Humex Fournier-ს (გაცივების საწინააღმდეგო კაფსულები) საკონკურსოდ:

„ქერა, მოკლეთმიანი ქალი ზის გრძელი, ულამაზესი „მერსედესის“ უკანა სავარძელზე მდიდარი არაბის გვერდით. მძღოლი ძალიან გაცივებულია. უცებ სახის მიმიკა ეცვლება და აცემინებს „ცხ.... ფცხ...“, თანაც იმ დროს, როდესაც მანქანა ალმას გვირაბში შედის. ეკრანი ბნელდება, ისმის საბურავების ხრჭიალი და შეჯახების საშინელი ხმაური. ეკრანზე ჩნდება Humex Fournier-ის ლოგო წარწერით: „შეაჩერეთ გაცივება, სანამ გაცივება შეგაჩერებთ სამუდამოდ“.

[I] პირველი ხარისხის მკვლელობა (ინგლ.).

[II] არ შეგვაწუხოთ (ინგლ.).

„არა უშავს, ცუდი არ არის“, - ფიქრობ შენ და სუფრის კიდეზე მიჯღაბნილ ტექსტს კითხულობ, რომელმაც სულ ცოტა, მილიონი ევრო უნდა მოგიტანოს. მაგრამ უკეთესის მოფიქრებაც შეიძლება. აი, მაგალითად:

„ჯონ კენედი-უმცროსი მართავს სპორტულ თვითმფრინავს ლონგაილენდის თავზე. ძალიან გაცივებულია, ახველებს და აცემინებს. მისი მეუღლე ქეროლაინი შეშფოთებულია: არასოდეს უნახავს ქმარი ესეთი (ეს სიტყვა ერითმება მის გვარს - ბესეტი). ჩანთიდან იღებს და უწვდის Humex Fournier-ის კაფსულას, მაგრამ ჯონი უარს ეუბნება, რადგან ბიძაშვილის ქორწილზე აგვიანდებათ და წამლებისთვის არ სცხელა. მაგრამ უცებ აუტყდება ცემინება, ვეღარ ჩერდება და ამის გამო თვითმფრინავი ტრაექტორიას კარგავს. ეკრანზე ჩნდება Humex Fournier-ის ლოგო წარწერით: „ჯობია, ცხვირს მიხედოთ, ვიდრე ცხვირით ჩაერჭოთ“.

გუშინ საღამოს შენ და თამარას პირველად გქონდათ სექსი. ეს იყო ლოგიკური და უტკბესი სასწაული. იმდენჯერ შეერთდით, რომ ნამდვილი რეკორდი დაამყარეთ. ჯგუფი REM MTV-ზე მღეროდა: „ეს არის სამყაროს დასასრული / მე კი თავს მშვენივრად ვგრძნობ“. თამარა იმ დროს მოგიახლოვდა, როცა გარგალისჯემიანი ფუნთუშის ჭამის მერე გაწებილი თითების გასაწმენდად ხელსახოცს ეძებდი. მოგიახლოვდა და ჯერ თითებზე აგისვა ენა, მერე სხვაგანაც. შენც ასევე უპასუხე და ისე გადაეხლართეთ ერთმანეთს, ვეღარავინ დაგაშორებდათ, თამარას ტუჩები ტკბილი იყო (გარგალისჯემიანი). მძიმე თმით გეალერსებოდა. ისეთი სრიალა კანი ჰქონდა, რომ ჩაგეხედა, საკუთარ თავს დაინახავდი. გაათავე თუ არა, ეგრევე აგიდგა. დიდი ხანი იყო ასეთი რამ აღარ განგეცადა. როდესაც ვინმესთან ერთად დიდხანს ცხოვრობ, იქ მეორე ერექციაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. არადა, რა სასიამოვნოა! ეს-ესაა ორივემ გაათავეთ, ერთმანეთს შეხედეთ, ცოტა წყალი მოსვით, თითო ღერი მოსწიეთ, წაიჭორავეთ და უცებ ორივეში ისევ იფეთქა ვნებამ: მას ისევ დაუსველდა, შენ კი ისე გაგიმაგრდა, რომ გეტკინა. სლოგანი: „თამარა გატკბა, აბა, კიდევ ერთი დარტყმა!“

ძილის დროს მხრებსა და შუბლზე ოფლის წვეთები ცვარივით უბრწყინავს. როგორც პოლ-ჟან ტულე ამბობს: „ჩემს მეგობარ ნანში“, თამარას აქვს „კრეოლი ქალების მთვლემარე შარმი, რომლებიც არაფრის კეთებით არიან გათანგულები“. ხომ უფრო ადრე გადააძრობდი მაისურს, რომ გცოდნოდა, რომ ასეთი სასიამოვნო იყო... თმას იღებავს, მაგრამ მისი თმა მარტო ქერა კი არა, ბეჭებზე ჩამოღვრილი ოქროა. გუშინ საღამოს თამარა ტარამას[I] მიირთმევდა „მაჟესტიკის“ აუზზე და გითხრა:

- გინდა მინეტი გაგიკეთო?

- არა! ძუძუსთავები გამაგრებული გაქვს და დამჩხვლიტავ.

- გამაგრებული მაქვს და შენც გაგიმაგრებ! მერე ერთად გავისროლოთ.

როდესაც თამარა თავს გვერდზე ატრიალებდა, მისი შემხედვარე ტიპები თავს საერთოდ კარგავდნენ (თმა ქერა კი არა, ოქროჩამოღვრილი, პროფილი გამოქანდაკებული, მაგრამ არა ჩამოთლილი, თვალები ოქროსფერი, მაგრამ მოელვარე, მის დანახვაზე ყველაფერი გრძელდება, თვით მის შესაფასებლად წარმოთქმული სიტყვებიც კი). თამარას მოქნილი ტანის მოძრაობას თმა რიტმში ვერ მიჰყვებოდა, ზურგზე იშლებოდა და გასაგიჟებელ სურნელს აფრქვევდა. ამ სურნელს კარგად იცნობდი... Obsession... სოფის

[I] ტარამა - თევზის ქვირითით, ზეითუნის ზეთითა და ლიმონით მომზადებული კერძი.

სურნელი... გაგახსენდა, როგორ ცდიდა თავის ძალაუფლებას შენზე... ნახევრად ღია ტუჩებს გამომწვევად გიწევდა წინ, აი, ისე, როგორც კაროლინა ერერას რეკლამაში. ამან გაგახსენა, რომ შენ და თამარას განდონი არ გიხმარიათ.

- ფრთხილად, თამარა, საშინლად ნაყოფიერი ვარ!

- იყავი რა, აი დარდი! უკვე ათი წელია პილულკებს ვსვამ. ისე, რამე ვენერიული ხომ არ გჭირს?

ორივე ტელევიზორის წინ წევხართ და ერთმანეთს თავს აჩვენებთ, რომ გძინავთ, ტელეფონში ჩარლის ღრიალი გაფხიზლებთ:

- შიდსი ჩვენია! შიდსი დავირტყით!

- რაა?

- რა კი არა, მომისმინე: ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ შიდსის პრევენციის სარეკლამო კამპანიის ბიუჯეტი დაგვიმტკიცა!

მაგარია, ხო მაგარია! 10 მილიონ ევროზეა ლაპარაკი, აზრზე ხარ?

თამარა შენკენ გადმობრუნდა.

- რაო, რა მოხდა?

- არაფერი ისეთი. ჩარლი იყო... შიდსი დაგვითრევია.

გუშინ დილით ამსტერდამიდან ჩამოტანილი სოკო-ჰალუცინოგენებით ჩასკდით (თითოს ოთხ-ოთხი ქუდი და სამ-სამი ფეხი შეგხვდათ) და შესაბამისად, თქვენმა დიალოგმაც ასეთი სახე მიიღო:

- შენ ორი თავი გაქვს.

- ახლა ეს კარადა აფეთქდება.

- მე ყველაზე დიდი ვარსკვლავი ვარ.

- ფილმის ნახვა მინდა და ხომ არ იცი, რატომ? ეს ნორმალურია?

- სანამ გავიგებ, რას მეკითხები, პასუხის გაცემას აზრი აღარ ექნება.

- გონება ისევ მიმუშავებს.

- მინიბარს დავეტაკე, მაგრამ იმან მომიგო.

- თეთრი მტრედის დორბლი ბებერ გომბეშოს ვერ სწვდება.

- მე ისევ მე ვხდები.

- არ მინდა ამ პორნოს ყურება. თუმცა იყოს, რა აზრი აქვს, უყურებ თუ არა. ეს ცხოვრება სულ პორნოგრაფია არ არის?!

- ერთი მითხარი, გოგოებს რატომ გინდათ ჩვენი დათრევა და ხელიდან არგაშვება ცოცხალი თავით?

- ვერ ვიტან ფრაზებს, რომლებიც იწყებენ სიტყვებით „ვერ ვიტან“.

- სიყვარულის შიმშილს შენ მიკლავ.

- გამუდმებით მატყუებ.

- გატყუებ, მაგრამ უარესიც შემეძლო შენთვის გამეკეთებინა; მაგალითად, ცოლად მომეყვანე.

იცით, რა განსხვავებაა მდიდრებსა და ღარიბებს შორის? ღარიბები ყიდიან ნარკოტიკებს, რომ „ნაიკები“ იყიდონ, ხოლო მდიდრები ყიდიან „ნაიკებს“, რომ ნარკოტიკები იყიდონ.

ზღვა ჩამუქებული ყურის გასწვრივ ცეკვავდა. დღეს რატომღაც ტალღების ანარეკლი არ ციალებდა. მეორე დღესღა გითხრა თამარამ, რომ შენგან სამუდამოდ მიდიოდა.

- ვისთან მიდიხარ?

- ალფრედ დიულერთან, შენი კლიენტი როა Madone-იდან. პირდაპირ ჭკუას კარგავს ჩემზე. დღეში ერთი ოცჯერ მაინც მიმესიჯებს. წინა კვირას ვიწექი მასთან, „ტრიანონ პალასში“ წამიყვანა. ბედნიერებისგან კინაღამ გააფრინა. უნდა გენახა, როგორ ნერვიულობდა! იცი, რა საყვარელია? თანაც, მე მგონი, ძალიან კარგი კაცია, რაღას არ შემპირდა! ის კი არადა, ცოლსაც გავშორდებიო. თურმე ისე მობეზრებია ცოლთან ცხოვრება, აღარ იცის, რა ქნას.

- ვაიმე, ეგ რა მითხარი, ღამე აღარ დამეძინება! იდიოტი! ეგ რომ აბეზრებს თავს მილიონობით ადამიანს, ეგ ვითომც არაფერი, ხომ? კი, მაგრამ ბავშვს რაღას უშვრები, მაროკოში ტოვებ?

- არსადაც არ ვტოვებ. ალფრედს სურს, ჩემი გოგონა საფრანგეთში ჩამოვიყვანო და სამივემ ერთად ვიცხოვროთ. მალე განქორწინების პროცესს წამოიწყებს. უნდა, რომ როგორც წესი და რიგია, ყველაფერი ისე იყოს. კანონიერად დავქორწინდეთ და ვიცხოვროთ, როგორც ნორმალურ ხალხს შეეფერება. ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ უარი არ ვუთხრა. იცი, პირდაპირ დაუჯერებელია, როგორ შეიძლება თავგზა აუბნიო 50 წლის კაცს, თუ კაი ტანი გაქვს და ენითაც შეგიძლია რაღაც-რაღაცების კეთება.

- მით უმეტეს, მის ცოლზე ოცი წლით უმცროსიც თუ ხარ.

- ახლა იცი, რას გეტყვი? ნუ იშხამები. შენ ხომ კარგად იცი, რომ კაცს ასეთი შანსი ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ ეძლევა. და ჩემი შანსიც ეს არის! ბოლოს და ბოლოს, საკუთარი ჭერი მეღირსება, გავხდები ნამდვილი ოჯახის დიასახლისი, სახლს ჩემი გემოვნებით მოვაწყობ, გავხდები მადამ დიულერი, ჩემი შვილი კი - მადმუაზელ დიულერი. მანქანა გვეყოლება და ზაფხულში პროვანსში წავალთ დასასვენებლად. მომავლისა აღარ შეგვეშინდება, ყველაფერი მექნება, ჩემზე სხვა იზრუნებს და, რაც მთავარია, რამდენსაც მოვისურვებ, იმდენს შევჭამ და გასუქების აღარ შემეშინდება! რას იტყვი, ცოტაა? ხომ ღირს? მაგრამ შენ არ დაგივიწყებ. ხომ მოხვალ ქორწილში? ის კი არადა, მეჯვარედაც მინდოდა წამეყვანე, მაგრამ ალფრედი წინააღმდეგია, მაგისიც ხომ გესმის: საკმარისზე მეტი საბაბი აქვს, რომ ჩემს წარსულზე იეჭვიანოს.

- შენ რა, უკვე ყველაფერი ჩაუკაკლე? ზედმეტი არაფერი წამოგცდეს, ხომ იცი, ჩემი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კლიენტია.

- როგორ გითხრა... ყველა წვრილმანი არ მითქვამს, სხვათა შორის, არც ძალიან ჩამძიებია. ისე კი ეჭვობს, რომ მე და შენ რაღაც-რაღაცები ჩაგვიდენია.

- გუშინ საღამომდე ისეთი მნიშვნელოვანი არაფერი.

- დიახაც და ზუსტად ამიტომაც გაგაუპატიურე გუშინ. შენთან სექსი რომ არ მქონდა, ნერვები მეშლებოდა. მინდა გითხრა, რომ ძალიან მაგარი ყოფილხარ! შენ როგორღა მოგეწონა, კმაყოფილი ხარ? ისე არ მინდოდა დაგშორებოდი, რომ არ გაგეჟიმე. ახლა რაც ჩემს თავს ხდება, ყველაფერი შენი წყალობითაა (თან Elle-ის გარეკანი მაჩვენა, სადაც ჟან-მარი პერიეს მიერ გადაღებული მისი მოღიმარი ფოტო იყო წარწერით: „თამარა - „მეგრელეტი“ მაღრიბულად“).

- „ლომების“ გადაცემის ცერემონიაზე მოსვლას აპირებ?

- იცი რა... ალფრედს არ უნდა და რა ვქნა. ძალიან მესაკუთრეა და არ მინდა, წინააღმდეგობა გავუწიო. თანაც, სადღაც მართალიც არის. მითხრა, თუ კინოში გინდა გადაღება, რეკლამებში ხუნტრუცს თავი უნდა გაანებოო.

- ე.ი. გამოდის, რომ ჩვენი ურთიერთობა დასრულდა? მე კი შენს შეყვარებას ვიწყებდი.

- კარგი ახლა, არ გინდა! ეგ სიტყვები ბოლოს როცა მითხარი, ჯერ ძალიან ადრე იყო, ახლა კი უკვე გვიანაა.

უკანასკნელად გაკოცა და მისი თხელი მაჯა ხელიდან გაგისრიალდა. თამარასაც ისე შეელიე, როგორც სხვებს შენს ცხოვრებაში. შენ ის სუპერვარსკვლავის კარიერისკენ მიმავალ გზაზე გაუშვი, რომელიც ყველასთვის კარგად ცნობილია. თანდათან უფრო მეტად გრძნობ, როგორ მოგერია ტუბერკულოზი. და იმ წუთიდან, როცა თამარამ კარი გაიხურა, თქვენს ერთად გატარებულ ყოველ წამზე საშინელი მონატრება დაგეწყო.

ცა სადღაც შორს, ოკეანეში ინთქმება: ამას ჰორიზონტი ჰქვია. „მესამე ათასწლეულის განთიადზე...“ იმდენი ხანი გვპირდებოდნენ ამ განთიადს, რომ მისი დადგომა უკვე უცნაურად გვეჩვენება. თუმცა, არც ისეთი საშინელი ყოფილა ეს ყბადაღებული მესამე ათასწლეულის განთიადი. ნავთობის ტანკერები კვლავინდებურად სერავენ უბეს და უკან ცისარტყელისფერ (ანუ ნავთობიან) ნაკვალევს ტოვებენ. სოფის ექოგრაფიას უყურებ, რომელიც თანდათან ბუნდოვანი ხდება, მაგრამ თვალს არ ახამხამებ მანამდე, სანამ ლოყაზე ცრემლი არ ჩამოგიგორდა.

ცხოვრებაში ხვდებით ადამიანებს, რომლებიც თქვენს არსებობას ცვლიან, თანაც ისე, რომ ამას ვერ ხვდებიან. შემდეგ კი მშვიდად, აუღელვებლად გღალატობენ და საკუთარი თვალით ხედავთ, როგორ შეეკვრებიან თქვენს დაუძინებელ მტრებს - თქვენ კი უყურებთ, როგორ გშორდებიან და მიდიან, როგორც გამარჯვებული ჯარი ქალაქის დარბევის შემდეგ ნანგრევებისა და ჩამავალი მზის ფონზე.

5.

თქვენ ეპოქის პროდუქტი ხართ. თუმც არა, ყველაფრის ეპოქისთვის გადაბრალება ძალიან ადვილია. თქვენ უბრალოდ პროდუქტი ხართ, ვინაიდან გლობალიზაციას ადამიანები არ აინტერესებს, იძულებული გახდით, პროდუქტები გამხდარიყავით, რომ საზოგადოება თქვენით დაინტერესებულიყო. კაპიტალიზმი ხალხს აქცევს მალფუჭებად იოგურტებად, რომლებიც სანახაობით არიან ზომბირებული ანუ ხალხი საკუთარი მომავლის განადგურებაზეა დაგეშილი; გინდათ, რომ სამსახურიდან გაგათავისუფლონ, ჯერ თქვენი სახელი გამოიტანეთ ეკრანზე, შემდეგ „ნაგვის ყუთში“ ჩააგდეთ და კონტექსტურ მენიუში აირჩიეთ „ნაგვის ყუთის დაცლა“; მერე კომპიუტერი გკითხავთ: „გინდათ წაშალოთ ჩანაწერი აღდგენის შესაძლებლობის გარეშე?“ დააჭირეთ OK და მორჩა! ასე რომ, ერთი უბრალო OK და თქვენი სახელის ჭაჭანებაც კი აღარსად იქნება. ადრე რეკლამა გვიჩიჩინებდა: „ერთი პატარა გაწკაპუნება სჯობს დიდ დარტყმას“, ახლა კი კლავიშზე ერთი დაწკაპუნება თვითონ იწვევს დიდ დარტყმას.

ვინაიდან თქვენ გასაყიდი საქონელი გახდით, ალბათ გინდათ, რომ გქონდეთ გრძელი, რთულად წარმოსათქმელი და ძნელად დასამახსოვრებელი გვარი, მძიმე ნარკოტიკის სახელი, ფერი - მძღნერის; იყოთ ძალიან ძლიერი მჟავა, რომელსაც სულ რაღაც ერთ საათში კბილის დაშლა შეუძლია; ძალიან დაშაქრული სითხე, გემოთი უცნაური და გაურკვეველი. და მიუხედავად ყველა ამ აშკარა ნაკლისა, იყოთ დედამიწის ზურგზე ყველაზე ცნობილი მარკა. ერთი სიტყვით, თქვენ გსურთ იყოთ ერთი ქილა მოწამლული „კოკა-კოლა“.

მანამდე კი, თქვენ რომ ჩარლი ნაგუ გერქვათ, იჯდებოდით სასტუმროს ნომერში, ყველა პორნოსაიტს შემოივლიდით და ძალიან კმაყოფილი დარჩებოდით ერთი ძალიან სასაცილო (როგორც ხშირად უწოდებთ ხოლმე) ვიდეოს ნახვით, სადაც აზიელი გოგო ცხენს მინეტს უკეთებს და მერე ერთ ლიტრ სპერმას აღებინებს. და აი, ამ დროს გაგახსენდებათ, რომ დროა „ლომების“ გადაცემის ცერემონიისათვის მოემზადოთ, მაგრამ ცოტა ხელი გეშლებათ: ოდილი, რომელიც ახლა სტაჟიორი კი არა, უკვე მთავარი არტდირექტორია (ზუსტად გუშინ საღამოს დაინიშნა ამ თანამდებობაზე), უკვე ორმოცი წუთია აბაზანაშია და გამოსვლას საშველი აღარ დააყენა.

ხოლო ოქტავ პარანგო რომ გერქვათ, ახლა იდგებოდით ფესტივალის სასახლის მთავარი შესასვლელის წინ, ხომ იცით, ნეონაცისტური სტილის გიგანტური ბუნკერი კრუაზეტის სანაპიროზე, რომლის კიბეზეც კინოვარსკვლავები ფოტოაპარატების ჩხაკუნის თანხლებით ადიან. თქვენ იქ ფეხზე ჩამოწყდებოდით, ლოდინისაგან გული გადაგელეოდათ და მთელი მსოფლიოს რეკლამისტებთან ერთად, რომლებიც ნაქირავებ სმოკინგებში იქნებოდნენ გამოწყობილი და ერთი სული ექნებოდათ, ენახათ ტრიუმფატორების ერთი ნაწილი მეორეს როგორ გადასცემდა ჯილდოებს, იდგებოდით ხმაურში, შეისუნთქავდით სუნამოების გამაბრუებელ სურნელს და ანერვიულებული პრეტენდენტების ოფლის სუნს. მზერა გაგექცეოდათ სილიანი პლაჟისა და თეთრი იახტებისკენ. სულ ტყუილად შემობრუნდებოდით უკან - ზურგს უკან ორი ათას წელს კი არ დაინახავდით, არამედ ვიღაც იდიოტ ჰოლანდიელს. ისევ 50.000 წლის სილიან ნაპირს გახედავდით, რომელსაც თქვენც და თქვენი ეს უაზრო ფაცაფუცი სულ ფეხზე ჰკიდია. ამ

უძველესი ქვიშისთვის ორ საწყალ ათასწლეულს განა რაიმე მნიშვნელობა აქვს? თუ თქვენ კალენდრის შეცვლამდე რამდენიმე წლით ადრე დაიბადეთ, ეს სულაც არ არის საბაბი იმისათვის, რომ თავი დიდი ვინმე გეგონოთ.

დარწმუნებული ხართ, რომ თავის გატანასა და ფულის შოვნას ყოველთვის მოახერხებთ. ამისთვის ერთი წარმატებული იდეაც კი საკმარისია. ყოველთვის გამოძებნით საშუალებას, რომ ხალხის გასულელებით ბევრი ფული მოხვეტოთ. ხალხს მიჰყიდით ისეთ პორნოფილმებს, სადაც ვირტუალური სექსი ექნებათ საკუთარ მშობლებთან; უცხიმო „მეგრელეტს“ მესამე მსოფლიოს შიმშილისაგან განადგურებულ ქვეყნებში შეიტანთ; გამოიგონებთ ნარკოტიკს სამედიცინო სანთლების სახით ან იმავე სანთლებს ხელოვნური ასოს სახით, „კოკა-კოლას“ ფირმას შესთავაზებთ თავიანთ საწამლავში წითელი ფერი შეურიონ, რათა ეტიკეტზე ფული დაზოგონ; აშშ-ის პრეზიდენტს ურჩევთ, როგორც კი საკუთარ ქვეყანაში პრობლემები გაუჩნდება, ეგრევე ერაყი დაბომბოს; კელვინ კლაინს სიტყვას გადაუკრავთ, გამოუშვას გენმოდიფიცირებული პროდუქტები; Madone-ს მიაწვდით იდეას, შექმნას ბიოტანსაცმელი; ბილ გეიტსს ეტყვით, შეისყიდოს ყველა გაჭირვებული ქვეყანა; Nutella-ს დაარწმუნებთ, რომ ძალიან მომგებიანი იქნება მოხალულნუშიანი საპნის გამოშვება; „ლაკოსტას“ ჩააწვეთებთ, რომ დროა ნიანგის ხორცი ვაკუუმის შეფუთვით გაყიდოს; Pepsi-ს შეახსენებთ, რომ ძალიან დააგვიანდათ საკუთარი ლურჯ-ცისფერტონიანი ტელეარხის გახსნა; ჯგუფ Totfal-Fina-Elf-ს დაამუნათებთ, რომ აქამდე არ გაუხსნიათ ბოზებით უზრუნველყოფილი ბარები ყველა ავტოგასამართ სადგურზე; Gilette-ს კატეგორიულად მოსთხოვთ, გამოუშვას 8-სამართებლიანი საპარსი... ერთი სიტყვით, მოიგონებთ რამეს, არ დაიკარგებით!

მაშ, წინ გავწიოთ, ნამდვილი ბრძოლა ახლა იწყება!

6.

დარბაზი ისეა გადაჭედილი, ნემსი არ ჩავარდება. გული ამოვარდნაზე გაქვთ. თმას ისწორებთ და პირში „დეომინტს“ ისხამთ.. თქვენი დიდების საათმა ჩამოჰკრა. ცოტა თამარაზე ხართ ნაწყენი, ასეთ დროს თქვენ გვერდით რომ არ არის. თუმცა, ამით არაფერი დაშავებულა. აგერ, ოდილს ხვევნა-კოცნა გაუმართავს ჩარლისთან. დარბაზში 6000 კაცია და შეიძლება სულ მალე სცენაზე მოგიწიოთ ასვლამ, თუ ჯილდოს აიღებთ, რა თქმა უნდა...

ყველაფერი კარგადაა. მაშ, რატომღა გეკლაკნებათ სახეზე ღიმილი და გეძაბებათ გამომეტყველება?

მარჯვნივ მჯდომ ქალთან წამოიწყეთ საუბარი.

- Hi. My name is charlie[1] და ეს ოქტავია.

- ვიცი, თქვენ ხომ La Rosse-ის ახალი უფროსები ხართ.

- ბედი არ გინდა?! ფრანგი ყოფილა! თქვენ სად მუშაობთ?

- La Rosse-ში, ადელინა ვარ პროდაქშენის განყოფილებიდან.

- აა! ხო, მართლა! როგორ არა, გიცანი..... ადელინა.... გვაპატიე, სამი დღეა თითქმის არ გვიძინია და ჭკუაზე არა ვართ.

- არა უშავს. როგორ გგონიათ, „მეგრელეტის“ რგოლს გამარჯვების შანსი აქვს?

- ძნელი სათქმელია. ისეთი იდიოტური კლიპია, რომ სრულიად შესაძლებელია გაიმარჯვოს.

- ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა: „ლედი დი“ და „ჯონ კენედი-უმცროსი“ ტესტირებაზეა გადაცემული.

- ვიცი, ვიცი. შიდსი რომ დავირტყით!

- ძალიან მაგარია! მეც გავიგე. ერთი სიტყვით, ჩვენი საქმეები წინ იდის.

სინათლე ქრება. მაყურებელმა ტაში დასცხო. ფეხი ფეხზე გადაიდეთ. საათს დახედეთ. თქვენს კატეგორიას ელოდებით (რძისა და ნაღების პროდუქტები), თანაც თმას ისწორებთ. ეკრანზე ერთმანეთს ცვლიან პლანეტის ყველაზე კრეატიული სარეკლამო კლიპები: პოპკორნის გიჟური და ცოტა არ იყოს, გაუგებარი ქება-დიდება, გასახდომი დიეტები, სუნამოები, ჯინსები, შამპუნები, არაყი, შოკოლადის ჩხირები, ვერმიშელი, პიცა, კომპიუტერები, უფასო ინტერნეტსაიტები, ძაღლის საკვები, ჯიპები - კრეატორების გიჟური ფანტაზიისა და აღმაფრენის ნაყოფი, რომელიც მოხერხებულად დაუძვრა რეკლამის შემკვეთთა ფხიზელ ცენზურას, ულტრათანამედროვე ტიპოგრაფია, მწვანე ვაშლის ბუნდოვანი ფერები, 16-მილიმეტრიანი ფირები, მომავლის დიზაინი, წითელი ლოგოები, ინდური ანიმაციები, პაროდიული მუსიკა, უდიდესი მაყუთი, შენელებული კადრები, თავშეუკავებელი ემოციები და ისევ და ისევ ლამაზი ნაშები, რადგან მათ გარეშე არაფერი ხდება და ყველაფერი მათ გარშემო ტრიალებს, ხალხს მხოლოდ ეგენი აინტერესებს. ცდილობთ თავი თავისუფლად დაიჭიროთ, თქვენ გვერდით სავარძელში ადელინა მოუსვენრად ცქმუტავს და რაღაცას ჩუმად ღიღინებს, რომ ფორიაქი დამალოს.

ალბერ კოენს[60] რომ ეს სცენა ენახა 1968 წლამდე, უფრო შთამაგონებლად აღწერდა: „მშვენიერი ქალბატონის“ მაიმუნობებს.

---

[1] Hi My name is Charlie (ინგლ.) - ჩემი სახელია ჩარლი.

- And the winner is... Maigrelette. The Nymphomaniac by Rossery and Witchcraft France[1]! დიდება შენ, ო, ოქროს ლომო! ოსანა შენ ზეციურო ყოვლადმაღალო! ვინაიდან შენია სუფევა, ძალი და დიდება აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

ბედნიერებისგან ლამის გული გაგისკდეთ.

- Yyyyyesss!

პარტერს ჩაუყევით.

სცენის საფეხურებზე ადიხართ.

და სადაც არის, მადლობა უნდა გადაუხადოთ რეჟისორ ენრიკეს, „რომლის გარეშე აქამდე ვერ მოხვიდოდით"; მშვენიერ თამარას, „რომლის წყალობით ყველაფერი შესაძლებელი გახდა"; გინდათ თქვათ, რომ თქვენ გსურდათ „ჰიმნი მიგეძღვნათ სიცოცხლისათვის და გედიდებინათ ხალხის შრომა" და ა.შ. და ა.შ. და ამ დროს უცებ უკნიდან დაგაცხრნენ. სამმა პოლიციელმა მთელი სარეკლამო სამყაროს წინაშე ალყა შემოგარტყათ. პირადად კომისარმა სანჩეს ფერლოზიომ დაგადოთ ხელბორკილი და საქვეყნოდ დაგდოთ ბრალი ფლორიდის შტატის ქალაქ მაიამიში ქორალ გეიბლსზე მცხოვრები მისის უორდის მკვლელობაში... შეიძლება ითქვას, თქვენი თავი კონკურსგარეშე მდგომარეობაში ჩააყენეთ.

[1] გაიმარჯვა „მეგრელეტმა". ეს არის Rossery and Witchcraft France-ის ნიმფომანიაკი (ინგლ.).

7.

„ცხოვრება ასე მიდის: იბადებით, კვდებით, შუაში კი მუცელი გტკივათ. ცხოვრება - ეს არის მუდმივი მუცლის ტ კივილი: 15 წლისას იმიტომ გტკივათ, რომ შეყვარებული ხართ; 25-ისას იმიტომ, რომ მომავალი გაშინებთ; 35 წლისას იმიტომ, რომ სვამთ; 45 წლისას იმიტომ, რომ ბევრს მუშაობთ; 55 წლისას იმიტომ, რომ შეყვარებული აღარ ხართ; 65 წლისას იმიტომ, რომ წარსულის მოგონებები გტანჯავთ; 75 წლისას კი იმიტომ, რომ კიბო გაქვთ, თანაც მეტასტაზებით. ინტერვალებში კი მხოლოდ ემორჩილებით: ჯერ მშობლებს, მერე მასწავლებლებს, შემდეგ სამსახურში უფროსებს, მოგვიანებით - მეუღლეებს, ბოლოს კი - ექიმებს. ხანდახან კი გიჩნდებათ ეჭვი, რომ ამათ ყველას სინამდვილეში ფეხზე ჰკიდიხართ, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრი უკვე დაგვიანებულია. ერთ მშვენიერ დღეს კი ერთ-ერთი მათგანი მოვა და შეგატყობინებთ, რომ თქვენ მალე მოკვდებით. და აი, ერთ წვიმიან დღეს ხის ყუთში ჩაგდებენ და მიწას მოგაყრიან ბანიეს სასაფლაოზე. ხომ არ გგონიათ, რომ ეს თქვენ არ გელოდებათ? მით უკეთესი თქვენთვის. როცა ამ სტრიქონებს წაიკითხავთ, მე უკვე აღარ ვიქნები. თქვენ კიდევ იცხოვრებთ, მე კი არა. გულდასაწყვეტია, ხომ? თქვენ ისეირნებთ, დალევთ, შეჭამთ, სექსით დაკავდებით, არჩევანის გაკეთების საშუალება გექნებათ, მე კი ამ ყველაფერს ვეღარ გავაკეთებ, იმიტომ, რომ სხვაგან ვიქნები, სხვა სამყაროში, რომელსაც თქვენსავით ჯერ არც მე ვიცნობ, მაგრამ როცა თქვენ ამას წაიკითხავთ, უკვე მეცნობება. ჩვენ სიკვდილი დაგვაშორებს. არაფერი სამწუხარო ამაში არ არის, ეს ნორმალურია, რომ ჩვენ - მე მკვდარი და თქვენ ამ წერილის მკითხველი, გადაულახავი კედლის სხვადასხვა მხარეს ვართ და მიუხედავად ამისა, შეგვიძლია ერთმანეთს დაველაპარაკოთ. ცოცხალი იყო და თანაც მიცვალებულს უსმინო - მართლაც, რომ მოსახერხებელი რამაა ეს ინტერნეტი!

თქვენი საყვარელი აჩრდილი

სოფი“.

შენ და სოფის მშობლები ერთმანეთს მტრულად შესცქერით. არადა, იმედი გქონდათ, რომ მოახერხებდით ლაპარაკს ციხის პაემნების ოთახში (ეს ოთახები რომ მართლა ლაპარაკს უწყობდეს ხელს, ნამდვილად არ დაიმალებოდა), მაშინ როდესაც სოფის სიცოცხლეშიც არ გამოგდიოდათ ურთიერთობა. ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტეს შენი მონახულება ტარასკონის ციხეში. მონახულება შენი, უვარგისი მამისა, რომელსაც ყოველთვის ზემოდან უყურებდნენ ოჯახურ თავყრილობებზე. თვალები დასივებული და ჩაწითლებული აქვთ - ოთხი დიდი წითელი და სასოწარკვეთილი ბურთულა.

- ეს წერილი ინტერნეტით გამოგზავნა სენეგალის რომელიღაც სასტუმროდან. თქვენ მისგან აღარაფერი გსმენიათ მას შემდეგ, რაც...

- მას შემდეგ, რაც ერთმანეთს დავშორდით? არა, არაფერი. თუმცა, რამდენჯერმე შევეცადე რაიმე გამეგო...

და უცებ ყველაფერს ხვდები. სოფი სენეგალში იყო, როცა მარონიემ თავი მოიკლა. ნეტავ ერთად ხომ არ მოიკლეს თავი? და საერთოდ, რას აკეთებდნენ იქ ერთად? ეს რა უბედურებაა... ჯერ იმის გაგება როგორია, რომ რქებდადგმული ხარ, მერე ამას ყველაზე ბოლოს რომ იგებ და თანაც ციხეში...

- ეს შეუძლებელია, ტყუილია, მართალი არ არის, არ შეიძლება (ერთი საათის განმავლობაში ერთსა და იმავეს იმეორებთ. თქვენი გაუთავებელი გოდებისა და ვაი-ვიშის სრულად აქ მოტანას აზრი არა აქვს).

ნიკაპაცახცახებულ მოხუცებს თვალს არ აშორებ. პაემნების ოთახიდან გამოსვლისთანავე, Air liberte-ს სარეკლამო აბრის წინ ქვითინი აგიტყდა. რაც აქ ჩაგსვეს, პირველად არ ტირი. ისე, თქვენნაირი მაგარი ბიჭების კვალობაზე, როგორიც შენ და ჩარლი ხართ, საკმაოდ ხშირად ღნავიხართ. იმდენად ხშირად, რომ ჩარლიმ შემოსვლის მეორე დღესვე თავის ჩამოხრჩობა სცადა. შენ კი ტირი და ლუღლუღებ:

- მე ის აღარ მიყვარდა, მაგრამ ყოველთვის მეყვარება. თუმცა, არც ისე ძალიან არ მიყვარდა... მაშინ როდესაც ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ ისე არ მიყვარდა, როგორც უნდა მყვარებოდა...

ახლაც კი, როცა ამ სტრიქონებს წერ, მაშინაც ტირი.

ბერგსონმა სიცილი განსაზღვრა, როგორც „ცოცხალზე დადებული მექანიკა“. ცრემლები კი პირიქით იქნება - „მექანიკაზე დადებული ცოცხალი“. ის უკვე მწყობრიდან გამოსული რობოტი და ბუნებით დამარცხებული დენდია. ჭეშმარიტება მოულოდნელად შემოიჭრა სიყალბეში. მოულოდნელად ვიღაც უცნობი ჩანგალს გაგიყრით მუცელში; თქვენდა გასაკვირად, ვიღაც უცნობი საშხაპეში ბინძური წინადადებით მოგადგებათ; სულ რომ არ ელით, ნაცნობი ქალი ექოგრაფიის ფორმის გამოსამშვიდობებელ წერილს გამოგიგზავნით. როცა ფეხმძიმე ქალი თავს იკლავს, ეს ერთის ფასად ორის სიკვდილია - სარეცხი ფხვნილების რეკლამაში როა, ხომ გახსოვთ? უტიფარი მილენ ფარმერი კი თავისას უბერავს რადიოში: „თუ მაღლიდან მიწერია გადმოვარდნა, ნეტავ დაცემა დიდხანს გაგრძელდეს“.

ბოლო სარეკლამო პაუზა

მალე შეხვედრამდე

* * *

კაცი მარტოა და ცარიელ ბინაში იატაკზე ზის. შენელებული ფლეშბეკი (შავ-თეთრი): ჩანან სასამართლო აღმასრულებლები, რომლებიც ქონების აღსაწერად არიან მოსულები. ოჯახური სკანდალი. ცოლი გადის და კარს გაიჯახუნებს. ჩანს, რომ კაცს უკვე აღარაფერი არა აქვს.

უცებ კამერა კაცს მსხვილი პლანით იღებს. იგი კამერას სასოწარკვეთილი უყურებს. ისმის ხმა კადრს მიღმა: „ცოლმა მიგატოვათ? ერთი ევროც კი აღარ გაქვთ? შეუხედავი და იდიოტი ხართ? არ იდარდოთ, ორიოდ წამში შეიძლება ყველაფერი მოგვარდეს“. კაცი ინტერესით უსმენს ამ ხმას. შემდეგ ნაღვლიანად იქნევს თავს. უცებ ჯიბიდან რევოლვერს იღებს და ლულას საფეთქელზე იდებს. ისევ ისმის ხმა: ,,მოკვდე - ეს ნიშნავს, გახდე ისეთივე თავისუფალი, როგორიც დაბადებამდე იყავი“. კაცი ტყვიას მიიჭედებს, თავის ქალა უსკდება, ტვინი კედლებს ესხმება. მაგრამ ის ჯერ კიდევ ცოცხალია, იატაკზე იკრუნჩხება, მთელი სახე სისხლით აქვს დაფარული. კამერა მის პირს უახლოვდება. კაცი ჩურჩულებს:

„- გმადლობ, სიკვდილო“.

აღარ ინძრევა, ღია თვალები ჭერზე დარჩა მიშტერებული. კადრს მიღმა ხმა ასკვნის: „გაუშინაურდი სიკვდილს: მოიკალი თავი! თვითმკვლელობა გაძლევს საშუალებას, შეწყვიტო სიცოცხლე და მასთან ერთად ბოლო მოუღო ყველა პრობლემას“.

ფინალური სლოგანი სთფ-ის ლოგოტიპით: „წერტილი დაუსვი ნერვიულობას: სიკვდილი სიცოცხლის შედეგია“.

შემდეგ მოჰყვება ტიტრები:

„საფრანგეთის თვითმკვლელთა ფედერაციის (სთფ) შეკვეთით“.

ფინალური სლოგანების სხვა ვარიანტები:

„სიკვდილი მოდაშია“.

„არავითარი სიცოცხლე, მთავარია სამარე“.

„სიცოცხლე? შეეშვი, დაუტოვე მეგობრებს“.

VI

ისინი

„- არა-მეთქი! კოლეჯში რომ შევალ, აღარავითარი გასასეირნებელი ადგილები აღარ იქნება. კარგად დაუფიქრდი. მაშინ ყველაფერი შეიცვლება. უნდა ავიკიდოთ ჩემოდნები და ბარგი-ბარხანა და ლიფტით უნდა დავეშვათ ყველას უნდა დავურეკოთ და გამოვემშვიდობოთ, მერე საცა მივალთ, ყოველი სასტუმროდან ღია ბარათები უნდა ვგზავნოთ. მე სამსახურში უნდა მოვეწყო სადმე და ფული ვხვეტო. ან მანქანით ვიფლი სამსახურში, ან მედისონავენიუს ავტობუსით გაზეთებს წავიკითხავ, თან სულ ბრიჯის თამაშში ვიქნები გართული, საღამოობით კი კინოში ვივლი. რაც ბითურული მოკლემეტრაჟიანი ფილმები და ქრონიკები გამოვა, ყველაფერს ვნახავ. ქრონიკები, ღმერთო ჩემო, ჯერ დოღს აჩვენებენ, აგერ ქალი შამპანურის ბოთლს ესვრის გემს, მერე შიმპანზეს შარვალს ჩააცვამენ და ველოსიპედზე შესვამენ. არა, ყველაფერი შეიცვლება. შენ კი არ გესმის ჩემი“.

ჯერომ სელინჯერი, „თამაში ჭვავის ყანაში“, 1951
(ვახტანგ ჭელიძის თარგმანი)

1.

არა, ისინი არ მომკვდარან. კუნძულზე არიან, სუნთქავენ და სიცოცხლით ტკბებიან. მარკ მარონიე და სოფი, ცოტა არ იყოს სასაცილოები არიან, მაგრამ ეს მათ სულაც არ ადარდებთ. ისინი კი არ უნდა გაკიცხო, არამედ ყველაფერში სიცოცხლის სიხარული უნდა დაადანაშაულო. ბოლოს და ბოლოს, ერთმანეთი შეუყვარდათ. საერთოდ ასე ხდება: როდესაც სექსი აქვთ, ბოლოს გრძნობაც უჩნდებათ. მათ სენეგალი დატოვეს და ქოხს შეაფარეს თავი. ქოხი კი ისეთ კუნძულზე იყო, სადაც არ არსებობდა არც ტელევიზორი, არც რადიო, არც დისკოთეკა, არც კონდიცირებული ჰაერი, არც ლუდის ქილები, არც არავინ და არც არაფერი მათ გარდა. ადგილობრივი მეთევზეების მიერ დაჭერილ თევზს წვავენ, ჭამენ ბრინჯს და ქოქოსს, თეთრი ღრუბლების ქვეშ რომიანი პუნშით თვრებიან. სენეგალის პლაჟზე არავის შეხვედრიან გარდა ერთი სიმპათიური ამერიკელისა. ალბათ, ხვდებით, რომ სოფი და მარკი მშვენივრად არიან. ყველაფერი მიატოვეს, გაიქცნენ და მოგებულებიც დარჩნენ. ახლა კი ჩუმ-ჩუმად აქ დარჩენილებს დასცინიან. ეგენი მერე იმ ამერიკელმა მოკლა.

ახალგაზრდებმა, რომლებიც მანქანებს წვავენ, კარგად გაუგეს ამ საზოგადოებას. ისინი იმიტომ კი არ წვავენ მანქანებს, რომ მათი ყიდვა არ შეუძლიათ, არამედ იმიტომ, რომ ყიდვის სურვილი არ გაუჩნდეთ.

რა საყვარლები არიან მარკი და სოფი. მართლაც რომ უხდებათ იმ სულელური სერიალის გმირების სახელები.

მოჩვენებათა კუნძული კაიმანის არქიპელაგზეა. მაინც როგორ მოხვდნენ იქ? ამერიკელს მაიკი ერქვა, თუმცა, მის სახელს რა მნიშვნელობა აქვს, სიმართლეს ხომ მაინც

არ იტყოდა. უხეში ნაკვთები ჰქონდა და ფოტოგრაფ პიტერ ბერდს ჰგავდა. მარკს და სოფის იგი გაეცნო, როგორც ეფ-ეს-ბეს ყოფილი თანამშრომელი. ისინი სალიში, სასტუმრო „სავანის“ პლაჟზე დაახლოვდნენ. რამდენჯერმე ერთად დალიეს და წყვილმა ახალგაცნობილს თავისი მდგომარეობა გააცნო: მარკის მიერ კომპანიის ფულის მოტეხა, სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლება, სოფის ორსულობა და თავიანთი სურვილიც გაანდეს, - სურვილი ყველასა და ყველაფრის მიტოვებისა. მაიკმა ურჩია, სამუდამოდ გამქრალიყვნენ, ვითომ დაიხოცნენ და ამგვარად ეშველათ თავისთვის. ამერიკელი კარგად იცნობდა ასეთი მაქინაციების პროცედურებს: ეფ-ეს-ბეში ყოფნისას მას ევალებოდა იმ მაფიოზების გადამალვა, რომელთაც დანაშაული მოინანიეს. მაიკი ამ დამნაშავეების დაფარვის დიდი სპეციალისტი იყო: აკეთებინებდა პლასტიკურ ოპერაციებს, უცვლიდა გვარ-სახელს. უთითხნიდა ყალბ დოკუმენტებს და მათი მომავალი ცხოვრებისთვის გადაკარგულ, უსაფრთხო ადგილებს პოულობდა. ახლაც გადაწყვიტა ამ შემთხვევით ესარგებლა, კერძო კლიენტებისთვის თავისი მდიდარი გამოცდილებით ეშველა და თვითონაც ფული გაეკეთებინა. მხოლოდ ერთი პირობა წაუყენა: არასოდეს სამშობლოში არ უნდა დაბრუნებულიყვნენ. მარკისა და სოფის „მოსაკლავად“ მას დასჭირდა მხოლოდ მინიპოლაროიდი, ამერიკის მოქალაქეობის ნამდვილი პასპორტები და დიდი რაოდენობით ოფიციალური ბეჭდები. ამგვარად, მარკი და სოფი გახდნენ პატრიკ და ქეროლაინ ბერნჰემები.

როდესაც ადამიანებს დაჟინებით ვუმეორებთ, რომ მათ სიცოცხლეს აზრი არა აქვს, რაღაც მომენტში ისინი მიდიან, აქეთ-იქით აწყდებიან და ცოფიანებივით იღრინებიან. არაფრით არ უნდათ იმის დაჯერება, რომ მათი არსებობა სრულიად უაზროა, როდესაც ამაზე დაფიქრდები, მართლაც ძნელია დაიჯერო, რომ არაფრისთვის არ დაბადებულხარ, დაიბადე მხოლოდ იმისთვის, რომ მერე მომკვდარიყავი. ეს არის და ეს. ამის მერე აღარ არის გასაკვირი, რომ დედამიწის ყველა მცხოვრები მეტ-ნაკლებად გარეკილია.

რა არის ბედნიერება? ბედნიერებაა თეთრი ქვიშა, ლურჯი და მარილიანი ზღვა, როგორც Perrier-ის წყლის რეკლამაშია: „წყალი, ჰაერი, სიცოცხლე“. ბედნიერებაა აღმოჩნდე Perrier-ის ან Pacific-ის სარეკლამო ბანერებზე, ხომ გახსოვთ შიშველი ფეხი აქაფებული ზღვიდან რომ გამოდის და მერე გავარვარებულ პონტონზე[1] შრება. მარკი და სოფი რეკლამებს აკეთებდნენ. დღევანდელი პატრიკი და ქეროლაინი თვითონ წარმოადგენენ უკვე რეკლამას. გადაწყვიტეს ცხოვრება თავიანთ ერთ-ერთ ქმნილებაში დაესრულებინათ, დამსგავსებოდნენ გარუჯულ სტერეოტიპს, Voici-ს გარეკანს, „მეგრელეტის“ სარეკლამო რგოლს გოგრის ხის ვერანდით ეგზოტიკურ ფონზე, Club med-ის აფიშის პრიალა სურათს გარშემო თეთრი არშიით.

[1] პონტონი (ფრ.) - ბრტყელძირიანი ნავი, რომელსაც იყენებენ დროებითი ხიდის ან რაიმე ნაგებობის საყრდენად წყალზე.

2.

სცენარი:

პატრიკი ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ლამაზია. ზღვაზე მოტორიანი ნავით დაქრის. ეს როლი შეიძლება მარკ მარონიემ შეასრულოს. გაქანებული ნავიდან ხტება და პლაჟისკენ ცურვით მიაპობს ზღვას. მის შესახვედრად ულამაზესი ქალი მოემართება. ხელში მშვენიერი, მოღიმარი ჩვილი უჭირავს. პატრიკი ნაპირზე გამოდის და ქალისკენ მირბის. ისმის გაბრიელ იარედის ამაღელვებელი მუსიკა. ქალის როლი შეიძლება შეასრულოს სოფიმ, ოქტავის ყოფილმა საყვარელმა. ისინი ერთმანეთს ეხვევიან, ბავშვს მაღლა, მოწმენდილი ლურჯი ცისკენ სწევენ. ამ დროს მათ ზემოთ ჰიდროთვითმფრინავი გადაიფრენს. მსხვილი პლანი წყვილზე გადადის. მათი სახეები გაკვირვებას გამოხატავს. ბავშვი აღფრთოვანებული იცინის. კადრში ისევ თვითმფრინავია (ახლა უკვე ჩანს, რომ იგი კომპანია Canadair-ის საკუთრებაა) და ნათელი ხდება, რატომ გაუხარდათ მისი გამოჩენა: ჰიდროპლანი ერთ ფრთაზე დგება და მათ ზემოდან გადმოაყრის 50 ტონა ფერად-ფერად კანფეტებს. სივრცეს მუსიკა იპყრობს (ავუწიოთ ხმა მიკშირების დროს); შენელებული კადრი, კამერა უკან იხევს, საერთო პლანი. მაყურებელს ცრემლი უნდა მოადგეს ამ უზადო სილამაზის დანახვაზე: მოყვარული წყვილი, საუცხოო პეიზაჟი, უმანკო ბავშვი, წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი და თეთრი კანფეტების წვიმა. ჩანს, ისინი იმყოფებიან უკაცრიელ კუნძულზე, ქოქოსის პალმებითა და თეთრქვიშიანი პლაჟით.

ტიტრები (არჩევით):

„ბედნიერება უბედურების მარცხია“.

„ბედნიერებას უბედურება არ მოაქვს“.

„ბედნიერება მხოლოდ „ნესტლეს“ არ ეკუთვნის“.

„ბედნიერებაზე კარგი არაფერია, ბედნიერება კარგი კი არა, საუკეთესოა“.

3.

რა ლამაზი და სრულყოფილია მათი გარეგნობა! ცხოვრობენ კაიმანის არქიპელაგის კერძო, წყნარ კუნძულზე და ერთმანეთის სიყვარულით ტკბებიან. მოჩვენებათა კუნძული არც ერთ გეოგრაფიულ რუკაზე არ არის აღნიშნული. პატრიკი და ქეროლაინი დღეებს ზღვის, ცისა და ბავშვის ყურებაში ატარებენ. ბავშვი კი ზღვასა და დედას შესციცინებს. ხეებს მარკები არ არტყია. პალმას არ აკრავს წარწერა „ქოქოსი“. ქეროლაინმა და პატრიკმა იპოვეს ჯოჯოხეთიდან გამოსავალი და ახლა ბედნიერები არიან: სიჩუმეს უსმენენ და დროის უმეტეს ნაწილს ჰამაკში ატარებენ.

- მე კი არ ვუვლი ჩემს გოგონას, - ამბობს ქეროლაინი, - არამედ ის მივლის მე.

მათ სჯერათ ამ სამყაროსი, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ ისინი ამ სამყაროს აღარ ეკუთვნიან. ამქვეყნიური ამბები არაფერს ნიშნავს ამქვეყნიურ ცხოვრებასთან შედარებით. ბოლოს და ბოლოს, მათ გაიგეს რა არის სიყვარული. ჯერ თავიანთ შვილს უყურებენ, მერე ერთმანეთს შეხედავენ, მერე ისევ ბავშვს და ასე დაუსრულებლად. გოგონა პელიკანების ყურებით ერთობა. ისინი სხვას არაფერს აკეთებენ და ასე გადის საათები, დღეები, კვირები. შეიძლება ასე ხანგრძლივად ჰამა კში წოლით წელი აგტკივდეს, მაგრამ ვისაც ასეთი ცხოვრება არ უგემია, ნამდვილად შესაცოდია.

- მე იმიტომ წამოვედი, რომ იქ უკვე ყველაფერი გავაკეთე.

- რას ამბობ?

- მე იმიტომ წამოვედი, რომ იქ უკვე აღარ შემეძლო გაძლება.

სადღაც შორს, კარიბის ზღვაში, კუბასა და ჰონდურასს შორის, ღმერთმა ერთი პეშვი მიწა მოაფრქვია. ამ მიწას კაიმანის კუნძულები ჰქვია. იქ მხოლოდ პატარა თვითმფრინავით შეიძლება მოხვედრა. პატარა კაიმანის აეროპორტის საფრენი ბილიკი ამ კუნძულის ერთადერთ ტრასას კვეთს. იგუანებს თუ არ ჩავთვლით, სოფელში 110 მცხოვრებია. ხოლო დიდ კაიმანზე 600 საფინანსო დაწესებულებაა ნომრიანი ანგარიშებით. კაიმანის კუნძულები ბრიტანეთის კოლონიაა ავტონომიური მართვის უფლებით. არქიპელაგზე დარეგისტრირებულია 35000 ოფშორული ფირმა. მოჩვენებათა კუნძულზე მხოლოდ ტაქსიროგით შეიძლება მოხვდე (მაიკმა ისინი ბოლომდე მიიყვანა).

ისინი აქ თავს კარგად იგრძნობენ, თუმცა უკვე მშვენივრად არიან: ქოქოსის კაკლები, ვანილიანი რომი, თაფლი, სხვადასხვა სურნელოვანი სანელებელი, მარილიანი ზღვის ჰაერი, კელვინ კლაინის Obsession-ი, ჰაშიში და გამჭვირვალე წვიმის ფარდა საღამოობით... და კიდევ, ყვავილებისა და ოფლის სურნელი.

- მე ვსვამ შენი ტუჩების სისველეს, ვლოკავ შენს კბილებს, ვწუწნი შენს ენას, ვისუნთქავ შენს ოხვრას და ვყლაპავ შენს კივილს.

მილიონი ევრო ნაღდი ფულით მაიკმა ყველაფერი მოაგვარა: პატრიკისა და ქეროლაინის ყალბი ფერფლი პარიზში გაგზავნა, სოფის გამოსათხოვარი მეილი შეადგინა, შვეიცარიის ბანკებში პატრიკის ანგარიშებიდან თანხა მოხსნა. საერთოდ, მაიკი თავის კლიენტებს Escape Complex Castaneda-ში აგზავნიდა, სასტუმროში, სადაც მუდამ კარგი ამინდია. ამ კომპლექსში შედის პალისანდრისა და გოგრის ხის მრავალი ბუნგალო, რომლებიც ჩინური ვარდისა და ნუშის დაბურულ ტყეშია მიმოფანტული.

ისინი ლერწმის პატარა, ხიმინჯებზე შემდგარ ქოხში დასახლდნენ ცისფერი ტბის პირას. საღამოობით, სეირნობისას იქ მცხოვრებ სხვა ვითომ მიცვალებულებს ხვდებიან: მომღერლები კლოდ ფრანსუა (62 წლის) და ელვის პრესლი (66 წლის) უსმენენ, როგორ ქმნიან სიმღერებს კურტ კობეინი[61] (34 წლის) და ჯიმი ჰენდრიქსი (59 წლის); ყოფილი პრემიერ-მინისტრი პიერ ბერეგოვოი (76 წლის) ფრანსუა დე გროსუვრთან (81 წლის) მუსაიფობს; მწერალი რომენ გარი[62] (87 წლის) ხელიხელჩაკიდებული დასეირნობს თავის ცოლთან ჟანა სებერგთან (63 წლის) ერთად; პუბლიცისტი ფილიპ მიშელი (61 წლის) ჩოგბურთს ეთამაშება მიშელ ბურჟეს (54 წლის); არნო დე როსნე[63] (55 წლის) სერფინგში ამეცადინებს ალენ კოლას[64] (58 წლის); ჯონ კენედი უმცროსი (41 წლის) მკლავგაყრილი მიუყვება მამამისს, ჯონ ფიცჯერალდ კენედის (84 წლის) და მსახიობ მერილინ მონროს (75 წლის).

როდესაც მსუბუქი ზღვაური პალმის ხეებს გიგანტურ მარაოებად აქცევს, პატრიკი და ქეროლაინი ფორთოხლის წვენს მიირთმევენ სერჟ გენსბურგთან[65] (73 წლის) და ანტუან ბლონდენთან (79 წლის) ერთად, რომლებიც კუნძულს მეორე მხარეს ბამბუკის ერთ ქოხში ცხოვრობენ. ქოხს პალმის ფოთლების სახურავი აქვს. აქვე ცხოვრობენ კლაუს კინსკი (75 წლის) და ჩარლზ ბუკოვსკი (81 წლის). ექიმი-ფსიქოდელისტი კარლოს კასტანედა (დაახლოებით 61 წლის), თანადამფუძნებელი (აწ განსვენებულ პაბლო ესკობართან ერთად) სასტუმრო ESCape CompleX-ისა, რომელიც მის სახელს ატარებს, მიირთმევს ჰალუცინოგენ ბალახს (პეიოტლს) ჟან ესტაშის[66] (63 წლის) საზოგადოებაში, თან ეცნობა ბირჟის მიმდინარე მონაცემებს, რომლებიც დაკავშირებულია მოჩვენებების კუნძულის კაპიტალთან. საიდუმლო კუნძული სინამდვილეში თვითდაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციაა, რომელიც მისი მცხოვრებლების (იქ შესასვლელი ბილეთის ფასი 3 მილიონი ამერიკული დოლარია) კაპიტალის პროცენტებით არსებობს. ექიმების მთელი გუნდი, გენური ინჟინერიის სპეციალისტები, ბიონიკის ქირურგები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ კუნძულის ყველა მცხოვრების სიცოცხლე 120 წელზე ნაკლები ხანგრძლივობისა არ იყოს. მოჩვენებათა კუნძულის ყველა მკვიდრი ოფიციალურად მკვდარია, გარდა პოლ მაკარტნისა (ნამდვილისა) და გი ბედოსი (სასაცილოსი) - ესენი კუნძულზე ცხოვრობენ უკვე ათი წელია და „დიდ მიწაზე“ ორეულებით არიან შეცვლილები; მესამე გამონაკლისია ინგლისელი რომანისტი სალმან რუშდი. მაგრამ ეს სულაც არ არის საბაბი იმისათვის, რომ თავს დაბერების უფლება მისცენ. პლასტიკური ოპერაციები, კანის გადანერგვა, ლიფტინგი, იმპლანტაციები და სილიკონის შეშხაპუნება, ისევე, როგორც სხვა ყველაფერი, უფასოდ უკეთდებათ. ამიტომაც, ვერაფრით იტყვით რომი შნაიდერზე, რომ იგი 63 წლისაა, როდესაც „აუზში“ თავის პარტნიორ 74 წლის მორის რონეს[67] ან 57 წლის კოლუშს ესაუბრება. აქ არიან აგრეთვე დიანა სპენსერი და დოდი ალ-ფაიედი, შესაბამისად 40 და 46 წლისები.

ისინი მშვიდად ატარებენ დღეებს ამ მილიარდერების დასასვენებელ სახლში, სადაც სასტიკად აკრძალულია ტელევიზორი, ტელეფონი, ინტერნეტი და გარე სამყაროსთან კომუნიკაციის სხვა საშუალებანი. ყოველთვე პლაზმურ ეკრანებზე, რომლებიც დამონტაჟებულია ყველა ბუნგალოში, ავტომატურად იტვირთება ინფორმაცია მსოფლიო ლიტერატურის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის სფეროში 10000 მთავარი სიახლის შესახებ. ორივე სქესის მეძავი ბავშვები (დაქირავებულები ერთი წლით) მზად არიან,

ყოველ წუთს დააკმაყოფილონ კუნძულის ყველა მცხოვრების ნებისმიერი ეროტიკული სურვილი.

ერთი-ორი წუთით რომ დაფიქრდეთ, გასაგები გახდება, რომ ორივეგან ჩვენს გაბითურებას ცდილობენ: აქ გვეუბნებიან, სხვა არაფრის პერსპექტივა არ გქონდათ და კუნძულზე იმიტომ მოხვდითო. იქაც არანაკლები სისულელით გვიტენიდნენ თავს: ანგელოზებით გარშემორტყმული წვერიანი ღმერთი, წარღვნაო, ადამი და ევაო, რომლებიც ისეთივე ბოდვაა, როგორიც „დიდი აფეთქება“ და დინოზავრები.

პატრიკი და ქეროლაინი ფირუზისფერი ზღვის ნაპირას სხედან და სვამენ. დაბურული ლიანების ქვეშ ანანასის წვენს წრუპავენ; მათ გარშემო ხელისგულისოდენა პეპლები დაფარფატებენ. ყოველ დილით, კარის წინ, ჩალის საფენზე Hermes-ის ლამაზ ყუთში ჩაწყობილი ამქვეყნად არსებული ყველა ნარკოტიკი ხვდებათ. მაგრამ ყოველდღე არ მოიხმარენ მათ. ზოგჯერ დღეები ისე გაივლის, რომ არც კაიფობენ, არც ჯგუფურ სექსში მონაწილეობენ და არც მონებს აწვალებენ. ქეროლაინმა ულტრათანამედროვე კლინიკაში იმშობიარა მოჩვენებათა კუნძულზე. სხვათა შორის, კლინიკას „ჰემინგუეის ჰოსპიტალი“ ჰქვია (მინიშნება ამერიკელი მწერლის ვითომ გარდაცვალებაზე კენიაში, 1954 წელს).

მალე ქვეყნებს ფირმები შეცვლიან. ჩვენ ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეები კი აღარ ვიქნებით, არამედ სავაჭრო ნიშნების მცხოვრებლები: მაიკროსოფტში ან მაკდონალდლენდში ვიცხოვრებთ, ან სულაც კელვინკლაინელები ან პრადელები გავხდებით.

მათ ხამი ტილოს სამოსი აცვიათ. სიკვდილისა და შესაბამისად, დროის დარდიც მოშორებული აქვთ. იმ სამყაროში, რომელიც მიატოვეს, ვეღარავინ დადებს ფსონს მათზე. ისინი სწავლობენ თავისუფლებას, როგორც იესო ქრისტე, როცა ჯვარცმიდან 3 დღის შემდეგ აღდგა და იძულებული გახდა, რეალობას შეგუებოდა: სიკვდილიც წარმავალია, მხოლოდ სამოთხეა მარადიული. პატრიკი და ქეროლაინი უყურებენ, მათი გოგონა როგორ ეღუღუნება ძიძას. ბავშვი მაიმუნებს ინტერესით აკვირდება, ფარშავანგებისა კი ეშინია. ქეროლაინი მშვენიერია და ამით პატრიკიც ბედნიერია. მარადისობა ზვირთცემის რიტმს ერითმება. წითლად და ოქროსფრად აყვავებულ ლერწმებს შორის სხედან და შემწვარ თევზსა და ვანილისსოუსიან ლანგუსტებს შეექცევიან. ჩახსნილი პერანგები და შორტები აცვიათ. ერთი საზრუნავი აქვთ მხოლოდ: ფეხისგულები არ დაიწვან გავარვარებულ თეთრ ქვიშაზე. საქმეც ერთი აქვთ: შხაპი მიიღონ და ზღვის სიმლაშე ჩამოირეცხონ. მხოლოდ ერთ რამეს შიშობენ: ბანაობისას ფრთხილად უნდა იყვნენ, რომ წყალქვეშა დინებებმა არ გაიტყუოს და არ დაღუპოს - ოღონდ უკვე სინამდვილეში.

4.

როდესაც ისინი განსასჯელთა ბლოკში შეიყვანეს, სასამართლოს თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ უბრძანა, დამსხდარიყვნენ, ხოლო ჩარლსა და ოქტავს - ფეხზე მდგარიყვნენ. მათ თავი დახარეს. ბადრაგმა ხელბორკილები მოხსნა, იქაურობა ეკლესია გეგონებოდათ: კანონთა კრებულების ტექსტებს ზეაწეული ტონით კითხულობდნენ, მოსამართლეებს ანაფორის მსგავსი მოსასხამები ემოსათ. მართლმსაჯულების სასახლესა და პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს შორის დიდი განსხვავება არ არის. მხოლოდ ერთი მცირე ნიუანსია: აქ მათ არავინ შეიწყალებს. ოქტავსა და ჩარლს საამაყო არაფერი აქვთ, მაგრამ მაინც უხარიათ, რომ თამარა ამ ყველაფერს დაუძვრა. პროცესი ღია იყო და მათი პროფესიის უამრავი წარმომადგენელი ესწრებოდა. იგივე ხალხი იყო, ვინც მარონიეს დასაფლავებას ესწრებოდა. ჭუჭყიანი მინის მიღმა განსასჯელებს შეეძლოთ ყველა იქ მყოფი დაენახათ და დარწმუნებულიყვნენ, რომ ყველაფერი მათ გარეშე გაგრძელდებოდა. ათი წელი მიუსაჯეს, თუმცა საწუწუნო მაინც არაფერი ჰქონდათ (საბედნიეროდ, ფრანგულმა მართლმსაჯულებამ მათ ექსტრადიციაზე უარი თქვა, თორემ ამერიკაში რომ გაესამართლებინათ, ისე შეწვავდნენ ელექტროსკამზე, როგორც სოსისებს გრილზე Herta-ს სარეკლამო რგოლში).

...მაიკროსოფტი. მაინც სადამდე აპირებთ წასვლას? - საკნის ჭერზე ჩამოკიდებულ ტელევიზორში რეკლამას ვუყურებ და მეღიმება. ახლა ეს ყველაფერი ისე შორსაა... ისინი კი ყველაფერს ძველებურად აგრძელებენ და კიდევ დიდხანს გააგრძელებენ. მღერიან, იცინიან, ცეკვავენ დაცემამდე. ოღონდ უჩემოდ. განუწყვეტლად ვახველებ. ტუბერკულოზი ავიკიდე (ეს დაავადება ისევ მომრავლდა, განსაკუთრებით პატიმრებში).

ყველაფერი დროებითია და ყველაფერი იყიდება, გარდა ოქტავისა. რადგან მე აქ ყველაფერი გამოვისყიდე, ამ დამპალ ციხეში. მათ ნება დამრთეს (უმნიშვნელო თანხის გადახდის შემდეგ) საკანში ტელევიზორისთვის მეყურებინა. ვუყურებ ადამიანებს, რომლებიც ჭამენ, მუშაობენ, მანქანებს დააქროლებენ, ერთმანეთი უყვართ, მოგზაურობენ; რომლებსაც სჯერათ, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ შესაძლებელია; რომლებიც ბედნიერები არიან და ამით არ სარგებლობენ; რომლებიც უბედურები არიან და არაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ თავს უშველონ. ეს უამრავი რამ, რომელსაც ადამიანები იგონებენ იმისათვის, რომ მარტო არ იყვნენ. „ბედნიერი ხალხის დანახვაზე გული მერევა“, - ამბობდა რეიზერთან[68] სქელი გაიძვერა. ბედნიერი ადამიანები (მაგალითად, ჩემი საკნიდან რომ მოჩანს ის სათვალიანი ტიპი, რომელიც წვიმაში ავტობუსის გაჩერებაზე დგას და ხელში გამხდარი, წითური ქალის მაჯა ჩაუბღუჯავს). და საერთოდ, ყველა Happy few[1], გულს კი არ მირევენ, არამედ ისე მაცოფებენ, რომ შურისგან, აღშფოთებისა და უძლურებისგან ხმამაღლა ვტირი. წარმოვიდგენ სოფის მთვარის ქვეშ, ძუძუები ცვრითა აქვს დანამული. მარონიე იდაყვის შიდა მხარეს ეფერება, იქ, სადაც კანი იმდენად ნაზია, რომ მიუხედავად ნამზეურისა, მაინც გამჭვირვალეა. მის დანამულ მხრებზე ვარსკვლავები ირეკლება. ერთ დღეს, როცა ბოლოს და ბოლოს, ჩავძაღლდები, წავალ შორს, გადაკარგულ კუნძულზე, მოვძებნი მათ და სპერმას დავანთხევ ჩემი შვილის დედის ენაზე. და როდესაც მზე ჰორიზონტზე გაწვება, ჩემს შვილს ვნახავ, თუმცა, მე მას

[1] Happy few (ინგლ.) - ბედნიერება.

უკვე ვხედავ გოგენის სურათის რეპროდუქციაზე, შარდის სუნით აქოთებულ კამერაში. არ ვიცი, რატომ ამოვჭერი ჟურნალიდან სურათი „პიროგა“[1] და რატომ გავიკარი საწოლის თავზე. ეს სურათი მოსვენებას არ მაძლევს. მე მეგონა, რომ სიკვდილისა მეშინოდა, სინამდვილეში კი თურმე სიცოცხლისა მშინებია.

მათ უნდათ ჩემს გოგონას დამაშორონ. ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ შენი დიდი თვალები არ მენახა. როცა ხველება ოდნავ ჩამიწყნარდება და სანამ ისევ არ წამომივლის, შემიძლია ის თვალები წარმოვიდგინო - ორი დიდი, ფართოდ გახელილი შავი ბურთულა, რომელიც სამყაროს აღმოჩენას ცდილობს. ეს სადისტები კი მთელი დღე ტელევიზორში Evian-ის რეკლამას ატრიალებენ, სადაც სულ პატარებს თავი ესთერ უილიამსად[69] წარმოუდგენიათ. ბავშვები სინქრონულად ცურავენ Bye-Bye-Baby-ის მუსიკაზე. ისინი ჩემს ისედაც გაუბედურებულ ფილტვებს მთლად ბოლოს უღებენ. ბავშვის ორი აუციმციმებელი თვალი ვარდისფერ სახეზე. ხელს მიშლიან, რომ ამ თვალებით დავტკბე. მრგვალ, პუტკუნა ლოყებს შორის ჩასკუპებული პირი. ორი პატარა ხელი აკანკალებულ ნიკაპზე მეპოტინება. მისი კისრის რძის სუნს ვყნოსავ. ცხვირი მინდა ჩავუყო ყურებთან თბილ ადგილზე. არ დამაცადეს, რომ შენი დასვრილი ტაკუნები გამომეწმინდა. არ დამაცადეს, რომ ცრემლიანი თვალები კოცნით ამომეშრო. არ დამაცადეს, რომ ამქვეყნად ბედნიერი მოვლინება მომელოცა. თავი რომ მოიკლა, შენც მოგკლა.

მე შვილი წამართვეს, რომელიც ახლა მოკუნტული წევს საწოლში და ძილში ლოყებს იფხაჭნის, ჯერ სუნთქვა აჩქარებული აქვს, დაამთქნარებს, მერე უფრო ნელა სუნთქავს, ციცქნა იდაყვები თავქვეშ ამოუდვია და მუხლები შეუკეცავს, ჩემი კინოვარსკვლავივით წამწამებაპრეხილი, ბროწეულისფერტუჩებიანი და ფერმკრთალსახიანი ბაია, ჩემი ლოლიტა გამჭვირვალე კანით, რომლის მიღმაც ქუთუთოებსა და საფეთქლებზე წვრილი ცისფერი ძარღვები ჩანს. არ დამაცადეს გამეგონა, როგორ გაიცინებდი, როცა ცხვირზე მოგიღიტინებდნენ, მენახა შენი ნიჟარის ფორმის სადაფისფერი ყურები. ამიკრძალეს მცოდნოდა, რომ ქლოე ქვეყნიერების მეორე მხარეს მელოდა. მთელი ცხოვრება, ალბათ, ქალებს იმიტომ დავდევდი, რომ ჩემს გოგონას ვეძებდი. ნაზი კეფა, სულში ჩამძრომი შავი თვალები, დახატული წარბები, თხელი ნაკვთები ალბათ ასე ძლიერ იმიტომ მიყვარდა, რომ გული მიგრძნობდა, ჩემი გოგონაც ასეთი დაიბადებოდა. მე თუ ასე ძალიან მიყვარდა ქიშმირი, ალბათ იმიტომ, რომ შენს ხავერდოვან კანს წინასწარ შევჩვეოდი. საღამოობით სახლიდანაც იმიტომ გავდიოდი, რომ მერე მოგვიანებით შენს საწოლთან ღამის თევა არ გამჭირვებოდა.

ეხ, ნეტავ ახლა ციხეში ჩემ მაგივრად ჩემი ორეული მაწანწალა იჯდეს. ახლა ის რომ ჩემს ბინძურ საკანში ლპებოდეს, მე კი შემეძლოს წავსულიყავი - გაიგეთ? - წავსულიყავი! - რა დიდი სიამოვნებით დავუთმობდი ადგილს და ის ძალიანაც ბედნიერად ჩათვლიდა თავს: კვებაც ექნებოდა და თავზე ჭერიც. მე კი ქვეყნიერების დასალიერში ბედნიერებას მოვიპოვებდი. ასეთი გაცვლით ყველა მოგებული დარჩებოდა. მაგრამ მე მგონი, სულ გავრეკე, სად წავიდოდი ამ ჩემი დახვრეტილი ფილტვებით.

ამგვარად, დავამთავრე ჩემი წიგნი და მისი ფასია 99 ფრანკი. რა იდიოტობაა: ზუსტად ახლა მომივიდა თავში „მეგრელეტისთვის“ ყველაზე მაგარი ტიტრი - „ნუ

---

[1] პიროგა - ინდიელების ვიწრო და გრძელი ნავი.

იქნებით ერთდროულად ლამაზი და სულელი“. ახლა ჟაკ ბრელის[70] სიმღერის საავტორო უფლების შესყიდვაღა იქნება საჭირო და იმ ადგილის ამოღება, თავგანწირული რომ ღმუის: „ლამაზი და სულელი ერთდროულად“. შემდეგ ამ მონაკვეთს კადრს მიღმა ხმას დაადებ და გამოვა „მეგრელეტი“ - ნუ იქნებით ერთდროულად ლამაზი და სულელი“. მართლაც, მაგარი გამოვიდოდა! ერთი სიტყვით, დომხალია, რა!

ჩემი საკნის ერთადერთი ფანჯარა თავისი გისოსებით ძალიან ჰგავს შტრიხკოდს.

ტელევიზორში ჯგუფ Les Enjoires კონცერტის ჩანაწერს გადმოსცემენ. ჟან-ჟაკ გოლდმანი, ფრანსის კაბრელი, ზაზი და კიდევ სხვები ხმაშეწყობილად მღერიან: „წამიყვანე ქვეყნის დასალიერს / ჯადოსნურ ოცნებათა მხარეში, / იქ, მზისქვეშ აღარ გადამქანცავს / დარდი და ტკივილის თარეში“.

ყველა ამ მკვლელმა, რომლებიც ჩემს სართულზე მთელი დღე ღრიალებენ, ყვირიან, გმინავენ, კრუსუნებენ, სულიერად გამტეხა. კარგი იქნებოდა, ჯერ ტვინი გაენძრიათ კარგად და მერე დაეხოცათ ხალხი. ჩარლი გუშინ თავისივე სისხლის გუბეში იპოვეს მკვდარი, ვენები „სოპიკეს“ სარდინის გატეხილი ქილით ჰქონდა გადაჭრილი. ამ დამთხვეულს საიდანღაც ვებკამერა დაუთრევია და საკუთარი თვითმკვლელობის სცენა ინტერნეტით გაუშვია, ასე ვთქვათ, პირდაპირი ეთერით, მთავარი ის არის, რომ თამარას ვერ მიაგნეს. ძალიან მიხარია, რომ თავს უშველა. ყველას დაღუპვა მოახერხეს თამარას გარდა.

მე კი ჩემს VIPსაკნის (მარტო ვარ, ტელევიზორიც მაქვს, წიგნებიც; არა უშავს, გაძლებს კაცი, მიუხედავად იმისა, რომ ფსლის სუნი დგას და პირდაპირ ფილტვებს ვახველებ) კედელზე სკოჩით გოგენის „პიროგა“ მივაკარი. ეს სურათი 1896 წლითაა დათარიღებული და სანქტ-პეტერბურგის ერმიტაჟში გამოფენილი სერგეი შჩუკინის კოლექციის ნაწილია. მთელი დღე ამ სურათის წინ ვახველებ: მამაკაცი და მისი ცოლ-შვილი წყნარად წამოწოლილან თავიანთი პიროგის გვერდით პოლინეზიურ პლაჟზე.

თავის ერთ-ერთ ბოლო წერილში გოგენი წერდა:

„მე ველური ვარ“.

უბრალოდ, მჭირდება დავიჯერო, რომ ციხეში კი არა ვარ, არამედ ამქვეყნიურობას განვერიდე. ბერებიც ხომ კელიებში ცალ-ცალკე ცხოვრობენ.

ვუყურებ „პიროგას“ ამ იდილიურ სცენას, წყვილს, მათ შვილს. გოგენმა უკანა პლანზე წითელი მზის ჩასვლა დახატა, გეგონებათ, ატომური ამოფრქვევის სოკოაო. და მე მათკენ მივცურავ, პიროგაში ვხტები, კუნძულზე უნდა მივიდე მათთან, ისინი აუცილებლად შემიყვარებენ, პლაჟისკენ კროლით მივაპობ ტალღებს, თევზ-მთვარეებს ვეჯახები; ვიპოვი მათ და მერე ყველანი ერთად დავკავდებით სექსით, თამარა სოფისთან, დიულერი მარონიესთან, მე ყველაფერს გადავლახავ, ისინი საზოგადოებას გაექცნენ, ჩვენ ახალი ყაიდის ოჯახს ჩამოვაყალიბებთ, ოთხს ერთად გვექნება სექსი. ქლოეს ფეხებს დავუკოცნი, თანაც ისეთი ციცქნა ფეხები აქვს, რომ მუჭში ჩამეტევა; აი, ნახავ, მართლა მივალ მათთან აჩრდილთა კუნძულზე, ხომ გჯერათ ჩემი? მე, რა თქმა უნდა, ვიცი, რომ ჭკუაზე არა ვარ, მაგრამ მაინც მივცურავ ზღვაში, წყალი მეყლაპება, ვიძირები, ისე კარგად ვგრძნობ თავს... გოგენის მზის ჩასვლა ჰგავს ბირთვულ აფეთქებას.

5.

მოჩვენებათა კუნძულზე რამდენიმე თვემ გაიარა. უკვე მობეზრდათ მკვდრებად ყოფნა. უკვე ეჩვენებათ, რომ დარდი მზეზე უფრო ძნელი გადასატანია. კარგმა სმა-ჭამამ უკვე აწყინათ. უაზროდ არსებობენ მცენარეთა სამყაროში. როდესაც კარგ ფორმაში არიან, ჯგუფურ სექსში ერთვებიან: ქეროლაინი მინეტს უკეთებს რივერ ფენიქსს მაშინ, როდესაც პატრიკი აირტონ სენას[71] ხმარობს. კუნძულის ყველა ბინადარი ერთმანეთთან ჟიმაობს, მიდის საერთო-სახალხო მინეტი, სპერმის ლოკვა, კლიტორის სრესა, ერთმანეთს სახეში თესლს ასხამენ, ქვემოთ ბეწვს უწნავენ, ძუძუებს უშოლტავენ, იქვე ფსამენ და სიხარულით და შვებით ანძრევენ.

მაგრამ დრო გადის და ეს მრავალფეროვანი სექსიც ბეზრდებათ. ამ დროს იწყებენ ჩოგბურთის თამაშს, ტბაში წყალქვეშ ნადირობენ, დასრიალებენ წყლის თხილამურებით, თამაშობენ პინგ-პონგს, ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო მეტ Dom Perignon-ს დალევს; ის კი არადა, გუშინ საღამოს, ქეროლაინმა თვითონ გააუთოვა პატრიკის მაისურები. ეს უკანასკნელი ძალიან ააღელვა იმის დანახვამ, რომ ქეროლაინმა მოსამსახურეს კი არ დაავალა ეს საქმე, არამედ თვითონ წამოავლო ხელი საუთოებელ ფიცარს. პატრიკს არ ეგონა, თუ მასზე ასე იმოქმედებდა ცხოვრებისეული, ჩვეულებრივი უბრალოებისკენ მიბრუნება. ისინი ხშირად გადიან რელაქსაციის პროცედურებს სენსორული იზოლაციის კამერებში ან ცხელი წყლით სავსე მატრასებზე; ხანდახან კი არომათერაპიული მასაჟების სეანსებს იტარებენ.

თანამედროვე სამყაროს ალტერნატივა არა აქვს.

ლაჟვარდი, ლაჟვარდი და ისევ ლაჟვარდი. მათ უკვე გადააჭარბეს ლაჟვარდის ყოველნაირ დოზას. უკვე უჭირთ ამ სამოთხის მონელება. უნიათოდ დაყრილან ტილოს შეზლონგებსა და „ემანუელას“ სტილის სავარძლებში, რომლებიც ტრაკს ფხაჭნის. აუზში მაღალანაზღაურებადი ნიმფები: მონა, ტანია და ლოლა ჭყუმპალაობენ. მათ გაპარსულ ხვრელებს დროდადრო სამი ჭაბუკი ეუფლება. ისინი პირქუშები და ღიპიანები გახდნენ. იმდენს ჭამენ, რომ სიმსუქნისგან უკვე ფორმა დაკარგეს. გრძელი შორტების ზემოდან გადმოკიდებული მუცლები ლამის უკვე მუცლებამდე სწვდებათ. ღიპი ღორმუცელას პირველი ჩამშვებია. შეხედეთ ერთი ამ გაზულუქებულ იდიოტებს, რომლებიც თავიანთი სულმოკლეობის გამო ალკოჰოლიკები გამხდარან. სიმაძღრისაგან კმაყოფილ სიფათებზე ქონი მოსდებიათ. „ლამბადას“ ცეკვავენ დაუსჯელობის სრული შეგრძნებით. ისინი განერიდნენ ადამიანებს, რომელთაც უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს მათთვის, ვიდრე ყვავილებსა და ზღვაში ჩამდინარე მდინარეებს. უსმენენ კალიფორნიულ რეგის. ტრიუფელებსა და ხიზილალას უკვე ძალისძალად შეექცევიან. თავიანთი შვილივით პუტკუნები გახდნენ. ქეროლაინი ბავშვს უვლის, პატრიკი ბაღში ჩხირკედელაობს, გოგონა თავისთვის ღუღუნებს. ბედნიერებასაც აქვს თავისი ნაბახუსევი.

1998 წელს თითოეული ფრანგული ოჯახი კვირაში დაახლოებით 640 ფრანკს ხარჯავდა კვებაზე. Coca-Cola მსოფლიოში ერთი საათის განმავლობაში 1 მილიონ ქილას ყიდის. ევროპაში 20 მილიონი უმუშევარია;

მათ მოენატრათ გაზეთები, ტელევიზორი, მღელვარე და აჩქარებული ცხოვრების ტემპი. ერთმანეთისგან არაფრით განსხვავებული დღეები თბილი გარინდებისა და თრობის სასიამოვნო შეგრძნებას უტოვებთ.

დედამიწაზე წამში „ბარბის“ ორი თოჯინა იყიდება. პლანეტის 2.8 მილიარდ მცხოვრებს დღეში მხოლოდ 2 დოლარი შემოსავლით უწევს ცხოვრება. მსოფლიოს მოსახლეობის 70%-ს ტელეფონი არა აქვს, ხოლო 50%-მა არც კი იცის, რა არის ელექტროენერგია. მთელი დედამიწის სამხედრო სფეროს ბიუჯეტი 4.000 მილიარდ დოლარს შეადგენს; ეს თანხა კი ორჯერ აღემატება განვითარებადი ქვეყნების საგარეო ვალს.

ქეროლაინი უკვე ხშირად ფიქრობს იმაზე, რომ ამ გარყვნილთა სექტაში ბავშვის აღზრდა საშინელებაა.

- ნუთუ გოგონა აქაურობას თავს ვერასოდეს დააღწევს? მას ხომ სჭირდება დაბინძურებული გარემო, ხმაური, გამონაბოლქვი აირები?

პატრიკი ბამბუკის ტყეში იქარვებს დეპრესიას. ტალღების ხმაური, ერთ დროს რომ ტკბილად უნანავებდათ, ახლა უსიამოდ ჩაესმით. ჟამთა სვლა მათ არ ეხებათ, დრო მათ ზემოთ მიქრის. ფერად-ფერადი კოქტეილებით ცდილობენ მიეძალონ თრობის სიამეთ. მუდმივად თავის ტკივილი აწუხებთ: მარილიანი ქარი ხომ მიგრენის გამომწვევია. წყლის სარკისებური ზედაპირის ბრჭყვიალიც უკვე მომაბეზრებლად ერთფეროვანია. ოკეანე მარაზმშია გადავარდნილი.

ბილ გეიტსის პირადი ქონება პორტუგალიის ეროვნულ შემოსავალს უტოლდება. კლაუდია შიფერი კი 30 მილიონი ევროს მფლობელია. მსოფლიოში 250 მილიონი მცირეწლოვანი საათში რამდენიმე სანტიმად მუშაობს.

უკან, უკან უნდა დაბრუნდნენ! აქაური ჩიტებიც კი მიგრენით იტანჯებიან... პატრიკს მრავალი ახალი იდეა გაუჩნდა, უამრავი პროექტი და სლოგანი მოიფიქრა, რომლებიც ჯარისკაცებივით დარაზმულები მწყობრად მიქრიან მის გონებაში. მიდიან, მიდიან და მათი ნაკადი არ წყდება. ყველაფერი ახსოვს. ტიპებისთვის ვისაც უყვართ კაი ტიპები, რომლებსაც უყვართ ბოზები, კოკაინი და მაყუთი.

თანამედროვე სამყაროს ალტერნატივა არა აქვს.

ისინი ქორწინდებიან, მერე იყრებიან, მერე ხელმეორედ ქორწინდებიან, აჩენენ შვილებს, მაგრამ მათ შვილებს მოგვიანებით სხვები ზრდიან, შესაბამისად, თვითონაც სხვისი ბავშვების აღზრდით არიან დაკავებული. ყოველდღიურად მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა ქონება წამში 500 დოლარით მაინც იზრდება. აისი კი მხოლოდ დაისია ავტორევერსზე. მწუხრი კი კასეტაზე გადახვეული განთიადია. ვარაუდობენ, რომ 2025 წლამდე შეიძლება ცხოველთა არც ერთი სახეობა აღარ დარჩეს დედამიწაზე. ყველა ზღაპარი ასე მთავრდება: „მათ შეეძინათ ბევრი შვილი და ცხოვრობდნენ ბედნიერად“ და წერტილი. ამის მერე რა მოხდა, ამას უკვე აღარავინ გვეუბნება. რა მოხდა და აღმოჩნდება, რომ მომხიბლავი პრინცი სულაც არ არის ამ ბავშვების მამა, ესეც დარდიან გულზე სმას დაიწყებს და გალოთდება, მერე ცოლს მიატოვებს და უფრო ახალგაზრდა ქალს გაეკიდება; პრინცესა კი თურმე უკვე 15 წელია, ფსიქოანალიტიკოსებთან დარბის. შვილები კაიფობენ, უფროსი ვაჟი თავს იკლავს, უმცროსი კი ტროკადეროს ბაღებში პროსტიტუციას ეწევა.

პატრიკი და ქეროლაინი დღეებს საღამოს მოლოდინში ატარებენ, ღამით კი გათენებას ელოდებიან. მალე სიყვარულს იმ მიზნით კი არ მიეცემიან, რომ სიამოვნება მიიღონ, არამედ იმიტომ, რომ დანარჩენი რვა დღე ეს საქმე მოშორებული ჰქონდეთ. ეს ბროლივით მოციმციმე ყურეები და მარჯნის ღობეებით შემორაგული ტბები მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ ისინი უკიდეგანო წყლის ტყვეობაში გამოამწყვდიოს. მარჯნის ქვებისგან და მანგროვის ხისაგან აგებული მათი ქოხიც ყველა მხრიდან წყლითაა გარშემორტყმული. ეს კუნძული მოჯადოებული ციხესიმაგრეა. მთელი დღეები გვირილებზე მკითხაობაში გადის: „მიყვარხარ, არ მიყვარხარ, აღარ მიყვარხარ, ძალიანაც არ ვგიჟდები, გუშინდელზე ნაკლებად, ხვალინდელზე მეტად“. სამყაროს დასასრული 5 მილიარდი წლის შემდეგ დადგება და როცა მზე აფეთქდება, მაშინ დედამიწა შეიწვება, როგორც ფიჭვის გირჩი ცეცხლსატყორცნში. მზის სხივები პალმის გამხმარ ფოთლებში აღწევს. „ჯენერალ მოტორსის“ წლიური ბრუნვა - 168 მილიარდი დოლარი დანიის ეროვნული შემოსავალია. მთვარეა დღისით-მზისით, ფეხები წყალში, ტალღების თბილი დგაფუნი, გულისამრევი ზღვაური, არომატი ბუგენვილიების, პალისანდრის თაიგულები და ისეთი საზიზღარი სუნი, როგორიც Airwick-ის სტიკს აქვს.

6.

მაგრამ დგება ისეთი დღე, როცა ცა იღრუბლება და აი, პატრიკიც წყლის დინებას მიუყვება. ხედავს, როგორ შორდება ნაპირი თანდათან; შორს, პლაჟზე, ქეროლაინი მისკენ იყურება და ეძახის, მაგრამ პატრიკს პასუხის გაცემა არ შეუძლია, რადგან პირი მლაშე წყლით აქვს სავსე. იგი ზურგზე წვება და დინებას ნებდება, რომელიც გაშლილ ზღვაში მიაქანებს. იქ, სადაც ლაჟვარდი მუქდება და უფრო ღრმა ხდება; კარგი იქნებოდა, ისე წაეღო წყალს, როგორც ჩაძირული გემის ნამსხვრევი ან ზღვაში გადაგდებული ბოთლი, რომელშიც წერილი არ დევს. ზემოთ ჩიტები დაფრინავენ, ქვემოთ თევზები დასრიალებენ. პატრიკი ქვიშის ზვიგენებს, დორადებსა და დელფინებს ხვდება, სკაროსები ხელისგულებზე ელამუნებიან. მის გონებაში პანიკური შიში და გაქცევის სურვილი ერთმანეთში ირევა, წყალქვეშ მიცურავს; პირი წყლით ევსება, თავს ისე გრძნობს, როგორც არასდროს; „და მას შემდეგ მე პოეზიის ზღვით განვიბანე“ (რემბო); ყველა ვარიანტში უკვე მკვდარი ვარ და დამმარხეს კიდეც. ორ წყალ შუა მიმიჩინეთ სამარე; უცებ ცხელი შხაპივით წამოსულმა წვიმამ სახე ამიწვა; და მზე წითლდება; კარგი იქნებოდა, აღარ გამევლო ბასრ შუშებს შორის, აღარ გვეუღლებინა ზმნები; მე შენ ის, ჩვენ თქვენ ისინი; გავმხდარიყავი ინფინიტივი - საწყისი ფორმა ანდა სულაც უსაზღვროება, ისე, როგორც ინსტრუქციებში ან სამზარეულოს რეცეპტებშია; ჩავძირულიყავი, გადამებიჯებინა სარკის იქითა მხარეს და ბოლოს და ბოლოს, დამესვენა; შთანვთქმულიყავი სტიქიაში, ოქროსფერ-წითელი სხივებით გარშემორტყმული; არაფერი არსებობდა დიდ აფეთქებამდე და არაფერი იარსებებს მზის აფეთქების შემდეგ; ცა სისხლისფერ წითლად შეიღება; როგორ მინდოდა შემესვა შენი ცრემლების ცვარი, შენი თვალების მარილი, მათი სულში ჩამწვდომი სილურჯე, დავცემულიყავი, გადავქცეულიყავი ზღვის წვეთად, ვქცეულიყავი მარადისობად, არ მესუნთქა ერთი წუთი, მერე ორი, სამი, შემდეგ ერთი საათი, მერე ორი, მერე სამი. 5 მილიარდ წელიწადში ზღვა და მზე აღარ იქნება. ერთი ღამე სუნთქვის გარეშე, მერე ორი, მერე სამი; სიმშვიდე უნდა მოიპოვო; „შენ უფრო მშვენიერი ხარ, ვიდრე ღამე; მიპასუხე, ოკეანევ, გინდა ჩემი ძმა გახდე?“ (ლოტრეამონი[72]). უნდა ილივლივო დუმფარასავით წყლის ზედაპირზე, სერფინგით ისრიალო ზღვაზე, დარჩე უძრავად წყლით სავსე ფილტვებით; წყლის სულად იქცე; გაუჩინარდე სამუდამოდ; 5 მილიარდი წლით ადრე არაფერი იყო; 5 მილიარდი წლის შემდეგ ისევ არაფერი იქნება. ადამიანი მხოლოდ შემთხვევითობაა პლანეტათაშორის უდაბნოში. იმისათვის, რომ არ მოკვდე, არ უნდა იცოცხლო, კონტაქტი უნდა შეწყვიტო, გახდე ბირთვული წყალქვეშა გემი ოკეანის უფსკრულში გაუჩინარებული, აღარაფერს იწონიდე, იცურაო ანგელოზებსა და სირინოზებს შორის; იცურო ცაში; იფრინო ზღვაში. ყველაფერი აღსრულდა. პირველად იყო სიტყვა. ამბობენ, რომ სიკვდილის წინ კაცს მთელი თავისი სიცოცხლე თვალწინ ჩაუვლის, მაგრამ პატრიკი სხვა რამეს ხედავს:

Carte Noire - ყავა, სახელად სურვილი.

მე ხომ ამაზე ვოცნებობდი, Sony-მ ეს გააკეთა.

GAP - ყველა ერთ ტყავში.

SNCF - პროგრესი არაფრად ღირს, თუ მისით ყველა არ სარგებლობს.

FRANCE TELECOM - კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ცხოვრებაში.

COMEDF - ჩვენ თქვენი უფრო მეტი გვმართებს, ვიდრე სინათლე.

RENAULT SCENIC - რომელიმე მანქანაში არ აგერიოთ.

ROCHE BOBOIS - ნამდვილი ცხოვრება ინტერიერში იწყება.

NISSAN - დამზადებულია ხარისხში (MADE IN QUAEITE).

SOCIETE GENERALE - გავაერთიანოთ ჩვენი ტალანტები.

SFR - უსადენო სამყარო.

CREDIT LIONNAIS - ჩვენ ვალდებული ვიყავით, თქვენთვის ახალი ბანკი შეგვექმნა.

ვერც კი წარმოიდგენთ, რის გაკეთება შეუძლია თქვენთვის CITROEN-ს.

CARREFOUR- იმიტომ, რომ ჩვენ ყოველდღე ვიზრდებით.

NESTLE - ძალიან მაგარი შოკოლადი.

BNP - ვილაპარაკოთ მომავალზე.

NOKIA CONNECTING PEOPLE NIVEA - ყველაზე მშვენიერი საშუალება იმისათვის, რომ შენ იყო შენ.

ADECCO - სამყაროს ვერ შეცვლის, მაგრამ ცვლილებებს ხელს შეუწყობს.

L'OREAL - მე ხომ ამის ღირსი ვარ.

DAEWOO - ამდენი უპირატესობა და არც ერთი ნაკლი.

CHARLES GERVAIS - აუტანელია, მაგრამ ღვთიურია.

SELF TRADE - ბირჟამ რომ ყველა გაამდიდროს, კურსი თქვენ უნდა დაადგინოთ.

MENNEN - ჩვენთვის, მამაკაცებისთვის.

FRI CCSON - გადაეცით ემოციები ფოსტით, ამით ყველანი მოვიგებთ.

MONOPRIX - სიცოცხლე ქალაქში.

TROIS SUISSES - ქალად თუ დაიბადეთ, ე.ი. ბედმა გაგიღიმათ.

BATON DE BERGE - მისი მირთმევა ყოველთვის შეგიძლიათ.

WILLIAMS - თუ თქვენ ცხოვრებას უფრთხილდებით, ჩვენ აქ ვართ.

NOUVELLE POLO - მისი ცნობა გაგიჭირდებათ.

SEGA - ეს უფრო მაგარია, ვიდრე შენ.

თქვენ ფეხი დაადგით CAMPBELL-ის კლანის მიწას - ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისთვის.

GILLETTE - სრულყოფილება მამაკაცურად.

MICHELIN - ყველაზე კარგია ის რეზულტატი, რომლის მოქმედება ხანგრძლივია.

VISA PREMIER - ცხოვრება მხოლოდ ფული არ არის.

CANAL+ - როცა მას უყურებთ, გავიწყდებათ, რომ ტელევიზორის წინ ზიხართ.

306 - შეადარეთ მას თქვენი მანქანა.

LE PARISIEN - გაზეთის სახით უკეთესია.

GALERIE LAFAYETTE - სურვილების პლანეტა შემოდის თქვენს ცხოვრებაში.

GAZ DE FRANCE - აქ, იქ, თქვენთვის, ხვალისთვის.

CAROL - ყოველთვის კარგი ამინდი.

LIBERTY SURE - თავისუფლად შებედეთ სიმდიდრეს მომავალში.

ENJOY COCA-COLA - ცხოვრების სიგრილე.

HOLLYWOOD CHEWING - GUM WORLD ON LINE FREEDOM OF MOVEMENT.

UNITED COLORS OF BENETON BARILLA - ჩვენ, ყველანი, ცოტათი იტალიელები ვართ.

RATP - გზის ნაწილი ერთად გავიაროთ.

TELE 2 - რატომ უნდა რეკოთ ძვირად?

DENOBIOL - მთელი ჩემი სხეული უფრო ახალგაზრდა კანზე ოცნებობს.

IRM - გადაწყვეტილება პატარა პლანეტისათვის.

CLUB MED - იყო იქ და მხოლოდ იქ.

PEUGEOT 206 - ჩვენს ეპოქაში კიდევ შეიძლება აღელდე.

ADIDAS - თქვენ უკეთესს გაგხდით.

TROPICANA - თქვენში სიცოცხლე იღვიძებს.

HERMES 2000 წელი - პირველი ნაბიჯები საუკუნეში.

YOPLAIT - ისეთი მაგარია, როგორიც გემრიელია.

AIR FRANCE - ავფრინდეთ ცაში, ეს ხომ საუკეთესო ადგილია დედამიწაზე.

GIVENCHY - ცოტა შორს, ვიდრე უსაზღვროება.

PHONE POULLENC - კეთილი იყოს თქვენი მოძრაობა უკეთეს სამყაროში.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება უკეთეს სამყაროში.

პარიზი, 1997-2000

ევროზე გადაყვანილია 2001 წელს.

შენიშვნები

[1] **ჰაქსლი, ოლდოს ლეონარდ** (დ. 26 ივლისი, 1894, გოდლმინგი, სარის საგრაფო - გ. 22 ნოემბერი, 1963, ლოს-ანჯელესი, კალიფორნიის შტატი) - ინგლისელი მწერალი.

[2] **სუშონი, ალენ** (Alain Souchon; დ. 27 მაისი, 1944) - ფრანგი მომღერალი და მსახიობი.

[3] **ბუკოვსკი, ჰენრი ჩარლზ** (დაბადებით **ჰაინრიხ კარლ ბუკოვსკი**; დ. 16 აგვისტო, 1920 - გ. 9 მარტი, 1994) - წარმოშობით გერმანელი, ამერიკელი პოეტი, ლიტერატორი, პროზაიკოსი და ჟურნალისტი; ე. წ. „ბინძური რეალიზმის“ (ინგლ. Dirty Realism) მიმდინარეობის წარმომადგენელი.

[4] **ფასბინდერი, რაინერ ვერნერ** (Rainer Werner Fassbinder; დ. 21 მაისი, 1945 - გ. 10 ივნისი, 1982) - გერმანელი სცენარისტი, მსახიობი, კინოსა და თეატრის რეჟისორი, ოპერატორი, პროდუსერი. ის იყო ახალი გერმანული კინოს მამოძრავებელი ნაწილი.

[5] **უელბეკი, მიშელ** (Michel Houellebecq, ნამდვილი სახელი და გვარი მიშელ ტომა, დ. 26 თებერვალი, 1958, რეიუნიონი) - ფრანგი მწერალი. ავტორი, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში ცნობილია თავისი პროვოკატორული რომანებით.

[6] **დუამელი, ალენ** - (Alain Duhamel; დ. 13 მაისი, 1940) თანამედროვე ფრანგი ჟურნალისტი და პოლიტიკური კომენტატორი.

[7] **„ყველაზე გრძელი დღე“** - ამერიკელი მწერლის, კორნელიუს რაიანის ისტორიული რომანის მიხედვით გადაღებული ფილმი (1962 წ.).

[8] **ერგონომია** (ბერძნ.) - ამ შემთხვევაში ოპტიმალური, კომფორტული სისტემის შექმნა წარმოებაში.

[9] **ონომასტიკური** (ბერძნ.) - სახელწოდებასთან, საკუთარ სახელებთან დაკავშირებული.

[10] **ეგზეგეტიკა** (ბერძნ.) - ტექსტის, განსაკუთრებით - ბიბლიური ან იურიდიული ტექსტის, განმარტება.

[11] **ჰერმენევტული** (ბერძნ.) - მეთოდი, რომლითაც ადგენენ ლიტერატურული ძეგლების, ძველი ხელნაწერების ნამდვილობას, წარმოშობას.

[12] **ონტოლოგია** (ბერძნ.) - მეცნიერება ყოფიერების ანუ არსებობის, არსის, სტრუქტურისა და კანონზომიერების შესახებ.

[13] **პარონომაზია** (ფპ.) - სტილისტიკური ფიგურა, რომელშიც ერთი და იმავე მოქმედების გამომხატველი პირიანი და უპირო ფორმები წარმოდგენილია ერთი მნიშვნელობის გადმოსაცემად (თქმით არაფერი მითქვამს; ტკბილი ძილით ეძინა).

[14] **სოლიფსიზმი** (ლათ.) - სუბიექტური იდეალიზმის უკიდურესი ფორმა, რომლის თანახმადაც, უარყოფილია ობიექტური რეალობის არსებობა.

[15] მინიშნება XVIII საუკუნის ფრანგი მწერლის, ალფრედ დე მიუსეს ნაწარმოებზე **„საუკუნის შვილის აღსარება“**.

[16] **გებელსი, პაულ იოზეფ** (გერმ. Paul Joseph Goebbels; დ. 29 ოქტომბერი, 1897, რაიდტი (მენხენგლადბახი), გერმანია - გ. 1 მაისი, 1945, ბერლინი, გერმანია) - გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე, პუბლიცისტი, გერმანული ლიტერატურის და ფილოსოფიის დოქტორი. ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსი მესამე რაიხის პერიოდში. უამრავ სახელმწიფო და პარტიულ თანამდებობასთან ერთად 1933-1945 წ.წ. ეკავა სახალხო განათლების და პროპაგანდის რაიხსმინისტრის პოსტი.

[17] **გრამში, ანტონიო** (Antonio Francesco Gramsci; დ. 22 იანვარი, 1891 - გ. 27 აპრილ,ი 1937) - იტალიელი მარქსისტული თეორისტი და პოლიტიკოსი. იტალიის კომუნისტური პარტიის ლიდერი.

[18] **ბენდიტი, დანიელ კონ** (Daniel Cohn-Bendit; დ. 4 აპრილი, 1945) - პარიზის 1968 წლის ახალგაზრდების საპროტესტო გამოსვლების ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც საფრანგეთიდან განდევნეს.

[19] **კუბერტენი, პიერ დე** (დ. 1 იანვარი. 1863, პარიზი - გ. 2 სექტემბერი. 1937, ჟენევა) - ფრანგი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ისტორიკოსი, ლიტერატორი, ანტიკური ოლიმპიური თამაშების საერთაშორისო სპორტული შეჯიბრების სახით აღორძინების ინიციატორი. მისივეა ამ თამაშების დევიზი: „მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება“.

[20] **რემბო, ჟან ნიკოლა არტიურ** (Jean Nicolas Arthur Rimbaud; დ. 20 ოქტომბერი, 1854 - გ. 10 ნოემბერი, 1891) - ფრანგი პოეტი, სიმბოლისტი.

[21] **კასტანედა, კარლოს სესარ სალვადორ არანია** (ესპ. Carlos César Salvador Araña Castaneda, 25 დეკემბერი, 1925 - 27 აპრილი, 1998) - ამერიკელი მწერალი და ანთროპოლოგი (ფილოსოფიის დოქტორი ანთროპოლოგიის განხრით), ეთნოგრაფი, ეზოთერიზმული ორიენტაციის მოაზროვნე და მისტიკოსი. მრავალი ბესტსელერის ავტორი.

[22] **ჰამილტონი, დევიდ** (David Hamilton; დ. 15 აპრილი, 1933 - გ. (სუიციდი) 25 ნოემბერი, 2016) - კანადელი პროდიუსერი.

[23] **კრისტევა, იულია** (Julia Kristeva, ბულგ. Юлия Кръстева) (დ. 24 ივნისი, 1941) - ბულგარული წარმოშობის ფრანგი ფილოსოფოსი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ფსიქოანალიტიკოსი, ფემინისტი და მწერალი.

[24] **სიორანი, ემილ-მიშელი** (Emil Cioran; დ. 8 აპრილი, 1911 - გ. 20 ივნისი, 1995) - რუმინული წარმოშობის ფრანგი ესეისტი და მორალისტი.

[25] **ლოზიე, ჟერარ** (Gérard Lauzier; დ. 30 ნოემბერი, 1932 - გ. 6 დეკემბერი, 2008) - ფრანგი რეჟისორი, იუმორისტი და კომიქსების ავტორი.

[26] **ბარტი, როლან** (Roland Barthes; დ. 12 ნოემბერი, 1915 - გ. 25 მარტი, 1980) - ფრანგი ლიტერატურის კრიტიკოსი, ლიტერატურის და სოციალურ მეცნიერებათა თეორეტიკოსი, ფილოსოფოსი და სემიოტიკოსი.

[27] **ლოვი, რეიმონდ** (Raymond Loewy; დ. 5 ნოემბერი, 1893 - გ. 14 ივლისი, 1986) - საფრანგეთში დაბადებული ამერიკული წარმოშობის ინდუსტრიული დიზაინერი.

[28] **სეგელა, ჟაკ** (Jacques Séguéla; დ. 23 თებერვალი, 1934) - ფრანგი იმიჯმეიკერი და თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი სპეციალისტი პოლიტიკური რეკლამისა და საარჩევნო ტექნოლოგიების სფეროში.

[29] **პრუსტი, მარსელ** (ფრანგ. Marcel Proust; დ. 10 ივლისი, 1871 - გ. 18 ნოემბერი, 1922) - ფრანგი მწერალი, მოდერნიზმის მამამთავარი, დეკადენტური რომანის ფუძემდებელი. ავტორი მონუმენტალური რომანისა „დაკარგული დროის ძიებაში“ (7 წიგნი, 16 ტომად).

[30] **რიფენსტალი, ლენი** (Helene Bertha Amalie „Leni“ Riefenstahl; დ. 22 აგვისტო, 1902 - გ. 8 სექტემბერი, 2003) - გერმანელი რეჟისორი, პროდიუსერი, სცენარისტი, რედაქტორი, ფოტოგრაფი, მსახიობი, მოცეკვავე, და ნაცისტების მოჩვენებითი პროპაგანდისტი.

[31] **ბრეკერი, არნო** (Arno Breker დ. 19 ივლისი, 1900 - 13 თებერვალი, 1991) - გერმანელი მოქანდაკე, რომელიც ცნობილია ნაცისტურ გერმანიაში თავისი საზოგადოებრივი ნამუშევრებით.

[32] **გი დებორი, ერნესტ** - (Guy Ernest Debord; დ. 28 დეკემბერი, 1931 - გ. 30 ნოემბერი, 1994) ფრანგი ფილოსოფოსი, კინორეჟისორი, მწერალი.

[33] **პაპონი, მორის** (Maurice Papon; დ. 3 სექტემბერი, 1910 - გ. 17 თებერვალი, 2007) - ფრანგი სახელმწიფო მოხელე, რომელსაც 1998 წელს ბრალი დასდეს მეორე მსოფლიო ომის დროს გესტაპოსთან თანამშრომლობაში. იგი დააპატიმრეს, მაგრამ 2002 წელს მძიმე ავადმყოფობის გამო გაათავისუფლეს.

[34] **პეგი, შარლ** (Charles Pierre Péguy; დ. 7 იანვარი, 1873 - გ. 5 სექტემბერი, 1914)) - ფრანგი პოეტი და პუბლიცისტი.

[35] **ლინჩი, დევიდ** (ინგლ. David Lynch დ. 20 იანვარი, 1946) - ამერიკელი რეჟისორი, პროდიუსერი, ვიზუალური არტისტი, მუსიკოსი და შეთავსებით, მსახიობი. ცნობილია სიურრეალისტური ფილმებით.

[36] **პილე, რენე-ვიქტორ** (René Victor Pilhes; დ. 1 ივლისი, 1934) - ფრანგი მწერალი და ყოფილი პუბლიცისტი.

[37] **რედინგი, ოტის რეი** (ინგლ. Otis Ray Redding, Jr.; დ. 9 სექტემბერი, 1941 - გ. 10 დეკემბერი, 1967) - ამერიკელი მომღერალი, ჩანაწერის პროდიუსერი, სიმღერებისა და არანჟირების ავტორი.

[38] **დადი, მარსელ** (Marcel Dadi; დ. 20 აგვისტო, 1951 - გ. 17 ივლისი 1996) - ტუნისში დაბადებული ებრაული წარმოშობის ფრანგი გიტარისტი.

[39] **პეტენი, ანრი ფილიპ** (ფრანგ. Henri Philippe Pétain; დ. 24 აპრილი, 1856 - გ. 23 ივლისი, 1951), საფრანგეთის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, მარშალი (1918). პირველ მსოფლიო ომში (1914-18) გენერლის ჩინით სარდლობდა ქვეითი ჯარის ბრიგადას, შემდეგ საარმიო კორპუსს, ხოლო 1915 წლის ივნისიდან 1916 წლის აპრილამდე - საფრანგეთის მე-2 არმიას. 1917 წლის მაისში დაინიშნა საფრანგეთის არმიის მთავარსარდლად.

[40] **მოჰანდას კარამჩანდ განდი** (ჰინდი: मोहनदास करमचन्द गांधी; გუჯარათი: મોહનદાસ કરમચંદ ગાંધી; ; სინდჰი: گاندهي محاتما; დ. 2 ოქტომბერი, 1869, პორბანდარი - გ. 30 იანვარი, 1948, დელი) - ეროვნული წინამძღოლი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ინდოეთის დამოუკიდებლობის მოპოვებაში ბრიტანეთისგან. ჩვეულებრივად მას მაჰათმა განდის ეძახდნენ. მაჰათმა სანსკრიტში იშიფრება როგორც „დიდსულოვანი“, „პატივსაცემი მოხუცი“. პირველად ასე იგი 1914 წელს, სამხრეთ აფრიკაში მოიხსენიეს.

[41] **მაკკუინი, სტივ** (Terence Steven "Steve" McQueen; დ. 24 მარტი , 1930 - გ. 7 ნოემბერი, 1980) - ამერიკელი მსახიობი.

[42] **ბოუი, იმან** (Iman Mohamed Abdulmajid, სომალ. Iimaan Maxamed Cabdulmajiid; დ. 25 ივლისი, 1955) - სომალური წარმოშობის ამერიკელი მოდელი და მსახიობი. დაქორწინდა დევიდ ბოუიზე 1992 წელს.

[43] **დერეკი, ბო** (Bo Derek, ნამდვ. Mary Cathleen Collins; დ. 20 ნოემბერი, 1956) - ამერიკელი კინოვარსკვლავი და მოდელი.

[44] **ბაშკირცევა, მარია** (Marie Bashkirtseff, Maria Konstantinovna Bashkirtseva; რუს. Мария Константиновна Башкирцева; დ. 24 ნოემბერი, 1858 - 31 ოქტომბერი, 1884) - რუსული წარმოშობის ფრანგი მხატვარი და მოქანდაკე, ამაოდ ეტრფოდა გი დე მოპასანი.

[45] **მენსფილდი, ქეთრინ** (Katherine Mansfield , Kathleen Mansfield Murry; დ. 14 ოქტომბერი, 1888 - 9 იანვარი, 1923) - ახალზელანდიელი მწერალი.

[46] ალექსანდრე დიუმას (შვილის) რომანის **„ქალი კამელიებით“** მთავარი გმირი.

[47] **„დღეების ქაფი“** - ფრანგი მწერლის ბორის ვიანის (1920-1959) რომანი.

[48] **მადამ შოშა** - თომას მანის რომანის „ჯადოსნური მთის“ პერსონაჟი.

[49] **ვალმონი -** XVIII საუკუნის ფრანგი მწერლის შოდერლო დე ლაკლოს რომანის „სახიფათო კავშირების“ გმირი.

[50] **კაშინსკი, თეოდორ** (Theodore John „Ted“ Kaczynski; დ. 22 მაისი, 1942) - ამერიკელი მათემატიკოსი, ეკოლოგი და ტერორისტი. ცნობილია როგორც „უნაბომბერი“

[51] **პორიზკოვა, პაულინა** (Paulina Porizkova, Pavlína Pořízková; დ. 9 აპრილი, 1965) - ჩეხი მოდელი და მსახიობი.

[52] **„გულს გვიღონებს მონოტონურ ღონემიხდილობით“** - ნაწყვეტი ფრანგი პოეტის პოლ ვერლენის ლექსიდან „შემოდგომის სიმღერა“.

[53] **პერცეფცია** - (ლათ. წარმოდგენა, აღქმა) არის ერთ–ერთი კოგნიტური (შემეცნებითი) პროცესი, რომლის დროსაც ხდება ფსიქიკაში რეალური სინამდვილის ასახვა, საგნის ან მისი ცალკეული თვისების უშუალო განცდა.

[54] **ძმები გალაჰერები** - ინგლისელი მუსიკოსები, როკჯგუფ „ოაზისის“ წევრები.

[55] **ფსიქოდელიკური** (ბერძნ.) - ბერძნულ მითოლოგიაში: ადამიანის სულის განმასახიერებელი პეპლებით ან პეპლისფრთიანი გოგონებით მოხატული. **ფსიქოდელიკა** - ხელოვნების ნიმუში, რომელიც იქმნება ჰალუცინოგენური ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ; პოპულარობით სარგებლობდა XX საუკუნის 60-იან წლებში.

[56] **ბარდამუ** - ლუი-ფერდინანდ სელინის რომანის „მოგზაურობა წყვდიადის დასალიერში“ გმირი.

[57] **თომპსონი, ჰანტერი ს** - ამერიკელი მწერალი და ჟურნალისტი. დაიბადა 1937 წელს კენტაკის შტატის ქალაქ ლუისვილში. თომპსონი გონზო-ჟურნალისტიკის ფუძემდებელია, სტილის, რომელიც აღწერილ მოვლენებში ავტორის უშუალო მონაწილეობასა და სუბიექტურობას გულისხმობს. მწერლის ყველაზე ცნობილი წიგნია „ზაფრა და

გულისრევა ლას ვეგასში“. 2005 წელს ჰანტერ თომპსონმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

[58] **Ottawan** - გასული საუკუნის 1978-1981 წლების ფრანგული დისკოჯგუფი.

[59] **La femme de Hulk** (ფრ.) - თანამედროვე ფრანგული მხატვრული ფილმი „ულკის ცოლი“.

[60] **კოენი, ალბერ** - (ფრანგ. Albert Cohen; დ. 16 აგვისტო, 1895 - გ. 17 ოქტომბერი, 1981) - შვეიცარიელი მწერალი, პოეტი, დიპლომატი და დრამატურგი.

[61] **კობეინი, კურტ დონალდ** (ინგლ. Kurt Cobain; დ. 20 თებერვალი, 1967 - გ. 5 აპრილი, 1994) - ამერიკელი მუსიკოსი. ცნობილია როგორც სიეტლურ ჯგუფ ნირვანას ვოკალისტი, გიტარისტი და სიმღერების ავტორი.

[62] **გარი, რომენ** - იგივე **ემილ აჟარი** (ფრანგ. Romain Gary; დ. 8 მაისი, 1914 - 2 დეკემბერი, 1980) - ფრანგი ნოველისტი, კინორეჟისორი, დიპლომატი და ავიატორი მეორე მსოფლიო ომში.

[63] **როსნე, არნო დე** (Arnaud de Rosnay; დ. 9 მარტი, 1946 - გ. (დაიკარგა ტაივანის სრუტეში, ჩინეთის ზღვა) 24 ნოემბერი, 1984) - ფრანგი ფოტოგრაფი და სერფერი.

[64] **კოლა, ალენ** (Alain Colas; დ. 16 სექტემბერი, 1943 - გ. (დაიკარგა ზღვაში) 16 ნოემბერი, 1978) - ფრანგი ნაოსანი, პირველი იყო, ვინც მარტო იმოგზაურა დედამიწის გარშემო ჩენჩოებიანი ნავით.

[65] **გენსბურგი, სერჟ** (Serge Gainsbourg, დაბ. Lucien Ginsburg; დ. 2 აპრილი, 1928 - 2 მარტი, 1991) - ფრანგი მომღერალი, კომპოზიტორი, პიანისტი, პოეტი, მხატვარი, სცენარისტი, მწერალი, მსახიობი და რეჟისორი.

[66] **ესტაში, ჟან** (Jean Eustache; დ. 30 ნოემბერი, 1938 - გ. 5 ნოემბერი, 1981) - ფრანგი რეჟისორი.

[67] **რონე, მორის** (Maurice Ronet; დ. 13 აპრილი, 1927 - გ. 14 მარტი, 1983) - ფრანგი მსახიობი, რეჟისორი და მწერალი.

[68] **რეიზერი, ჟან-მარკ** (Jean-Marc Reiser; დ. 13 აპრილი, 1941 - გ. 5 ნოემბერი, 1983) - ფრანგი მხატვარი და კომიქსების შემქმნელი.

[69] **უილიამსი, ესთერ** (Esther Jane Williams; დ. 8 აგვისტო, 1921 - გ. 6 ივნისი, 2013) - ამერიკელი მოცურავე და მსახიობი.

[70] **ბრელი, ჟაკ** (Jacques Romain Georges Brel; დ. 8 აპრილი, 1929 - გ. 9 ოქტომბერი, 1978) - ბელგიელი მომღერალი, კომპოზიტორი, მსახიობი და რეჟისორი.

[71] **აირტონ სენა და სილვა** (პორტ. Ayrton Senna da Silva; დ. 21 მარტი, 1960 - გ. (გარდაიცვალა 300კმ/სთ სიჩქარით მოძრაობისას, სან-მარინოს გრან-პრის დროს) 1 მაისი, 1994) - ბრაზილიელი ფორმულა 1-ის მრბოლელი, სამგზის (1988,1990,1991 McLaren-Honda.) მსოფლიო ჩემპიონი, ფორმულა 1-ის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მრბოლელი.

[72] **ლოტრეამონი, ისიდორ** (Comte de Lautréamont, ფსევდ. Isidore-Lucien Ducasse; დ. 4 აპრილი, 1846 - გ. 24 ნოემბერი, 1870) - ურუგვაიში დაბადებული ფრანგი პოეტი.

50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ

„კვირის პალიტრის“ ბიბლიოთეკა

წიგნი 11

რედაქტორი **ელენე სალარიძე**
კორექტორები: **ლიკა თავართქილაძე**
ნინო აბესაძე
ნატალია ჩიმაკაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა **დათო მოსიაშვილი**
ყდის დიზაინი **ეთერ გზირიშვილი**
პროექტის მენეჯერი **თინათინ ასათიანი**

გამომცემლობა პალიტრა L, 2011
მისამართი: იოსებიძის ქ. 49, ტელ.: 38-38-71
E-mail: book@palitra.ge
www.50.kvirispalitra.ge